

სარედაქციო საბჭო:

მაია ივანიშვილი – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი, **სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე**; **თამაზ ფუტკარაძე** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი, **რედაქტორი**; **ნარგიზ ბასილაძე** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **თენგიზ სალუქვაძე** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ელგუჯა ჩაგანავა** – აპარატის უფროსი, **ელგუჯა გოგიბერიძე** – ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამსახურის უფროსი; **მაია რურუა** – დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო – საცნობარო განყოფილების უფროსი; **ნატო ქიქვაძე** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი; **ინგა ელიავა** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ესე დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების მთავარი სპეციალისტი; **ალა სერდიუკი** – ბერდიანსკის სახელმწიფო ფილოლოგიური უნივერსიტეტი, პროფესორი, მეცნიერებათა კანდიდატი; **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის უფროსი სპეციალისტი; **მარინა აროშიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **თამილა ლომთათიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; **ოთარ გოგოლიშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **მალხაზ ჩოხარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **ჯემალ კარალიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

Editorial Board:

Maia Ivanishvili – head of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, chairman of editorial board; **Tamaz Putkaradze** – head of foreign, public, media relations and documents publication and utilization department, editor; **Nargiz Basiladze** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Tengiz Salukvadze** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Elguja Chaganava** – Head of staff; **Elguja Gogiberidze** – head of service of Central State Archives; **Maia Rurua** – Archives Administration, Head of preservation, registration and scientific-informational department; **Nato Kikava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization; **Inga Eliava** – senior specialist of preservation, registration and scientific-informational department of Central Archives of Kutaisi; **Alla Serdiuk** – Berdyansk State Pedagogical University, professor, candidate of science; **Tinatini Jabadari** – main specialist of Contemporary History Archives of National Archives of Georgia; **Marina Aroshidze** – professor of Shota Rustaveli State University; **Tamila Lomtadze** – research fellow of Niko Berdzenishvili scientific-research Institute; **Otar Gogolishvili** – professor of Shota Rustaveli State University; **Malkhaz Chokharadze** – professor of Shota Rustaveli State University; **Jemal Karalidze** – professor of Shota Rustaveli State University.

სარედაქციო საბჭო შეიძლება ყოველთვის არ ეთანხმებოდეს ავტორების მოსაზრებებს. ავტორთა სტილი დაცულია.

Editorial board may not always agree with authors opinions.

Authors style is retained.

© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეყნებო
დანესებულება – საარქივო სამმართველო, 2016

გამომცემლობა „**ნიონისალი**“, 2016

თბილისი, 0179, 0. შავჩაიძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-870-4

თენგიზ სიმაშვილი

„ქართული ლეგიონის“ წევრები და ჯეშალ-ფაშას გვკლულობა

საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივში დაცული, მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების ერთ-ერთი საარქივო საქმე მთლიანად ეხება თურქეთში შექმნილ ე.წ. „ქართულ ლეგიონს“. მასალებში აღნიშნულია, რომ „ქართული ლეგიონის“ შექმნის იდეა ჯერ კიდევ „მშვიდობიან დროს“ 1911 წელს გაჩენილა. კავკასიის მიმართულებით ამ დროს „გაძლიერებულ თურქულ და გერმანულ პროპაგანდაში“ დიდი როლი შეუსრულებია იმავე წელს კონსტანტინეპოლში (ასე წერია დოკუმენტში. თ.ს.) შექმნილ ე.წ. „დადიანისეულ“ „ქართულ კომიტეტს“ [საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5413, გვერდი 13] (იხ. დოკ. 1)

აქვე საინტერესოაა ასახული ქართულ მოსახლეობაში „ქართული კომიტეტის“ პროპაგანდის მიმართულებები. მათ შორის მთავარი ყოფილა – „საქართველოს განთავისუფლება სომხების ეკონომიური მონობიდან, რაშიც დამნაშავე არის რუსეთის ხელისუფლება. შესაბამისად, ერთადერთი გზა, რომ აღდგეს დამოუკიდებელი საქართველო მდგომარეობს თურქეთთან კავშირში“ (იხ. დოკ. 1)

С В В Д Ъ Н І Я

о Грузинскомъ Легионѣ - Табурѣ.

Идея созданія въ турецкой арміи грузинскаго баталіона возникла еще въ мирное время, въ періодъ усиленнаго развитія на Кавказѣ нѣмецко-турецкой пропаганды, въ которой дѣятельное участіе принялъ основанный въ 1911 году въ Константинополѣ грузинскій комитетъ, извѣстный подъ именемъ "Дадіановскаго" председателемъ, котораго въ данное время состоитъ нѣкій Сургуладзе изъ Кутаисской губ.

Комитетъ этотъ широко пропандировалъ идею освобожденія Грузіи отъ экономическаго пораженія ариятъ, виною чего являлось, яко - бы Россія и вмѣстѣ съ тѣмъ въ союзѣ съ Турціей указывалась единственный путь къ обновленію и восстановленію самостоятельной Грузіи. Боевой организаціей этого комитета въ Турціи и явился грузинскій батальонъ, составленный изъ выходцевъ русско-подданныхъ грузинъ, который былъ названъ "Легионъ - Табуръ."

Батальонъ формировался въ Трапезондѣ и первоначально состоялъ изъ 400 человекъ, набранныхъ изъ членовъ турецкаго Грузинскаго комитета. При возникновеніи батальона заботы объ его организаціи приняло на себя Турецкое Правительство. Трапезондскому Вали было приказано выдать 200 маузеровъ, все обмундированіе и полностью жалованіе всему батальону за мѣсяць впередъ. Но вскорѣ батальонъ былъ взятъ въ вѣдѣніе нѣмцевъ, коими и было прислано оружіе изъ Константинополя и всѣ дальнѣйшіе расходы и веденіе дѣлъ грузинскаго Легионъ - Табура приняло нѣмецкое посольство въ Константинополѣ. Съ занятіемъ турками части Батумской области аджарцы, дали батальону своихъ четниковъ, почему батальонъ тогда же былъ доведенъ до 800 человекъ. Во главѣ грузинскаго Легионъ-Табуръ сначала его основанія былъ нѣкій Леонъ Кересилидзе, житель Кутаисской губерніи фамиліи офицеровъ, изъ числа русско-подданныхъ

грузинъ, остались въ городѣ неизвѣстными, такъ какъ онѣ усиленно окрывались самими грузинами, которыхъ называли здѣсь по турецкому обычаю, просто, по именамъ,

Большинство именъ грузинскихъ офицеровъ теперь извѣстно и указано въ найденной въ Трапезондѣ и прилагаемой при семь фотографической карточкѣ.

Среди Мусульманскаго населенія Трапезонда, равно какъ и у мѣстныхъ властей грузинскій Легионъ-Табуръ въ последнее время не пользовался симпатіями, такъ какъ батальонъ не оправдалъ возлагавшихся на него надеждъ и кромѣ того офицерство и солдаты вели себя крайне распущено. Трапезондскій Вали въ обществѣ съ Греческимъ митрополитомъ въ Трапезондѣ не разъ высказывалъ свое отрицательное къ нему отношеніе, называя командира батальона, Леона Кересилидзе авантюристомъ, вымогающимъ деньги и выражалъ сомнѣніе, что Грузія можетъ оказать Турціи какую либо вооруженную поддержку. (Въ періодъ занятія турками Батумской области ожидалось восстаніе въ Грузіи, о чемъ усиленно говорили въ Трапезондѣ и когда этаго не случилось, то Вали влостно иронизировалъ надъ сторонниками грузинскихъ организацій и удивлялся, какъ до сихъ поръ нѣмцы могутъ вѣрить грузинскому комитету и надѣяться на грузинскій Легионъ-Табуръ.) Но нѣмцы продолжали поддерживать названный батальонъ, обставляя его въ матеріальномъ отношеніи, какъ не одну турецкую войсковую часть. Тогда же Вали рассказывалъ митрополиту, что Шуленбургъ /бывш. нѣмецкій консулъ въ Тифлисъ/ находившійся въ ту пору въ Трапезондѣ, упрекалъ его въ несправедливомъ отношеніи къ грузинскому комитету и батальону, говоря, что все придетъ въ свое время и что до сихъ поръ послѣдовательно выполняется то, что было обѣщано комитетомъ: - съ занятіемъ Аджаріи населеніе послѣдней перешло на сторону Турціи и что, при дальнѣйшемъ продвигеніи на Кавказъ Турецкихъ войскъ, то же произойдетъ съ Грузіей.

По имѣвшимся, пока скуднымъ, свѣдѣніямъ о дѣятельности грузинскаго Легионъ-Табура, удалось установить, что въ январѣ прошлаго года онъ былъ стправленъ на Русскую границу, но почему то вкорѣ вернулся назадъ въ Трапезондъ, кажется,

„ქართული კომიტეტის“ საბრძოლო ძალად და სამხედრო ორგანიზაციად დასახელებულია 1914 წლის სექტემბერში თურქეთში, ტრაპიზონში ჩამოყალიბებული „ქართული ლეგიონი „თაბურ“-ი. ზემოაღნიშნულ საარქივო საქმეში თავმოყრილია მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების, კავკასიის არმიის შტაბის დაზვერვის განყოფილების, ასევე თბილისის და ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოების მიმონერა „ქართულ ლეგიონ თაბურ“-ზე, ასევე დაცულია საინტერესო ინფორმაციები მისი წევრების შესახებ.

როგორც ცნობილია „ქართული ლეგიონი“ 1914 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. მისი მეთაური იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე, გენერალი ლეო კერესელიძე. ლეგიონის შექმნაში დიდი როლი შეასრულეს, ბერლინში მოქმედმა ე.წ. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრებმა: გიორგი მაჩაბელმა, მიხაკო წერეთელმა, გიორგი კერესელიძემ, პეტრე სურგულაძემ, ნესტორ მაღალაშვილმა და სხვებმა. გერმანელების მხრიდან ლეგიონის შექმნაში დიდი როლი ითამაშა, ბერლინში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ დაარსების ხელშემწყობმა გრაფმა შულენბერგმა (გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი დამოუკიდებელ საქართველოში. დაჯილდოვებული იყო წმინდა თამარ მეფის ორდენით. თ.ს.)

ლეგიონში 1500-მდე მებრძოლი შედიოდა, მათ რიცხვში იყვნენ რუსეთში 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე, თურქეთში და ევროპის ქვეყნებში წასული ემიგრანტები, ასევე აჭარის მცხოვრებლები და მოხალისე ლაზები. ლეგიონის არსებობის მთელ მანძილზე, მას ასე ვთქვათ „პატრონაჟს“ უწევდა თურქეთში მყოფი გერმანიის საექსპედიციო კორპუსი. „ქართული ლეგიონი“ ოფიციალურად დაშლილად 1917 წლის დამლევს გამოცხადდა.

ზემოდასახელებულ საარქივო საქმეში ფართო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, ქართველი ლეგიონერების ჯგუფური ფოტოებიცაა დაცული, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების

წარმომადგენლებს ტრაპიზონში მოუძიებიათ, ხოლო მათზე ასახულ პირებზე კი საიდუმლო აგენტისგან მიუღიათ ინფორმაციები. ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ლეგიონის ოფიცრები და ჯარისკაცები თურქული წესისამებრ ერთმანეთს სახელებით მიმართავენ, ამიტომ ძნელია მათ ვინაობაზე ინფორმაციების მოძიება“. როგორც ირკვევა მეფის მოხელეებს საიდუმლო აგენტისათვის უჩვენებიათ აღნიშნული ფოტოები და მასაც ფოტოებზე ასახული პირებიდან მოუხდინია რამოდენიმე მათგანის იდენტიფიცირება. კერძოდ: ლეონ(ლეო) კერესელიძე, პეტრე სურგულაძე, მელიტონ თავართქილაძე, ნესტორ კერესელიძე, სერგო ლაბაძე, ვანო წერეთელი. ასევე მითითებულია უცნობი პირი სახელით „ალექსანდრ“ (რომელიც „როტის ფელდფებელი“ ყოფილა) და სხვები [საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5413, გვერდი 10].

ჩამოთვლილი პირები მეტ-ნაკლებად ცნობილია დაინტერესებული მკითხველისათვის. მათგან მინდა გამოვყო სერგო ლაბაძე, რომელზეც აღნიშნულია, რომ იგი იყო ყაჩაღი, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში არეულობების და 1912 წელს კოჯრის გზაზე ფოსტაზე თავდასხმის მონაწილე [საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5413, გვერდი 1]. ასევე მითითებულია, რომ ლეგიონში იგი „ტყვიანმფრქვეველთა როტას“ ხელმძღვანელობდა და ა.შ. მკვლევარ ირაკლი ხვადაგიანის მოსაზრებით სერგო ლაბაძე ქართული ლეგიონის ყოფილ წევრ შალვა წერეთელთან ერთად, 1922 წელს ჯემალ-ფაშას მკვლელობის ერთ-ერთი შემსრულებელი იყო. [ირაკლი ხვადაგიანი, „საბჭოთა ნემესისის ფარი და მახვილი“, <http://liberali.ge/articles/view/19842/sabchota-nemesisis-fari-damakhvili>]. 1921 წლის თებერვლის შემდეგ სერგო ლაბაძე საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებულია და მუშაობა დაუწყია საქართველოს ჩეკაში.


მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო სერგო ლაბაძის „ქართულ ლეგიონში“ მოღვაწეობის პერიოდზე და ასევე იმდროინდელ ფოტოსურათებზე მასთან ერთად აღბეჭდილ ერთ-

ერთ პირზე – ალექსანდრე (ქრისტეფორე) ცაგურიშვილზე, მეტ-სახელით „ფორია“. ალექსანდრე ცაგურიშვილი თანამედროვე-ებში სწორედ ამ მეტსახელით იყო უფრო ცნობილი, შესაბამისად მეც ასე მოვიხსენიებ.

დღეს მისი სახელი ბევრს არაფერს ეუბნება ქართულ საზო-გადოებას, მაგრამ აღნიშნულ პერიოდში იგი საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. ჩემს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-ნისტროს პარტიული არქივის ფონდებში მოძიებული ფორიას დღემდე გამოუქვეყნებელი ავტობიოგრაფიის მიხედვით, რომე-ლიც მას 1932 წელს დაუნერია, იგი „ქართული ლეგიონის“ რი-გებში მისი შექმნისთანავე შესულა [შინაგან საქმეთა სამინის-ტროს არქივის II განყოფილება, (ყოფილი პარტიული ორგანოე-ბის არქივი), ფონდი 93, აღწერა 2, საქმე 954]. ფორია ლეგიონის შემქმნელებად პეტრე სურგულაძეს, მიხაკო წერეთელს, მელი-ტონ ქარცივაძეს და სხვებს ასახლებს. აქვე ფორია ახსენებს სერგო ლაბაძეს, ვისთან ერთადაც 1910-იან წლებში ბორჯომში და ხაშურში უამრავი ტერორისტულ-ექსპროპრიაციული აქტის განუხორციელებია.

ამ და სხვა საარქივო მასალების შეჯერებით ირკვევა, რომ სწორედ ფორია იყო მეფის ხელისუფლებისათვის „ალექსანდრ“ თუ „ალექსანდრე“-ს სახელით მოქმედი პიროვნება, რასაც ადას-ტურებს მისი „ქართულ ლეგიონში“

ყოფნისას გადაღებული ფოტო, რომლის მეორე გვერდზე ვკითხუ-ლობთ: ფორია ცაგურიშვილი – „ალექსანდრ“:



ქართული ლეგიონის „როტის ფელდფებელი“ „ალექსანდრ“ რომ ფორია იყო, დასტურდება სხვა დო-კუმენტებითაც. კერძოდ, სამოქა-ლაქო ნაწილში კავკასიის მეფის-ნაცვლის თანამემნის მიერ გაგზავ-

ნილ წერილში ნათქვამია, რომ „ლეონ კერესელიძე და ორი ოფიცერი ალექსანდრ და ოსმან-ბეი მივლინებულ იქნენ სპარსეთში, საიდანაც ალბათ შეაღწევენ კავკასიაში“ [საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5413, გვერდი 10]. ამავე საარქივო საქმის სხვა დოკუმენტში, სათაურით „ჩამონათვალი თურქეთის ქართული ლეგიონის შემადგენლობაში მყოფი რუსეთის ქვეშევრდომი ქართველების“ ნომერი ხუთი დასახელებულია – „ალექსანდრ“ გვარი უცნობია, ამჟამად მივლინებულია სპარსეთში, საიდანაც შესაძლებელია შეაღწია კავკასიაში“ [საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5413, გვერდი, 17].

ეს ინფორმაციები სრულ თანხვედრაშია ფორია ცაგურიშვილის მოგონებებთან. მისი სიტყვებით იგი ლეო კერესელიძესთან, კონია ინასარიძესთან, ლავრენტი მანჯავიძესთან ერთად 1915 წელს თურქეთიდან საქართველოში წამოსულა. ჯერ ტრაპეზუნდიდან სტამბულში ჩასულან და ზღვით აპირებდნენ შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა, შემდეგ მდინარე ტიგროსის გავლით გადასულან სპარსეთში. ფორია და ინასარიძე სწორედ სპარსეთიდან შესულან რუსეთის იმპერიაში, კერძოდ კი თბილისში 1916 წელს [შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება, (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი), ფონდი 93, აღწერა 2, საქმე 954, გვერდი 8] (საინტერესოა, რომ ფორია აქ ხაზს უსვამს გზაზე ქურთებთან შეიარაღებულ შეჯახებებს და მათი თავდასხმების ხშირ მოგერიებას. აღნიშნავს, რომ „იქ მთავრობა როგორც ასეთი არ არისო“. აღნიშნული ძალაუნებურად გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ მთავარი პერსონაჟის თავგადასავალს მოგაგონებს ირანში. თ.ს.)

შემორჩენილია ფორიას მეორე მოგონებაც, რომელიც მოიძია ანგანსვენებულმა ლიტერატორმა ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა. ეს მოგონება ფორიას „მწერალ“ პავლე საყვარელიძის, რუსთაველის თეატრის დირექტორის სანდრო ახმეტელის და სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ბაჭუა კუპრაშვილის

საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის, ამავე არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების და პარტიული არქივების, ასევე სხვა მასალების და დოკუმენტების მიხედვით ფორია ახლოს იცნობდა და მეგობრობდა, ერთობლივ ტერორისტულ საქმიანობას ეწეოდა ქართველ ანარქისტებთან, სოციალ-დემოკრატებთან, მათ შორის მენშევიკური და ბოლშევიკური ფრთის წარმომადგენლებთან. ესენი იყვნენ – სამუელ კუპრაშვილი (ბაჭუა), სიმონ ტერ-პეტროსიანი (კამო), ილიკო იმერლიშვილი (მცხეთელი, იმერელი), ლადო ფეიქრიშვილი (შავი ლადო, დიდი ლადო), ერასტი ჯორბენაძე, სერგო თაყაიშვილი, ხარება ჯიბუტი (ხარება), გოგია კენკიშვილი (გოგია) და სხვები; და როგორც აღვნიშნეთ სერგო ლაბაძესთან, ვისთან ერთადაც ფორიას ვხვდებით „ქართული ლეგიონის“ წევრების სხვადასხვა ფოტოებზე (იხ.დოკ. 4, მარცხნიდან მეორე ფორია, მესამე – სერგო ლაბაძე მეუღლეებითურთ.) (არსებობს ინფორმაცია რომ ფორია ასევე კარგად იცნობდა სტალინსაც, თუმცა ეს სულ სხვა ისტორიაა. თ.ს.)



1922 წლის მარტში ფორია საბჭოთა ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა დააპატიმრეს. სულ რამოდენიმე დღეში იგი ცოლის და „ამხანაგების“ დახმარებით – რკინიგზის სადგურზე გადაყვანისას ბადრაგს გაექცა (მოხდა შეიარაღებული შეტაკება – თ.ს.) [უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 285, აღწერა 1, საქმე 237 (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმონერა ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, გვერდი 103)]. არ გასულა დიდი ხანი და იგი საბჭოთა ხელისუფლებამ „შემოირიგა“. როგორც ჩანს, ფორიას ადრეულ წლებში ბოლშევიკი ტერორისტების მეგობრობა გამოადგა, რადგან სხვადასხვა ცნობებით ხელისუფლებასთან მის შერიგებაში დიდი როლი კამოს შეუსრულებია. ამ უკანასკნელს პატიმრობიდან გაქცეული და „ტყეში გასული“ ფორიასათვის „მთავრობიდან განთავისუფლების ქალაქი“ პირადად მიუტანია (აღბათ საუბარია მასზე აღძრული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე – თ.ს.) ჩემს მიერ მოძიებულ ფორიას მეუღლის დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებებშიც აღნიშნულია, რომ ეს „ქალაქი“ ჩეკა-დან იქნა გამოტანებული კამოსთვის.

როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია გარკვეულწილად სინამდვილეს ასახავს, მაგრამ არა სრულად. საქმე იმაშია, რომ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ვიგებთ – „1922 წლის 22 ოქტომბერს „ფორია“ ნებაყოფილობით გამოცხადდა საქართველოს „ჩეკაში“. ხელისუფლებამ ის შეინყალა და აიძულა, ყაჩაღთა სალიკვიდაციო ოპერაციებში მიეღო მონაწილეობა. „ფორიაც“ აქტიურად შეუდგა საქმიანობას – ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას“ [ყურნალი „თულნი“, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, თბილისი, 2015, გვერდი 38; „როგორ გადაიბირეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედი პოლიტიკური დაჯგუფება“, 24 საათი, 2009. – 19-25 დეკემბერი, N38 (134), გვერდი 13].

თუ ვერწმუნებით ამ და სხვა საარქივო წყაროებს, ფორიას ხელისუფლებასთან „შერიგება“ ოქტომბრამდე ბევრად ადრე

მომხდარა, რადგან კამო თბილისში საავტომობილო კატასტროფაში 1922 წლის 14 ივლისს მოკვდა. ასე რომ, ფორიასთან მისი შეხვედრა და არა ოქტომბერში, არამედ მის დალუპვამდე – 14 ივლისამდე მოხდებოდა.

რა იგულისხმებოდა ფორიას ხელისუფლებასთან „შერიგებაში“ და რა უნდა გაეკეთებინა ორივე მხარეს ამისათვის, ანუ საბჭოთა ხელისუფლებას ფორიასთვის და ფორიას ხელისუფლებისთვის? კამოს, რომელიც ამ დროს საქართველოში, სავაჭრო სისტემაში ფორმალურად მუშაობდა ისეთი რა ისეთი კავშირი ჰქონდა ჩეკასთან, რომ სწორედ მას ანდეს „ტყეში გასული“ ყაჩაღის, თუ ტერორისტის შემორიგება?

სავარაუდოდ, კამო მისი „ბობოქარი“ ტერორისტული წარსულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ საუკეთესო შუამავალი იყო ძველი თაობის ტერორისტ-ექსპროპრიატორებს და საქართველოს ჩეკა-ს შორის, რომელსაც არ სურდა პირდაპირი კავშირი ჰქონოდა სხვადასხვა „ბინძურ“ საქმეებთან. ცნობილია, რომ ასეთ „დელიკატურ“ საქმეებს ჩეკა აღნიშნულ პერიოდში სხვისი ხელით აკეთებდა, რათა კვალი მასთან არ მისულიყო.

ერთ-ერთი ყოფილი ჩეკისტის, კერძოდ ევგენი დუმბაძის მიერ საზღვარგარეთ გამოსულ მოგონებებში – „На службѣ чека и коминтерна“, სხვა ისტორიებთან ერთად საქართველოს ჩეკასს მიერ ჩადენილ ერთ-ერთ ასეთ „დელიკატურ“ მკვლელობაზე – ჯემალ ფაშაზე თავდასხმის რეალურ მონაწილეებზეცაა საუბარი. ევგენი დუმბაძე ჯემალ ფაშას ერთ-ერთ მკვლელად სერგო ლაბაძეს ასახელებს [Е. Думбадзе, На службѣ чека и коминтерна, ПАРИЖЪ, 1930, с.73-74].

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ 1922 წლის 14 ივლისს კამო საავტომობილო კატასტროფაში კვდება, 21 ივლისს კი ჯემალ ფაშას კლავენ. შესაბამისად, ხომ არ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ჯემალ ფაშას მკვლელობაში მონაწილე მესამე დაუდგენელი პირი იქნებ სერგო ლაბაძის მეგობარი და ამხანაგი ფორია იყო? სერგო ლაბაძე და ფორია განუყრელი მეგობრები იყვნენ და

ხელისუფლებისათვის ლოიალობის დასამტკიცებლად ფორიას თავის „ლეგიონელ“ მეგობართან ერთად ჯემალ-ფაშას მკვლელობა არ უნდა გასჭირვებოდა.

ევგენი დუმბაძე სერგო ლაბაძის შესახებ წერს, რომ ის იყო საუკეთესო მსროლელი, მამაცი და საკმაოდ ფრთხილი ადამიანი, რომელიც „როგორც თვითონ ამბობდა საკუთარ მარჯვენა ხელსაც კი არ ენდობოდა“ [E. Думбадзе, На службѣ чека и коминтерна, ПАРИЖЪ, 1930, с.73-74]. დუმბაძის სიტყვებით ლაბაძესათვის ჩეკას ჯემალ-ფაშას მკვლელობის საფასურად ფულიც გადაუხდია და შეპირებია თანამდებობასაც. თუმცა, ლაბაძეს თანამდებობა ვერ მიუღია და გარკვეული დროის შემდეგ მას უამრავჯერ შეუხსენებია თავი საქართველოს ჩეკას უფროსისათვის. მეტიც, როცა დაინახა, რომ მის ქმედებებს შედეგი არ ჰქონდა, მინიშნებაც გაუკეთებია იმაზე, რომ „რალაც-რალაცეები იცოდა“.

ირაკლი ხვადაგიანის ზემოდასახელებულ საკმაოდ ორიგინალურ და საინტერესო კვლევაში ვკითხულობთ – „სერგო ლაბაძეს ოქტომბერში, ბათუმში მივლინებით გაგზავნილს, 20 რიცხვში, ღამის ცხრის ნახევარზე, შუა ქალაქში – მარიის პროსპექტზე ნაცნობ-მეგობრებმა და კოლეგებმა ტყვიები დააყარეს. აქ სერგოს ილბალმა და სწრაფმა რეაქციამ შეუწყო ხელი და დაჭრილი და გაოგნებული მიიმალა. მალვით ჩააღწია თბილისში და საიმედო კაცის ხელით კომპარტიის ცეკას საჩივრით მიმართა, რომ მას – ჩეკისტს, ამავე სამსახურში შეფარებული ბნელი ელემენტები დაესხნენ თავს, 3 ტყვით დაჭრეს და დახმარება ითხოვა“ [ირაკლი ხვადაგიანი, „საბჭოთა ნემესისის ფარი და მახვილი“, <http://liberali.ge/articles/view/19842/sabchota-nemesisis-fari-damakhvili>]. სროლისას ლაბაძე დაიჭრა, მაგრამ თავდამსხმელებს თავი დააღწია და თბილისში ჩავიდა. საქართველოს ჩეკას შენობაში შესული იქვე დააპატიმრეს და 1923 წლის თებერვალს კი დახვრიტეს.

მე გამიზნულად სიტყვა-სიტყვით მოვიყვანე დასახელებული ამონარიდი ირაკლი ხვადაგიანის კვლევიდან, რადგან აქ თავი

რილების საკმაოდ საინტერესო თანხვედრასთან გვაქვს საქმე. როგორც უკვე აღვნიშნე ფორია, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალების მიხედვით – „1922 წლის 22 ოქტომბერს ნე-ბაყოფილობით გამოცხადდა საქართველოს „ჩეკაში“, რის შემდეგაც ხელისუფლებამ არა მარტო შეინყალა, არამედ ყაჩაღების სალიკვიდაციო საქმიანობაშიც ჩართო, და აქ ჩნდება კიდევ ერთი კითხვა – ხომ არ არის რაიმე კავშირის სერგო ლაბაძეზე 1922 წლის 20 ოქტომბერს თავდასხმასა და ფორიას საქართველოს ჩეკა-ში გამოცხადებასთან?

ჩემი აზრით ამ ვარაუდებს არსებობის უფლება აქვთ და დამატებითი კვლევებია საჭირო, რამაც შესაძლოა საკმაოდ საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

P.S.

თუ ზემომოყვანილ ინფორმაციას დავამატებთ, იმასაც, რომ ზოგიერთი ცნობით „ქართული ლეგიონის“ ყოფილი წევრის და ლეგიონში ყოფნისას ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის „თამარის ორდენით“ დაჯილდოებული ალექსანდრე ცაგურიშვილი-ფორიას იმედი ჰქონდა 1924 წლის აჯანყების მოწყობისას ქაქუცა ჩოლოყაშვილს, საკმაოდ „საინტერესოდ“ წარმოგვიდგება არა მარტო მისი, არამედ მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში „მოღვაწე“ ტერორისტ-ექსპროპრიატორების, მათ შორის თუნდაც სერგო ლაბაძის პიროვნება და ცხოვრება.

გარდა ამისა ფორია, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი ნახსენებია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ოთხმოცდამესამე კონგრესის მეორე სხდომის მასალებშიც [ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ოთხმოცდამესამე კონგრესის მეორე სხდომის მასალები, „კომუნისტური აგრესიის შესახებ“, სამთავრობო ბეჭდვითი ორგანო, ვაშინგტონი, 1955, გვერდი 28].

სავარაუდოდ, ფორია – ალექსანდრე ცაგურიშვილი იყო ლიტერატურული გმირის – დათა თუთაშხიას ერთ-ერთი პრო-

ტოტიპი. რომანში „დათა თუთაშხია“ ვკითხულობთ: „საირმის ტყეებში მასპინძელი მყავდა. მასთან ვაპირებდი გამოზამთრებას. დათა თუთაშხია წავიყვანე თან – საირმეზე არ ვყოფილვარო... დათას ვინაობა არ გამიმხელია, სხვა გვართთ გავაცანი... ფორიად გავაცანი სეთურს დათა.“ 1914 წლამდე სწორედ საირმის ტყეები იყო ფორიას თავშესაფარი და ბორჯომის ხეობის თუ გორის მაზრის მაცხოვრებელთათვის იგი „ხელისუფლებასთან და უსამართლობასთან“ მებრძოლ გმირად ითვლებოდა.

ფორია, იგივე „ალექსანდრე“, იგივე ალექსანდრე, იგივე ქრისტეფორე ცაგურიშვილი 1937 წელს, ოჯახში შემორჩენილი ზეპირი გადმოცემის მიხედვით ბორჯომის ხეობაში, სტალინის ბრძანებით მისთვის აშენებული, იმ დროისათვის ბორჯომის ხეობაში ყველაზე ლამაზი ორსართულიანი აგურის სახლიდან გაიყვანეს, გადაიყვანეს თბილისში და დახვრიტეს.

მისმა ცოლმა, რომელმაც ერთგული მეუღლეობა გაუნია ფორიას „ქართულ ლეგიონში“ ყოფნის დროს, წლების შემდეგ ამ სახლის ეზოში ჰპოვა თავისი განსასვენებელი. სწორედ მან შემოუნახა შთამომავლობას „ქართული ლეგიონის“ ლეიტენანტ ალექსანდრე ცაგურიშვილის სახელზე გაცემული „თამარის ორდენის“ დამადასტურებელი მონუმობის დედანი.

გამოყენებული ლიტერატურა და საარქივო მასალები

- საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5413
- შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება, (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი), ფონდი 93, აღწერა 2, საქმე 954
- უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 285, აღწერა 1, საქმე 237 (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმონწერა ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ)

- ჟურნალი „თულნი“, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, თბილისი, 2015
- „როგორ გადაიბირეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედი პოლიტიკური დაჯგუფება“, 24 საათი, 2009. – 19-25 დეკემბერი, N38 (134)
- ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ოთხმოცდამესამე კონგრესის მეორე სხდომის მასალები, „კომუნისტური აგრესიის შესახებ“, სამთავრობო ბეჭდვითი ორგანო, ვაშინგტონი, 1955
- Е. Думбадзе, На службѣ чека и коминтерна, ПАРИЖЪ, 1930
- ირაკლი ხვადაგიანი, „საბჭოთა ნემესისის ფარი და მახვილი“, <http://liberali.ge/articles/view/19842/sabchota-nemesisis-fari-damakhvili>

Tengiz Simashvili

Members of „Georgian Legion” and Jemal Phasha murder Summary

One of the archival case preserved in Central Historical Archive relating to so-called „Georgian Legion” created in Turkey. One of the members Sergo Labadze, robber, with Shalva Tsereteli, member of riots during the Russia First Revolution and participant of attack on post on Kojori way in 1912, were the performers in Jemal Phasha murder in 1922. The article explains that issues.

ნატო ქიქავა
თამაზ ფუტკარაძე

**საქართველო-უნგრეთის ისტორიული და
სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობები
აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული
დოკუმენტების მიხედვით**

უნგრეთი და უნგრელები ყოველთვის იყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ყურადღების ცენტრში. ჩვენი კონტაქტები ატარებდა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ სამეცნიერო, კულტურულ თუ ეკონომიკურ ხასიათს.

ასეთივე ინტერესს გამოხატავდნენ უნგრელები საქართველოს მიმართაც. ისინი კარგად იცნობდნენ ქართულ კულტურას. ქართულ და უნგრულ პერიოდულ პრესაში ქვეყნდებოდა მასალები ქართულ-უნგრული კავშირურთიერთობების, ლიტერატურული და სამეცნიერო კავშირების შესახებ, რომლებშიც ხაზგასმული იყო ისტორიული ბედის ერთობა – გამოხატული საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია მრავალმხრივ საინტერესო მასალები ქართულ-უნგრული ურთიერთობების საკითხებზე. ეს მასალები წარმოდგენილია N რ-545 ფონდში. აღნიშნულ პრობლემატიკაზე მასალები დაცულია აგრეთვე ვლ. მკერვალიშვილის პირად ფონდში (ასსცსა, ფონდი N რ-404).

რ-545 ფონდის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1965-1974 წლებს და შედგება 29 საქმეთა ერთეულისაგან, ხოლო რ-402 ფონდი მოიცავს 1965-1999 წლებს და აერთიანებს 25 საქმეთა ერთეულს. მათი ერთი ნაწილი საქართველო-უნგრეთის საზოგადოების აჭარის განყოფილების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებს მოიცავს.

N 545 ფონდის საქმეებში წარმოდგენილია ქართულ-უნგრული ურთიერთობების ამსახველი საგაზეთო პუბლიკაციები: „მეგობრული საუბარი“, „უნგრეთის გათავისუფლების 20 წელი“,

„ძმურად დავეხმარეთ“, „ბუდაპეშტისათვის“, „ჩემი მეორე სამ-
შობლო“ და სხვ.

ამავე ფონდის პირველ და მეორე საქმეებში დაცულია შთა-
ბეჭდილებათა წიგნი, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის
საქართველოს განყოფილების მმართველობის წევრთა სია, რომ-
ლის შემადგენლობაში იყვნენ: გრიგოლ აბაშიძე, პავლე ასლანი-
დი, მედეა ამირანაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, იოსებ და რუ-
სუდან ჯავახიშვილები, შოთა ძიძიგური, მუხრან მაჭავარიანი,
ქსენია სიხარულიძე, გიორგი ჩიტაია, არნოლდ ჩიქობავა და
სხვები (ასსცსა, ფ. რ-545, ს. 1, ფურც. 11-12).

N 545 ფონდის სხვა საქმეთა ერთეულებში დაცული მასალები
ეხება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოე-
ბის აჭარის განყოფილების (შეიქმნა 1965 წლის აპრილში) მმარ-
თველი ორგანოს, ასევე საზოგადოების პასუხისმგებელი მდივ-
ნის, ორგკომიტეტის, ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგი-
ლეების არჩევნებს შესაბამისი ოქმებით. საქმეებში გვხვდება სა-
ზოგადოების აჭარის განყოფილების სამუშაო გეგმები (ასსცსა,
ფ. რ-545, ან. 1, ს. 2-3, ფურც. 2)

ვლ. მკერვალიშვილის პირად ფონდში დაცულია მრავალფერ-
ოვანი ფიჭომასალა და წერილობითი დოკუმენტი, რომელთა სა-
ფუძველზე ფონდშემქმნელის ინიციატივით შეიქმნა საბჭოთა კავ-
შირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილე-
ბა. აქვეა დაცული საგაზეთო პუბლიკაციები, ორი ხალხის მეგობ-
რობის ამსახველი ბეჭდური პროდუქცია ქართულ და რუსულ
ენებზე („მეგობრობა გზად და ხიდად“, ბათუმი 1975; „მეგობრო-
ბის ბილიკებით“ და სხვ), რომლის ავტორია ვლ. მკერვალიშვილი.
საქმეში წარმოდგენილია აგრეთვე დოკუმენტური ფილმის „მე-
გობრობის ხიდი: ბათუმი-ბუდაპეშტი“ სცენარი რუსულ ენაზე.

ზოგადად, ქართულ-უნგრულ კავშირურთიერთობებს საუკუ-
ნეების სიღრმეში აქვს ფესვები. იგი მე-13 საუკუნიდან იღებს სა-
თავეს. ცნობილი უნგრელი დიპლომატი **იმტვან კოკოში** (რომე-
ლიც გაგზავნილ იქნა სპარსეთის შაჰ აბას პირველთან დიპლომა-

ტიური მისიით) ეხმარებოდა კახეთის მეფე ალექსანდრეს ავსტრიის იმპერატორ რუდოლფთან კავშირების დამყარებისათვის.

კონსტანტინეპოლში მყოფი უნგრელი დიპლომატი სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციებს საქართველოს შესახებ საკუთარ ხელისუფლებას.

უნგრელმა ტიპოგრაფმა **მიკლოშ კიშმა (ტოტვალუშმა)** 1680-იან წლებში საქართველოდან გადახვენილი მეფე არჩილის მეორის შეკვეთით ამსტერდამში დაამზადა ქართული შრიფტი პირველი ქართული ტიპოგრაფიისათვის. არჩილ მეორის ვაჟი, პეტრე პირველთან დაახლოებული ალექსანდრე ბატონიშვილი იმჟამად იმყოფებოდა ამსტერდამში, დაუკავშირდა ვინმე იოჰან შპარვენგელფელდს და გააცნეს უნგრელი მესტამბე მიკლოშ კიში. ალექსანდრემ დაიწყო სტამბის მოწყობა და საგამომცემლო საქმიანობა, შეადგინა ქართული ასოების დამწერლობის ნიმუშები და გაუგზავნა მიკლოშ კიშს, რომელმაც ეს ნიმუშები გამოიყენა ქართული შრიფტისათვის (1687 წ.) და მიიღო ქართული ასომთავრულის, ნუსხა-ხუცურისა და მხედრული შრიფტების პირველი ანაბეჭდები. შესაბამისად, არჩილ მეფემ სინოდის სტამბასთან დაარსა ქართული წიგნსაბეჭდი, სადაც 1705 წ. გამოსცა „დავითნი“.



მოგვიანებით, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსის თბილისის ტიპოგრაფიაში მუშაობდა უნგრელი ტიპოგრაფი მიხაილ იმტვანოვიჩი, რომელიც 1708-1711 წწ. ცხოვრობდა თბილისში. ის იყო იყო რუმინეთში მცხოვრები ქართველი მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის მოსწავლე. ვახტანგ მეექვსის თხოვნით ანთიმოზ ივერიელმა მიხაილ იმტვანოვიჩი გააგზავნა თბილისში, რომელმაც გააუმჯობესა ქართული შრიფტი და დააფუძნა ახალი ტიპოგრაფია.



**ვახტანგ VI-ის პორტრეტი 1709
ნელს ქართულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნიდან**

მეფე ერეკლე მეორის კარზე (1744-1798) ცხოვრობდა უნგრელი გრაფი **იანოშ კუპერი**. საქართველოს მეფე უნგრელი გრაფის მეშვეობით ცდილობდა დაემყარებინა კავშირები ევროპის ქვეყნებთან. სწორედ იანოშ კუპერის მეშვეობით დაამყარა ერეკლე მეორემ მჭიდრო კონტაქტები უნგრეთის ხელისუფლე-

ბასთან.ასპინძის ბრძოლაში ერეკლეს გამარჯვებას უნგრეთის პრესაში სპეციალური სტატიები მიეძღვნა (ასსცსა, ფ. რ-545, ან 1, ს. 3, ფურც. 16). იანოშ კუპერი გარდაიცვალა თბილისში 1780 წელს.

სხვადასხვა დროს საქართველოში იმყოფებოდნენ ცნობილი უნგრელი მოღვაწეები: **იანოშ ორლანი** (1770-1824), **იოკლიჩ გეორგი** (1815 წ. მათ გამოსცეს ნიგნი საქართველოს შესახებ ლათინურ ენაზე), **იანოშ ბეში** (1838 წ. მან ფრანგულ ენაზე გამოსცა თავისი შენიშვნები საქართველოზე) და ა. შ.

1836 წ. უნგრეთში გამოიცა „ბალავარიანის“ თარგმანი (ნაწილი). 1888 წ. ბუდაპეშტში გამოვიდა „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ არტურ ლაისტიციუსი თარგმანის შესახებ.

1880-იან წლებში ქართულმა ინტელიგენციამ ჩაიფიქრა შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული გამოცემა. ილუსტრაციებისათვის მათ მოიწვიეს ცნობილი **უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი**. იგი იმპერატორ ალექსანდრე მესამესთან ერთად მოგზაურობდა საქართველოში. ქართველებმა თხოვეს იმპერატორს – დაეტოვებინა საქართველოში ორი თვით სახელგანთქმული მხატვარი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისათვის. მ. ზიჩმა ამ სამუშაოს შესრულებას მოანდომა რვა წელიწადი. (ცნობისათვის: საკუთარი შვილებისათვის ხატვის პროფესიის შესწავლისათვის ერთ-ერთი რუსმა თავადმა მიიწვია მხატვარი ვალდემიულერი, მაგრამ ვალდემიულერმა მისცა მისი მოსწავლის მ. ზიჩის მოწვევის რეკომენდაცია. ასე აღმოჩნდა მიხაი ზიჩი ნიკოლოზ პირველის, ალექსანდრე მეორის, ალექსანდრე მესამისა და ნიკოლოზ პირველის კარის მხატვრად).

ქართველი ხალხისა და მათი კულტურისადმი თავისი ამალღებული დამოკიდებულებით მ. ზიჩმა მოიპოვა დიდი სიყვარული და პატივისცემა. საქართველოში მ. ზიჩი ითვლება ეროვნულ მხატვრად, რომელმაც შექმნა ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემის პირველი ილუსტრაციები. თავად მხატვარი წერდა: „მე არ მინდა თავი მოვიწონო, მაგრამ მგონია,

რომ კავკასიაში მე დავტოვე ჩემი ხალხის შესახებ ამალღებული შთაბეჭდილება“ („Венгерские новости, №4, 1967),



მიხაი ზირი

1881 წელს ზირი თბილისში ჩამოვიდა და დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობა. სულ შექმნა 34 სურათი (შეუკვეთეს 14), „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო კომისიამ 27 სურათი შეარჩია. აღნიშნული ნამუშევრები (ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში) მხატვარმა ქართველ ხალხს უსასყიდლოდ გადასცა. ზირის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, რაც თავის დროზე დიდი მხატვრული მოვლენა იყო.



შოთა რუსთაველი მეფე თამარს თავის „ვეფხისტყაოსანს“ წარუდგენს (მიხაი ზირის ილუსტრაცია)

ზიჩიმ საქართველოში მეორედ ჩამოსვლის დროს (1888წ.) ქართულ თემაზე კიდევ რამდენიმე ტილო შექმნა: „ქართველი ქალის პორტრეტი“ (1874, კერძო კუთვნილება), „იკორთის მონასტერი“ და ა. შ.



მ. ზიჩის ილუსტრაციები: „ადამი და ევა“, „ქართველი ქალი“, „ეროტიკული ნახატი“, „ბოროტი სულის ზეიმი“

1889 წ. ცნობილი უნგრელი მოღვაწე **ბელა ვიკარი** ფინეთის სოფელ ლახტში შეხვდა მ. ზიჩის. ზიჩმა გააცნო ვიკარს მის მიერ ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც **1888 წ. გამოიცა გ. ქართველიშვილის მიერ** და ურჩია ახალგაზრდა მთარ-

გმნელს ხელი მოეკიდა პოემის უნგრულ ენაზე თარგმნისათვის. ბელა ვიკარმა ხელი მოკიდა ამ საქმეს. პარალელურად სწავლობდა ქართულ ენას. იგი დაეუფლა ქართულ ენას გიორგი ცისკარაულის დახმარებით. გ. ცისკარაული ესპერანტოს ენაზე სიტყვა-სიტყვით უთარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“ ესპერანტოს ენაზე. პოემის ბოლო ნაწილის თარგმნაში ბ. ვიკარს ეხმარებოდა **გრ. წერეთელი და დავით თოლორაია**. თარგმნითი სამუშაოები დასრულდა და წიგნი გამოიცა 1817 წ. ბუდაპეშტში.



ბუდაპეშტი

მეორე თარგმანი შანდორ ვეორემის მიერ განხორციელდა. 1965 წ. პოემა უნგრულ ენაზე მესამედ თარგმნა **იოსიფ რაიძანმა**.

გამორჩეული სიყვარული აკავშირებდა საქართველოსთან ცნობილ უნგრელ საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერებათა დოქტორს **ლაიომ ტარდის**. იგი რამოდენიმეჯერ იმყოფებოდა საქართველოში. „საქართველოსადმი პირველი ინტერესი – წერდა იგი, დაემთხვა ჩემი პირველი სიყვარულის პერიოდს, მაგრამ პირველი სიყვარული დიდი ხანია გაქრა, საქართველოსადმი ინტერესი კი გრძელდება უკვე 30 წელია, რომელიც თანდათან გადაიზარდა განცდებში თითქოსდა იგი იყო ჩემი „მუდმივი თანამგზავრი“. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვიყავი 16 წლის, ერთ-ერთ ძველ უნგრულ ჟურნალში წავიკითხე, რომ უნგრეთს, რომლის

მოსპობისათვის 100-ნლეულების განმავლობაში იმუქრებოდა გერმანია, სამხრეთიდან კი თურქეთი, შეიძლება შეედაროს მხოლოდ საქართველო. მის დაპყრობასაც ცდილობდნენ ხან თურქები, ხან სპარსელები... სტატიის საუბარი იყო თავისუფლებისადმი ქართველების სიყვარულზე, სხვა მნიშვნელოვან თავისებურებებზე. მე გამიჩნდა ინტერესიყველაფერზე, რაც საქართველოსთან იყო დაკავშირებული“ – ნერდა ლ. ტარდი (ასს ცსა, ფ. №402, ანან.1, საქმე №15, ფურც. 111-112). ტარდმა შეიყვარა საქართველო, დაიწყო რუსთაველის სამშობლოს შესახებ კოლექციების შეგროვება. 1959 წ. საქართველოს შესახებ ლ. ტარდმა გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი. მან შეისწავლა ქართული ენა, დამწერლობა და შეძლოქართული პირველწყაროების დედანში ამოკითხვა (ასს ცსა, ფ. №402, ანან. 1, საქმე №15).

1957 წ. საქართველოში უნგრული კულტურის დეკადის დღეებში თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყო ლაიომ ტარდიც. 1968 წ. ოქტომბერში ტარდი მეუთლესთან ერთად იმყოფებოდა ბათუმში. ამის შემდეგაც ის არაერთხელ იყო ბათუმში (1969, 1973 წწ.).

1970 წლის 4 აპრილს თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ვლადიმერ მკერვალიშვილმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა ლაიომ ტარდის, ბელა კუპერის და სხვა უნგრელი მოღვაწეების დამსახურებაზე ქართულ-უნგრული მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების საქმეში. ამავე ღონისძიებაზე ლაიომ ტარდს საზეიმო ვითარებაში გადასცეს ქართული ეროვნული ტანსაცმელი და სხვა სუვენირები (ასსცსა, ფ. რ-545, ს. 1).

საქმეში წარმოდგენილიასაბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარის ნიკოლოზ აბაშიძის მოხსენება, რომელშიც წარმოჩენილია უნგრელი მოღვაწეების დამსახურება ქართული კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით (ასსცსა, ფ. რ-545, ს. ს, ფურც. 16-20).

1966 წ. ლ. ტარდიმ გამოცხა საქართველო-უნგრეთის ის-

ტორიული და კულტურული კავშირების ისტორიის ამსახველი მონოგრაფია, რომელიც ითარგმნა და გამოიცა ქართულადაც 1972 წელს. მკვლევარმა აჩვენა, რომ ქართულ-უნგრულ ურთიერთობებს აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ჯერ კიდევ მე-15 ს-ში ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი საქართველოსა და უნგრეთის მეგობრობის შესახებ (ასს ცსა, ფ. №402, ანან..1, საქმე №15).

ლ. ტარდის არქივში წარმოდგენილია საქართველოში ჩამოსული მოგზაურების ისტორია, რომელიც მონახ იულიანაძან (მე-13 ს) დაიწყო. ქართველოლოგმა საკუთარ სახლში მოაწყო საქართველოს მზეუმი. საცხოვრებელი ბინის ერთი ოთახი წარმოადგენდა მინიატურული საქართველოს მზეუმს, რომელშიც მნახველს შეეძლო ენახა ქართული წიგნები, ქართული ეროვნული ტანსაცმელი, ჩოხა, ხანჯალი, ქართული მონეტების კოლექცია, ქართული ღვინოები და ა. შ. ასსცსა, ფ. 402, ან. 1, ს. 3).



მარცხნიდან მარჯვნივ – /ზემოთ/ – საქართველო-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების ბათუმის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ვ.პ. მკერვალიშვილი, კინოოპერატორი – ა. თალაკვაძე ქვემოთ – უნგრელი ქართველოლოგი ლაიოშ ტარდი და ქართველი მწერალ-გრაფიკურული ამირან შერვაშიძე

1937 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ლ. ტარდმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იგი უნგრეთში კითხულობდა ლექციების კურსს ქართული ცივილიზაციის ისტორიასა და საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაში.

ვლ. მკერვალიშვილის პირად ფონდში დაცულია ვლადიმერ მკერვალიშვილისადმი ლ. ტარდის მიერ გამოგზავნილი წერილების ფოტოასლები. მათში ნათლად ჩანს ამ დიდი პიროვნების დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველებისადმი:

2 сентября 1934 г.
 Уважаемому доктору Сашко Владимир,
 в Москве.
 Я с неизменным радостью получаю и
 читаю Ваши весьма интересные письма —
 спасибо этого прекрасного слова. Благо-
 дарю из всех сил за это суровое
 и трудное дело, которое вы делаете в
 области советско-грузинских — венгерских
 отношений, но особенно интересный текст
 семидесятилетней. Благодарю Вас, друзей
 Тобиашу Владимир и Александру Владими-
 ровичу Тобиашу, Александр Александровичу.
 Эти два замечательных человека
 Тобиаш, моего личного друга,
 Александрович Тобиаш, друг моих
 родителей. И мне хотелось бы выразить
 это глубокое чувство благодарности
 моему другу Тобиашу Александру Владимировичу

გაგონი.
 После брешя коты и кидую, но
 все-таки надеюсь еще познакомиться
 среди камушек моей страны, т. е.
 среди эгоистов — эгоистов.
 Хотелось бы сказать, уважаемому
 Сашко Владимир, Александру Тобиашу
 и много-много друзей и Вашим
 родителям за это.
 С глубоким уважением
 и искренней любовью
 всегда Ваш
 Владимир Мкертва
 Тобиашу В. Мкертва была
 секретарем Грузинского общества
 0-ва Советско-Венгерских отношений

6

Копия письма известного венгерского писателя
грузиноведа Лайоша Тарди

2 сентября 1984 г.

Глубокоуважаемый батано Владимир, дорогой друг!

Я с неизмеримой радостью получил и прочитал Ваше весьма почетное письмо – и сверх этого прекрасную статью. Благодарю изю всего сердца за это огромное признание моих скромных заслуг в области советско-грузинских – венгерских контактов, по случаю исполнения моего семидесятилетия. Благодарю Вас, дорогой товарищ Владимир и благодарю Вашему славному товарищу директору Ахмедияни ^{Аз} Вы обе замечательные, выдающиеся борцы нашего славного дела, сближения двух народов, строящих социализма. И мне хотелось бы высказать изю глубины души г м а д л о б т всему Аджарскому отделению Общества советско-венгерской дружбы.

Моего время хотя и минуло, но все – таки надеюсь еще побывать в сердце наилучших людей мира, т.е. среди аджарцев – грузинов.

Желаю Вам обоим, глубокоуважаемый батано Владимир, крепкого здоровья и много – много успехов в Вашей плодотворной работе.

С глубоким уважением
и искренней дружбой – всегда Ваш ЛАЙОШ ТАРДИ /no-----/

ლაიოშ ტარდი ყოველთვის ეხსომებათ მის მეორე სამშობლოში. მის ხსოვნას ეძღვნება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მაგალითისათვის შიიძლება გავიხსენოთ ლ. ტარდის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო და შეხვედრა ქართველ სტუდენტებთან 2012 წ. დეკემბერში. ღონისძიებას ეხსრებოდნენ ლ. ტარდის ოჯახის წევრები, ქართველი სტუდენტები, უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, უნგრეთის კულტურის, სალიტერატურო და სამეცნიერო წრეების თვალსაჩინო მოღვაწეები. მედლით „საქართველოს მეგობარი“ დაჯილდოებულ იქნენ: პროფესორი იანოშ ტარდი (ლაიოშ ტარდის შვილი), გაბომ შაგი (უნგრეთის ყოფილი ელჩი საქართველოში) და ჟიგნონდ ატილა (ბუდაპეშტის გალერეის დირექტორი, რომლის დახმარებითაც უნგრეთის დედაქალაქში დაიდგა შოთა რუსთაველის

ძველი), პეტერ მუსაროში (კინორეჟისორი, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, საქართველოს შესახებ შექმნილი რამოდენიმე ფილმის ავტორი).



ლაიოშ ტარდი – ქართველი და უნგრელი მეცნიერების მრავალმხრივი ურთიერთობების მხოლოდ ერთ-ერთი ნათელი მაგალითია.

სამეცნიერო კონტაქტები ყოველწლიურად ვითარდება და ფართოვდება. ბუდაპეშტში შექმნეს ქართველოლოგიის მძლავრი სკოლა. ქართული ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებული იყო და ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა ქართველთა მეგობარი **მარტინ იშტვანოვიჩი**. იგი შეიძლება მივიჩნიოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილად. მ. იშტვანოვიჩი იყო თსუ-ს ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის ასპირანტი, რომელსაც სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევდა პროფესორი **ქსენია სიხარულიძე**. მ. იშტვანოვიჩმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ქართული ფოლკლორის საკითხებზე.

მ. იშტვანოვიჩს ნაყოფიერი სამეცნიერო კავშირები ჩამოუყალიბდა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, საკუთრივ ფოლკლორის განყოფილების გამგესთან ჯემალ ნოლაიდელთან. მისი ქალიშვილის, ცნობილი მეცნიერის ნანული ნოლაიდელის საოჯახო არქივში დაცულია მ. იშტვანოვიჩისა და ჯ. ნოლაიდელის ერთანეთისადმი გაგზავნილი წერილები, რომლებშიც ნათლად ჩანს ამ ორი დიდი პიროვნების მეცნიერული თანამეგობრობა, პიროვნული ხასიათის თავისებურებანი და პროფესიული კეთილსინდისიერება.

ქ. ჭყაბაძე, 9.11.964წ.

შაქვიცაშვილი ბაქონს ჯემო!

აქვრ ზურ აყანსკელო გმოგზავნილი ზერილი ჯერ კიდე ხარსული ხელს
ზიოლი. შაქვილი, მასული ნამ რაგიფიხეთი, სხვადასხვა მიზეზი შექნდა ჯერ
ხევი სურამზორის ცნებრის ნაკლებიქვეში მიღვანი რავალქანს აყანსკეო,
ზურ იუჯსლოვიანი ვიყავი, რა სხვა სხეოში. — ახლო ზემ ავაზონს ანტონდ-
ლოვი რა ვინტრადი სურამზორის VII ცნებრის (მოსცემი) დანს, ვაპირებ
შინაშილქანს. ვინტრადი მიხსენებ ყვე ვნარ მაქს: „ქადავო“ ინტროქო
ქონ ვეგზისის სავიანზე საქარელოში. ცნებრის დანსლოოს საქარელოში
შინა მანკოა მასკოოს ზესკრეპოად (დასავლოა რა ნახრეო საქარელოში)
ინ ენის ნახვოად.

ვიზრავებ აქვრ, ავლის ღვინო ერიად ქანკარ ზინტრადი; არც ისე სპონ-
ლო ავარი ვახუხენი შევიხერ მაიუში, რუსრც ზერ. ეუვი შამონქან ყრ
რეოს ანა რე ვე, მიხუცენსქ არ ახსლო.

ქორბა შაქვიცაშვილი ბაქონს ჯემო!

ცყონტეკოა ვილოცავი მომავლო ახლო ხელს,
ვისურვებ ზესხერქოსი რა შრავილი ახლო ხარ-
მიცქანს აქვენს მოიჯანგობაში.

ქორბა შაქვიცაშვილი:
მიშვეანდვიჩი.

ქ. ჭყაბაძე, XII.964წ.

მ. იშტვანოვიჩმა თავისი შრომებით დაადასტურა, რომ მსოფლიო ფოლკლორის საკითხების განხილვა შეუძლებელია ქართული ფოლკლორის შესწავლის გარეშე. ქართული ფოლ-

კლორი ერთის მხრივ დაკავშირებულია ბერძნულთან, მეორეს მხრივ კი აღმოსავლურ სიტყვიერებასთან. მან დაასკვნა, რომ ქართულ ფოლკლორს აქვს ყველა ის თავისებურება, რომლებიც გააჩნია დასავლურ და აღმოსავლურ ზეპირსიტყვიერებას. ეს იყო ქართული ფოლკლორის საყოველთაო აღიარება.

ქართულ პრესაში არაერთი პუბლიკაცია დაიბეჭდა მ. იშტვანოვიჩის ღვაწლისა და დამსახურების შესახებ. ეს პუბლიკაციები დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოში. ერთ-ერთი სტატია „ჩემი მეორე სამშობლო“, რომელიც დაიბეჭდა 1965 წ. 19 სექტემბერს, გაზეთ „კომუნისტში“ ლ. ხუბულურის ავტორობით, ეძღვნება მ. იშტვანოვიჩის მესამე ვიზიტს საქართველოში. ნიშანდობლივია, რომ მ. იშტვანოვიჩი არის „ქართული ხალხური ზღაპრების“, ილია ჭავჭავაძის პოემების: „განდეგილის“, „აჩრდილის“, „„კაკო ყაჩაღის“, ასევე ა. წერეთლის, ბესიკის, ვაჟა ფშაველას არაერთი ნაწარმოების მთარგმნელი (ასსცსა, ფ. რ-545, ს. 1, ფურც. 5)

1981 წ. უნგრეთში გამოჩნდა თავისი შინაარსით მდიდარი „ქართული პროზის ანთოლოგია“ „Рог для вина.“ წიგნის შექმნაში დიდი როლი ითამაშა იმან, რომ გამომცემლობა „ევროპის“ დირექტორი **იანოშ დომოკოში** იმყოფებოდა საქართველოში და გაეცნო მანანა სალაძეს, უნგრული ენის შესანიშნავ მცოდნესა და მთარგმნელს.

ბუდაპეშტის უნივერსიტეტში იკითხებოდა ლექციების კურსი ქართულ ენაში. უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრასთან ჩამოყალიბდა კავკასიოლოგების ჯგუფი. ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის შესახებ საინტერესო მასალებს მოუყარეს თავი უნგრეთის ეროვნულ და ეთნოგრაფიულ მუზეუმებში, აღმოსავლეთ აზიის ხალხთა მუზეუმში, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა განყოფილებაში, სოფელ ზაალში, მიხაი ზიჩის სახლ-მუზეუმში. ქართველმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს მანამდე უცნობი 300-მდე ძველქართული ეთნოგრაფიული, კულტურული, არქეოლოგიური ძეგლი

(ასსცსა, ფ. N402, ან. 1, ს. 3, ფურც. 115). გაირკვა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრულყოფილი უნგრულენოვანი თარგმანი **ბელა ვიკარის** მიერ შესრულებული იქნა ორიგინალიდან. გამოიკვეთა უნგრეთში მცხოვრებ ქართველთა ახალი სახელები, რომლებიც ეხმარებოდნენ ბელა ვიკარს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში (ასსცსა, ფ. N402, ან. 1, ს. 3, ფურც. 115). უნგრეთში გამოვლინდა ქართული ყოფისა და ეროვნული ჩასაცემლის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც საქართველოში უკვე აღარ იყო შემონახული, ასევე, შრომის იარაღები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ჭედური ნაკეთობანი, ქართულ-მეგრულ-სვანურ-ოსური დიალექტოლოგიური ლექსიკონის პირველი ხელნაწერი და ა. შ.

ქართველი ხალხისა და საქართველოს დიდი მეგობარი, ცნობილი უნგრელი საზოგადო მოღვაწე **ბელა კუპერი** ხუთი წელი ცხოვრობდა ბათუმში. საქმეში წარმოდგენილია მისი შრომის წიგნაკი, მისასაღმებელი სიტყვა ფოტოდოკუმენტები.



ბელა კუპერი

ბათუმშივე ეზიარა თავის პირველ სიყვარულს ბელა კუპერი და საკუთარი ბედი დაუკავშირა აქაურ შუშანა (სუსანა) გასპარიანს. იგი აღფრთოვანებული იყო ქართველთა ხასიათით, ბუნე-

ბით, ზღვით. ბელა კუპერმა ბათუმთან ურთიერთობა გააგრძელა სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც.



შუშანა გასპარიანი (კუპერი), ინჟინერი რამიშვილი და ვლადიმერ მკერვალიშვილი. ბუდაპეშტი, 1967 წელი


ძმური მეგობრობის ნათელ მაგალითად იქცა ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. უნგრეთის გათავისუფლებისათვის უნგრელების გვერდით იბრძოდნენ ჩვენი თანამემამულეები: **ამირან გურგენიძე, გიორგი საბაშვილი, ხასან ხალვაში, გიორგი ცინცაძე, გიორგი მუშკუდიანი, კაპიტონ გოგოლაძე, ჰერმან მჟავანაძე, ევტიხ ნიკოლაიშვილი, რაჟდენ საბეიშვილი, გიორგი ჩხატარაშვილი, თევდორე ლომთათიძე, ზურაბ ნანეიშვილი** და სხვები. ბევრი მათგანი დაეცა უნგრეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში, მათ შორის: **კაპრეშუმელი მამია დარჩია, ჯოჭოელი გიორგი ავჯიშვილი, ბათუმელი ტარიელ აბულაძე და ა. შ.**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უნგრეთ-საქართველოს მეგობრობამ შეიძინა ახალი შინაარსი. ამის ნათელი დადასტურება იყო საქართველო-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების ჩამო-

ყალიბება, რომლის რეგიონალური განყოფილება 1965 წ. ჩამოყალიბდა ბათუმშიც **ვლადიმერ მკერვალიშვილის** ხელმძღვანელობით.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სამეცნიერო და კულტურულმა კონტაქტებმა. საარქივო ფონდებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი მასალა, რომელიც ეძღვნება უნგრეთის კულტურის დეკადას და სხვა კულტურულ ღონისძიებებს. 1975 წ. ბათუმს ესტუმრნენ უნგრეთის ტელევიზიის კორესპონდენტი მოსკოვში **იოჟეფ ფარკაში**, ოპერატორი **დიორდ ტუცკო** და ჟურნალისტი **მარია გრაბარი**. მათი მიზანი იყო შეექმნათ დოკუმენტური ფილმი საქართველოს შესახებ.

1979 წ. მარტში უნგრეთს სტუმრობდა ქობულეთის ფოლკლორულ-მუსიკალური ანსამბლი „ნარინჯი“-ს 35 კაციანი დელეგაცია, რომლის წევრები დაჯილდოებულ იქნენ საპატიო სიგელებით (ასსცსა, ფ. რ-545, ან. 1, ს. 17, ფურც. 4-5).



საპატიო სიგელები


აქვეა დაცული მოსაწვევები და საგაზეთო პუბლიკაციები, ფოტო და წერილობითი გამოფენების ამსახველი მასალები, შენაბამისი ოქმები (ასსცსა, ფ. N რ545, საქმ. 1, ფურც.20-21).

უნგრეთის ისტორიის მნიშვნელოვან თარიღებს არაერთი ღონისძიება მიეძღვნა საქართველოში. მარტო 1973 წელს ბათუმში ჩატარებულა ექვსი მეგობრული ღონისძიება (უნგრელი მწერლის მათე ზალკის დაბადებიდან 80 წლისთავი, უნგრეთის კონსტიტუციის დღე, ფაშიზმისაგან უნგრეთის გათავისუფლების დღესასწაული და ა. შ.) (ასსცსა, ფ. რ 545, ს. 6, ფურც. 45).



1980 წ. 2 დეკემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, უნგრელი კოსმონავტი ბერტლან ფარკაში, საქართველოს დამსახურებული არტისტი ელენე საყვარელიძე და ხელვაჩაურის რაიონული არქივის გამგე ვლადიმერ მკერვალიშვილი

საარქივო ფონდებში წარმოდგენილი მასალები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. 1970-იან წლებში (და შემდგომ პერიოდშიც) არაერთი სპორტული ღონისძიება გაიმართა. 1976 წ. ბათუმს ეწვია უნგრელ ტანმოვარჯიშეთა 24 კაციანი დელეგაცია.



*უნგრელი ტანმოვარჯიშეები ბათუმში 1976 წ.,
(ასსცსა, ფ.რ-545, ს. 11)*

სამეცნიერო კონტაქტები გრძელდება ბათუმისა და სეგედის უნივერსიტეტებს შორისაც.



**სეგედისა და ბათუმის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი
სამეცნიერო კონფერენციაზე (2009 წელი)**

ამ ურთიერთობების მესაძირკველე იყო ლაიოშ ტარდი. 2009 წლის მაისში სეგედის უნივერსიტეტს ეწვია ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორი თამაზ ფუტყარაძე.



თამაზ ფუტყარაძე სამეცნიერო კონფერენციაზე. სეგედი (უნ-გრეთი), 2009 წელი

მომხსენებელმა შეხვედრის დროს ხაზი გაუსვა მეგობრული და სამეცნიერო კონტაქტების გაღრმავების აუცილებლობას, რაც შესაძლებელია პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ურთიერთგაცვლით, ერთობლივი სამეცნიერო ექსპედიციების, საველე პრაქტიკების, კონფერენციების, გამოფენების ორგანიზებითა და სხვა ღონისძიებებით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ასსცსა, ფ. N 402 (ვლ. მკერვალიშვილის პირადი ფონდი), ან. 1, საქმე 3, ფურც. 3, 15, 115;
2. ასსცსა, ფ. N რ-545, ან 1, ს. 1, ფურც. 5, 11, 12, 16, 20;
3. ასსცსა, ფ. N რ-545, ან 1, ს. 2, ფურც. 2;
4. ასსცსა, ფ. N რ-545, ან 1, ს. 3, ფურც. 16;
5. ასსცსა, ფ. N რ-545, ან 1, ს. 6, ფურც. 45;
6. ასსცსა, ფ. N რ-545, ან 1, ს. 11;
7. ასსცსა, ფ. N რ-545, ან 1, ს. 17, ფურც. 4-5
8. „Венгерские новости, №4, 1967.

Nato Kikava

Tamaz Phutkaradze

Some issues of Georgia-Hungary relationship (according to the materials protected in Archives Administration of Ajara)

Summary

Hungary and Hungarians have always been the focus of the Georgian public thinking. Our contacts were not only political, but also scientific, cultural or economic nature.

The article deals with Georgia – Hungary relations major issues according to the materials protected in Archives Administration of Ajara.


**სტამბულის ქართული კოლონიის ისტორიისათვის
(1921-1925 წლები)**

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ბათუმიდან სტამბულში ქართველთა რამდენიმე წლიანი ემიგრაცია დაიწყო. აქ ჩამოვიდა: ნოე ჟორდანიას და დევნილი მთავრობის სრული შემადგენლობა, მენშევიკური მთავრობის თაყვანისმცემელი ქართველი ინტელიგენცია, ასევე ყოველდღიურ საშოვარზე წამოსული ქართველები: ვაჭრები, ხელოსნები, მუშები, მძღოლები.

რუსეთის ჯარის თბილისში შემოსვლის შემდეგ დაიწყო სახელმწიფო ქონების ევაკუაცია როგორც თბილისიდან, ისე რესპუბლიკის სხვა დიდი ქალაქებიდან – ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ ბათუმში. მოვლენები სწრაფად და ქაოსურად მიმდინარეობდა, არ იყო შემუშავებული სათანადო გეგმა, არ იყო დანიშნული შესაფერისი პასუხისმგებელი პირი. 17 მარტს დაიტვირთა და მხოლოდ 18 მარტს მოხერხდა ათობით გემის: „მარიას“, „ვესტას“, „დობლოვოლკის“, „ილია მოროზოვის“, „ამეროსის“ „დონეცის“ „წმინდა ნიკოლოზის“ „კასტორის“, „სანტა -ტერეზას“, „ოლენის“ ავიაგამანადგურებლების: „ფრიდონის“, „ავთანდილის“ და „ტარიელის“ ბათუმიდან სტამბულისკენ გადასვლა. გემებით მოხდა ათასობით ტონა საკვების, მედიკამენტების, სამხედრო ქონების, სატელეფონო და სატელეგრაფო ქონების, მთავრობის სახელზე გაფორმებული 10 ავტომობილის, ჭურჭლის და ათასობით სხვა აუცილებელი ნივთის გადატანა, მასთან ერთად მოხდა 1000-მდე საქართველოს მოქალაქის ევაკუაცია. მთავარსარდალმა გენერალმა **კვინიტაძემ** ბათუმშივე ყველა გემზე დანიშნა კომენდანტი, მაგრამ, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, მათ არავინ ემორჩილებოდათ, გზაში ხდებოდა სახელმწიფო ქონების დატაცება და გადაძალვა. სტამბულში ჩააღწია

ყველა სახელმწიფო გემმა, ერთის გარდა, ავიაგამანადგურებელი „ტარიელი“ ზღვაში ჩაიძირა (1939, ა, 2, საქ. 26, გვ.10, 11).

სტამბულში ჩასვლამდე, ჯერ კიდევ გემზე, სახელმწიფო ქონების განკარგვისათვის 1921 წლის 22 მარტს შეიქმნა „მთავრობის ეკონომიური კომისია“, რომელშიც შედიოდნენ ფინანსთა მინისტრი კონია კანდელაკი (თავმჯდომარე), მომარაგების მინისტრი გიორგი ერაძე (ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე), ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი, პეტრე სურგულაძე და მიხაკო წერეთელი.



**გიორგი ერაძე, ბენია ჩხიკვიშვილი,
პეტრე სურგულაძე, მიხაკო წერეთელი.**

კომისიის შემადგენლობა მალე შეიცვალა, რადგან კომისია მიატოვეს მ. წერეთელმა და პ. სურგულაძემ. მათ მაგიერ არჩეული იქნენ ზაქარია მდივანი და იოსებ გოგოლაშვილი. სტამბულში ჩასულმა კომისიამ პირველ დღეებში ბინა საკონსულოში დაიდო, მაგრამ იმის გამო, რომ აუარებელი ლტოლვილი მიანყდა კომისიას ათასგვარი მოსაგვარებელი საქმეებით, მისი შემადგენლობა გაიზარდა და სამუშაოდ სამი პატარა ოთახი იქირავეს. კომისიის შტატში შედიოდა კანცელარიის ორი თანამშრომელი (ს. გეგელაშვილი, და ედ. ბერგი), კომისიის მდივანი და იურის კონსული (ნ. ელიავა და ი. ზურაბიშვილი), რომელთაც კანცელარიაშიც მუშაობდნენ, ზურაბიშვილი პარალელურად უცხოელების კომისიასაც ესწრებოდა, კომისიას ჰყავდა საქონლის მეთვალყურე – აგენტი (ვ. არდიშვილი) და ერთი მსახური (ფ. 1864, ან. 2, საქ. 588, გვ.1.).



ივანე ზურაბიშვილი ზაქარია მდივანი

კომისია ეკონომიურად ძირითადად დამოკიდებული იყო პარიზზე და სამშობლოდან ჩამოსულ საქონელზე. უცხო მიწაზე მთავრობას დიდი წინააღმდეგობები შეექმნა: მოსალოდნელი იყო, რომ მოვალეები აუცილებლად მოითხოვდნენ არსებული ვალის გასტუმრებას სამშობლოდან გადმოტანილი საქონლის ხარჯზე. მაგრამ სტამბულში თავი იჩინა ისეთმა მევალეებმაც, რომელთა ვალი მთავრობას ძირითადად გასტუმრებული ჰქონდა. ქალაქი სტამბული საოკუპაციო ზონა იყო და ასეთი რამ მოსალოდნელი იყო. ამ უსიამოვნებებისაგან ხშირ შემთხვევაში თავის დაღწევა ხდებოდა, მაგრამ საერთო ჯამში ქართველებისთვის იქაური მმართველი წრის წინაშე ცუდი ატმოსფერო იქმნებოდა.

სტამბულში ჩასვლიდან ერთ კვირაში გაირკვა, რომ ბათუმში საქონლის დატვირთვის დროს, მიუხედავად მთავრობის თაემჯდომარის განკარგულებისა, ტვირთის სიები არ იყო შედგენილი, უფრო მეტიც, ბათუმის გენერალ – გუბერნატორის განკარგულებით საქონლის დიდი ნაწილი არ დაიტვირთა, ნაწილი, აღუნერავი საქონელი, 17 მარტს, იქვე ნავსადგურში დაიტაცეს, საქონლის დატვირთვისას არც კონოსამენტები გადაეცა გემის მეპატრონეს. ერთადერთი ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი განძეულობა, რომელზედაც სია იყო შედგენილი, დანაკარგის გარეშე ჩავიდა სტამბულში (ფ. 1864, ან. 2, საქ. 588, გვ. 4). გემები ქართული ტვირთით სტამბულის ნავსადგურში შევიდა ფრანგული დროშით, ამიტომ დატვირთულ გემებზე ფრანგებმა

შეადგინეს კომისია, სადაც ჩვენი მთავრობის წარმომადგენელიც მიიწვიეს, მაგრამ ჩვენს წარმომადგენელს გემების ორიგინალური პასპორტებიც არ ჰქონდა თან, რადგან საბუთები თბილისში იყო. მოწინააღმდეგე მხარემ ისარგებლა ამ შემთხვევით, იხელმძღვანელა საერთაშორისო საზღვაო კოდექსით. რადგან გემების უმრავლესობის ნამდვილი მეპატრონეები უცხოელები იყვნენ, მათ გადაეცათ მხოლოდ მათი ნაწილი: გემი „დობროლოვსკი“ გადაეცა სატრანსპორტო საზოგადოების თავმჯდომარეს ა. ხოშტარიას, „მუზა“- ქართველ არენდატორს – გუგუშვილს, ავიგამანადგურებლები: „ფრიდონი“ და „ავთანდილი“- იტალია – კავკასიის ბანკს, რომელმაც ისინი მალევე თავიანთ ნავსადგურში გადააგზავნეს (ფ. 1864, ან. 2, საქ. 588, გვ. 5.).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაო გახდა თვითონ გემებზე დატვირთული საქონელი. ამაზე დაობდნენ კერძო პირებიც, ვისაც ეკუთვნოდა საქონელი. ფრანგულმა მხარემ დაუკითხავად დაიწყო საქონლის დაცლა, ქართული მთავრობის პროტესტის შემდეგ, საქონლის კუთვნილების გამოსარკვევად, საკითხი განსახილველად გადაეცა საერთაშორისო კომისიას, რომლის შემადგელობაში შედიოდა საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის წარმომადგენლები და საქართველოს კონსული. კომისიის სხდომები თვეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. შედეგად, საქონლის უმრავლესობა ქართული მთავრობის საკუთრებად გამოცხადდა. საქონელი, გამონაკლისის გარდა, მევალებების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გადაეცა იტალია – კავკასიის ბანკს. საქონლის დიდი რაოდენობიდან მთავრობის საკუთრებაში გადავიდა ბორჯომის მამულის ქონება და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს – იუნკრების საცვლები (ფ. 1864, ან. 2, საქ. 588, გვ. 6.).

მთავრობის წინაშე დადგა საკითხი, აუცილებლად გამოერკვიათ დამნაშავეები ზემოთ აღნიშნულ საქმეში. შეიქმნა კომისია (თავმჯდომარე, საოლქო პალატის მბრალმდებელი – მ. ტატიშვილი, წევრები: ბაქრაძე და ლომთათიძე). თვეზე მეტხანს მუშაობდა საგამომძიებლო კომისია, მაგრამ ვერ შეძლო საქმის სა-

ფუძვლიანი წარმოება, თუმცა ზოგიერთი დამნაშავე გამოიკვეთა **(ფ. 1864, ან. 2, საქ. 588, გვ. 8)**.

მთავრობის ეკონომიკური კომისია, მიუხედავად იმისა, რომ სტამბულში ასევე არსებობდა „მთავრობის ლტოლვილთა კომიტეტი“ თავის კრებებზე მნიშვნელოვან დროს უთმობდა ლტოლვილთა საკითხს. ასეთი მუშაობის მიზეზად სახელდებოდა 1. ლტოლვილთა საკითხი, გამომგზავრებამდე არ იყო გადაჭრილი. 2. ლტოლვილთა უმეტესობა უკმაყოფილო იყო, რადგან ადგილზე უკეთეს პირობებს მოელოდა, 3. ლტოლვილთა კომიტეტმა თავის დროზე არ შექმნა ხარჯთაღრიცხვა, რამაც გაურკვეველობა გამოიწვია. გარდა ამისა, მთავრობის ეკონომიკურმა კომისიამ დაფარა საკონსულოსა და მათი წარმომადგენლობის შენახვის ხარჯები, გაისტუმრა მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის თვის ხარჯები და წინასწარ მოხდა საქართველოს საკონსულოს ბინის ერთი წლის ქირის გადახდა, შეიძინეს საჭირო ავეჯი. კომისიამ პარიზში გაისტუმრა მთავრობის წევრები, მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს ლტოლვილებს, გამოიყო თანხა მათი გადმოყვანისთვის და ყოველდღიური ჯიბის ფულისთვის. მთავრობის ეკონომიკურმა კომისიამ მონაწილეობა მიიღო მთავრობის ვალების დაფარვაში და იტალია – კავკასიის ბანკის მეშვეობით გემ „ფრანც-კირილით“ საქართველოდან (საქართველოს მთავრობასთან ერთად) ჩამოტანილი განძეულის ერთი ნაწილით მოახდინა ვალის განაღდება. მეორე ნაწილი დროებით რჩებოდა ვალის უზრუნველსაყოფად **(ფ. 1864, ან. 2, საქ. 588, გვ. 10)**.

1921 წლის 22 მარტს პირველი გემით საქართველოს მთავრობასთან ერთად სტამბულში მოსახლეობის ნაწილიც ჩავიდა. ლტოლვილი მოსახლეობის დასაბინავებლად და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად სტამბულში პირველი გემების ჩასვლამდე კონსულის ი. გოგოლაშვილის ინიციატივით დაარსდა „გადმოხვეწილ პირთა დამხმარე კომისია“, რომელშიც შედიოდნენ გენერლები: ქუთათელაძე და ძნელაძე, იოსებ ქემულარია, ივანე ზურაბიშვილი და მამა შალვა **(ფ.1864, ან 2, საქ. N 583. გვ.1.)**. იმის გამო,


რომ ლტოლვილთა მონყობა უცხო ქვეყანაში ერთობ ძნელი იყო, მთავრობამ დაადგინა, შეექმნა ოფიციალური „მთავრობის ლტოლვილთა კომიტეტი“, რომლის თამჯდომარედ დაინიშნა კონია კანდელაკი, კომიტეტის წევრები იყვნენ გენერლები: ძნელაძე, ჩხეტიანი და მდივანი, კონსული გოგოლაშვილი, ვ. ჯუღელი, ი. ქემულარია და ქალბატონი ხოშტარია(?). ლტოლვილთა დამხმარე ორივე ორგანიზაციას თითქმის ერთი და იგივე საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. უფრო ეფექტური და ინტენსიური მუშაობისთვის ეს ორი ორგანიზაცია გაერთიანდა. დასაწყისში ლტოლვილთა კომიტეტი ძირითადად დასაქმებული იყო ლტოლვილი მოსახლეობის ბინებითა და სამუშაოთი დაკმაყოფილებით, მათთვის საკვების მომარაგებით. აღნიშნულ კომიტეტს დიდი დახმარება გაუწია სტამბულის კათოლიკურმა მონასტერმა, რომლის ტერიტორიაზე განთავსებული თხუთმეტამდე ოთახი გამოეყო მთავრობის წევრებსა და საზოგადო მოღვაწეებს დასაბინავებლად.

„გადმოხვენილ პირთა დამხმარე კომისიამ“ მუშაობა ლტოლვილი მოსახლეობის აღწერით დაიწყო. კომისიამ სიაში შეიყვანა ყველა ადამიანი, ვინც საკონსულოში გამოცხადდა, მათმა რიცხვმა დასწყისში 760 მიაღწია. ამას დაემატა ყაზახი რუსები და საქართველოდან სტამბულში ჩასული რუსებიც. ორ თვეში ლტოლვილთა პირველმა სიებმა რიცხვით 1000 -ს გადააჭარბა. „მთავრობის ლტოლვილთა კომიტეტმა“ აპრილში დაიწყო ლტოლვილი მოსახლეობის ახალი აღრიცხვა, სხვადასხვა უწყებებმა წარმოადგინეს სიები. პირველი მონაცემებით მთავრობის ზრუნვის ქვეშ იმყოფებოდა სულ 264 ადამიანი: სამხედრო უწყების 149, გვარდიის – 50, ადმინისტრაციის – 21, საზოგადო მოღვაწეები – 26, დამფუძნებელი კრების წევრები, სულ 18 კაცი. წარდგენილ სიას კიდევ დაემატა ლტოლვილთა გარკვეული რაოდენობა. მათი რიცხვი 350-მდე გაიზარდა და მოსალოდნელ რაოდენობას ბევრად გადააჭარბა (ფ.1864, ან 2, საქ. N 583. გვ. 2).

სამშობლოდან წასვლის მსურველებმა იცოდნენ, რომ პირველ და მეორე კატეგორიაში შედიოდნენ მთავრობის წევრები და

გვარდიის ოფიცრები. ამიტომ მესამე კატეგორიაში შეიყვანეს ლტოლვილები, მთავრობა მათ საერთო თავშესაფარით, პურითა და შაქრით ამარაგებდა.

„მთავრობის ლტოლვილთა კომიტეტმა“ შეძლებისდაგვარად სწრაფად დაიწყო ლტოლვილებზე ზრუნვა. პირველ რიგში ყველა, განურჩევლად კატეგორიისა, უნდა დაკმაყოფილებულიყო თავშესაფრით. პირველად, **კიჩილიკში** ანატოლიის ნაპირზე, შემდეგ კი **ბეიუკ-ლიმანში**, ევროპის ნაპირზე, ბოსფორში, თურქეთის მთავრობამ, სასახლის მინისტრის ავნი ფაშა ლორთქიფანიძის და სამხედრო მინისტრის ადიუტანტის ქემალ ბეი თავდგირიძის დახმარებით, სრული კეთილშობილური სტუმართმოყვარეობით, ქართველ ლტოლვილებს დაუთმო ცარიელი ყაზარმები. ფაქტიურად ეს იყო ცარიელი კედლები, რომელსაც არც კარებები ჰქონდა, არც ფანჯრები და რა თქმა უნდა არც ავეჯი. შენობების რემონტი მთავრობას დაუჯდა 1000 ლირამდე, მოეწყო საერთო სადალაქო, სამკერვალო, შეიძინეს ნავი, ამ ყველაფრისთვის მთავრობამ დახარჯა 270 ლირა. 6 სანოლიანი საავადმყოფოს, ამბულატორიის მოწყობა, ლტოლვილთა მკურნალობა და მოგვიანებით გარდაცვლილების: გენერალ გიორგი ყაზბეგისა და პოლკოვნიკ საგინაშვილის დაკრძალვაში 800 ლირამდე დაიხარჯა (ფ. 1864, ან 2, საქ. N 583, გვ. 3ა.).



გენერალი გიორგი ყაზბეგი

„მთავრობის ლტოლვილთა კომიტეტს“ განსაკუთრებულად გაუჭირდა ოჯახიანი ლტოლვილების მოწყობა, სამშობლოდან იძულებით წამოსული ქალების და ბავშვების უყურადღებოდ დატოვება და მათი საერთო ნორმაში მოქცევა შეუძლებელი იყო. მთავრობა იძულებული შეიქმნა ორი თვის განმავლობაში მათზე დაეხარჯა 1055 ლირა (**ფ.1864, ან 2, საქ. N 583. გვ.4**).

კომიტეტი განსაკუთრებულ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა ლტოლვილთა იმ ნაწილზე, ვისთვისაც სამშობლოში დაბრუნება დიდი საფრთხეს არ წარმოადგენდა. პირველ ორ თვეში გზის თანხის ანაზღაურებით სამშობლოში დააბრუნეს 130 – მდე ადამიანი. საშიშრობა ელოდათ გვარდიელებსა და იუნკრებს. 55 იუნკერი თურქეთში დატოვეს იმ მიზნით, რომ მოხერხდებოდა მათი გაგზავნა ევროპის სასწავლებლებში.

„გადმოხვენილთა დამხმარე კომისია“ გენერალ მდივნის ხელმძღვანელობით, ლტოლვილებისა და მთავრობის ჩამოსვლამდე დახმარების თაობაზე კონსტანტინეპოლში მოლაპარაკებებს აწარმოებდა უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან. ამერიკელებთან მოლაპარაკებამ საჭირო შედეგი გამოიღო. ჩასვლიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ქართველი ლტოლვილების ბანაკებს ძირითადად ამერიკელები კვებავდნენ. მათ უზრუნველყვეს ლტოლვილები კარვებით და ყველა საჭირო ნივთით. როგორც მთავრობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, ლტოლვილი ქართველი მოსახლეობის შენახვა ორი თვის განმავლობაში 17-18 ათას ლირამდე დაუჯდათ, გაცილებით მეტი ვიდრე საქართველოს მთავრობას, რომელმაც აპრილ – მაისში ლტოლვილთა კომიტეტის დახმარებით ზემოთ აღნიშნულ ბანაკებში მოსახლეობის შენახვაზე 7935 ლირა დახარჯა.



ქართული ენა	1.
ქართული ენა	11
ქართული ენა	17
ქართული ენა	23
ქართული ენა	29
ქართული ენა	35
ქართული ენა	41
ქართული ენა	49
ქართული ენა	75
ქართული ენა	103
ქართული ენა	95
ქართული ენა	97

ლტოლვილებზე განუული მთავრობისყოველთვიური დახმარების ხარჯი (ფ.1864, ან 2, საქ. N 593, გვ1.)

ლტოლვილთა კომიტეტი ანარმოებდა ხარჯთაღრიცხვას: პირველ ორ თვეს სამხედრო უწყებიდან დაეხმარა 99 სამხედრო პირს, მათგან 25 ადამიანზე გაიცა 575 ლირა, თითოეულს 25 ლირის რაოდენობით; გვარდიიდან 25 სამხედროს; საზოგადო მოღვაწეებს, სულ 23 ადამიანს; ადმინისტრაციიდან 48 ადამიანს; დამფუძნებელი კრებიდან – 13 ადამიანს, სულ ორი თვის განმავლობაში დახმარება აღმოუჩინეს 244 სამხედრო მოსამსახურესა და საზოგადო მოღვაწეს. საერთო დაანგარიშებით სტამბულში მცხოვრები მთავრობის შენახვაზე გამოიყო და დაიხარჯა 21.810 ლირა, გერმანიაში გაგზავნილ პირებზე – 850 ლირა; იტალიაში – 280 ლირა; პრალაში – 280 ლირა. საერთო რაოდენობამ 23.220 ლირა შეადგინა (ფ. 1864, ან 2, საქ. N 583. გვ.26.).

საქართველოს მომარაგების სამინისტროს გადაწყვეტილებით მალევე დაიწყო საქართველოდან გატანილი ძვირფასეულობის ნაწილის რეალიზაცია. გაიყიდა ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნივთები, მონეტები, ძვირფასი თვლები. მთავრობის კუთვნილი ავტომობილები, გაყიდულ ნივთებზე არსებობდა ანგარიშები, სპეციალური ოქმები, რომელზედაც ხელს აწერდნენ მომარაგების მინისტრი გ. ერაძე და საქართველოს კონსული


ჟღენტი, პავლე ჩაჩა, გორის მაზრიდან: იოსებ გოგინაშვილი, იოსებ გაბუნია, მიხეილ კობერიძე, ალექსანდრე (ანდრო) ოქრუაშვილი, ნიკოლოზ ბარნოვი, დავით კალატოზიშვილი“, მხოლოდ ივნისის თვეში მიიღეს დახმარება, თითომ 4 ლირის ოდენობით. მათი უმრავლესობა თითო ხელი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით იყო ჩასული, რაც თვეების შემდეგ ნცობიდან გამოვიდა და მათი გამოყენება უკვე შეუძლებელი იყო. ლტოლვილთა ბანაკში ნოე ხომერიკისადმი უდიდესი პატივისმით იყვნენ განმსჭვალულნი (ფ. 1861, ან 3, საქ. N 63, გვ. 4, 6ა).



ლ. ბეიუკლამანის მიერ ნოე ხომერიკისადმი გაგზავნილი წერილებიდან (ფ. 1861, ან 3, საქ. N 63, გვ. 4, 6ა)

1921 წლის ბოლოსა და 1922 წლის დასაწყისში ბევრ ლტოლვილს შეუწყდა დახმარება. ქართველ ლტოლვილთა კომიტეტს ყოველდღიურად ათობით ადამიანი მიმართავდა. ყოფილი სამხედრო მოსამსახურენი, იუნკრები, ძირითადად ითხოვდნენ საზღვარგარეთ გამგზავრებას სწავლის გაგრძელების მიზნით. საქმეებში დაცულია: ბორის ტატიშვილის, ლუარსაბ კვიციანი, იაკინთე რუხაძის, ნიკოლოზ კანდელაკის, ივანე ქავთარაძის, დავით ფავლენიშვილის, მამედ ჭიჭინაძის, ნიკოლოზ ჯაყელის, დავით კლიმაშვილის, შოთა სარჯველაძის ელიზბარ ერისთავის, მიხეილ ანჩაბაძის, მიხეილ რუსიშვილი, ილია ეშბას, მიხეილ ონანაშვილის, ნიკოლოზ ალექსიძის, ივანე გახოკიძის, კვიროსი

ჟღენცის, ვანო ალიხანოვის, ქუთაისის ქართველ ებრაელთა რაზონის რაჟდენ ასანიკაშვილისა და ილუაშვილის და სხვების განცხადებები. დოკუმენტებში ყურადღება მიიქცია ერთმა ფაქტმა: დახმარების მთხოვნელთა სიაში მოიხსენიება იუნკერი **გრიგოლ კიკიანი**, აქვე დაცულია მისი ორი (27.12.1921წ., 24.12.1921წ.) განცხადება, რომლებიდანაც ვგებულობთ, რომ ბოლშევიკების თავდასხმის დროს მარჯვენა მკლავში იყო დაჭრილი და ითხოვს სამკურნალოდ დახმარებას (1864, ან.1, საქ. N 591, 44, 45.) განცხადებით დაინტერესება გამოიწვია ერთმა გარემოებამ: იუნკერი **გრიგოლ კიკიანი** მოხსენებულია იმ 33 გარდაცვლილი იუნკერის სიაში, რომლებიც კოჯრის სიახლოვეს ნითელ არმიასთან შეტაკებისას გმირულად დაიღუპნენ. ცნობილია, რომ უკან დახევის შემდეგ, გადარჩენილი იუნკერების უმრავლესობა ბათუმში გადავიდა, საიდანაც კონსტანტინეპოლში მოუხდათ გამგზავრება. თუ გრ. კიკიანის თხოვნის წერილებს გავეცნობით, საეჭვო ხდება, რომ ის გადარჩა და განცხადებებიც მას ეკუთვნის.



გრიგოლ კიკიანის განცხადებები
(ფ. 1864, ან.1, საქ. N 591, გვ. 44, 45.)


ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის 1921 წლის ივნის – ნოემბრის ხარჯთაღრიცხვის ჟურნალში სექტემბრის გასავლის სიაში (ექიმობის სია – ტექსტში ასეა), მოხსენებულია ვინმე კიკიანი. სახელი არ არის მითითებული. კიკიანი ასევე დაფიქსირებულია 1921 წლის ივნისის მოულოდნელი დახმარების ხარჯების სიაში. ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის 1921 წლის დეკემბრის ოქმში უკვე გვხვდება ჩანაწერი, სადაც გრიგოლ კიკიანი ითხოვს საზღვარგარეთ, კერძოდ გერმანიაში გამგზავრებას, რაც კომიტეტის მიერ დაკმაყოფილებული იყო.

კონსტანტინეპოლში ჩასულ ქართველებზე ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტმა დასაწყისშივე შეიმუშავა დახმარების სიები, 1921 წლის ივნის – ნოემბრის ოქმებიდან და დახმარების სიებიდან ნათლად ჩანს, თუ ვისზე და რატომ იხარჯებოდა მთავრობის ფული, კერძოდ დამფუძნებელი კრების წევრებზე, ადმინისტრაციაზე, საზოგადო მოღვაწეებზე, გვარდიაზე, სამხედრო უწყებაზე, რომელიც შეადგინა – 8829 ლირას; ასევე ცალკე გამოიყოფოდა თანხა ლტოლვილთა საექიმო დახმარებისთვის, რომლის რაოდენობა განისაზღვრა 1170 ლირით; ანაზღაურება ეძლეოდათ ლტოლვილთა ბანაკების მომსახურე პერსონალს, თანხის რაოდენობა – 413 ლირა. თანხა ყოველთვის გამოიყოფოდა მოულოდნელი, გაუთვალისწინელი ხარჯებით. ამ მიზნით გამოიყო 2023 ლირა. იუნკრების კვებაზე გაიხარჯა 1626 ლირა, ხოლო ლტოლვილთა საზღვარგარეთ გამგზავრებაზე – 514 ლირა. იმ ეტაპზე საზღვარგარეთ, გერმანიაში გაიგზავნენ ის პირები, ვისაც თავისი მოღვაწეობის გამო სამშობლოში დაბრუნებისას ბოლშევიკებისაგან დიდი საფრთხე ელოდათ.

1921 წლის ზაფხულის დასაწყისშივე, როდესაც გაჭირდა უამრავი ლტოლვილის შენახვა, სიაში ახალი ემიგრანტების შეყვანა აიკრძალა, ძველი სია გადაისინჯა და ათეულობით ქართველი, რომლებსაც ახალი მთავრობისგან საფრთხე არ ემუქრებოდათ, სამშობლოში დააბრუნეს. გზის ხარჯები მთავრობამ აანაზღაურა. ყოველივე ეს მთავრობას 4000 ლირა დაუჯდა.

საქართველოდან კონსტანტინეპოლში გადასული მთავრობის წევრების დაბინავებაზე წინასწარ იზრუნა საქართველოს კონსულმა, რომელიც 1921 წ. 6 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს აცხობინებდა, რომ სტამბულში, ქართულ მონასტერში გამზადებული ჰქონდა 45 ოთახი (ზოგიერთ დოკუმენტში, როგორც ზევით ავლნიშნე, 15 ოთახი იყო მომზადებული), სადაც მოთავსდებოდა ქართული მთავრობის დროებითი სამუშაო ადგილი (ფ. 1864, ან 2, N 584, გვ. 4).

ქართული მონასტერი ყოველთვის იდგა ლტოლვილი ქართველების გვერდით. 1922 წლის 5 მარტს, სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ბოლშევიკურ რეჟიმს შეწირული ქართველი საზოგადო მოღვაწეების: სილიბისტრო ჯიბლაძის, პარმენ ჭიჭინაძის, ლეო ნათაძის სამსონ კილაძის, თედო რაზიკაშვილის (ბაჩანას) და სხვათა ხსოვნის პატივსაცემად გაიმართა პანაშვიდი, რაზედაც კონსტანტინეპოლში მყოფ ყველა ქართველს ეუნცა.



ფერი – ქვევის ქართველ მამათა, წმინდა მოციქულთა სახელობის სავანის მიერ გამოქვეყნებული განცხადების ფორმა; თედო რაზიკაშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ლეო ნათიძე (ცსია, ფ. 1861, ან 3, საქ. N 120.)

ფერი – ქვევის ქართველ მამათა, წმინდა მოციქულთა სახელობის სავანის მოღვაწენი იღვწოდნენ სტამბულში ქართული სასწავლებლის გახსნისათვის. 1921 წლის ივლისში სავანიდან მამა პიო გალიძემ, კონსტანტინეპოლის ქართველთა სასწავლებ-

ლის დამაარსებელ რწმუნებულებს პ. სურგულაძესა და კ. სულაქველიძეს მიმართა მოლაპარაკებით გადაეჭრათ კონსტანტინეპოლში ქართული სასწავლებლის დაარსების საკითხი.

ქართველთა დასაქმება ემიგრაციაში გართულებული იყო. თურქეთში ნამსახურებ და თურქული ენის მცოდნეთათვის სამუშაო შოვნა შესაძლებელი იყო. დოკუმენტებში იხსნება 1921 წელს დასაქმებულ პირთა სია, მათი პირადი მონაცემებით: 1. პეტრე სურგულაძე – 50 წლის, დაოჯახებული, ყოფილი ბანკის მმართველი; 2. ივანე ჭავჭავაძე – 39 წლის, დაოჯახებული, გარკვეული იყო ეკონომიკისა და სტატისტიკის საკითხებში; 3. ივანე ჯაფარიძე – 50 წლის, გენერალი, ოთხი წლის განმავლობაში კონსტანტინეპოლში მაცხოვრებელი; 4. გრიგოლ ხოფერია 38 წლის, იურისტი, სადაზღვევო საკითხების მცოდნე; 5. სიმონ გოჩიტაური – 50 წლის; 6. ნიკოლოზ მასხარაშვილი – 36 წლის; ვიქტორ ბოკერია – 38 წლის -თურქულის ენის მცოდნენი (ფ. 1864, ა52, საქ. 600, გვ. 2).

1922 წლიდან სოციალ – დემოკრატიული ფრაქციის საინფორმაციო ცენტრმა პარიზიდან კონსტანტინეპოლში გადმოინაცვლა და აქ განაგრძო მუშაობა. მათ წინაშე ახალი ამოცანები დაისახა, კერძოდ: სტამბულიდან უნდა დამყარებულიყო პირდაპირი კავშირი გერმანიასა და ავსტრიასთან, მუდმივი კავშირი უნდა ჰქონოდათ პოლიტიკურ პარტიებთან, ვაჭარ- მრეწველებთან, რომ მათ საქმინობას არ მოეტანა დიდი სარგებელი ბოლშევიკებისთვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოზე თურქულ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას. ასევე დაიგეგმა ქართველ გავლენიან მუსულმანებთან დაახლოება, რათა არ განყვეტილიყო აჭარასთან კავშირი (ფ.1861, ან 3 საქ. 107გვ.2).

1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქართველთა ახალი მიგრაცია დაიწყო. ქართულ კოლონიას უნდა შეეფარებინა ახალი მიგრანტები. ქართული კოლონიის საქმეების მოსაწესრიგებლად 1924 წლის 28 ნოემბერს ქართველ კათოლიკეთა სავანეში შედგა სტამბულის ქართული კოლონიის წარმომადგენელთა კრება.

სტამბულში მცხოვრებ უპარტიო ქართველთაგან ესწრებოდნენ: მიხეილ წერეთელი, გენ. გიორგი მაზნიაშვილი, გენ. თავადი- გიორგი ერისთავი, თავადი დიმიტრი აფხაზი;



ეროვნულ – დემოკრატების სტამბულის ორგანიზაციისაგან: დავით ვაჩნაძე,

სოციალ – ფედერაციული ორგანიზაციისაგან: დავით მაჭავარიანი;

სოციალ – დემოკრატიული პარტიიდან – დათიკო შარაძე.

კრებამ აირჩია ახალი შემადგელობა, რომელსაც უნდა გადაეჭრა ქართული კოლონიის კრების მოწვევის საკითხი (ფ. 1864, ან. 2. საქ. N 808, გვ.1,2).

სტამბულში ჯგუფებად ჩასულები თხოვნით მიმართდნენ თურქეთის მთავრობას. ერთ-ერთ ასეთ თხოვნას ერთვის სია: ზარიძეები – თევდორე და ლევანი, ასათიშვილი გიორგი, მჭედლიშვილი აბრაამი, გოიდონაშვილი ივანე, გიგაური ივანე, სტეფანიშვილი ალექსანდრე, ბეგიაშვილი ირაკლი, ოჩიკაშვილი ილია, დოიგაშვილი მიხეილი, ჩიტლაძე მიხეილი (1864, ან 1, საქ. N 811, გვ.2).



სტამბულის ქართული კოლონიის წარმომადგენელთა კრების ოქმი, ხელნაწერი (ფ. 1864, ან 2, საქ. N 808, გვ.1, 2.)

აჯანყების დამარცხების შემდეგ სტამბოლში ქართველთა რამდენიმე ჯგუფი გადავიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელ კონია გვარჯალაძისაგან ლტოლვილთა დახმარების კომიტეტის თავმჯდომარეს გ. მაზნი-აშვილს ახალი ლტოლვილებისთვის გადაეცა 2300 თურქული ლირა. დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ ლტოლვილები გადაიყვანეს ქალაქ რიზეში და მათი გადაყვანა მოხდა ხალაით ხუშით ბეის ავტომობილით (ფ.1864, ან.2, საქ. N 810, გვ. 1ა).



სპირიდონ ჭავჭავაძე



თურქეთში გადასული 1924 წლის აჯანყების მონაწილენი

ლტოლვითა პირველი პარტიის – 25 კაციანი ჯგუფის დაბინავება და შემდეგში მათი უმრავლესობის პარიზში გამგზავრება მთავრობას 3966 ლირა დაუჯდა. ამ ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი სპირიდონ მიხეილის ძე ჭავჭავაძე. ლტოლვილთა მეორე პარტიის, 24 კაციანი ჯგუფის დაბინავებისთვის დაიხარჯა 5353 ლირა. მესამე პარტიის ლტოლვილებისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 5715 ლირას. ოქმი შედგენილი იყო 1924 წლის 21 ქრისტეშობისთვის. 1925 წლის იანვრისთვის ეს თანხა დამატებითი ხარჯებისთვის 643 ლირით გაიზარდა. პერიოდულად კომიტეტში შედიოდა კერძო პირთა შემოწირულობა. დოკუმენტებში ინახება ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტისთვის კერძო პირთა შემოწირულობის სია,

სულ 952 ლირა – 1924 წლის გიორგობისთვის (ფ. 1864, ან. 2, საქ. N 810, გვ. 3ა, 4, 10).

I.	შემომწირველები:	ლირა.
1.	ბიზნის დავისი შრომისაგან	50
2.	მამას შრომისაგან	75
3.	უთხოვარ შრომისაგან	100
4.	ს. იაკობი შრომისაგან	50
5.	აილეს შრომისაგან	50
6.	კიციანი შრომისაგან	50
7.	პაპიაშვილისაგან	15
8.	ბერიძის შრომისაგან	50
9.	ბიზნისი	50
10.	ვ. ვახაჩიასაგან	10
11.	ფხაკაძისაგან	25
12.	ს. იაკობი შრომისაგან	25
13.	აქტიური შრომისაგან	372
14.	სხვადასხვა	25
	მთლიანობა:	952

**შემომწირველების სია 1924 წელი
(ფ.1864, ან.2, საქ. N 810, გვ. 10).**

1925 წლის თებერვლისთვის საქართველოდან ლტოლვილთა შვიდი პარტია გადავიდა. ლტოლვილთა შესახებ ბოლო ინფორმაცია კონია გვარჯალაძემ 1925 წლის თებერვალში გამოაქვეყნა.

გამოყენებული წყაროები:

1. სცაი, ფ. 1864, ან.2, საქ. NN 415, 583,584, 588, 589, 590, 591, 592, 593, 594, 600, 793, 806, 808, 809, 810, 811, 832;
2. ფ. 1861, ან.3, საქ. NN 63, 107, 120.
3. ფ. 1939, ან.2, საქ. NN 26, 41, 43.
4. გამოყენებულია სცკფფდ არქივში დაცული ფოტოები.

Tinatin jabadari

Georgian colony in Istanbul
1921-1925
Summary

After the loss of independence in Istanbul several Georgians started to migrate. Independent members of the government undertook a comprehensive maintenance of the immigrants. The them of the Central Historical Archive is used 1921-1925 independent foundations of documents.

ინგა ელიავა

მასალები ახლადშემოერთებული ბათუმისა და ართვინის ოლქების საზღვრებთან დაკავშირებით

ამიერკავკასიის უმშვენიერესი მხარის, აჭარის ახალი ისტორია 1878 წლის 3 მაისს დაიწყო. სან-სტეფანოს ხელშეკრულების დადების და იმავე წლის 13 ივნისის ბერლინის ტრაქტატით, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო გათავისუფლდა ოსმალეთის ბატონობისაგან და დედასამშობლოს შეუერთდა. ფორმირებულ იქნა ბათუმის ოლქი (ოზლასტი), რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ქუთაისის გუბერნია და შავი ზღვა, აღმოსავლეთით – თბილისის გუბერნია და ყარსის ოლქი, დასავლეთით – აზიური თურქეთის ლაზისტანის სანჯაყი. შემოერთებული ტერიტორია ადმინისტრაციულად სამ ოლქად იყოფოდა: ბათუმის, ართვინის და აჭარის. შემდგომში, 1883 წლის 12 იანვრიდან ბათუმის ოლქი, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული გაუქმდა და შეუერთდა ქუთაისის გუბერნიას. გაუქმდა არსებული მმართველობა და შეიქმნა ორი ოლქი – ბათუმისა და ართვინის ოლქები. 1903 წლიდან კი ბათუმისა და ართვინის ოლქები დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებად გამოიყო და სამხედრო გუბერნატორის მმართველობაში გადავიდა (რაც შეეხება ყოფილ ბათუმის ოლქს, თურქეთის მმართველობის დროს იგი შეადგენდა ბათუმის მაზრას (კაზა) და მოიცავდა ორ ოკრუგს: ბათუმისა და ჩურუქ-სუს (ქობულეთის) ოკრუგებს)). ბათუმის ოლქს ეჭირა 6354, 80 კვ. ვერსი, რაც შეადგენს 651537 კვ. დესიატინას, ანუ 127, 65 კვ. მილს, 3779 კვ. კმ.-ს.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში, ქუთაისის გუბერნიის მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ფონდში არის საქმე სოხუმისა და ბათუმის ოლქების სახაზინო ქონებათა დათვალიერების და მათი სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უწყებაში გადაცემის შესახებ (1885-1889წწ). საქმე-

ში დაცულ უდავოდ საინტერესო დოკუმენტებს შორის (ყარსის, ართვინის ოლქების სასოფლო საზოგადოებების, დასახლებული პუნქტების, საძოვრების სიები, უწყებანი და სხვა, რომლებიც ტოპონიმიკის შესწავლის კუთხითაც ძალიან საინტერესოა და ამაზე მუშაობა დაწყებული გვაქვს) არის ცნობები ბათუმის და ართვინის ოლქების საზღვრების შესახებ. ხელნაწერი დოკუმენტი საზღვრების დაწვრილებითი აღწერაა, რაც ჩემს მიერ მოძიებულ და შესწავლილ არცერთ წყაროში არ აღმოჩნდა (დოკუმენტის სტილი დაცულია).

„ბათუმის ოლქის საზღვარი გადის ჩრდილოეთიდან (ოზურგეთის მაზრის მხრიდან) შემდეგ ადგილებზე: მდ. ჩოლოქის და შავი ზღვის შესართავი რომლის პირდაპირ, შორიახლოს არის წმ. ნიკოლოზის სიმაგრე. ზემოთ, დასახელებული მდინარის სათავისკენ, მთა ჭახათის ძირამდე, შემდეგ წყალგამყოფი ხევის გასწვრივ, ტყიან მალლობებზე: ნებოძირი, ხინო, თავინაური, გამშვები პუნქტი რუსეთ-თურქეთის ყოფილ საზღვარზე, ჯვრის ეკლესიის ნანგრევები, ბადიშის უღელტეხილი, კურჩხელის-წყაროს მწვერვალი, გათუმერია (ასეა დოკ.), გომის-ციხე და შავნაბადი, ამ უკანასკნელი სიმალიდან საზღვარი უხვევს აღმოსავლეთისკენ, მიუყვება (ახალციხის მაზრის მხრიდან) ასევე მნიშვნელოვან ქედს და შემდეგი მთების მწვერვალებს: სადი-წყარო, ჩიბუხნარინ-ბაში, შავარდანი, ნაომარი, მთა თლილამდე. აქედან ბახოს მთის ქედიდან, რომელიც ოლქს არდაგანის ოლქის ფოცხოვის საპრისტავოსგან გამოყოფს, ჩირუხის მალლობებამდე, სადაც იწყება ართვინის ოლქის სასაზღვრო ზოლი და მიემართება იმავე ქედზე კანლი-დალის სიმალიმდე; შემდეგ, სამხრეთიდან (ართვინის ოლქის მხრიდან ისევ მთების ქედებზე (პო ხტებტუ გორ) მწვერვალებზე: დემირ-კანუ, სარი-ჩაი, ხევა და კორდი (ქორდი), შემდეგ საზღვარი, მიემართება რა სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადის სხვა ქედზე, მწვერვალებზე: მარეთი, დევთობანი, ინამ-წმინდას უღელტეხილი, მთა კარჩხალი, (11,248 ფუტი სიმალი) და ძალიან მაღალი ტყიანი უსახელო მწვერვალი. საზღვარი აქედან

ისევ იცვლის მიმართულებას და მიემართება სამხრეთისკენ, ახალ, მეორეხარისხოვან ქედზე, მინერალური წყლების „ოტინგოს“ ახლოს, სიმაღლეებზე: ჯაჯანის-სარფი, ჩარნას-ძირის-ქედი, სოსულიმ-ძმას-ქედი მდინარე სიხ-ბალის-ლელეს სათავიდან ჭოროხის შესართავამდე, შემდეგ ქვემოთ ამ უკანასკნელის დინების მიმართულებით, სანამ მას მარცხენა მხრიდან მდინარე მურღულის-წყალი შეუერთდება, აქედან ბალიხლი-დალღარის ტყიანი ქედის გასწვრივ აღნიშნული ქედის დასასრულამდე, მდინარე ბალიხლი-სუ-დარემდე, აქედან პირდაპირი ხაზით რუსეთ-თურქეთის ახალ სახელმწიფო საზღვრამდე, და ბოლის, დასავლეთით, თავდაპირველად იმავე საზღვრის გასწვრივ, ქედისკენ, მწვერვალებზე: ცკორისტი////, საზურგი, ზალონა, კანდარი, ეშვება შავი ზღვისკენ კაპმუშის კონცხთან, სადაც მთავრდება საზღვარი თურქეთთან; შემდეგ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე, მდინარე ჩოლოქის შესართავამდე.

ბათუმის ოლქი ადმინისტრაციული მართვისთვის გაყოფილია ოთხ უბნად: კინტრიშის, ზედა-აჭარის, ქვედა-აჭარის, და გონიოს უბნებად.

1. კინტრიშის უბანი ზედა-აჭარის, ქვედა-აჭარის, და გონიოს უბნებისგან გამოიყოფა შემდეგ პუნქტებზე გამავალი ხაზით: ხინოს მთის მწვერვალიდან წყალგამყოფ ქედზე, ოლქისა და ოზურგეთის მაზრის საზღვარზე, ეს ხაზი მიემართება სამხრეთით, ნახევარწრეს შემოხაზავს და მიდის პერანგას მწვერვალამდე, აქედან ხაზი მიემართება დასავლეთით მთა პერანგას ერთ-ერთი განშტოებითმიდის უსახელო ტყიან მაღლობამდე, რომელიც ამ განშტოების ცენტრია, მიდის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის ნაპირის თითქმის პარალელურად, ჩაქვის-მთის ქედზე და ყოროლის-თავის მთის მწვერვალზე, გადის ამავე მთის ქედზე მდინარე მეჯინ-სუს სათავემდე, შემდეგ მიუყვება ამავე მდინარეს ზღვასთან შესართავამდე.

2. ზედა-აჭარის უბანი გამოიყოფა კინტრიშის უბნისაგან

ხაზით, რომელიც იწყება ხინოს მთის მწვერვალიდან პერანგას მთის მწვერვალამდე, ზემოთაღწერილის თანახმად (ასეა დოკ.) და შემდეგ პერანგას მთიდან მთა გვანა (ღვანამდე), გრძელდება მდ. მოსიაშვილების-ღელეს სათავემდე, მიუყვება მდინარის დინებას მდინარე აჭარის-წყალის შესართავამდე, ხიჭაურამდე, აქედან პირდაპირი ხაზით კავიანეს სიმაგრემდე, შემდეგ მთებზე: ოგრიალი, სატანახე, გომის მთა და შემდეგ კორდის მთამდე, სადაც გადის ბათუმის ოლქის საზღვარი.

3. ქვედა-აჭარის უბანი ზედა-აჭარის უბნისაგან გამოიყოფა წინა პუნქტში აღწერილი ხაზით, გონიოს ნაწილისაგან – ხაზით, რომელიც იწყება მთა კარჩხალიდან (ბათუმის ოლქის საერთო საზღვარი) მთა სინდიეთის ქედამდე, რომელიც თავდაპირველად დასავლეთით მიემართება, უსახელო მდინარის სათავემდე, რომელიც კლასკურის ხევში ჩაედინება, ამ პუნქტიდან ხაზი მიემართება ჩრდილო-დასავლეთის მმართულებით და ეშვება მდინარე ჭოროხისკენ სოფ. ქვედა მარადიდთან, აქედან ამ მდინარის მარჯვენა ნაპირიდან ბათუმ-ახალციხის გზამდე, სიმონეთის-ღელეს ხევის პირდაპირ, სადაც პატარა ხევში გადის ნაკადული, შემდეგ ხაზი ადის სათალის ქედის ბოლოსკენ, სახელწოდებით კანაკეთილი, და მიემართება ამ ქედით მდინარე მეჯინა-სუს სათავემდე, კინტრიშის უბნიდან, მეჯინა-სუს გასწვრივ, მის ზღვასთან შესართავამდე.

4. გონიოს უბნის საზღვრები: კინტრიშისა და ქვედა-აჭარის უბნებთან 1 და მე-3 პუნქტებში აღწერილ საზღვარი და ბათუმის ოლქის საერთო საზღვარი ართვინის ოლქთან და თურქეთის საზღვართან.

ცნობები ართვინის ნაწილის საზღვრების შესახებ

1. ართვინი

აღმოსავლეთით: შავშეთ-იმერხევის მხრიდან ახალთ დერემი ანუ ციხმარი, არდანუჯის მხრიდან მდინარე იმერხევი-სუ, ქე-

დები: კომო-სრტი, გაზან ფერ ტაშჩი, წყარო ფაშა პუნგარ, მთა ტალახეთი, გეჩუტ ტაში, ხეძორ-დალი.

ოლთინის ოლქის მხრიდან – მთები კივი-დალი და სალაჩუ-რი;

სამხრეთით: თურქეთის მხრიდან: მთები: ოგდარი, ცაუტ, ალვანი-კალა, მდ. ხად-სუ, მთები: ასლანის მთა, მორცუტ-დალი, კაბან-ბაშის ქედი, მთები: ბარბარეთი, მერსუანი, ქვახიტი, გიულიგანა, კოკირტ-დალი, ჩამურლი-დალი, მაგარა-დალი, ბარნალიკ-ტეპესი და პარეხის უღელტეხილი.

დასავლეთით: გონიოს მხრიდან: ბალხლა-დალლარის ქედი, და ჯვანის-თავი,

ჩრდილოეთით – გონიოს ნაწილის მხრიდან: მწვერვალები: კარჩხალი და ბეიუკ-ტეპი, ქედები: დანახრო, ბაგინიდევი და კარაგიოლის ტბა. ქვემო აჭარის მხრიდან: მთები: ბეიუკ-ტეპე, გამრანა, კარჩხალი და წყარო ახ პუნგარი (ასეა დოკ.)

2. არდანუჩი:

აღმოსავლეთით: შავშეთ-იმერხევის უბნიდან – ბილაგ-დერესის ხევი, ბარევანი, კარაგიოლის ტბა, კიურდევანის მთა.

არდაგანის მხრიდან – ბიულიულანის მთა, იალანუს-ჩამის უღელტეხილი და იასამალის ქედის წყალგამყოფი.

სამხრეთით: ოლთინის ოლქის მხრიდან: ხოროსნის მთა, ჯანაური ანუ ტიკმა, სახალდუტანი და სალაჭ(ჩ)ური.

დასავლეთით: ართვინის უბნის მხრიდან: გეჩუდ-ტაშის მთები ანუ ვართხელ დალი, ტალახერი, ფაშა პუნგარის ყნარო, მდინარე იმერხევი.

ჩრდილოეთით: ართვინის უბნის მხრიდან: მდინარე იმერხევი და შავშეთ-იმერხევის მხრიდან იგივე მდინარე იმერხევი და ჩვინთას კონცხი.

3. შავშეთ-იმერხევი:

ჩრდილოეთით: ზედა აჭრის მხრიდან ქედები: დემურ-კაპი, შუბლა, დევა და კანდრილი.

აღმოსავლეთით: ფოცხოვის ნაწილის მხრიდან მღები: არსიანი, (საქორიას ქედი), საჭედილი და არდაგანის ოლქის მხრიდან წყალგამყოფი ქედი, სხვადასხვა ნაწილებზე სხვადასხვა სახელწოდებით: ჯინე-ტაგი, ჯამჯიმი, შაან-ოლლი, მთები ინჯაბელი, იალანუს-ჩამი, ბერიკიდე, იაგილა, იასამალი და ბიულიულანი.

სამხრეთით – არდანუჯის მხრიდან მდინარე იმერხევი სუ, ხევი, ბილაგ-დევესი, ბერევანი, მთა ქურდევანი.

დასავლეთით: ქვემო-აჭარის მხრიდან ქედები: კორდა, (ქორდა?) მერეთი, იმანმინდა, ლეკობანი, კარჩხალი და ჩავმეთ-დერესის ხევი, და ართვინის უბნის მხრიდან დიდვენახ-დერესის ხევი“.

(დოკუმენტს ხელს აწერს ართვინის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

„ბათუმის ოლქის მთელი ფართობი სიგრძე-სიგანეზე მთებითაა დასერილი, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 3000-3500მ.-ს აღწევს.

ბათუმის მთიანი ოლქის სამხრეთით ტოპ-იოლის ქედი და პონტოს ქედის აღმოსავლეთის განშტოება და კარჩხალის მწვერვალი მდებარეობს. რომლის სიმაღლე 3515 მეტრია ზღვის დონიდან.

დასავლეთით გადის აჭარის ქედის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ზღვის სანაპირომდე მიდის, და მკვეთრად უხვევს ხუცუბნის სიმაღლეებთან-მაღლობებთან. ამ ქედის მთავარი მწვერვალია ხინო (8522 ფ.

აჭარის ქედიდან ბევრი განშტოება გამოდის, რომელთაგან ორი ყველაზე დიდია – მთები მდ. აჭარასა და მის შენაკად ჭვანას შორის, და პერანგა ამავე სახელწოდების მწვერვალით (7527ფ), რომელიც აჭარის ქედს მთა ხინოსთან გამოეყოფა, და მიემართე-

ბა ჯერ სამხრეთით, შემდეგ კი მკვეთრად დასავლეთით. ეს განშტოება მიდის შავ ზღვამდე და მკვეთრად უხვევს ციხისძირის კონცხთან. ერთ-ერთი განშტოება მთავრდება თვით ბათუმთან კახაბრის სიმაღლეებთან (ზღვის დონიდან 350 ფ).

აღმოსავლეთით -არსიანის ქედი მწვერვალი არსიანით, 10 000 ფ., ეს ქედი წყალგამყოფია ჭოროხის აუზსა და მტკვრის ზედა დინებისა, 100 ვერსის მანძილზე. მთავარი განშტოებები: საკულაფერდი – 8000 ფ, მდ. ქობლიანსა და მდ. ლორჯომის სათავესთან, ტეტრატი მდ. აჭარასა და მის შენაკად სხალთას შორის, 6000 ფ., კორეჩი მდ. სხალთასა და მარეთისხევს შორის 8000 ფ., შავშეთი მდ. მაჭახელსა და აჭარას შორის 8000 ფ., ხევას მწვერვალი 9219 ფ., და ზოგიერთი სხვა, ამ სამი მთავარი ქედიდან ყველა მხარეს გამოეყოფა მათა სისტემა, რომლებიც იკვეთება რა ფერდობებით, ხაზავს რელიეფს ყველა მიმართულებით, და მხოლოდ ზღვისპირა ზოლი, 10 ვერსის მანძილზე, წარმოადგენს ორ დაბლობს – ჩოლოქისა და კახაბრის დაბლობებს. მთები ტყეებითაა დაფარული, მთა არსიანი კი სავარაუდოდ ჩამქრალი ვულკანია (14 ა), რასაც შავი ბაზალტის ქიმები ადასტურებს“.

ზემოთჩამოთვლილი ტოპონიმების ნაწილი სავარაუდოდ დავიწყებულია, რაშიც ჩემს მიერ საზღვრისპირა რეგიონებში მოგზაურობისას ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრებში დავრწმუნდი, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტი დაინტერესებულ მკვლევართათვის საინტერესო იქნება საზღვრების ასეთი, შედარებით დაზუსტებული აღწერის გამო.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქ.ც.ა. ფონდი № 18; ანაწერი №1, საქმე № 1554.
2. Батумь и его окрестности. Батум, типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе, 1906.
3. რამაზ სურმანიძე: „ივანე მესხი (ქალაქის მდივანი), თბილისი, 2013.

Inga Eliava

*Materials connected with the newly joined
Batumi and Artvin district borders
Summary*

In Central Archives of Kutaisi, in fund of agriculture and state property department of Kutaisi province are materials about inspection of Sukhumi and Batumi districts Treasury property and their transfer to State property division (1885-1889). Between in this protected case materials, there are the statements about Batumi and Artvin district borders. Handwritten document is the detailed description of borders. In this article is fully represented this document.

**საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა
და სასულიერო ნოღების რეპრესიები აჭარაში
(1937-1940 წლები)**

სასულიერო პირებმა საბჭოთა ხელისუფლების დროს არანაკლები რეპრესიები განიცადეს. სასულიერო პირებისა და მონაწილეთა წინააღმდეგ ბრძოლაში კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, რომელიც რელიგიას განიხილავდა, როგორც სიცრუისა და ადამიანების დამონების საშუალებად. საქართველო, კერძოდ აჭარა კონფესიების სიმრავლით გამოირჩეოდა. აქ ცხოვრობდნენ ქრისტიანები (მართმადიდებლები, კათოლიკეები, გრიგორიანები), მუსლიმები (სუნიტები, შიიტები), იუდაიზმის მიმდევრები, სხვები. აჭარაში გასაბჭოებამდე შეიქმნა რელიგიური დანესებულებები: ეკლესია – მონასტრები, მეჩეთები, მედრესეები, მეფთებე, სინაგოგა და სხვა. ისინი ფლობდნენ მამულებს, სავაჭრო ობიექტებს, იღებდნენ შემონირულობებს, ჰყავდათ მრავალრიცხოვანი მორწმუნე, საკმარისი რაოდენობის ხოჯა-მოლები და მრევლი. მიმდინარეობდა სარწმუნოებრივი აღმსარებლობა.

ბათუმში ეკლესია-მონასტრები და მეჩეთები გასაბჭოებამდე ააგეს და ყველა მათგანი ნორმალურად ფუნქციონირებდა. მაგალითად, წმინდა ნიკოლოზის მართმადიდებლური ტაძარი 1865-1871 წლებში აუშენებიათ ბერძნების დაკვეთით. 1902-1905 წლებში ააგეს ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია დღევანდელი „ინტურისტის“ ადგილას. XX საუკუნის 10-იან წლებში ამოქმედდა ქართული მართმადიდებლური ტაძარი დღევანდელი ზურაბ გორგილაძისა და პეტრე მელიქიშვილის ქუჩების კვეთაში. 1873-1876 წლებში ააშენეს სომხურ-გრიგორიანული და სომხურ-კათოლიკური ეკლესიები, 1902 წელს – კათოლიკური. 1904 წელს – სინაგოგა. ქობულეთის რაიონში იყო 6 ბერძნული – მართმადიდებლური ეკლესია, ხოლო ბათუმის რაიონში 3 (ორთაბათუმი, ახალშენი, სოუქსუ).

ბათუმში 3 მეჩეთი ფუნქციონირებდა: აზიზიეს (1863 წლი-

დან), ახმედის (ააშენეს ახმედ ხიმშიაშვილის დაკვეთით), ხის შენობის დანვის შემდეგ ააგეს ქვისა და ენოდა „ორთაჯამე“. „მუფთიეს მეჩეთი ააგეს 1870-1873 წლებში.

გასაბჭოების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ ეკლესია – მონასტრების კონფისკაცია მოახდინა. მათი ნაწილი კულტურულ-საგანმანათლებლო და სახელმწიფო დანესებულებებს გადასცეს. მაგალითად, ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 13 იანვარის დადგენილებით ახალგაზრდობას გადაეცა, სადაც კომკავშირის კლუბი მოეწყო. მორწმუნეებს მთავრობისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. 9 თვის შემდეგ 623 მორწმუნემ თხოვნით მიმართა აჭარის სახკომსაბჭოს ეკლესიის შესახებ. მაგრამ მთავრობამ მორწმუნეთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში დაანგრიეს ალექსანდრე ნეველის სახელობის ქართული მართმადიდებლური, სმეკალოვკის ქრისტიანული ეკლესიები, აზიზიეს და მუფთიეს მეჩეთები. დანარჩენებში სახელმწიფო დანესებულებები განთავსდა. ქრისტიანული სამლოცველოების დახურვისა თუ დანგრევის შემდეგ სასულიერო პირების ნაწილი აჭარიდან საქართველოს სხვა რეგიონებში გადავიდა. XX საუკუნის 20-იან წლებიდან მიმდინარეობდა ეკლესია-მონასტრების მსახურთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა.

აჭარაში საბჭოა ხელისუფლების პირველ წლებში პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები მუსლიმანური რელიგიის მიმართ შემწყნარებლობას იჩენდნენ, რადგან აქაური მუსლიმები ფანატიკურად მორწმუნენი იყვნენ და ასე მარტივად ვერ შეეგუებოდნენ ანტირელიგიურ პოლიტიკას. მოსახლეობის რელიგიური მრწამსი და ფანატიზმი მკაფიოდ გამოვლინდა 1929 წლის აჯანყების დროს, რომელიც მსხვერპლით დამთავრდა. ამ გამოსვლის ერთ-ერთი, ძირითადი მიზეზი რელიგიისა და მასთან დაკავშირებული ადათ-წესების ხელაღებით აკრძალვა იყო.

მართალია, ისტორიულად აჭარის მოსახლეობა ქრისტიანობის მიმდევარი იყო. აქ დაირწო საქართველოში ქრისტიანობის პირველი აკვანი. მაგრამ ოსმალეთის მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ მოსახლეობა გამუსლიმანდა. ოსმალებმა, მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, გაანადგურეს ქრისტიანული მა-

ტერიალური კულტურის ძეგლები. ყველა მსხვილ და საშუალო სოფელში ააგეს მეჩეთები და მედრესეები. აჭარის ახალგაზრდობიდან სტამბოლში მოამზადეს ხოჯები და სხვა სასულიერო პირები. მოსახლეობა იმდენად მორწმუნე გახდა, რომ ძნელად განასხვავებდა ერთმანეთისგან ეროვნებასა და სარწმუნოებას. ამ გარემოებას დიმიტრი ბაქრაძეც ადასტურებს. 1873 წელს გურია-სა და აჭარაში მოგზაურობის შედეგად დ. ბაქრაძე წერდა: „... აჭარლების შეგნება მათ გვარტომობაზე მეტისმეტად აბნეულია ისლამის გავლენით: შეხედულება ამ საკითხზე, ისე როგორც ბევრ სხვა საკითხზე, სარწმუნეობის თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, და ზოგიერთ მათგანს თუ დაარწმუნებ, რომ სარწმუნოება სხვაა და გვარტომობა სხვა...” (დ.ბაქრაძე, 1987:47-48).

რუსეთის მმართველობის დროს აჭარის მოსახლეობის რელიგიურ რწმენაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. გრძელდებოდა მეჩეთებისა და მედრესეს მშენებლობა. რუსეთის მთავრობა მორწმუნეებს არ ებრძოდა. ანალოგიური პოლიტიკა ტარდებოდა მუსლიმების მიმართაც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვითარება შეიცვალა: დაიწყო რელიგიის მსახურთა და მორწმუნეთა დევნა, ეკლესია-მონასტრების ნგრევა, საკულტო შენობების ნაწილი სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადასცეს.

რაც შეეხება მუსლიმანურ რელიგიას, პირველ წლებში მის მიმართ, პოლიტიკური მოტივაციის გამო, შემწყნარებლობას იჩენდნენ. მაგრამ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა ორგანოებმა დაიწყეს შეტევა მუსლიმანური რელიგიის წინააღმდეგაც. მართალია, 1929 წლის აჯანყების შემდეგ მუსლიმანური რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა დროებით შეჩერდა, მაგრამ 30-იან წლებში მუსლიმანური რელიგიის მსახურთა და აღმსარებლების წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერდა, რის შედეგად მეჩეთები და მედრესეები დახურეს, სასულიერო პირებს აუკრძალეს ნირვალოცვა, მოსახლეობას ლოცვა-კურთხევა, ახალგაზრდობას – მეჩეთებში სწავლა. ხელისუფლებამ გასული საუკუნის 20-იან წლების კატაკლიზმებიდან გაკვეთილები ვერ გამოიტანა და 1936-1937 წლებში რეპრესიებით ცდილობდა სასულიერო პირების ალაგმვას, რელიგიური აღმსარებლობიდან ჩამოცილებას, ათეისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ხელისუფლების ანტირელიგიური ღონისძიებების მიუხედავად, სასულიერო პირები და მოსახლეობა მაინც განაგრძობდნენ რელიგიურ აღმსარებლობას. აჭარაში არსებობდა საკმარისი მატერიალური და სულიერი პოტენციალი. მაგალითად 1935-1937 წლებში ხულოს რაიონში მეჩეთებსა და მედრესებს ემსახურებოდა 190 ხოჯა და მოლა. მათ ნაწილს უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა სტამბულში. ქედის რაიონში ითვლებოდა 37 ჯამე და 35 მედრესე. მათ ემსახურებოდა 76 სასულიერო პირი (აქედან 46 იყო მოქმედი, ხოლო 30 გადასახლებიდან დაბრუნებული). ქობულეთის რაიონში 31 მეჩეთი და 6 ეკლესია აღირიცხა, სადაც მსახურობდა 37 ხოჯა-მოლა და 4 მღვდელი. მოქმედი მეჩეთები და მედრესეები იყო ბათუმის რაიონშიც.

კომუნისტური ხელისუფლების ბრძოლა სასულიერო პირებით წინააღმდეგ საპასუხო რეაქციას იწვევდა. მღვდლები და ხოჯა-მოლები სიტყვით იცავდნენ თავიანთ სარწმუნოებას. ცხადია, მათ მორწმუნეებში დიდი გავლენა ჰქონდათ. 1936-1937 წლებში ხელისუფლება ახალ შეტევაზე გადავიდა სასულიერო პირების წინააღმდეგ. დაიწყო ხოჯების, მოლებისა და რელიგიური აღმსარებლების დამუშავება, მაკომპრომეტირებელი მასალების შედგენა. აჭარის შინსახკომის მიერ 1936 წელს შედგენილი სიის მიხედვით ხულოს რაიონში აქტიურ მოქმედად ითვლებოდა 56 ხოჯა, ხოლო ქედის რაიონში – 46. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ხოჯები: **რიზა დავითაძე, ომერ კახაძე, ნური ართმელაძე, ხუსეინ ფუტკარაძე, ილიას შავაძე, ხუსეინ კახაძე, ინუს მგელაძე, ხასან ჯაფარიძე, რამიზ დიასამიძე, ახმედ აბაშიძე, ოსმან რამიშვილი, შირიან მახარაძე, ხუსეინ თავდგირიძე, თევფიყ აბულაძე, ახმედ აბაშიძე (ხულოს რაიონი), ახმედ ბერიძე, ეუბ საკანდელიძე, ოსმან ბერიძე, ხუსეინ შერვაშიძე, ისმაილ ჩიკვაიძე, მუსტაფ ვაშაყმაძე, ნური ჩიკვაიძე** და სხვები (აცსა, ფ. პ-12, ან.2 საქმე 64, ფურც.1; ფ.რ-750, ან.1, საქმე 5, ფურც.92; ფონდი პ-1, ან.4, საქმე 114, ფურც.1-6).

საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის, შესაბამისად საქართველოს და აჭარის 1937 წლის კონსტიტუციებს სასულიერო წოდება მიესალმა. ამასთან დაკავშირებით ხულოს რაიონის შინსახკომის უფროსი **ნ. მატუა** საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის მდინვანს **კ. ქართველიშვილს** მოახსენებდა: მუს-

ლიმანური სასულიერო პირები აღფრთოვანებული არიან ახალი კონსტიტუციით, რადგან უფლება ეძლევათ თავისუფლად აღასრულონ წირვა-ლოცვა, გამოსხატონ თავიანთი აზრი. ნ. მატყა აქვე დასძენს, რომ სასულიერო წოდების ნაწილს ამის არ სჯერაო (აცსა, ფ. პ-12, ან.6, ს.63, ფურც.125).

მოსახლეობას სალოცავად ხოჯები ხულოს რაიონიდან მოგზაურობდნენ ქედის, ბათუმის, ქობულეთისა და ადიგენის რაიონებში. მუსლიმანური სასულიერო პირების საქმიანობა როგორც აჭარაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რბილად რომ ვთქვათ, დადებითად ვერ ჩაითვლება, რადგან იგი ხელს არ უწყობდა ქართველი ხალხის სულიერ ერთიანობას. იგი მუსლიმანურ სამყაროსთან რაღაც უხილავი კავშირის მაჩვენებელი იყო და არაბულ-აღმოსავლური ჩამორჩენილობის განსახიერებას წარმოადგენდა. ამის დასტურია სასულიერო პირების ბრძოლა საერო განათლების წინააღმდეგ, არქაული წეს-ჩვეულებების, კერძოდ ქალების მიერ ჩადრის ტარების დაცვა და მრავალი სხვა.

მუსლიმი სასულიერო პირების წარმომადგენელთა საჯარო თუ კერძო გამონათქვამები საზოგადოების პროგრესული განვითარების საწინააღმდეგო იყო. ხოჯები **რიზა დავითაძე, ხუსეინ ფუტყარაძე, ომერ კახაძე, ილიას შავაძე** და სხვები სახელმწიფო **სკოლებში ბავშვების სწავლის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.** ხოჯები მოუწოდებდნენ მორწმუნეებს: არ მოუსმინოთ კომუნისტებს, მათ არ სწამთ ღმერთი, ასწავლეთ ბავშვები მედრესეებში. ხოჯები მოუწოდებდნენ გლეხებს ებრძოლათ კომუნისტების წინააღმდეგ, გმობდნენ კოლმეურნეობას, მოითხოვდნენ მათ დაშლას, წინასწარმეტყველებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვის შესახებ და სხვა (აცსა, ფ.პ-12, ან.2, საქმე 63, ფურც.63-68). სასულიერო პირების მიმართ წაყენებულ ბრალდებებში ისიც შედიოდა, რომ ხოჯები იღებდნენ შემოწირვებს ლოცვა-კურთხევისათვის, ხელმძღვანელობდნენ მეჩეთებისა და მედრესეების, შადრევნების მშენებლობას, წყალსადენების გაყვანას, საკულტო დაწესებულებების კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს. **მუსლიმანური სასულიერო პირებს ღვთის წინაშე ცოდვად მიაჩნდათ ღვინის დაღვევა, ღორის ხორცის ჭამა, „რუსული ქუდის” ტარება** და სხვა. ხოჯები და მოლეები ყველა ამ არქაული ადათ-წესების დამცველად გამოდიოდნენ. ცხადია, ყოველივე ეს პროგ-

რესისა და ცივილიზაციის სანინალმდეგო იყო, მორწმუნეებს ბნელეთის წყვდიადში ყოფნას ახანგრძლივებდა.

აჭარის მუსლიმანური სასულიერო წოდება იმდენად იყო აღშფოთებული საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკის გამო, რომ სამშობლოს დატოვებას და უცხოეთში თავშესაფრის მოძებნას ცდილობდა. ასეთი სურვილი გამოავლინეს ხოჯებმა: **ომერ რეშიტის ძე კახაძემ, ჯეფერ ისმაილის ძე ართმელაძემ, იზეთ გობაძემ, ისკენდერ ართმელაძემ** და სხვებმა. ხოჯების ნაწილი, დევნის გამო, თურქეთში გადაიხვეწა და სიცოცხლე შეინარჩუნა. ასე მოექცნენ მაგალითად, სკენდერ ცივაძეს (ქობულეთის რაიონი), ოსმან რამიშვილს, რასიყ ივანაძეს (ხულოს რაიონი).

მართალია, მუსლიმანური სასულიერო პირების პროპაგანდა და პრაქტიკული ქმედება საბჭოთა კომუნისტური რეჟიმისათვის მიუღებელი იყო და წინააღმდეგობაში მოდიოდა პროგრასსა და განვითარებასთან, მაგრამ მათი რეპრესირებისათვის რეალური საფუძველი არ არსებობდა, მით უმეტეს, რომ 1936 წლის კონსტიტუცია ყველა მოქალაქეს სიტყვის თავისუფლებას ანიჭებდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მიერ მიერ დეკლარირებული კონსტიტუციური უფლებები არარაობად აქცია.

კომუნისტური ხელისუფლება განსაკუთრებული სისასტიკეს იჩენდა მუსლიმანური სასულიერო პირების მიმართ. **ადამიანებს სჯიდნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხოჯის ოჯახში ქალს გაათხოვებდა, ანდა ხოჯის ასულს ცოლად შეირთავდა.** მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომმა კომუნისტური პარტიიდან გარიცხა ხასან ალის ძე აბულაძე იმ მიზეზით, რომ ხოჯის შვილზე დაქორწინდა. ხოჯის შვილს, თუ იგი კომუნისტი იყო, მამასთან ერთად ცხოვრებას უკრძალავდნენ. მაგალითად, ქედის რაიონის მუშათა და გლეხთა ინსპექციის პრეზიდიუმმა 1933 წლის 22 მარტს საყვედური გამოუცხადა პარტიის წევრობის კანდიდატს არსენ ვაშაყმაძეს (სოფელი ძენწმანი), იმის გამო, რომ მამა ხოჯა იყო და შვილი მასთან ერთჭერქვეშ ცხოვრობდა. მანამდე საკითხი განიხილა საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის ბიურომ და **არსენ ვაშაყმაძე აიძულა მამას, როგორც ხოჯას გამოყოფოდა და სხვა სოფელში გადასახლებულიყო**, მაგრამ სახლის აგება ვერ შეძლო. სა-

ქართველოს კომპარტიის ხულოს რაიოკომის ბიურომ 1935 წლის 18 ნოემბერს საყვედური გამოუცხადა სასტიკი გაფრთხილებით ოსმან ხულუსის ძე ჯაყელს იმის გამო, რომ ერთჭერქვეშ ცხოვრობდა მამასთან, როგორც სასულიერო პირთან (მოლა) და „ხმა ჩამორთმეულთან“. თუმცა იგი ცალკე ოთახში ათევდა ღამეს. რაიკომის ბიუროს დადგენილებით ოსმან ჯაყელი მოხსნეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობიდან, რადგან ცხოვრობდა მამასთან ერთ სახლში (აცსა, ფ.პ-8, ან.1, საქმე 17⁽²⁾, ფურც.21; საქმე 42, ფურც.1-4; ფონდი პ-12, ან.26, საქმე 2158, ფურც.2).

აჭარაში თითქმის არ დარჩენილა სასულიერო პირი, რომელსაც რეპრესია არ განეცადა. 1937-1940 წლებში მუსლიმანური სასულიერო პირების აბსოლუტური უმრავლესობა დააპატიმრეს, აწამეს, ნაწილი ბათუმში დახვრიტეს. დანარჩენები დაიღუპნენ საპატიმროებსა და შორეულ გადასახლებაში.

სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის სასულიერო პირთა წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები ტიპიური იყო: **ღვთის სამსახური, რელიგიური აღმსარებლობა, შემოწირულობათა მიღება, ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას.** სასულიერო პირები ითვლებოდნენ „**სოციალურად მავნე**“ და „**პოლიტიკურად საშიშ**“ პირებად. სასულიერო პირების წინააღმდეგ გამოიყენებოდა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები: საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის მოწოდების, ჯაშუშობის, შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ბრალდებების შემთხვევაში.

კომუნისტური რეჟიმის ანტირელიგიური პოლიტიკისა და ქმედების გამო სასულიერო პირები საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი. ისინი პროპაგანდას ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების გარდაუვალი დაღუპვის შესახებ. ზოგიერთი სასულიერო პირი საჯაროდ გამოხატავდა თავის პოზიციას, რაც მათი კომპრომეტირებისა და რეპრესიების საფუძვლად იქცა.

ილიას შაქირის ძე შავაძე რიყეთის სასოფლო საბჭოს სოფელ ბელღეთიდან იყო. დაიბადა 1865 წელს. უმაღლესი სასულიერო განათლება სტამბოლში მიიღო. მონაწილეობდა 1929 წლის

აჯანებაში. ამკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. შინსახკომის მიერ შეკრებილი მაკომპრომეტირებული ცნობების მიხედვით ი. შავაძე ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, წინასწარმეტყველებდა საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვას. ცხადია, ამ შინაარსის ანტისაბჭოთა ქადაგება სახელმწიფო პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ეს არ ყოფილა პრაქტიკული ქმედება. სიტყვის გამოხატვის უფლება 1936 წლის კონსტიტუციით აღიარებული იყო. მიუხედავად ამისა, ილიას შაქირის ძე შავაძე ბათუმში დახვრიტეს 1927 წელს.

ნური მეჯიდის ძე ართმელაძე დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ ბელეთში 1892 წელს. უმაღლესი სასულიერო განათლება სტამბოლში ჰქონდა მიღებული. თავისუფლად ფლობდა არაბულ, თურქულ და ქართულ ენებს. იყო ფანატიკოსი მუსლიმი. 1929 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის 5 წლით გადაასახლეს, დაბრუნდა 1934 წელს და განაგრძო რელიგიური სამსახური. ნ. ართმელაძე ამკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების ათეისტური პოლიტიკის გამო. იგი 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.

1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ხოჯა ომერ რეშიტის ძე კახაძე, დაბადებული 1867 წელს ხულოს რაიონის რიყეთის სასოფლო საბჭოს სოფელ ბელეთში. იგი რელიგიურ საქმიანობას ეწეოდა როგორც ხულოს, ისე ადიგენის რაიონებში. ხულოს რაიონში დევნის გამო ადიგენში გადავიდა, მაგრამ იქაც დევნიდნენ. იგი საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე ოცნებობდა და მორწმუნეებთან ქადაგებისას ამკარად გამოხატავდა თავის პოზიციას (აცსა, ფ. პ-1, ან.2, საქმე 55, ფურც.81-82; საქმე 63, ფურც.63-65)

შირინ მურადის ძე მახარაძე ყინჩაურის სასოფლო საბჭოს სოფელ ძმაგულში დაიბადა 1875 წელს. თურქეთში დაამთავრა უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. 1929-1933 წლებში გადასახლებაში იმყოფებოდა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის გამო. 1937 წელს დააპატიმრეს და ბათუმში დახვრიტეს. მოტივაცია იყო აქტიური რელიგიური საქმიანობა.

რიზა ეუბის ძე დავითაძე (1864-1937) უმაღლესი სასულიერო განათლებით, ხულოს რაიონის სოფელ ტბეთის მეჩეთში მსახურობდა. შინსახკომის ოპერატიული ცნობით, მედრესეში ას-

წავლიდა 60 ბავშვს. ბავშვები მედრესეს შემდეგ სკოლაში სწავლობდნენ. რ. დავითაძე ღვინის დაღვევისა და რუსული ქუდის ტარების წინააღმდეგ გამოდიოდა. ხულოს რაიონის შინსახკომის ოპერატიული მუშაკების ცნობით რ. დავითაძემ ტბეთის მეჩეთში ბაირამის დღესასწაულზე მისულ ქალებს განუცხადა: **„იმ პირებისათვის, რომლებიც იხურავენ რუსულ ქუდს და სვამენ ღვინოს, ხელის ჩამორთმევა და სალამის მიცემა არ შეიძლება და ცოდვია. ღვინის წვეთი, რომ ბალახს დაეცეს და ბალახი ძროხამ შეჭამოს, მისი რძე არ დაიღვევ“** (აცსა, ფ.პ-12, ან.2, საქ.ე 63, ფურც.52-53; ან.26, საქმე 2140, ფურც.5-6). ასეთ ქადაგებას ყველა სასულიერო პირი ეწეოდა. რ. დავითაძის ხელმძღვანელობით ტბეთში გაარემონტეს მეჩეთი. მან ქალების ნაწილი ჩააბარე რელიგიურ აღმსარებლობაში. ამ ბრალდებით რიზა დავითაძე შინსახკომმა დააპატიმრა. საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით მას დახვრეტა მიუსაჯეს. იგი დახვრიტეს ბათუმში 1937 წლის 30 ოქტომბერს (სგეა, 2001:34).

ხოჯა **ხასან ჯაფარიძე** ხულოს რაიონის სოფელ ტბეთის მაცხოვრებელი იყო. იგი დაიბადა 1894 წელს. უმაღლესი სასულიერო განათლება მიღებული ჰქონდა სტამბოლში. რელიგიური საქმიანობისათვის 1937 წელს დააპატიმრეს, გადაასახლეს ურალში. ნანამები გარდაიცვალა ქალაქ სვერლოვსკში 1942 წელს.

გოგაძეებელი ხოჯა **ოსმან ბარათლის ძე თურმანიძე** რელიგიურ საქმიანობას ეწეოდა თავის მშობლიურ სოფელში. მას სასულიერო განათლება მიღებული ჰქონდა ღორჯომის (ხულოს რაიონი) სასულიერო სასწავლებელში. მას ბრალად ედებოდა ბავშვებისათვის საერო სკოლაში სწავლის აკრძალვა. 1937 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს. 1940 წელს პატიმრობიდან გაათავისფულეს ბრალდების უსაფუძვლობის გამო. დაბრუნდა მშობლიურ სოფელში, მაგრამ ხულოს რაიონის შინსახკომმა ძიება განაახლა. შინსახკომის განყოფილებაში მოხდა დაპირისპირება ოსმან თურმანიძესა და აგენტებს შორის. ოსმან თურმანიძე მეორედ დააპატიმრეს და გადაასახლეს კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სასჯელს იხდიდა ქალაქ ყელეზდნი-გოროდში, სადაც 1943 წელს გარდაიცვალა. აჭარის უმაღლესი სასამარ-

თლოს 1959 წლის დადგენილებით ოსმან ბარათაღის ძე თურმანიძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არ არსებობის გამო.

XX საუკუნის 30-იან წლებში ხულოს რაიონის სოფელ ჯაბნიძეებში აქტიური მოქმედი ხოჯები იყვნენ: **იდრის რეჯების ძე ზოსიძე (სტამბოლოლი), დურსუნ ზაბითის ძე მუკუტაძე (უსტიოლი), რასიყ ოსმანის ძე ივანაძე, ხუსეინ მემედის ძე აბუსელიძე.** ისინი მეზობელი სოფლების მორწმუნეებსაც ემსახურებოდნენ: მაგალითად, დურსუნ მუკუტაძე ემსახურებოდა დღვანის მეჩეთს, იდრის ზოსიძე-ჩანჩხალოს მეჩეთს. რელიგიური აღმსარებლების და ანტისაბჭოთა გამონათქვამების გამო ხოჯები ხუსეინ აბუსელიძე და იდრის ზოსიძე დააპატიმრეს. 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს იდრის რეჯების ძე ზოსიძე. იგი დაბადებულია 1877 წელს. უმაღლესი სასულიერო განათლება მიღებული ჰქონდა სტამბოლში და აქტიური მოქმედი ხოჯა იყო. ხუსეინ მემედის ძე აბუსელიძე 10 წლით გადაასახლეს ციმბირში და იქ ტანჯვა-წამებით დაასრულა სიცოცხლე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხოჯა რასიყ ოსმანის ძე ივანაძე თავშესაფრის მიზნით თურქეთში გადავიდა და დაპატიმრება-დახვრეტას გადაურჩა. ამჟამად იდრის რეჯების ძე ზოსიძე და ხუსეინ მემედის ძე აბუსელიძე რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო. ხოლო ხოჯები დურსუნ ზაბითის ძე მუკუტაძე და ხუსეინ თავდგირიძე დაპატიმრებას შემთხვევით გადაურჩნენ.

მუსლიმანური რელიგიის პროპაგანდით გამოირჩეოდა ხულოს მეჩეთის ხოჯა **ინუს იუსუფის ძე გელაძე.** მას ბრალად წაუყენეს შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობა. ამ ყალბი ბრალდებით საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 19 აგვისტოს დადგენილებით ბათუმში დახვრიტეს.

ამავე ბრალდებით 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ხულოს რაიონის სოფელ ვაშაყმაძელი ხოჯა **დაუდ რეჯების ძე ადაძე,** რომელიც დაპატიმრებისას 87 წლის იყო (დაბადებულია 1850 წელს). 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ხულოს რაიონის სოფელ ბელღეთის ხოჯა **ილიას შაქირის ძე შავაძე,** რომელიც დაპატიმრებისას 68 წლის იყო (სგე, 2001:28; სრულიად არასაიდუმლოდ, 1997, №7, გვ.19; №8, გვ.17).

1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ხულოს რაიონის სოფელ სამოლეთის სამი ხოჯა: **შაქირ გამრეკელიძე, ილიას ბერიძე, სუ-**

ლემან ბერიძე. მათ უმაღლესი სასულიერო განათლება მიღებული ჰქონდათ სტამბოლში. ისინი ხელისუფლების მიმართ აგრესიულობით არ გამოირჩეოდნენ, მხოლოდ წირვა-ლოცვას ეწეოდნენ, ღვთის სამსახურში იდგნენ. მაგალითად, შაქირ ოსმანის ძე გამრეკელიძეს, მართალია უმაღლესი სასულიერო განათლება სტამბოლში ჰქონდა მიღებული, ფანატიკოსი მორწმუნე იყო, მაგრამ საქართველოს სიყვარულით სულდგმულობდა. იგი შვილებს არ უკრძალავდა ღვინის დაღვევას, არ შეუქმნია დაბრკოლება მათთვის შესულიყვნენ კომპარტიის რიგებში და ემსახურათ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

შ. გამრეკელიძის წინააღმდეგ შეთხზული ძირითადი ბრალდება რელიგიური აღმსარებლობა იყო. იგი სასულიერო საქმიანობას ეწეოდა უჩამბის ცენტრალურ მეჩეთში. შინსახკომის მუშაკების ოპერატიული ცნობით, შ. გამრეკელიძემ მეჩეთში დალოცა გლეხი ჯალაიჯოლი (გოვაძეებიდან), რომ ვაჟიშვილი შეძენოდა. ასევე აკურთხა ბექირ ბერიძე (ნაბლანიდან), რომ ვაჟიშვილი გაჩენოდა. ბ. ბერიძეს სამი ქალიშვილი ჰყავდა და ვაჟიშვილის გაჩენის სურვილი გააჩნდა. ამ კურთხევისათვის მეჩეთს შეწირეს ნობი და ფული. ამასთან შ. გამრეკელიძემ ცოდვის მონანიების მიზნით, მეჩეთში აკურთხა ვინმე გლეხი, რომლსაც ბათუმში ტაფა ჰქონდა მოპარული (აცსა, ფ. პ-12, ან.26, საქმე 2140, ფურც. 4-6). სულემან მუხამედის ძე ბერიძე (ჩილაბდოლი) 9 წლის განავლობაში სწავლობდა სტამბოლში, სასულიერო განათლებასთან ერთად მიიღო სამოქალაქო ცოდნა გეოგრაფიასა და ასტრონომიაში. ხშირად, ისლამის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა სამყაროს შესახებ. ს. ბერიძე რელიგიურ აღმსარებლობას ეწეოდა უჩამბისა და დღვანის მეჩეთებში. იგი კარგად ფლობდა არაბულ, თურქულ და ქართულ ენებს. გასული საუკუნის 20-იან წლებში თურქულ ენას ასწავლიდა სამოლეთის დაწყებით სკოლაში.

ილიას ხასანის ძე ბერიძე (ჩიტოლი), უმაღლესი სასულიერო განათლების მიუხედავად, მეჩეთებში ლოცვებს აღარ ასწავლიდა. მან ვაჭრობას მოკიდა ხელი. სოფელში პატარა სავაჭრო წერტი გახსნა და წვრილმანი საოჯახო საქონლით ვაჭრობდა, რომელიც თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან შემოჰქონდა. ილიას ხასანის ძე ბერიძე რეპრესირებული იყო როგორც სასულიერო პირი და ვაჭარი.

1937 წელს ბათუმში დახვრიტეს უჩამბის საკრებულის სოფელ ნაბლანის მცხოვრები სასულიერო პირი (მოლა) **ბექირ შაჰის ძე ბერიძე**. დაპატიმრების შემდეგ უგზო-უკვალოდ გააჭერენ ამავე საკრებულოს სოფელ ცინარეთის ორი ხოჯა: **ხასან ცინარიძე და რამიზ დაისამიძე**.

1939 წელს დააპატიმრეს ნაბლანის სასულიერო პირი (ხოჯა) **სულიმან შაქირის ძე ბერიძე** და სამოლეთელი მოლა **სულია ახმედის ძე თურმანიძე**, რომელიც შინ აღარ დაბრუნებულა. მას ბრალი ედებოდა სამოლეთის მეჩეთის მინარეთიდან დილაადრიანად ლოცვის ხმამაღლა კითხვაში.

ხიხაძირის სასოფლოს საბჭოში 7 მოქმედი სასულიერო პირიდან 1937-1938 წლებში დახვრიტეს 5 ხოჯა: **ხუსეინ ბესირის ძე შაინიძე, თევფიყ ქემალის ძე აბულაძე, აბდულ მუსტაფის ძე დუაძე, ასლან არიფის ძე ბერიძე, თევფიყ სეულემიანის ძე ჯუმუშაძე**; 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს აგრეთვე ხულის რაიონის სოფელ ნიგაზეულის ხოჯა **ახმედ დურსუნის ძე აბაშიძე, ყინჩაურიდან – შირინ დურსუნის ძე მახარაძე, ბელეთიდან (რიყეთის სასოფლო საბჭო) – ომერ რაშიდის ძე კახაძე, ნური მეჯიდის ძე ართმელაძე, ილიას შაქირის ძე შავაძე, დარჩიძეებიდან – მევლუდ დურსუნის ძე ფუტკარაძე, ჭვანიდან – მემედ ტარიელაძე, ალი ქარცივაძე და სხვები**. აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირებს განსაკუთრებული სისასტიკით აწამებდნენ. მაგალითად, ხოჯა ახმედ არიფის ძე ბერიძე (სოფელი ხიხაძირი). 1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს და საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 19 აგვისტოს დადგენილებით სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს. დახვრიტეს 11 თვის წამების შემდეგ (1938 წლის 26 ივლისს) (სგრე, 2001:19).

ქედის რაიონიდან რეპრესიები განიცადა სასულიერო პირების უმრავლესობამ. ბრალდებულები თითქმის ერთი და იგივე იყო: „სოციალურად მავნე ელემენტი“ და „პოლიტიკურად საშიში“. ამ ბრალდებით 1937-1938 წლებში დახვრიტეს **ეუბ მემედის ძე საკანდელიძე (სოფელი მერისი – ორთამელე), ახმედ ოსმანის ძე ბერიძე (ჯალაბაშვილები), მევლუდ ხასანის ძე არძენაძე (არძენაშვილები), ახმედ სალიხის ძე მიქელაძე (ორცვა), მუსტაფა ალიშანის ძე ვაშაყმაძე (ძენწმანი), ახმედ სალიხის ძე ბერიძე (სალიბაური), ისმაილ არიფის ძე ჩხიკვაძე, ხუსეინ**

შერვაშიძე (ალიქოლღები) და სხვები. ხოჯების ნაწილი სასტიკი წამების შემდეგ გადაასახლეს და აღარ დაბრუნებულან.

ალიქოლღებელი **ხოჯა ხუსეინ დურსუნის ძე შერვაშიძე** ბეგების გვარს არ ეკუთვნოდა. იგი სოციალური წარმოშობით გლეხი იყო. სასულიერო განათლება სტამბოლში მიიღო. ხუსეინ შერვაშიძე ემსახურებოდა ალიქოლღების მეჩეთს. მორწმუნეებში იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. შინსახკომმა დააპატიმრა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ბრალდებით. დაპატიმრების შემდეგ იგი შინ აღარ დაბრუნებულა. ხუსეინ შერვაშიძე პატიმრობაში დაიღუპა.

1937 წელს შინსახკომმა დააპატიმრა სოფელ გობრონეთის ხოჯა **ყადირ ისმაილის ძე ბოლქვაძე**. სამეულის დადგენილებით 10 წლით გადაასახლეს ურალში, სვერდლოვსკის საპატიმროში, სადაც 4 წლის შემდეგ გარდაიცვალა (შვილიშვილის მევლედ ბოლქვაძის მოგონება, ჩავინერეთ 2014 წლის 29 აპრილს). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1938 წლის 30 აპრილის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს სასულიერო პირს **მევლედ თერჯანის ძე ბერიძეს** საბჭოთა ხელისუფლებიცი წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით. მევლედ თერჯანის ძე ბერიძე გარდაიცვალა საპატიმროში 1939 წლის 27 მარტს (სგრე, 2001:99).

ქობულეთის რაიონიდან 1937-1938 წლებში რეპრესირებული იყო არაერთი სასულიერო პირი. 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ჭახათის სასოფლო საბჭოს ხოჯა **ოსმან ხასანის ძე ტაკიძე**, რომელიც მაშინ 70 წლისა იყო. ამავე წელს ბათუმში დახვრიტეს ქობულეთის რაიონში მოქმედი ხოჯები: **ქემალ მემედის ძე ვერულიძე, 76 წლისა; მემედ სელიმის ძე ცეცხლაძე, 67 წლის; თემურ არიფის ძე თამაზაშვილი, დაბადებული 1870 წელს (67 წლის), მევლედ ესედის ძე შავაძე, მურად ახმედის ძე კაიკაციშვილი (დაბადებული 1893 წელს) და სხვები.**

რაც შეეხება ქრისტიან სასულიერო პირებს, აჭარაში **XX საუკუნის 20-30-იან წლების მიჯნაზე 18 მღვდელი** აღრიცხა. 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ჩაქვის სასოფლო საბჭოს მღვდელი **კონსტანტინე ქრისტოფორეს ძე პოპანდოპულო**, ხოლო დიაკონ **გიორგი ივანეს ძე პოლოტოვს** საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის

აგვისტოს დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ასეთივე ბედი ეწია მღვდელ **ბენიამინ ლლონტს** (სგეა, 2001:66; სა, 1999, №10, გვ.18).

სასულიერო პირების წამების, გადასახლება-დახვრეტის შესახებ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. აღსანიშნავია, რომ თითქმის არ დარჩენილა სასულიერო პირი, რომელსაც საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის რისხვა თავს არ დასტეხოდა. ამდენად, მოყვანილი მასალები შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს კომუნისტური რეჟიმის მიერ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების, ხასიათისა და მასშტაბის შეფასებისა და დასკვნების გამოტანისათვის. მთელი საზოგადოების, მათ შორის ინტელიგენციისა და სასულიერო წოდების რესპრესიებით საბოლოოდ დასამარდა რწმენა საბჭოთა სოციალისტური სისტემის სამართლიანობის შესახებ. კომუნისტური რეჟიმი ვეღარ შეძლებდა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისათვის ბრძოლის წარმატებით განხორციელებას. ამკარად ჩანდა, რომ ხელისუფლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელება მხოლოდ ძალადობით, შანტაჟისა და ადმინისტრაციული-მბრძანებლური მეთოდების გამოყენებით იყო შესაძლებელი. ამ მეთოდებით კი ქვეყნის მართვა დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ცენტრალური სახელმინფო არქივი (აცსა), ფონდი (ფ), რ-2, ანაწერი (ან.) 1, საქმე (ს.) 186;
2. აცსა ფ.პ-1, ან.14, სს(საქმეში) 106, 110, 114, 591;
3. აცსა, ფ. პ-8, ან.1, სს.17,42;
4. აცსა, ფ.პ-12, ან.2, სს.55,63,64;
5. აცსა, ფ.პ-12, ან.26, სს.2140, 2158;
6. აცსა, ფ.რ-750, ან.1, ს.5;
7. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი 1987 (დ.შაქრაძე);
8. სისხლიანი გრიგალის ექო, აჭარა, თვლისი, 2001 (სგეა);
9. გაზეთი სრულიად არასაიდუმლოდ №7, 8 (გაზეთი სა);
10. გაზეთი სრულიად არასაიდუმლოდ (სა), 1999, №10.

Otar Turmanidze

*Soviet government religious policy and repression
of clergymen rank in Ajara*

Summary

Georgia, in particular in Ajara were living Christians (Orthodox, Catholics, Grigorians), Muslims (Sunni, Shiites), the followers of Judaism and others. Soviet authorities fought against all religious movements. The article, based on archival materials are characterized by brutal repressive religious policies carried out by the Soviet government.

ეთერ ქავთარაძე

დიმიტრი ბაქრაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დიმიტრი ბაქრაძის არქივში (N 151) დაცულია მისი ტაო-კლარჯეთის ექსპედიციის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი, რომელიც წარმოადგენს პირად წერილს მარი ბროსესთან. ამ წერილ-ანგარიშში გამოკვეთილია ძირითადი დაკვირვებები და დასკვნები, რომლებიც შეეხო იმ მხარეებს, სადაც მეცნიერმა იმოგზაურა. კერძოდ, ლოკალიზებულია ქართული ენის გავრცელების არეალი; ნაჩვენებია, თუ რა ძლიერი იყო ართვინის მხარეში ქართული ელემენტი; გადმოცემულია მხარის ეთნოგრაფიული და ეთნოლოგიური თავისებურებანი, რომლებიც ქართულ ყოფას უკავშირდება.

პეტერბურგში გაგზავნილ დიმიტრი ბაქრაძის წერილ-ანგარიშში კარგად არის ნაჩვენები მისი მეცნიერული კვლევის უნარი. შედეგად, ქართველოლოგიის ყველა სფეროსთვის მოიპოვება წყაროდ მისაჩნევი ინფორმაციები.

ეს ანგარიში დიმიტრი ბაქრაძემ თავის დროზე წაიკითხა პეტერბურგში და დაიბეჭდა კიდევ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეში“. ახლად მოპოვებული მასალა საინტერესოა იმით, რომ შეიცავს დამატებით ინფორმაციებს ექსპედიციის შესახებ. რუსულ ენაზე შედგენილი წერილ-ანგარიში თარგმნილია ჩვენ მიერ. მკითხველს ვთავაზობ წერილ-ანგარიშის სრულ ტექსტს:

„გასული წლის ნოემბერში ბათუმის ოლქის შემოვლა მოვასწარი, ესე იგი, გავიარე მთელი აჭარა, ჩურუკსუთი გადავედი შავშეთში. მოვინახულე არტანუჯი და ართვინი და მდინარე ჭოროხით ისევ ბათუმში დავბრუნდი. ამ ზაფხულს განზრახული მაქვს ახალი ექსკურსიის მოწყობა ჩვენს დანარჩენ ტერიტორიებზე, მტკვრის სათავეებსა და ჭოროხის აუზში. ვიმედოვნებ მივალწით თვით ბაიბურთამდე. ეს მხარეები მრავალი თვალსაზრისით აღმოჩნდა საინტერესო. ჩემი ბოლოდროინდელი ნაშრომით აჭარა თქვენთვის ნაცნობია. შარშან ჩემ მიერ მოვლილი ადგილებიდან მხოლოდ შავშეთი მდებარეობს ზეგანზე და, შესაბამისად, იძლე-

ვა ხორბლის უხვ მარცვალსა და ზომიერი სარტყლისთვის დამახასიათებელ პროდუქტს. დანარჩენი მთლიანად მთაგორიანი და აუთვისებელია. არტანუჯი და ართვინი ისეთ დაქანებულ ფერდობებზეა განლაგებული, რომ გიკვირს, როგორ შეძლეს იქ ქალაქების განვითარება. იქაური ხეობებიდან მხოლოდ ერთში, იმერხევშია შემონახული ვაზის ქართლ-კახური მეთოდით მოშენება. „Гвердский“-თ სახელდებული ყურძენი მთელს იმერხევში ხარობს. არტანუჯელი და ართვინელი ქრისტიანების მიერ ამ ყურძენისგან დაწურული ღვინო ძალიან გემრიელია. ართვინის მიდამოები განსაკუთრებით ცნობილია ზეთისხილის კორომებით, რომელიც როგორც ვფიქრობ, წარსული საუკუნეების ქართველი ბერ-მონაზვნების მიერაა გაშენებული...

ამ მხარის თითქმის მთელი მოსახლეობა ქართული ელემენტისაგან შედგება. გარეგნული იერიითა და ცხოვრების წესით აქაური მკვიდრნი არსებითად სუფთა ქართველები არიან. ახალციხის მაზრის ახლომდებარე ადგილებში ისინი გვანან ქართლებს, ქვემო გურულებს, იმერლებს. ამ მხარეში შენარჩუნებული ქართული ენა კი წარმოადგენს იმერულ კილოკავს სხვადასხვა ელფერით. ქართული ენა სრულადაა დაცული მთელ იმერხევის ხეობაში, შავშეთის ზემოთ და აჭარის მიმდებარე ნაწილებში. შემდეგ ის იკარგება, შავშეთის დაბლობში; თუმცა სუსტად, მაგრამ ისევ გამოჩნდება გურჯი ბოლაზის სახელით ცნობილი ხეობის არტანუჯის მხარის საზღვრებთან, იმერხევის მახლობლად, შემდეგ არა ართვინამდე და არა არტაანამდე, მაგრამ ისევ ვრცელდება ართვინის ქვემოთ და დომინირებს ჭოროხის მთელი დინების არეში – ბორჩხაში, მურლულში, მაჭახელაში, მარადიდში და თითქმის ბათუმამდე.

აღსანიშნავია, რომ არტანუჯის და ართვინის მხარის, ეგრეთ წოდებული, სომეხი კათოლიკეების აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც ჩანს, ქართულ ელემენტს მიეკუთვნება. რელიგიური კულტის გავლენით კათოლიკე სომეხებმა დაკარგეს მშობლიური ენა. ახლანდელი მათი სომეხური ენა ისეა გაჯერებული ქართული ლექსიკით, რომ მას სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა სომეხურ-ქართულს. იქ მომუშავე თბილისელი სომეხები ამბობენ, რომ ვერ შეძლებდნენ ამ კათოლიკეების ენის გაგებას, ქართული რომ არ სცოდნოდათ. თავად სომეხური ელემენტი უმნიშვნელოა მათს ენა-

ში. როგორც ირწმუნებიან, ეს თემი ანიდან და ერზერუმიდან არის გადმოსახლებული. გარდა ამისა, მურღულის ორ ხეობაში აღმოჩნდა ლაზური ელემენტი ადრევე აქ გადმოსახლებული ლაზების გავლენით. მე აქ მოვასწარი შემექმნა მეგრული, ხოფურ-არქაბული და ათინური კილოკავების შედარებითი ლექსიკონი. როგორც ირწმუნებიან, ათინური განსაკუთრებით იხრება მისი მსგავსი მეგრული და ხოფურ-არქაბულისაგან. ლექსიკონის შედგენას მივუძღვეთ ამ ენების უმთავრესი შედარებით – გრამატიკული ფორმების გათვალისწინებით. თბილისში მოულოდნელი გამგზავრების გამო იძულებული გავხდი მუშაობა შემეწყვიტა. ბათუმში დაბრუნებისთანავე მას დავასრულე. შემდეგ, იმედი მაქვს, ბათუმიდანვე გავუგზავნი მეცნიერებათა აკადემიას ჩემი მოგზაურობის მოკლე ანგარიშს, ანგარიშს, რომელშიც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება არქეოლოგიას¹ მიექცევა. ბათუმის ოლქში ჩემ მიერ შეგროვებული არქეოლოგიური ჩანაწერები, მართალია, ბევრი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ძალზე ღირებულია. ძველი ქართული აქტები იქ დაკარგულია. როგორც ამბობენ, ეს მასალა თურქეთის მთავრობამ წაიღო და კონსტანტინოპოლში ერთ-ერთი სამინისტროს არქივს ჩააბარა. აღმოჩნდა მხოლოდ თურქი სულთანების ძველი ფირმანები. მე ასეთი ხუთი ფირმანი მაქვს. მათგან ერთი 237 ფურცელს შეიცავს, მეორე – 269, მესამე კი – 285 ფურცელს. ისინი შესრულებულია ლამაზი ხელით და დახვეწილი გაფორმებით, მაგრამ მისი ამოკითხვა მთელ მხარეში ვერავინ შეძლო. მარწმუნებ-დნენ, რომ ამ ფირმანებს თბილისშიაც ვერ წაიკითხავდნენ. ამიტომ სათარ-გმნელად მათი მეცნიერებათა აკადემიაში გადაგზავნა გადავწყვიტე. ბათუმში აღმოჩნდა ერთი მეცნიერი, თურქეთელი ქართველი, რომელმაც ხელი მოკიდა მის ამოკითხვას. მას უკვე გადავეცი ტექსტი.

ჩემი ბათუმში ყოფნის დროს საფლავის ქვების წარწერების მიხედვით შევადგინე ათაბაგების გენეალოგია როსტომ ფაშათი დაწყებული (1659 წ. ჩემი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-სა და აჭარაში“, გვ. 196). ათაბაგების შთამომავლები ახლა ორ, ართვინისა და ოლთისის მხარეებში ცხოვრობენ. ართვინში ორი ქართული სახარება ინახება. ერთი, 1241 წლით დათარიღებული,

¹ ამ ტერმინს აქ და წერილში ყველგან ხმარობს არქეოგრაფიის მნიშვნელობით.

ქალაქებზე შესრულებული ხელნაწერი სომხურ კათოლიკურ ეკლესიაშია დაცული, მეორე – უთარილო, პერგამენტზე შესრულებული სახარება კი – სომხურ გრიგორიანულ ეკლესიაში. ეს უკანასკნელი ხელის და ბრწყინვალედ შესრულებული მინიატიურების გათვალისწინებით შეიძლება XI-XII საუკუნეებს მივაკუთვნოთ. პირველი ხელნაწერი პარხლის მონასტრის კუთვნილებაა და კავკასიელების გვარის წარმომადგენელთა პირადი მინაწერები აქვს. კავკასიელები პარხლის მონასტრის მეპატრონეები იყვნენ. მეორე ხელნაწერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდიდრული ემალის მოჭედილობით, რომელზეც ფილიგრანულადაა ამოტვიფრული ჯვარცმა, ღვთის-მშობელი, იოანე ღვთისმეტყველი, ორი ანგელოზი და მხსნელის სახე ჯვარზე. ხელნაწერის წარმომავლობა უცნობია. მისი ერთი მინაწერის საშუალებით ვასკვნი, რომ ის წარმოადგენდა იშხნის საეპისკოპოსო კათედრის კუთვნილებას. ამ მინაწერში ნათქვამია: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე იშხნის არქიეპისკოპოსი მაკარი. ქრისტეს მოსვლიდან 1650 წელი და ადამის მოსვლიდან 7254“.

დავტკბი ართვინის მხარის ძველი ტაძრებით, ტბებით ზემო შავშეთში, ოპიზით იმერხევის ხეობაში, ლოდისყანით⁶⁵ ართვინის ახლო და ანჩით გურჯი ბოლაზის ხეობაში. ანჩა თითქმის მთლიანად დანგრეულია და მისი მშენებელი ორნამენტებიანი ქვებით აშენებულია სოფელ ანჩის მეჩეთი. ანჩის წარწერები არ შემონახულა.

თქვენ, რა თქმა უნდა, ნახავდით ოპიზის და დოდისყანის ერმაკოვისეულ ფოტოებს. სამწუხაროდ, არ გვაქვს ტბეთის ფოტოები. მაგრამ, ვიმედოვნებ, თბილისში არქეოლოგიური ყრილობის ჩატარებამდე ის გვექნება. ტბეთი იმსახურებს, რომ ის გამოცდილმა ფოტოგრაფმა გადაიღოს და არა მხოლოდ ერთი ხედი, არამედ მისი ყოველი დეტალი. ტბეთის ორნამენტები მრავალფეროვანია და ისეთი დახვეწილი, რომ, ვფიქრობ, არ ჩამოუვარდება ამ ტიპის საუკეთესო ქართულ ორნამენტებს.

საერთოდ, სტილის მიხედვით ტბეთი ოპიზისა და ლოდისყანის შემდეგდროინდელია. სამწუხაროდ, [ტაძრის] შიგნით ბოძზე მაშენებლის ბარელიეფზე, რომელსაც ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს, წრეზე შესრულებული რელიეფური წარწერა ისეა გადაშლილი, მისი გარჩევა შეუძლებელია. ჩრდილოეთის ფასადის

გარე წარწერა ნახევრად ჩამოშლილია. წარწერა სრული მხოლოდ სამრეკლოს გვიანდელ მინაშენშია. ამ წარწერის მიხედვით, სამრეკლო აშენებულია ათაბაგ მზეჭაბუკის მიერ (XV ს.). ოპიზაში ძველი ნაგებობებიდან ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მონაზვნების სენაკები. თლილი ქვით ნაშენებ ერთ-ერთ თაღში სატრაპეზოში მაშენებლის აშოტ კურაპალატის (X ს.) ფრესკაზე ამოკვეთილია: „ამ დარბაზებს მე, აშოტი, ვაშენებდი 4 წელი“.

უფრო მეტი წარწერები მოვიპოვე ლოდისყანიდან. წარწერებში მოხსენიებულია თქვენთვის უკვე ცნობილი მეფე სუმბატი (X ს.).

დასასრულ, უნდა შევნიშნო, რომ, ნანგრევების გამორჩევით მასიური ქვებით თუ ვიმსჯელებთ, არტანუჯის ეკლესია ერთ-ერთი შესანიშნავი ნაგებობათაგანი ყოფილა, მაგრამ წარწერები არ შემორჩა. ართვინში ვერანაირი კვალი ვიპოვე, რომელიც მიანიშნებდა იქ არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო ქართული ტაძრების არსებობაზე. საერთოდაც, ართვინი ძველი ქართული ქრონიკებითაც ნაკლებადაა ცნობილი...“

[1879]

გამოყენებული წყარო

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დიმიტრი ბაქრაძის არქივი, № 151

Eter Kavtaradze

Dimitry Bakradze epistolary heritage and South-west Georgia Summary

In Dimitry Bakradze Archives of Korneli Kekelidze National center of manuscripts (№151) preserved draft of report of his expedition in Tao-Klarjeti, which represents personal letter to Marie Brosset. The article perfectly presented the text of this report.

ქრისტიანე მეძველია

აჭარის საგანმანათლებლო ცენტრები და პედაგოგები მე-19 – მე-20 საუკუნეების მიჯნაზე (ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული მასალების მიხედვით)

აჭარის საგანმანათლებლო ცენტრები, დღემდე წარმოადგენს მკვლევართა დაინტერესების სფეროს. აღნიშნული საკითხის ირგვლივ არაერთი მონოგრაფია და სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებული, მაგრამ სრულყოფილად მაინც შეუსწავლელია. ჯერ კიდევ ბევრია საკვლევი, მათ შორის ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული აჭარის ისტორიის ამსახველ ფონდებში. ბათუმში ნამსახურები პედაგოგთა სიების ადრე გამოქვეყნებული ნაწილი ქუთაისის ცენტრალურ არქივში არსებული ფასდაუდებელი დოკუმენტების მხოლოდ ფრაგმენტია.

კვლევის მიზანია, წარმოვადგინოთ აჭარის საგანმანათლებლო ცენტრები და პედაგოგები, მე-19 – მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, ქუთაისის ცენტრალური არქივში დაცული მასალების მიხედვით, რომელთა უმეტესი ნაწილი მკვლევართა და მეცნიერთა უმრავლესობისთვის უცნობია.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, რუსეთის გამარჯვების და ბათუმის – ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადების შემდეგ დადგა საკითხი სწავლა-განათლების ახალი ცენტრების გახსნისა. რუსულ მხარესთან ერთდ, ქართული მხარის ინტერესი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უდიდესი იყო. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა მომლილი საგანმანათლებლო სისტემის აღდგენას აჭარის რეგიონში.

მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე აჭარაში გახსნილი საგანმანათლებლო კერების ქრონოლოგია 1881 წლიდან იწყება და ილია ჭავჭავაძისა და ხუსეინ აბაშიძის ერთობლივი ძალისხმევით შედეგია.

1881 წ. მარტი – ბათუმში პირველი ქართული სკოლა გაიხსნა.

1881 წ. – ბათუმის საქალაქო სასწავლებელი დაარსდა.

1882 წ. – კონსტანტინე ერისთავის თაოსნობით და ინიციატივით, ბათუმში ქალთა ორწლიანი სასწავლებელი გაიხსნა, რომელიც მოგვიანებით მარიამის სახელობის ქალთა პროგიმნაზიად გადაკეთდა.

1889 წ. 8 ოქტომბერი – ბათუმის საოსტატო-სახელობო სასწავლებელი გაიხსნა.

1897 წ. – ბათუმის ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა.

1899 წ. – ბათუმში ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი გაიხსნა.

1890 წ. – მისი უმაღლესობის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა.

1890 წ. – ბათუმის ქალთა გიმნაზია დაარსდა.

1911 წ. – ბათუმის საოსტატო-სახელობო სასწავლებელი გაიხსნა.

„ქუთაისის გუბერნიის მმართველობის“ მასალებში (ფონდი №130) დაცულია „ბათუმის ოლქის მიმოხილვა“, რომელიც ბათუმის ოლქის შესახებ შეიცავს მიმოხილვით და შემაჯამებელი ხასიათის ინფორმაციას (წლების მიხედვით). მიმოხილვაში ჩამოთვლილია ყველა ის სასწავლებელი, რომელიც აჭარის რეგიონში მე-19 – მე-20 საუკუნეების მიჯნაზე დაარსდა და არსებობდა 1910 წლისათვის (ფონდი №130, ს. 258, ფ.45-45ა). ამავე წყაროს მიხედვით ბათუმის საგანმანათლებლო დაწესებულებები იყოფა სახაზინო და საზოგადოებრივ სასწავლებლებად.

სახაზინო სასწავლებლები დაარსების ქრონოლოგია:

1883 წ. – ართვინის ორკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1895 წ. – ხოლოდნაია-სლობოდკას დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი;

1896 წ. – ჩურუქ-სუს ვაჟთა დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი.

საზოგადოებრივი სასწავლებლები დაარსების ქრონოლოგია:

1866 წ. – ბათუმის ბერძნული საქალაქო ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი;

1892 წ. – ბათუმის სომხური კათოლიკური სასწავლებელი;

1894 წ. – არტანუჯის სომხური სასწავლებელი;

1896 წ. – ბათუმის პუშკინის სახელობის მესამე ერთკლასიანი სასწავლებელი;

1897 წ. – ხულოს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი;

1898 წ. – კვირიკის ერთკლასიანი ნორმალური სასწავლებელი;

1898 წ. – სათლელ-რაბათის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1899 წ. – ბათუმის პუშკინის სახელობის პირველი ერთკლასიანი სასწავლებელი;

1901 წ. – ჩურუქ-სუს ქალთა ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1903 წ. – ბათუმის პუშკინის სახელობის მეორე ერთკლასიანი სასწავლებელი;

1903 წ. – ქედის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი;

1903 წ. – ხერთვისის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1903 წ. – ბათუმის გოგოლის სახელობის მეოთხე ერთკლასიანი სასწავლებელი;

1904 წ. – კვირიკის ერთკლასიანი ნორმალური სასწავლებელი;

1906 წ. – ართვინის სომხური სასწავლებელი;

1907 წ. – ბათუმის სარკინიგზო ნორმალური სასწავლებელი;

1907 წ. – ორთაბათუმის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1908 წ. – ბათუმის გოგოლის სახელობის მეოთხე ერთკლასიანი სასწავლებელი;

1908 წ. – ბათუმის გოგოლის სახელობის მეხუთე ერთკლასიანი სასწავლებელი;

1909 წ. – მარადიდის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1909 წ. – სამწყაროს ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1909 წ. – ერგე-ჩაქვის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1909 წ. – ბორჩხის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1909 წ. – ბარცხანის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1909 წ. – მურღულის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი;

1909 წ. – ბარცხანის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1910 წ. – დაგვის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი;

1910 წ. – ბათუმის საეკლესიო-სამრევლო სკოლა.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული „სახალხო სასწავლებლების დირექციის“ ფონდი (ფონდი № 92) საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ იმ პედაგოგთა ნამსახურების სიებს, რომლებიც აჭარისა და გურიის რეგიონში მოღვაწეობდნენ მე-19 – მე-20 საუკუნეების მიჯნაზე. მიმოხილვას აჭარის ტერიტორიაზე არსებული სასწავლო დაწესებულებების პედაგოგებით დავიწყებთ:

ივანოვა ანტონინა ილიას ასული

ბათუმის ერთკლასიანი სარკინიგზო სასწავლებლის ხელმძღვანელი, 28 წლის, მართლმადიდებელი, 1904 წელს დაამთავრა დიდი მთავრის თბილისის ოლგა თეოდორეს ასულის ქალთა გიმნაზია.

1904 წელს დაინიშნა მასწავლებლად სამტრედიის სარკინიგზო სასწავლებელში.

1906 წელს გადაყვანილ იქნა ელისავეტოპოლის სარკინიგზო სასწავლებელში.

1911 წელს დაინიშნა ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის ხელმძღვანელად.

ოჯახური მდგომარეობა- გაუთხოვარი

წლიური ხელფასი – 700 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.58-59)

ლოლუა მარია ელიზბარის ასული

ბათუმის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის ხელსაქმის მასწავლებელი, 30 წლის, მართლმადიდებელი, 1902 წელს დაამთავრა თბილისის კერძო პროფესიული სასწავლებელი, აქვს თბილისის სახელოსნო მმართველობის მოწმობა.

1905 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში.

ოჯახური მდგომარეობა- გაუთხოვარი.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.87-88).

ქარცივაძე სოფიო იოთამის ასული

ბათუმის პირველი ქართული ერთკლასიანი გიმნაზიის მასწავლებელი, 30 წლის, მართლმადიდებელი, 1898 წელს დაამთავრა ქუთაისის წმიდა ნინოს სასწავლებელი.

1899 წელს დაიწყო მუშაობა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში.

ოჯახური მდგომარეობა- გაუთხოვარი

წლიური ხელფასი – 800 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.71-72).

მაგილნაია მარია გაბრიელის ასული

ჩურუქ-სუს ერთკლასიანი ქალთა სასწავლებლის ხელმძღვანელი, 30 წლის, მართლმადიდებელი, დაამთავრა ქუთაისის წმიდა ნინოს სასწავლებლის 9 კლასი.

1905 წელს მოეწყო ბათუმის ქალთა სასწავლებელში პედაგოგად.

1906 წელს ჩურუქ-სუს ერთკლასიანი ქალთა სასწავლებლის ხელმძღვანელია.

ოჯახური მდგომარეობა- გაუთხოვარი

წლიური ხელფასი – 400 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.1-2).

მესხი ქეთევან ივანეს ასული

ბათუმის მეორე ქართლი საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი, 24 წლის, მართლმადიდებელი, 1907 წელს დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზიის სრული კურსი და მიეცა ატესტატი.

1908 წელს დაინიშნა ბათუმის საქალაქო მუსულმანურ სასწავლებელში.

1911 წელს გადაყვანილ იქნა ბათუმის მეორე ქართულ საქალაქო დაწყებით სასწავლებელში პედაგოგად.

ოჯახური მდგომარეობა- გაუთხოვარი

წლიური ხელფასი – 800 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.16-17)

მურადოვი ივანე ქრისტეფორეს ძე

ჩურუქ-სუს ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელი, 25 წლის, მართლმადიდებელი, 1907 წელს დაამთავრა ქუთაისის სასწავლებლო სემინარია.

1907 წელს დაინიშნა მასწავლებლად ერევნის სახალხო სასწავლებლის დირექციის ბაშნარაშების სასწავლებელში.

1912 წელს გადაყვანილ იქნა პედაგოგად მურღულის სკოლაში.

1910 წელს წარმატებული მსახურებისთვის, კავკასიის სასწავლო ოლქისგან მიიღო ჯილდო.

1914 წელს დაინიშნა ჩურუქ-სუს ნორმალური სასწავლებლის მასწავლებლად.

ოჯახური მდგომარეობა – დაოჯახებული, მეუღლე ელენე გიორგის ას. სულიდიძე, ჰყავს ქალიშვილი- ოლღა.

წლიური ხელფასი – 400 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ. 20-23).

ოლხოვსკი ანტონინა პეტრეს ასული

ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის მასწავლებელი, 26 წლის, მართლმადიდებელი, დაამთავრა დიდი მთავრის ოლგა თეოდორეს ასულის სახელობის თბილისის ქალთა გიმნაზია.

1908 წელს დაინიშნა მასწავლებლად მიხაილოვის სარკინიგზო სასწავლებელში.

1910 წელს გადაიყვანეს ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის პედაგოგად.

ოჯახური მდგომარეობა- დასაოჯახებელი

წლიური ხელფასი – 480 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.28-29).

სტროევა ელენე გიორგის ასული

ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი, 33 წლის, მართლმადიდებელი, 1896 წელს დაამთავრა კავკასიის ქალთა ინსტიტუტი.

1905 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლად.

ოჯახური მდგომარეობა- გაუთხოვარი

წლიური ხელფასი – 600 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.51-52).

სურგულაძე მარია მიხეილის ასული

ბათუმის საქალაქო დაწყებითი მუსულმანური სკოლის მასწავლებელი, 25 წლის, მართლმადიდებელი, 1907 წელს დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზიის სრული კურსი.

1911 წელს ბათუმის ქალაქის მმართველობის დადგენილებით არჩეულ იქნა მასწავლებლად ბათუმის საქალაქო დაწყებით მუსულმანურ სკოლაში.

ოჯახური მდგომარეობა- გაუთხოვარი

წლიური ხელფასი – 400 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.53-54).

ჩაპლიგინი არსენი მიხეილის ძე

ჩურუქ-სუს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელი, 23 წლის, მართლმადიდებელი, 1911 წელს დაამთავრა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი.

1911 წელს დაინიშნა ჩურუქ-სუს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის მასწავლებლად.

ოჯახური მდგომარეობა- დასაოჯახებელი

წლიური ხელფასი – 360 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.76-77).

შარაშიძე ტროფიმი დავითის ძე

ბათუმის მეორე საქალაქო დაწყებითი ექვსკლასიანი სასწავლებლის ხელმძღვანელი, კოლეგიის რეგისტრატორი, 50 წლის, მართლმადიდებელი, მიღებული აქვს ვერცხლის მედალი ალექსანდრის ლენტით, დაამთავრა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის სამი კლასი.

1886 წელს დაინიშნა კორცხელის დაწყებით სასწავლებელში პედაგოგად.

1888 წელს დაინიშნა ზედამხედველად წალენჯიხის ორკლასიან სასწავლებელში.

1891 წელს გადაყვანილ იქნა ქვათანის ორკლასიან სასწავლებელში ზედამხედველად.

1892 წელს გადაყვანილ იქნა ბასილეთის ორკლასიან სასწავლებელში.

1899 წელს გადაყვანილ იქნა ციხის ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველად.

1903 წელს დაინიშნა ბათუმის მეორე საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგად.

1905 წელს დაინიშნა ბათუმის მეორე საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის ხელმძღვანელად.

ოჯახური მდგომარეობა- დაოჯახებული, ჰყავს ხუთი შვილი- თინათინ, სამსონ, ზაქარია, მიხეილი და ილია.

წლიური ხელფასი – 800 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.105-106).

შარაშენიძე ემილია გრაციონის ასული

ჩურუქ-სუს ქალთა სასწავლებლის მასწავლებელი, 37 წლის, მართლმადიდებელი, 1895 წელს დაამთავრა ყაზანის ქალთა გიმნაზია, 1896 წელს დაამთავრა სარატოვის მერვე ქალთა გიმნაზია.

1812 წელს დაინიშნა ჩურუქ-სუს ქალთა სასწავლებლის მასწავლებლად.

ოჯახური მდგომარეობა- ქვრივი

წლიური ხელფასი – 300 მან.

(ქ.ც.ა ფ. № 92, ს.38, ფ.109-110).

მგელაძე ფილიპე ბუჭუს ძე

ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო ერთკლასიანი სასწავლებლის პედაგოგი, 31 წლის, მართლმადიდებელი, დაამთავრა კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი.

1892 წელს დაინიშნა სიმონეთის ერთკლასიან სასწავლებელში პედაგოგად.

1894 წელს გადაყვანილ იქნა დეაბზუს სასოფლო სასწავლებელში პედაგოგად.

1895 წელს ზედამხედველია შემოქმედის ორკლასიანი სასოფლო სასწავლებელში.

1897 წლიდან გადაყვანილ იქნა ბახვის ორკლასიან სასწავლებელში პედაგოგად.

1899 წლიდან ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო ერთკლასიანი სასწავლებლის პედაგოგია.

ოჯახური მდგომარეობა- დაოჯახებული, მეუღლე ანნა სტანისლავის ას. სოლმოროვა, უშვილო.

წლიური ხელფასი – 800 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.20, ფ.1-2).

გერასიმოვი ტიმოთე არქიფოს ძე

ართვინის ნორმალური ორკლასიანი სასწავლებლის პედაგოგი, 23 წლის, მართლმადიდებელი, განათლება მიიღო ხერსონის პედაგოგიურ სემინარიაში. 1906 წელს ავადმყოფობის გამო დაამთავრა აღნიშნული სასწავლებლის მხოლოდ 3 კლასი.

1909 წელს მიიღო დაწყებითი სასწავლებლების პედაგოგის დიპლომი.

1910 წელს არის მეორე მასწავლებელი ჩურუქ-სუს ნორმალურ სასწავლებელში.

1911 წელს გადაყვანილ იქნა ართვინის ნორმალურ სასწავლებელში პედაგოგად.

ოჯახური მდგომარეობა- დასაოჯახებელი

წლიური ხელფასი – 400 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.11-12)

მამალაძე ვლასი ლუკას ძე

ხულოს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი, 29 წლის, მართლმადიდებელი, განათლება მიიღო ტობოლსკის სასულიერო სემინარიაში. სპეციალური პროგრამის ჩაბარების შემდეგ, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს გადანყვეტილებით, მოიპოვა რუსული ენის პედაგოგის კვალიფიკაცია.

1907 წელს დაინიშნა უფროს პედაგოგად ხევის ორკლასიან სასწავლებელში.

1911 წელს გადაყვანილ იქნა პედაგოგად სამტრედიის ორკლასიან სასწავლებელში.

1912 წელს დაინიშნა ხულოს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველად.

ოჯახური მდგომარეობა- დასაოჯახებელი

წლიური ხელფასი – 400 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.3-4).

სოლნიშკინი ნიკოლოზი ემელიანეს ძე

ართვინის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი, 31 წლის, მართლმადიდებელი, 1901 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური სემინარია.

1901 წელს დაინიშნა ახალ სენაკის ნორმალურ სასწავლებელში პედაგოგად.

1903 წელს გადაყვანილ იქნა ართვინის ნორმალურ სასწავლებელში პედაგოგად.

1910 წელს დაინიშნა ართვინის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველად.

ოჯახური მდგომარეობა- დაოჯახებული, მეუღლე ვირნოსკი პოლინა ვლადიმერის ასული, ჰყავს ორი შვილი- ვალენტინა და ელენა.

წლიური ხელფასი – 450 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.46-47).

ტურვანდოვი რაფაელი სიმონის ძე

ბათუმის, მისი უდიდებულესობის მთავარ ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელობის, გიმნაზიის პედაგოგი, 23 წლის, კათოლიკე.

1901 წლიდან არის ბათუმის, მისი უდიდებულესობის მთავარ ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელობის, გიმნაზიის პედაგოგი.

ოჯახური მდგომარეობა- დასაოჯახებელი

წლიური ხელფასი – 400 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.59-60).

კვეტაიშვილი ლუკა დარისპანის ძე

მარადიდის სასწავლებლის გამგე, 32 წლის, მართლმადიდებელი, 1898 წელს დაამთავრა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის სრული კურსი.

1899 წელს დაინიშნა ამბროლაურის სასწავლებელში პედაგოგად.

1899 წელს გადაყვანილ იქნა გამგედ ჩასავალის სასწავლებელში.

1903 წელს გადაყვანილ იქნა უწერის სასწავლებლის გამგედ.

1906 წელს დაინიშნა ჯიხანჯირის სასწავლებლის პედაგოგად.

1908 წელს გადაყვანილ იქნა ლანჩხუთის სასწავლებელში პედაგოგად.

1909 წელს გადაყვანილ იქნა მურგულის სასწავლებლის ზედამხედველად.

1912 წლიდან არის მარადიდის სასწავლებლის გამგე.

ოჯახური მდგომარეობა- დაოჯახებული, მეუღლე ვარვარა მელქისედეკის ასული ერისთავი, შვილები- ვარვარა და გიორგი.

წლიური ხელფასი – 400 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.73-74).

აბაკაროვა ისაბენა აბაკარაღა ოღლი

ჩურუქ-სუს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი, 53 წლის, მუსულმანი, აქვს წმიდა ანდრია III ხარისხის და წმიდა სტანისლავის III ხარისხის ორდენი. 1888 წელს დაამთავრა კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი.

1884 წელს მოენყო აგდაშის საერობო სასწავლებლის მეორე მასწავლებლად.

1886 წელს შოხლინსკის საერო სასწავლებლის ზედამხედველი იყო.

1895 წელს დაინიშნა ჩურუქ-სუს ნორმალური პირველი სასწავლებლის ზედამხედველად.

ოჯახური მდგომარეობა- უცოლო

წლიური ხელფასი – 450 მან.

(ქ.ც.ა ფ. № 92, ს.37, ფ.1-2).

ასტაფევა ნინა ალექსანდრეს ასული

ბათუმის გოგოლის სახელობის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი, 26 წლის, მართლმადიდებელი, 1904 წელს დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზიის 7 კლასი. 1910 წელს დაამთავრა პეტერბურგის ქალთა გიმნაზიის 8 კლასი.

1910 წლიდან მუშაობა დაიწყო გოგოლის სახელობის საქალაქო დაწყებითი სასწავლებელში პედაგოგად.

ოჯახური მდგომარეობა- გაუთხოვარი

წლიური ხელფასი – 800 მან.

(ქ.ც.ა ფ. № 92, ს.37, ფ.3-4).

გოლოვჩენკო ანდრია პავლეს ძე

ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის მასწავლებელი, 28 წლის, მართლმადიდებელი, 1901 წელს დაამთავრა ეკატერინოდარის საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებლის პედაგოგიური კურსი – სწავლების უფლებით ორკლასიან სასწავლებელში.

1901 წელს დაინიშნა კალბაშინსკის ორკლასიან სასწავლებელში პედაგოგად.

1902 წელს დაინიშნა ზედამხედველად ბეიუკ-სოგუტლინ-სკის ორკლასიან სასწავლებელში.

1904 წელს გადაყვანილ იქნა ზედამხედველად კულაშინსკის ერთკლასიან სასწავლებელში.

1905 წელს დაინიშნა ელისავეტოპოლსკის სარკინიგზო სასწავლებელში პედაგოგად.

1911 წელს დაინიშნა ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის მასწავლებლად.

ოჯახური მდგომარეობა- დაოჯახებული, მეუღლე ელენე ივანეს ას. სემენისინი.

წლიური ხელფასი – 480 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.17-18).

გომანი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე

ბათუმის ექვსკლასიანი საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი, შეთავსებული აქვს მუზეუმის ხელმძღვანელის თანამდებობა, ამავე სასწავლებელში ხელსაქმეებთან დაკავშირებით, 46 წლის, მართლმადიდებელი, მიიღო საოჯახო განათლება, ხელსაქმე ისწავლა ოდესაში და მოსკოვში.

1895 წელს მოეწყო ბათუმის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში ხელსაქმის მასწავლებლად.

1906 წელს არის ბათუმის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგი.

1909 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს ბრძანებით დაინიშნა ბათუმის ექვსკლასიან სასწავლებელთან არსებული მუზეუმის და სახელოსნოს ხელმძღვანელად.

ოჯახური მდგომარეობა- დაოჯახებული, მეუღლე სევერინა კონსტანტინეს ას. მერჟოევსკი, შვილი ნიკოლოზი 23 წლის, მართლმადიდებელი

წლიური ხელფასი – 600 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.19-20).

ზახაროვი გიორგი სტეფანეს ძე

ბათუმის პუშკინის სახელობის დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებლის კოლეგიის რეგისტრატორი, 46 წლის, გრიგორია-

ნელი, 1887 წელს დაამთავრა სრული კურსი კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის.

1887 წელს დაინიშნა ჯვარცმის ერთკლასიანი სასწავლებლის პედაგოგად.

1896 წელს გადაყვანილ იქნა ბათუმის ქალაქის სადირექციო სასწავლებელში.

1906 წელს ბათუმის ქალაქის სამმართველოს მიერ დაინიშნა ბათუმის პუშკინის სახელობის დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებელში პედაგოგად.

წლიური ხელფასი – 600 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.53-54).

ჯუღელი -კალანდაძე ევსევია მოსეს ასული

ბარცხანის სასწავლებლის პედაგოგი, 27 წლის, მართლმადიდებელი, 1902 წელს დაამთავრა ქუთაისის ეპარქიის ქალთა სასწავლებლის სრული კურსი.

1903 წლიდან მუშაობდა აცანის ქალთა სასწავლებლის გამგედ 4 წელი.

1907 წელს დაინიშნა გუბის ქალთა სასწავლებლის გამგედ.

1910 წლიდან, დაოჯახების გამო, გადაყვანილ იქნა ბარცხანის ორკლასიანი სასწავლებლის პედაგოგად, რადგან აღნიშნული სასწავლებლის გამგე იყო მისი მეუღლე, კალანდაძე ივანე ოქროპირის ძე.

ოჯახური მდგომარეობა- დაოჯახებული, მეუღლე კალანდაძე ივანე ოქროპირის ძე შვილი -ფელიქსი.

წლიური ხელფასი – 360 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.64-65).

კალანდაძე ივანე ოქროპირის ძე

ბარცხანის სასწავლებლის პედაგოგი, 37 წლის, მართლმადიდებელი, 1897 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური სემინარიის სრული კურსი.

1897 წელს დაინიშნა ასკანის ორკლასიანი სასწავლებლის პედაგოგად.

1900 წელს გადაყვანილ იქნა ლანჩხუთის ორკლასიან სასწავლებელში პედაგოგად.

1905 წლიდან დანიშნულ იქნა ნიგოეთის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველად.

1905 წელს გადაყვანილ იქნა პედაგოგად ლანჩხუთის საქალაქო სასწავლებელში სადაც ცვლიდა ავადმყოფობის გამო შვებულებში მყოფ პედაგოგს გალამევსკის.

1905 წლის ზაფხულში მიწვეული იყო თბილისში, ამიერკავკასიის დაწყებითი სკოლებისთვის, პროგრამის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად. ნამსახურებ სიაში მითითებულია, რომ ავადმყოფობის გამო აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო.

1909 წლიდან დანიშნულ იქნა ახალართვინის სასწავლებლის გამგედ და პედაგოგად.

1910 წლიდან გადაყვანილ იქნა ბარცხანის ორკლასიანი სასწავლებლის პედაგოგად,

ოჯახური მდგომარეობა- დაოჯახებული, მეუღლე მღვდლის ქალიშვილი, ჯუღელი-კალანდაძე ევსევია მოსეს ასული, შვილი - ფელიქსი.

წლიური ხელფასი – 420 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.37, ფ.66-67).

ჩიგოგიძე მალაქია ალექსანდრეს ძე

სათლელ-რაბათის ერთკლასიანი სასწავლებლის პედაგოგი, 32 წლის, მართლმადიდებელი.

1904 წელს დაინიშნა ქედის სასწავლებლის პედაგოგად.

1906 წელს გადაყვანილ იქნა ართვინის სასწავლებელში პედაგოგად.

1909 წლიდან არის სათლელ-რაბათის ერთკლასიანი სასწავლებლის პედაგოგი.

ოჯახური მდგომარეობა- დასაოჯახებელი

წლიური ხელფასი – 540 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.78-79).

წიფურია ბესარიონი ცაკვას ძე

მურგულის დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებლის პედაგოგი, 23 წლის, მართლმადიდებელი, 1911 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური სემინარიის სრული კურსი.

1911 წელს დაინიშნა მარადიდის ერთკლასიანი სასწავლებლის გამგედ.

1912 წელს არის მურგულის დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებლის პედაგოგი.

ოჯახური მდგომარეობა- დასაოჯახებელი.

წლიური ხელფასი – 360 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.103-104).

იალუნინა სოფია პეტრეს ასული

ხოლოდნაია-სლობოდკის ორკლასიანი სასწავლებლის პედაგოგი, 41 წლის, მართლმადიდებელი, განათლება მიიღო ქალთა გიმნაზიაში. 1889 წელს დაამთავრა ტაგანროგის გიმნაზიის 8 კლასი.

1900 წლიდან არის ხოლოდნაია-სლობოდკის ორკლასიანი სასწავლებლის პედაგოგი.

1909 წელს დაჯილდოვდა წარმატებული საქმიანობისთვის.

ოჯახური მდგომარეობა- ქვრივი, შვილები- კონსტანტინე და ვიქტორი.

წლიური ხელფასი – 500 მან.

(ქ.ც.ა ფ. №92, ს.38, ფ.113-114).

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო დოკუმენტები (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №92, საქმე 37, 38 და 20) დაეხმარება აჭარის განათლების ისტორიის მკვლევარებს და საშუალებას მისცემს მათ, გაამდიდრონ თავიანთი პუბლიკაციები საარქივო დოკუმენტებით, დაინტერესდნენ ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ფონდების მრავალფეროვნებით, სადაც მრავლადაა დოკუმენტური მასალა აჭარის განათლების სისტემისა და პედაგოგების შესახებ.

გამოყენებული წყაროები:

ქუთაისის ცენტრალური არქივი:

1. ფ. №92, ს.37;
2. ფ. №92, ს.38;
3. ფ. №130, ს. 25

Kristine Medzvelia

Teachers in Ajara (XIX-XX centuries)

Summary

Educational centres in Ajara still represents interest field of researchers.

Our research aim is to introduce teachers and educational centers of the 19th – 20th centuries, according to the materials preserved in Kutaisi Central Archive. Many of them are unknown to researchers and scientists.

**პანტანო ჯობაძე და ოპიის ტაძრის
კვლევის ისტორია**

ტაო-კლარჯეთის შესწავლის საქმეს, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, დიდი ისტორია არა აქვს. არასაბჭოთა სინამდვილიდან ქართველ მეცნიერთაგან ვახტანგ ჯობაძეს ერთ-ერთს პირველს მიეცა საკვლევ პირველწყაროებზე, უშუალოდ ძეგლებზე, მუშაობის საშუალება. „ჩემი მონოგრაფია არის მხოლოდ საშენი მასალა იმ დიდი ძეგლისთვის, რომელიც ტაო-კლარჯეთის დიდებულ მოღვაწეებს ქართველთა მრავალწევრიანმა ექსპედიციებმა უნდა აუშენოს“, – წერდა ის ელენე მეტრეველს. წლების მანძილზე სწორედ ამ „საშენი მასალით“ სარგებლობდა საბჭოთა იზოლაციაში მოქცეული ქართული სამეცნიერო საზოგადოება. მის ფუნდამენტურ გამოკვლევებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ნებისმიერ კვლევას – არტეფაქტზე დაკვირვებიდან მონოგრაფიამდე – თავისი განვითარება აქვს. ეს გზა, რასაკვირველია, გულისხმობს დამოკიდებულებათა, ტენდენციათა, არგუმენტების ლოგიკურ ტრანსფორმაციას. ხშირად მუშაობის ეს ეტაპი უცნობია, თუ არ ჩავთვლით იმ დოზის აღწერითი ხასიათის თხრობას, რაც სამეცნიერო დისკურსისთვის არის მისაღები. კვლევის განვითარების ეტაპებზე თვალის მიდევნებისთვის შეუცვლელი წყაროა პირველადი სამუშაო ვარიანტები (ჩანახატები, პირადი მიმოწერა).

ვახტანგ ჯობაძის ელენე მეტრეველთან მიწერილი წერილების რაოდენობა ადრესატის არქივში 160 ერთეულს აღწევს. პირველი წერილი 1963 წლისაა, მათგან 40 უკავშირდება ტაო-კლარჯეთის კვლევის საკითხს. წერილების თემატური დინამიკა მოიცავს ამ მხარეში კვლევების წარმოების აუცილებლობის პრობლემას და მთავრდება უკვე გამოცემული მონოგრაფიის შეფასებებით. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი (თურქეთში სავლევ სამუშაოების აღწერა, სამოგზაურო ნარკვევები...) ეხება თემატურად ერთ საკითხს. სხვა მასალაში მკვლევარი ისეთ ფუნდამენტურ ქართველოლოგიურ თემებთან ერთად ეხება ტაო-კლარჯეთის

თემატიკას, როგორცაა ადრექრისტიანული ხელოვნების საკითხები, შავი მთის ქართული კვალი, ქართული ხელნაწერების შესწავლა და სხვა. ტაო-კლარჯეთის საკითხები პირად მიმოწერაში ერთ მთლიან ქართველოლოგიურ თვალსაწიერში ბუნებრივად არის ჩართული, რაც მკვლევრის მუშაობის სფეროების მრავალფეროვნებასა და კომპლექსურ სამუშაო მეთოდოლოგიაზე მიუთითებს. 1970-იანი წლების დასაწყისამდე ვახტანგ ჯობაძის ტაო-კლარჯეთის თემატიკასთან დაკავშირებული ინტერესები და სურვილები მისივე პირად წერილებში ფრაგმენტულია და მხოლოდ კონკრეტულ ხელოვნებათმცოდნეობით საკითხებს ეხება. 1973 წლამდე, სანამ ის კომპლექსურ, ინტერდისციპლინურ კვლევას შეუდგებოდა, ელენე მეტრეველს ინფორმაციული ხასიათის წერილებს სწერდა. ამ პერიოდიდან კი, როცა ვახტანგ ჯობაძის ინტერესები და შესაძლებლობები, თუმცა მეტად მძიმე, ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი, არაკომფორტული და დამამცირებელიც კი, ტაო-კლარჯეთს დაუკავშირდა, მის მიერ წარმოებული 5 ექსპედიცია ამ მიმოწერის ყველაზე ექსპრესიული საგანი, ელენე მეტრეველი ამ საშური ინიციატივისა და საქმის ყველაზე დიდი ქომაგი გახდა, მისი გულწრფელი და დაჟინებული ნახალისება, ადგილზე მუშაობის შესაძლებლობით გამოწვეული აღფრთოვანება ყველა წერილის ლაიტმოტივია.

1973 წელს ვახტანგ ჯობაძემ ე. წ. დაზვერვითი ექსპედიცია მოაწყო ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში. როგორც ჩანს, ის დიდხანს ემზადებოდა ამისთვის, თუმცა პირველად 1965 წელს, პავლინოვისა (1888 წელი) და ექვთიმე თაყაიშვილის (1902, 1907, 1917 წლები) შემდეგ, პირველმა მოინახულა მხოლოდ რამდენიმე ძეგლი. სწორედ ამ მოგზაურობიდან ინტერესდება ის ოშკის დათარილების საკითხით.

1 973 წელს ელენე მეტრეველი ვახტანგ ჯობაძეს წერდა: "ოლთისის, ართვინისა და არტანუჯის მხარეების ნახვით, ალბათ, მრავალი საინტერესო მასალა მოიპოვე, მიგიშვებს თუ არა ძეგლებთან? წლებანდელი შენი მივლინება, ალბათ, უფრო დაზვერვითი ხასიათისაა და, იმედია, კიდევ ნახვალ და უფრო დაწვრილებით შეისწავლი ამ ძეგლებს. ე. თაყაიშვილის შემდეგ იქ არც ერთ ქართველ მკვლევარს არ უმოგზაურია და, მით უმეტეს,

სერიოზულად არ უმუშავია. ეტყობა, უპატრონობით ყველაფერი ნადგურდება, მაინტერესებს შენი შთაბეჭდილებები" (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 1138). კითხვის პასუხად იმავე წელს ვახტანგ ჯობაძე ბევრლი ჰილსიდან თბილისში ელენე მეტრეველს წერს: "დღეს შენი წერილი მივიღე და ძალიან გავიხარე. იმ მიუსავალ ადგილებში ფიქრები ხშირად მოილტვოდა შენკენ და გული მწყდებოდა, ასე ახლოს და თანაც ასე შორს რომ იყავი, რადგან იქაური ძეგლების თვალის მიმოვლევაც კი შენი შრომის ნაყოფს გაამრავალკეცებდა, წაგახალისებდა. იმ საკითხებს, შენ რომ ეჭიდები, უფრო სრულად და ხელშესახებად წარმოგიდგენდა. მართლაც ვერ წარმოიდგენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა სწავლობ ხელნაწერებსა და ხელოვნების ძეგლებს არა მხოლოდ ინსტიტუტის ოთახებში, არამედ მათი დაბადების წიაღში, ორიგინალურ გარემოცვაში, კლიმატისა და ტოპოგრაფიის ჩართვით" (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2813).

ვახტანგ ჯობაძე გერმანიიდან მეუღლითურთ გაემგზავრა სტამბოლისაკენ. გეგმები პირუკუ დააღაგა და ჯერ ანტიოქიაში, წმიდა სვიმეონის მონასტერში იმოგზაურა, მხოლოდ შემდეგ გადავიდა ტაო-კლარჯეთში. "ჩემი მთავარი მიზანი ქართული ძეგლების წინასწარი დაზვერვა იყო – წერს ის – და ამიტომაც ორი კვირის შემდეგ გამოვნიეთ ერზერუმისაკენ, ახთამარზე და ანისზე გავლით....ქართული ძეგლების მიმოხილვა დავიწყე ერზერუმიდან თორთუმამდე, შემდეგ გადავედით ვაჩეგორში, სადანაც მივდიოდით ხოლმე დორთ კილისეში (ოთხთა ეკლესია) და პარხალში, რომლებიც, როგორც იცი, გენეტიკურად და ქრონოლოგიურად ახლოს დგანან ერთმანეთთან. შემდეგ გადავსახლდით ართვინში. აქედან ავდიოდი ქართულ მონასტრებში, დაწყებული დოლისყანიდან გათავებული ფორთით. არტანუჯისა და შავშეთის არეებისათვის კი დიდი დრო არ დაგვრჩენია, მაგრამ იმ ძეგლებს მომავალში დაუბრუნდები. მინდა ერთი წლით მაინც წავიდე იმავე არეებში სერიოზული მუშაობის გასანევად. ამჯერად, რასაკვირველია, ჩემი მიზანი იყო მხოლოდ წინასწარი მიმოხილვა, რითაც კმაყოფილი ვარ. ზოგიერთი ადგილები გავზომე, ორიოდ ნახაზი გავაკეთე და 900-მდე ფოტოგრაფია და დიაპოზიტივიც გავაკეთე. ამას ემატება ჩემს დღიურებში ჩანერილი დაკვირ-

ვებები, სხვათა შორის მინდოდა აგრეთვე ქართული ძეგლების რუკაც გამეკეთებინა, რადგან ზოგი ძეგლების მიგნება ძნელია, ზოგი არ არის იდენტიფიცირებული და, რამდენადაც მე ვიცი, იმ არის არქეოლოგიური რუკა არავის გაუკეთებია... როდესაც კაცი ქართულ მონასტრებს ათვალიერებს იმ არეებში, გაცეპული რჩება იმ უდიდესი ღვანლითა და მაღალი კულტურით, რომელიც შემდეგი თაობებისათვის აზრითაც კი მიუწვდომელი იყო და ახლა კი სავსებით მივიწყებულია. ეკლესიები, რომლებიც თათრებმა მეჩეთებად აქციეს, შედარებით კარგად არის მოვლილი და შენახულიც. ხოლო დანარჩენები, განსაკუთრებით ისეთი დიდი ზომის ძეგლები, როგორც არის ოშკი (გათბობისათვის ძნელი და ამიტომაც მეჩეთებისათვის გამოუსადეგარი) მართლაც ბენვზედ ჰკიდია. ზოგი მისი ნაწილები უპატრონოდ მიგდებული მამონტის ჩონჩხს მაგონებს" (იქვე).

ვახტანგ ჯობაძე იმავე წელს, რამდენიმე თვეში დაბრუნდა თურქეთში, თუმცა ამჯერად ზამთარში და მისთვის მეტად რთულ პირობებში. ის ართვინიდან წერდა:

"მოხდა ისე, რომ ისევ აქ ჩამოვედი. ორი თვით მუშაობის იმედი მაინცა მქონდა და ვიფიქრე, მანამ აქ ყველა ჩვენ ეკლესიებს დედამიწის პირიდან აღგვიდენ, ეგებ კიდევ რამის გაკეთება შეიძლებოდეს. სამწუხაროდ, აქ უჩვეულოდ თითქმის ერთი თვით ადრე ჩამოვნა თოვლი, რამაც ხელფეხი შემიკრა. მაგრამ ბოლო დრომდის მშვენიერი დარები იყო და ერთი წუთიც არ დამიკარგავს უსაქმოდ და თანაც მშიერს; ზოგჯერ ორი სამი დღის უჭმელს... მაგრამ, მიუხედავად დაუცხრომელი და კარგათ დაგეგმილი შრომისა, ერთი საცოდავი კაცი ასეთ უზარმაზარ საქმეს როგორ აუვა? გამაოცებელი და სანიმუშოა, არაბობის ბოლო ხანებში (X ს.) ამ არეში უზარმაზარი აღფრთოვანებითა და სულისკვეთებით გაიშალა სააღმშენებლო საქმე და საერთოდ სამონასტრო ცხოვრება და XI ს. დასაწყისში „საქართველო“-ს შექმნასთან ერთად, როცა კულტურისა და სახელმწიფო საქმიანობის ცენტრი ქუთაისში გადავიდა, თითქოს ერთი ხელის მოსმით შეწყდაო, იქაური უამრავი (შაქარივით მდნობი) ეკლესიები რომ მხოლოდ აღინეროს (რეკორდინგ ენდ სურვეინგ), მრავალი წლების განმავლობაში მრავალი ექსპედიციების მუშაობა სჭირდება. ეს

კი, როგორცა სჩანს, „დღეს ხვალ“ მაინც არ მოხდეს და შემდეგ გვიან იქნება. მოკლე ხანში ჩვენი დიდი ტაძრები შიგა და გარეგან პერანგ ჩამოფლეთილი მამონტის მიტოვებულ ჩონჩხს დაემსგავსება. ეკლესიები არა მხოლოდ იძარცვება გარე შემკულობისა და ნათელი ქვისაგან, არამედ საყრდენებსა და ბურჯებს აცლიან და ძირებს უთხრიან რომ ნგრევა დააჩქარონ. ზოგი ეკლესიები გავ-ზომე და ფოტოგრაფიებშიც გადავიღე და ხშირად შევნიშნე, რომ ნეტარი ექვთიმე თაყაიშვილის გეგმები ან აღწერა სისწორეს არ შეეფერება... მივაკვლიე აგრეთვე ორიოდ მნიშვნელოვან დანატოვარსა; ფრესკების წარწერებსა და რელიეფებსაც კი, რომლებიც დღემდის უცნობი იყო". 1973 წლის ნოემბერი (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2814).

ამ წერილებში მკვლევარი დანვრილებით აღწერს იმ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელთა საშუალებითაც მარტოდმარტო, ზოგჯერ მხოლოდ მეუღლის თანხლებით, ადიოდა რთულად მისადგომ ადგილებში, ზედმეტი მზით თუ ჩრდილით, გარშემორტყმული ხეებით, სიმაღლით, ადგილობრივი მოსახლეობის რიდიტ და მათი გაღიზიანების გარეშე აკეთებდა ანაზომებს, ფოტოგრაფიებს, წარწერების ასლებს, პოულობდა ფრესკებს და ხშირად საბუნებისმეტყველო კვლევებით ძეგლის დასათარიღებლად საჭირო მასალას. "ნავის ჩრდილო ჩამოძარცვული ნაწილიდან გამოვიღე გრძელი მორის მომცრო ნაწილი, რომელიც უთუოდ პირველყოფილია, ე. ი. ეკლესიის შენების თანადროული, ამ მორის ნაწილის ანალიზიც ალბათ რაიმეს იტყვის ეკლესიის თარიღის დროის შესახებ"(იქვე). საგულისხმოა, რომ საბჭოთა სინამდვილეში მოღვაწე მკვლევართაგან განსხვავებით, მას ჰქონდა ევროპისა და ამერიკის მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიებში ამგვარი ბიო-ქიმიური კვლევების წარმოების საშუალება.

ვახტანგ ჯობაძის ყველა წერილს ახლავს უჩვეულო აღფრთოვანება, სამუშაოების გაგრძელების ვნებამდე მისული სურვილი, ამ განცდას მას უორკეცებს ელენე მეტრეველის წერილები და იმის დაჟინებული ხაზგასმა, რომ მხოლოდ მას, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აქვს ეს ვალდებულებაც და პრივილეგიაც.

"მეც ერთი ორჯელ კინალამ მიმასვენეს. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ მე თორთუმს მოვეშვები – ნერდა იგი. მომავალ წელს

ავიღებ ერთი წლის შვებულებას იმ იმედით, რომ მანამდის იქ ცხოვრება და საქმიანობა ასატანი იქნება და ასე იქ ვაპირობ მთელი წლის გატარებას. თუ ეს მოხდა, დიდათ სარგო იქნება. სულ რომ არაფერი, არსებულის აღწერა და აღრიცხვაც კი ფასდაუდებელი იქნება", 1974 (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2816).

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურად ყველაზე მეტი წერილი ეხება ოშკის ტაძარს. ადრეულ წერილებში მის საკვლევ ინტერესს წარმოადგენს ოშკის დათარიღების საკითხები. მას ეჭვი შეაქვს გიორგი ჩუბინაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილისეული დათარიღების სისტემაში. მისთვის უცნობია არგუმენტები, რითაც ეს მეცნიერები სარგებლობენ: "ოშკის შენების დასაწყისად 958 წ. მისაღები უნდა იყოს, მაგრამ არ დამთავრებულა 962 წელს როგორც განსვენებული ბატონი ექვთიმე ბრძანებს, მე დანამდვილებითი ისტორიული წყაროები არ მეგულება, რომლებიც შენობის დასრულების თარიღს გვთავაზობდენ, მაგრამ ამას თვით ძეგლი და მისი დაუსრულებლად მიტოვებული ნაწილები და სტილი რელიეფებისა ნათელჰყოფს. ხელოვნების ენციკლოპედიაში ბატონ გიორგის მშვენიერი წერილი აქვს ქართული ხელოვნების შესახებ, სადაც ბრძანებს, რომ ოშკი 964 წელს დამთავრდაო. უკეთ 964 წელზე უნინ არ უნდა დამთავრებულიყო. ნეტა ვიცოდე, რა საბუთით ბრძანებს ამას ბატონი გიორგი და საბუთი კი რასაკვირველია უთუოდ უნდა გააჩნდეს, რომელსაც თავის წერილში არ იხსენიებს თვით ამ შრომის ბუნების და დანიშნულების გამო უთუოდ". 1965 (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2775).

ე. თაყაიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, შ. ამირანაშვილის არგუმენტების გარკვევასთან ერთად, ელენე მეტრეველს ის არაერთი სხვა სათხოვართაც მიმართავს: "სხვათა შორის, ოშკის სამხრეთ კარაკინის კარიბჭეზე, წარწერის მეხუთე ბნკარში სწერია: „ვსენებასა წმიდათასა ეზიარებოდეთ“. ვერ ჩავნვდი მის მნიშვნელობას და ვერ მივაკვლიე მის წყაროს; მიშველე!! ანდერძების შესახებაც რამოდენიმე განმარტება-სწავლებასა გთხოვ. ზოგი ზუსტად არ მესმის, ერთისა და სრულებით არა გამეგება-რა, შეკითხვები ნაბლაჯნილია თანდართულ ქალღლებზედ, და მათ განმარტებებს გთხოვ რწმენით, რომ შენი და შენი მძიმე წონის სწავლულ მოწაფეთა მეცნიერულ გუდაში, ჩემი დასაოკებელი საზ-

რდო, დროს გაუწიავებლად მუდმივ მოგეპოებათ". 1975 (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2822).

განსაკუთრებულ ინტერესს მის წერილებში წარმოადგენს ოშკის სამხრეთ მკლავზე, კონქის ჰორიზონტულ ზოლზე მიბჯენილი ჯამეს ბანის მოხსნის შემდეგ მის მიერ მიკვლეული ფრესკა ბანას გამოსახულებითა და რამდენიმე გვერდითი კომპოზიციით.

"ბანას ქვემოთ ორი ჯგუფი აღშფოთებულ ჩაფიქრებული მამაკაცებისა. თვით ეკლესიის ქვემოთ წარწერა (მრგვლოვანი მშვენიერი) „ბანასა ეკლესი(ა)მ დამ...“ რას ნიშნავს ეს არაჩვეულებრივი ხანის არაჩვეულებრივი გამოსახულება?! ვფიქრობ 1022/29/ წლების ქართველებისათვის საბედისწერო მარცხს 1034 წ. ბანაში ბიზანტიელებთან გამართულ დიპლომატიურ მოლაპარაკების და 1036 წ. ჯოჯიკის ხარჯით ოშკის კედლების მოხატვას. ეგებ ამ მოხატულობაში უნდა გამოსჭვივოდეს ზემორე წლების დრამატიული ამბები?! რომელსაც ისეთი შემადრწუნებელი და დიდი მოვლენა იყო, რომ ეს ჩართეს „დეესის“-ის კომპოზიციში? სხვათა შორის მაცხოვარს (დეესისში) უჭირავს იოანე მახარობლის მიერ განვდილი გახსნილი გრაგნილი წარწერის ფრაგმენტით (ქვედა ნაწილი წარწერისა კირით არის დაფარული) რომელიც წავიკითხე. ეს ნანაკითხი 1984 წ. ბატონ აკაკი შანიძეს გაუგზავნე შესამონმებლად. ამ წარწერიდან (რომელიც თეოლოგიურად უაღრესად საინტერესოა და დეესისის არსს ააშკარავებს... უნიკალურად) გამოსჭვივის აგრეთვე შესაძლებლობა, რომ ზემორე კომპოზიციები შეიძლება დეესისის ნაწილს წარმოადგენდეს აზრობრივად. 1986 (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2852).

...საინტერესო იქნებოდა გრაგნილის წარწერის ქვემო ნაწილის წაკითხვა და შეიძლება ქრისტეს ქვემოთ ყოფილიყო სხვადასხვა მნიშვნელოვანი (უაღრესად მნიშვნელოვანი) გამოსახულებები ეგებ ისტორიული ხასიათისა, მაგალითად მუხლ მოდრეკილი ჯოჯიკი ან თვით ბატონები იოანე და თორნიკე... საკურთხევლის აფსიდში არა მგონია, მაგრამ სხვაგან საქმე ალბათ სწორეთ აქ, სამხრეთ კონქში შეუძლებელია არ ყოფილიყვნენ ისტორიული პირების გამოსახულებები"... 1986 (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2852).

ელენე მეტრეველის მითითების შემდეგ ის ამ კომპოზიციას აღიქვამს, როგორც კლასიკურ ვედრებას და ისტორიულ პერსონაჟებს ცვლის სახარებისეული პერსონაჟებით.

ფრესკების, ნახატი მორთულობების იკონოგრაფიული პროგრამების გააზრებისას მკვლავარი ამოსავალ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიური არქიტექტურის მისტიკურ იდუმალებას, ლიტურგიკის არსს, ქვეყნის სახელმწიფოებრივი და კულტურული განვითარების კონკრეტულ ეტაპს, მდგრად კულტუროლოგიურ ტენდენციებს, როგორცაა, ვთქავათ, რომაული იურისპრუდენცია. მხოლოდ ამ კომპონენტების გათვალისწინებით აკეთებს დასკვნებს. ეს პასაჟი მის მონოგრაფიაში არ შესულა.

მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ზოომორფული დეკორატიული მორთულობის, როგორც ბუნებასთან ჰარმონიული სიახლოვის, როგორც შემეცნებისა და განცდის პირველქმნილი დეტალების, მნიშვნელობის ახსნას. ერთ-ერთ ნერილში წერს: "ვიყავი ჩვენს დიდებულ ოშკში (უკვე მეხუთედ) და დავრჩი იქ სრული სამი დღე. კიდევ გავზომე ეკლესიის ზოგი ნაწილები და შევისწავლე სკულპტურები. გაკვირვებული დავრჩი (კიდევ ერთხელ) იმ წინსვლით სრულქმნისაკენ, რაც ქართულმა ქანდაკოვანმა ხელოვნებამ განიცადა X ს. მეორე ნახევარში...სადაც ისე ლაღად და დაუბრკოლებლად არის გადაშლილი გზა ბუნებასთან სიახლოვისა" ... (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2814). ამ საკითხით ის თითოეულ ძეგლზე მუშაობისას ინტერესდება, მოგვიანებით ელენე მეტრეველს კითხვითაც მიმართავს: "ნუთუ საქართველოში არა გვაქვს ფიზიოლოგის ილუსტრირებული რედაქცია? ჩავკირკიტებ ქართულ ორიგინალურ ცხოვებად-ს, რომ მივაკვლიო ადგილებს ფანტასტიური ან რეალური ცხოველების შესახებ, ვიპოვო ადგილები, რომლებიც დამეხმარება იმის გაგებაში, თუ რა შინაარსი იყო ჩაქსოვილი ეკლესიის კედლებზედ გამოქანდაკებულ ცხოველთა გამოსახულებებში. ცხოველთა სტილზედ და ფორმაზედ ბევრი სწერს, გარნა თითქმის არაფერია ცნობილი (დოკუმენტირებული) მათი ფუნქციის და იდეის შესახებ. ნუთუ ფილოლოგები ამ საკითხით არ დაინტერესებულან?" 1981 (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2835).

1970-იანი წლების ბოლოს ნერილების მთავარი თემა მო-

ნოგრაფიის საკითხი ხდება. "მგონია საკმაო წერილობითი მასალა და ფოტოგრაფიებიც დავაგროვე, ზომები და ნახაზებიც ვაკეთე და შესწავლა დაკვირვებასაც კაი ხანი მოვანდომე, ისე რომ, ერთ ორ თვეში დავიწყებ ტაო – ლარჯეთის ეკლესია-მონასტრების შესახებ მონოგრაფიასა და მის გამოცემაზე ზრუნვას. ხანძთელის ცხოვრებიდან ის ადგილები უნდა ვთარგმნო (და მონოგრაფიას ბოლოს დაურთო), რომელშიც ეკლესია-მონასტრების და ტოპოგრაფიის საკითხებს ეხება. აგრეთვე ვფიქრობდი, ურიგო არ იქნებოდა, იმ მასალებში ჩამერთო 15-იოდე სურათი (ფერადი, მაღალი ღირსების უკეთესი ქნებოდა) იმ მონასტრების „მცირე ხელოვნების“ ნიმუშებიც; მაგალითად ბეჟა და ბემქენ ოპიზარების ყდები ან ხატების ჩარჩოები, იშხნელის ხატი, დავით კურაპალატის ჯვარცმა (ასათას ნახელავი), და ორიოდ ილსუტრაცია იქ გადანერილი ხელნაწერისა." 1976 (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2823).

ელენე მეტრეველი თავის წერილებში მონოგრაფიის გამოცემამდე მრავალ ქართულ თუ საერთაშორისო გამოცემისა და სიმპოზიუმისათვის სთხოვს ამ სფეროს სხვადასხვა საკითხისადმი მიღძვნილი სხვადასხვა მოცულობის, კვლევის განსხვავებული კეტეგორიის მასალებს, ხშირად ინფორმაციული ან მომიხილვითი ხასიათისასაც კი, რითაც ვახტანგ ჯობაძის სურვილის მიუხედავადაც კი აჩქარებს კვლევით საქმიანობას. "ძალიან მწყინს, – მსუბუქად საყვედურობს ელენე მეტრეველი – რომ შენ ამდენ დროს ხარჯავ ბასილზე და ალბათ ველარც ახერხებ მუშაობას ტაო-კლარჯეთზე. ეს კი საშური საქმეა. თუ რამე გაქვს დასრულებული და სურვილი გაქვს აქ დაბეჭდვისა, გამოაგზავნე, მელე გამოქვეყნდება" (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 1162). "მე კვლავაც განვაგრძობ მუშაობას ივირონზე და, ბუნებრივია, ტაო-კლარჯეთი ჩემი ინტერესების სფეროშიც შემოდის. განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთის მაღალი არისტოკრატიის როლი მაინტერესებს ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, როგორც ჩანს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ" (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 1187).

ელენე მეტრეველის ზრუნვის საგანს არა მხოლოდ მონოგრაფიის გამოცემა, მისი საჩქაროდ ქართულად თარგმნა წარმო-

ადგენს. “ვახტანგ, მე სულ ვფიქრობ იმაზე, როგორ მოხერხდეს “ტაო-კლარჯეთის” გამოსვლისთანავე მისი ქართულად თარგმნა და გამოსაცემად მომზადება. ვფიქრობ, რომ ყველაფერს აჯობებს, თუ შენ თვითონ თარგმნი მას თავიდან ბოლომდე. ლალი [ჯავახიშვილი] და მე, თუ ცოცხალი ვიქნებით, შენს თარგმანს სიამოვნებით გავმართავთ სტილისტურად“ (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 1189).

"ნინა ბარათში მირჩევდი – პასუხს სცემს ვახტანგ ჯობაძე – რომ ტ. კლარჯეთის მასალა ქართულად ვთარგმნო. ეს საქმე არ გამოვა ორი აშკარა მიზეზის გამო: 1. შენ ჩემი ინტელექტუალური შესაძლებლობები მოკითხვის ბარათით არ უნდა განსაჯო. ჩემო ძვირფასო, ნახევარი საუკუნით სამშობლოს განშორებამ მშობლიური ენა (აკადემიური მაღალი ხარისხის) დამავიწყა. როგორც ყოველმა უსუსურმა, ვიცი რა წინადადებას სჭირდება გამართვა, ხოლო გამართვის შესაძლებლობაზე უკაცრავად გახლავარ. ბევრ სიტყვებსა ვხმარობ ცოტაოდენის სათქმელად და ეს ვის რა ოხრათ უნდა. 2. უცხოთა – განსაკუთრებით ინგლისურ – ენაზე წერა კი დიანაც რომ უფრო უპრიანია; უამრავი მკითხველი ეყოლება და მსოფლიოც შეიცნობს საქართველოს. ეს კი არა, არამედ ჩვენი მართლაც საბრალო მეცნიერები რომ საკუთარ ნაჭუჭიდან ვერ გამოდიან და საკუთარ წვენში იხრაკებიან, გარეთ – უცხოეთში – უნდა გავიდენ, ასპარეზი გაიფართოვონ და უცხოთა ენაზედაც აქვეყნონ. მე მართლაც დარწმუნებული ვარ საპატიო ადგილსა და უაღრეს პატივისცემას დაიმსახურებენ, თავის თავსა და სამშობლოსაც ასახელებენ და საერთოდ მრავალ სიკეთეს დასთესენ. ეს შეხედულება უნდა გავრცელდეს სტუდენტებზეც. მაგრამ არა დაბალი ღირსებისა, არამედ საუკეთესო უნივერსიტეტებს უნდა მიაშურონ“ (კკსსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2863).

იმ პერიოდში, როდესაც ვახტანგ ჯობაძე თურქეთის ქართულ ძეგლებზე იწყებს მუშაობას, ბუნებრივია, პირველ ეტაპზე, მცირეა ლიტერატურა, რითაც ის სარგებლობს. ერთ-ერთ წერილში მას ელენე მეტრეველი მორიდებით სთავაზობს ექვთიმე თაყაიშვილის ტაო-კლარჯეთის ექსპედიციის მასალებს. შესაბამისად, მისი ბიბლიოგრაფია არც თუ მდიდარია – ხელოვნების

ენციკლოპედიითა და ექვთიმე თაყაიშვილის შრომით შემოიფარგლება, თუმცა ელენე მეტრეველის დახმარებით, ლიტერატურის მოცულობა წერილიდან წერილში იზრდება. ის მალევე იწყებს საუბარს ნ. მარის შრომებზე, რომლის მიღებასაც ამერიკაში თვეების მანძილზე ელოდა. ვახტანგ ჯობაძის თვალსაწიერში ამ სფეროთი დაინტერესებულ მკვლევართა შორის თანდათან იხსენებოდა ბიზანტინისტი ქალი ტიერი, ვინფილდი, ბრაიერი, აკაკი შანიძე, ნაპო მესხია, ზაზა სხირტლაძე, ეკა პრივალოვა... როგორც ვახტანგ ჯობაძის, ასევე ელენე მეტრეველის მხრიდან ამ უცხოელ მკვლევართა შეფასება არაერთგვაროვანია არა როგორც კვლევის სიღრმისა და ანალიტიკის ხარისხის, არამედ მეცნიერული ეთიკის, შინაგანი პატიოსნების თვალსაზრისითაც. საგულისხმოა, რომ მათი შეფასებები ზომიერების ფარგლებს გადაცდენილი, ტენდენციური და ხმამაღალი არცერთ წერილშია. მიუხედავად ამისა, რადგან პირადი წერილი განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგიმებს საჭიროებს და ხშირად ითხოვს ზედმეტად პირადულის დაფარვას, ამ შეფასებების აქ მოყვანისგან თავს შევიკავებთ. მიუხედავად შემთხვევებისა, როდესაც ფაქტოლოგიური მასალა (ანაზომები, ნაკითხვები, სკულპტურული და იკონოგრაფიული პროგრამების ახსნა) ექვთიმე თაყაიშვილისეულ მონაცემებს არ ემთხვევა, ვახტანგ ჯობაძე ამ მითითებაში ზედმეტად მოკრძალებული და თვითკრიტიკულია. შინაგანი კულტურა და მადლიერება მას არ აძლევს საშუალებას, ექვთიმე თაყაიშვილი ასეთი ეპითეტების გარეშე მოიხსენოს: "ცხონებული", "ნეტარსენებული", "განსვენებული"...

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ ჯობაძე ამ წერილებში ხშირად უჩივის ქართული ენის დავიწყების, მისი ფორმების არასათანადოდ გამოყენების საკითხს, ის შესანიშნავი მოქართულეა. მისი არათუ მიმონერის, არამედ მონოგრაფიის ენაც საკმაოდ ექსპრესიულია. ამ განცდის მიზეზი მომდინარეობს არა ცალკეული ლექსიკური ერთეულების ხატოვანებიდან, არამედ საკითხის არსში ისე უჩვეულოდ ღრმა წვდომიდან, სრულიად ახალი სამეტყველო არეალიდან, რომელსაც ახასიათებს საოცარი გახსნილობა, აზრის პლასტიკა, ელასტიურობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენის ბუნებრივი სიხარული... რაც მთავარია, ამ მეტყველებაში ფორმალური და ნომინალური არაფერია. ამ მი-

მონერაში საოცრად თბილი და ბუნებრივია მიმართვის ფორმები: "ჩემო ვახტანგ"... "ძვირფასო დაო ელო"... ორივე მეცნიერი გამუდმებით ზრუნავს ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ცხოვრების პირობებზე, ერთმანეთის პრობლემებზე. ისინი კატალიზატორებით არჩაბრებენ და ამკვეთებენ ერთმანეთის სამეცნიერო ინტერესებს და უფრო ეფექტიანი შემდგომი მუშაობისთვის განაწყობენ.

საგულისხმოა, რომ ტაო-კლარჯეთი, როგორც კულტურულ-ისტორიული მოვლენა, თავისი მრავალმხრივობითა და უნივერსალობით, კომპლექსურ კვლევებს ითხოვდა. ამიტომ ისტორიოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობითი, ფილოლოგიური, ლიტურგიკული თუ სხვა მომიჯნავე დისციპლინის კონტექსტში საკითხის შესწავლა, როგორც მეცნიერული აქტივობის საკვანძო მეთოდი, ვახტანგ ჯობაძის კვლევის სტილის თავისებურებაა. ელენე მეტრეველთან, როგორც ძველი ქართული სასულიერო მწერლობის დარგების გამორჩეულ სპეციალისტთან, ამ მიზნით მიმონერას სწორედ მოპოვებული სიახლის, ცოდნის შეჯერების თვალსაზრისით ჰქონდა მნიშვნელობა. ტაო-კლარჯეთის შესახებ სხვადასხვა დარგის ორი კვალიფიციური სპეციალისტის მუშაობის შედეგები ჯერ ვახტანგ ჯობაძის პირად წერილებზე აისახა, ხოლო შემდეგ კი მისი მონოგრაფიის და სტატიების ხარისხზე. რაც მიმონერით მონოდებული მასალიდან მონოგრაფიამდე არ მისულა, საარქივო წყაროდ რჩება ტაო-კლარჯეთის მომავალი კვლევებისათვის.

გამოყენებული წყაროები:

1. კკსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2813 – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ელ.მეტრეველის არქ. 2813;
2. კკსხეც. ე. მეტრეველის არქ. 2814- კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ელ.მეტრეველის არქ. 2814;

Esma Mania

*Vakhtang Jobadze an history of Oshki temple research
Summary*

Learning of Tao Klarjeti case, especially in the Soviet period, does not have a long history. From the non-Soviet reality, Vakhtang Jobadze, from Georgian scientists was one of the first who worked on research primary sources, directly monuments. The article discusses Oshki temple research issues and Vakhtang Jobadze contributions.

ოთარ გოგოლიშვილი

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ბათუმის ოლქში

ცარიზმი მტკიცედ ატარებდა ნაციონალურ-კოლონიურ პოლიტიკას აჭარაში. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა მუდამ ცდილობდა გაეთიშა მცირე ერები ერთმანეთისაგან და ამ გათიშული ერების ასიმილაცია მოეხდინა¹. დიდმპყრობელური პოლიტიკა ხელოვნურად ქმნიდა ისეთ პირობებს, რომ პატარა ერებს დავიწყებოდა თავისი წარსული. უპირველეს ყოვლისა, იგი არწმუნებდა აჭარლებს, რომ მას არაფერი საერთო არ აქვს ქართველობასთან. მეფის მთავრობის მოხელეები ჩასჩინებდნენ მოსახლეობას, რომ ქართული კულტურა მისთვის უცხოა. ცარიზმმა განდევნა ქართული ენა სკოლებიდან, სასამართლოდან, ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან. ამ დაწესებულებაში ხელისუფლებას ჰყავდა ოსმალური ენის მცოდნე თარჯიმნები და ამ უკანასკნელთა საშუალებით ელაპარაკებოდნენ ხალხს. ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობისთვის მშობლიური ენის წართმევა ანტიეროვნული მოქმედება იყო: „ადგილობრივმა მაჰმადიანმა მოსახლეობამ კარგად უნდა იცოდეს რუსული ენა. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა რუსული მათთვის გახდეს ერთადერთი და მშობლიური ენა. ხოლო მთებში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ოსმალური გადმონაშთები, აქაც უნდა ვეცადოთ, რომ რუსულმა თანდათან შეავინრივოს და შემდეგ განდევნოს იგი ხმარებიდან“, – აღნიშნავს 1901 წლის ოფიციალურ წერილში კავკასიის მთავარმართებლის სახელზე ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი.

თვითმპყრობელობა არ კმაყოფილდება მარტო ადგილობრივ პრივილიგიერებულ ფენებზე დაყრდნობით და იგი ცდილობდა შეექმნა აჭარაში რუსული მოსახლეობის მტკიცე კერები. ამით ცარიზმს უნდოდა გაეძლიერებინა სამეფო კარის დასაყრდენი საიმედო ელემენტები. მეფის რუსეთს აჭარის სტრატეგი-

ული მნიშვნელობაც არ ავინყდებოდა და სწორედ ამიტომ აჭარ-ქობულეთში რუსეთისათვის საიმდო მოსახლეობის დამკვიდრებაზე ზრუნავდა. რუსი მემამულეები გაჩნდნენ ქობულეთში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ბუკნარში, მახინჯაურში და სხვაგან. ამის გარდა წარმოიშვა შიდა გუბერნიებიდან გადმოყვანილ რუს გლეხთა დასახლებული სოფლები. ასეთი სოფლებიდან ყველაზე ადრე სმეკალოვკა შეიქმნა. მანამდე, 1883 წელს საფუძველი ჩაეყარა რუსულ სოფლებს ქოროხის გაღმა², გოროდოკში აძლიერებდნენ რუსეთის ჩამოსახლებას. არარუსს გოროდოკში უფლება არ ჰქონდა ეყიდა მიწა და სახლი აეშენებინა. მთავრობამ ფართოდ განიზრახა რუსული ახალშენის მოწყობა აჭარი ერთ-ერთ მდიდარ ნაწილში, მურღულის ხეობაში. ამ ხეობაში მკვირი მოსახლეობა შედარებით შეძლებულად ცხოვრობდა. მთავრობამ მოინდომა ამ ხეობის მკვიდრთა აყრა და აქ რუსული სოფლების მოწყობა. 1904 წელს ასეთი გეგმა შესასრულებლად მოსვლია ადგილობრივ მოხელეებს, მაგრამ შეშინებიათ ხალხისათვის ბრძანების გამოცხადება რადგან ეს გამოიწვევდა აჯანყებას. ბრძანების ნაკიტიხვა დაავალეს ქართველ მოხელეს ალექსანდრე აბაზაძეს, რომელსაც ვერ გაუბედია დავალების შესრულება. დავით კლდიაშვილი იგონებს: „ერთი ფეხის გადადგმა გამოიწვევდა, ყოველ ეჭვის გარეშე, საშინელ სისხლის ღვრას, დაუსრულებელს, გაუთავებელს, იქნებოდა დიდი მსხვერპლი, შედეგი კი არაფერი. გადმოსახლებულები ამ მთლიან ადგილებში ვერ მოეწყობოდნენ და ამოიჟლიტებოდნენ გაბრაზებულ მკვიდრთა ხელით, როგორც იქნა ეს უცნაური განკარგულება გადაიდო“. იქაც კი, სადაც იძულებით დაასახლეს რუსის გლეხობა, ჩრდილოეთიდან ჩამოსულებმა ვერ იხიერეს. მაგალითად, ქოროხის გაღმა, თხილვანში, ჩამოსახლებული რუსები ბუნებრივ გარემოს ვერ შეეგუვნენ. მათ არ იცოდნენ სიმინდის მოყვანა, პური კი არ მოდიოდა ნესტიან ადგილებში...

აჭარაში თავისი სურვილითაც მოდიოდნენ დასასახლებლად ფულის მქონე მდიდარი რუსები და ჩალის ფასად ყიდულობდნენ

მიწის ნაკვეთებს... 1905 წლისთვის ქობულეთამდე გაჭიმულ რუს მემამულეთა შორის მხოლოდ ერთი ქართველი მიწის მფლობელი- სევასტი ჭელიძე ყოფილა, რომელსაც პატარა აგარაკი ჰქონია გაშენებული. რუსი მემამულეები შეეცადნენ ჭელიძის გაძევებას, მაგრამ იგი მეტად ჯიუტი კაცი ყოფილა, ამოტომ მისი გაძევება ვერ მოუხერხებიათ აგარაკიდან³.

ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უწყობდა ამ აგრესიულ რუს მემამულეებს და ეს იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენდნენ ხელისუფლებისათვის საიმედო დასაყრდენს. ერთი ბათუმელი რუსი მემამულე წერდა: „როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი რუსული კულტურისა და რუსული მოქალაქეობის დანერგვის ინტერესების შესაბამისად ერთილა დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ ბათუმის დანარჩენი ნაწილიც გადავიდეს რუსეთიდან გამოსახლებულთა ხალხში, რადგანაც ადგილობრივებმა მცხოვრებლებმა დაამტკიცეს თავისი სრული უუნარობა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჯეროვნად გამოეყენებინათ მათ განკარგულებაში მყოფი ოლქის სანაპირო ნაწილი“. ასეთ რუს მემამულე მოსახლეებზე ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა. ერთის მხრივ, ეს მოსახლეობა ხელს უწყობდა გარუსების დანერგვის პოლიტიკას ადგილობრივ და, მეორე მხრივ, მეფის რეჟიმს. იგივე მოსახლეობა უზრუნველყოფდა სტრადეგიულ თავდაცვას, რადგან ამით საიმედო დასაყრდენი ბაზაც მტკიცდებოდა.

ეთნიკურ თავდაცვით საკითხს ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ეს დასტურდება კავკასიის მთავარმართებლის მიმართვიდანაც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის სახელზე, რომელშიც მითითებულია: „როგორც უმაღლესი მთავრობა, ისე ადგილობრივი ადმინისტრაცია დღიდან რუსეთის ბატონობის დამკვიდრებისა კავკასიაში, მუდამ ზრუნავდა დაპყრობილი მხარის კოლონიზაციაზე და ამ ამოცანის განსახორციელებლად ხელს უწყობდა ამ მხარეში ნამსახურევი ჯარისკაცების დასახლებას, რომ ამით შეექმნა სტრადეგიული ადგილბი, ხელისუფლება აქაც განაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბათუმის სამხრეთით ზღვის სანაპირო ზოლის, ოსმალთა

საზღვრამდე რუსეთიდან გადასახლების საკითხს. აგრეთვე ამას აქვს არა მარტო კულტურული მნიშვნელობა, არამედ პოლიტიკურიც, რადგან იგი უშუალოდ ეხება ოსმალეთის იმპერიას. ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამადაც თავის ერთმორწმუნეთა გავლენაში იმყოფებიან, რაც სახელმწიფო ინტერესების მხრივ სრულიად არაა სასურველი“⁴.

აჭარის და საერთოდ კავკასიის შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის შესახებ შესანიშნავ მასალას გვანვდის პეტერბურგელი პროფესორი ფ. პასტერნაკი თავის წიგნში: „კავკასია- შავიზღვისპირეთის სანაპიროს ციებ ცხელების შესახებ“, რომელიც გამოვიდა 1900 წელს. მან ორჯერ (1898-1899) იმოგზაურა შავიზღვისპირეთში და იმპერიის მთავრობას წარუდგინა მოხსენებითი ბარათი კავკასიის შავიზღვისპირეთის კოლონიზაციაზე. ის წერდა: „როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს ამ სანაპიროზე მოხდა ისეთი მოვლენები, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა დამიკიდებულება ამ მხარისადმი და მიიღო ახალი მიმართულება ამ მხარის დამიკიდებულებაში. ის ჩართული იქნა იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამ მხარეში გადავასახლოთ რუსი ადამიანები, რომელთაც უნდა გამოეყოს მონის დიდი ნაკვეთები, აგრეთვე ის მიწებიც, რომლებიც აქ დატოვეს ტუზემცებმა და ჩერქეზებმა“. შემდეგ ავტორი განაგრძობს: „შავი ზღვის სანაპიროებზე ჩვენ ათასი წლის წინათ მივიღეთ საჩუქრად ჩვენი სულიერი კულტურის ძვირფასი საგანძური. შავი ზღვის სანაპიროებისაკენ იყო მიმართული რუსული რუსული სახელმწიფოებრიობის მთელი ძალისხმევა. ამ ზღვის დაუფლებით, როგორც მას უწოდებს ბისმარკი – რუსული ტბა, ჩვენ გვეხსნება ხელ-ფეხი აღმოსავლეთისაკენ და ეს არის ჩვენი უდიდესი პოლიტიკური ამოცანის გადაჭრა. აღმოსავლეთის სანაპიროს დაპყრობა იმითაც არის საუკეთესო რუსული სახელმწიფოებრიობისათვის, რომ ეს არის საუკეთესო ეკონომიკური გზა აზიიდან ევროპისაკენ, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო საქონლის გაცვლა და სადაც უნდა მოხდეს სავაჭრო პოლიტიკური დაახლოვება ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან. შავი

ზღვის სანაპიროებისაკენ უნდა იყოს მიმართული რუსეთის იმპერიის მთელი ძლისხმევა, რათა გადავაქციოთ ეს ზღვა რუსული ცხოვრების ქვაკუთხედად, მრანველობის განვითარების ძირითად ბაზად და რუსი ხალხის კეთილდღეობის წყაროდ"⁵. როგორც ვხედავთ, ჩინებულად არის გადმოცემული ის მიზნები, რაც ამოძრავებდა ცარიზმს კავკასიის შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის საქმეში.

მეფის რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების რუსიფიკაციის ერთ-ერთ საშუალებას რუსული სკოლა წარმოადგენდა. თვითმყრობელობის კოლონიური პოლიტიკისგატარების მეთოდი აჭარა-ქობულეთში ისეთი უხეში იყო, რომ მოსახლეობამ უარყო რუსული სკოლა.ეს გარემოება ანუხებდა ხელისუფლებას და გამოსავალს ეძებდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი თავის 1903 წლის საანგარიშო მოხსენებაში შემდეგ წერდა: „ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ზნეობრივ მდგომარეობაში არავითარ საგრძნობ ცვლილებებს რა აქვს ადგილი. კულტურის გავლენა დანაშაულობათა შემცირებაზედ ჯერ მცირედ შესამჩნევია, რადგან ოლქის უმნიშვნელოვანესი გამტარებელი რუსული სკოლები მცირე რაოდენობისაა, ჯაამეებთან არსებულ სკოლებს ე.წ „მედრესეებს“, რომლის რაოდენობა უდრის 257 ერთეულს, ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობის ცხოვრებაში აქვს რელიგიური ფანატიზმის დაცვის უნარი და ყველა კერძო არა მუსულმანური კულტურის გავლენისაგან განკერძოვების ტენდენცია. ამ კოლებში სწავლა მისანვდენია თითოეული მთილი ბავშვისთვის, რადგანაც იგი იწვევს მეტად უმნიშვნელო ხარჯებს და ასეთი სკოლები ყველა სოფელშია. ამ სკოლების დამლუპველ გავლენასთან ბრძოლა აუცილებელია სამინისტრო დანებებითი სკოლების გახსნის საშუალებით. ამ სკოლების გახსნა ხაზინის ხარჯზეა საჭირო, რადგან მოსახლეობას არა აქვს შეგნებული მათი მნიშვნელობა და რადგანაც მაჰმადიანური სამღვდელოების ზეგავლენით იგი უყურებს ამ საქმესინდეფერენტულად და მტრულადაც. ანუამად არსებულრუსულ სასწავლებელში მაჰმადიანთა შვილები ნაკლებად შემოდიან. სამინისტროს სკოლებ-

ში ამჟამად მყოფი აჭარელთა მოსწავლე-ახალგაზრდობა დაკომპლექტებულია უმთავრესად მცველთა და სხვა მოსამსახურეთა ბავშვებით“...

აღნიშნავს რა ასეთ მდგომარეობას, გუბერნატორი სახავს ღონისძიებებს თუ როგორი საშუალებით იქნება შესაძლებელი აჭარელი ბავშვების მოზიდვა რუსულ სკოლაში. იგი ფიქრობს, რომ ამისთვის ჯერ საჭიროა დაველოდოთ შესაფერი დროს და ამასთანავე მანამდე კი აუცილებელია, რომ პირველკურსდამთავრებულებს მისცენ პრივილეგიები, ხელფასიანი ადგილები მამასახლისების, მწერლის და პოლიციის სამსახურში მცველების თანამდებობაზედ. გუბერნატორის აზრით, ეს გამოიწვევს შურს სხვებში, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით მიისწრაფვის საპატიო ადგილებისაკენ, რაც დაკავშირებულია იარაღის ტარების უფლებასთან და მატერიალურ სარგებლობასთან. გუბერნატორის აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ადგილობრივი მუსულმანი ბავშვებით რუსული სკოლების შევსება⁶.

მეფის მთავრობა ძირითადად რუსთა მოსახლეობისთვის და პრივილეგიური ფენებისათვის ხსნიდა სკოლებს. მაგალითად, მთავრობამ გახსნა ორკლასიანი ნორმალური სკოლები ქობულეთში 1896 წელს, ხულოში – 1897 წელს, ქედაში -1903 წელს, გახსნეს აგრეთვე ერთკლასიანი სკოლები კვირიკეში (1904 წელს), ორთა ბათუმში (1907 წელს), მარადიდში (1909წ).

მეფის მთავრობა რუსი ჩინოვნიკების შვილებისათვის საკმაო რაოდენობით გახსნა ბათუმში რუსული სკოლები.სამხედრო გუბერნატორი თავის მოხსენებაში შემდეგს წერდა: „სხვა მიმართულება ჩანს ქალაქის მოსახლეობაში, რომელიც წარმოადგენს ხალხთა დიდ სიჭრელეს. ქალაქის მოსახლეობის სკოლისადმი შეგნებული დამოკიდებულობის საუკეთესო საზომს წარმოადგენს ის გარემოება, რომ რუსეთის 25 წლის ბატონობის განმავლობაში, ბათუმში 20 სასწავლებელი წარმოიშვა, რომელთა რიგში ვაჟთა კლასიკური გიმნაზია და აგრეთვე ქალთა გიმნაზიაა. მიუხედავად ამისა ეს სასწავლებლები არაა საკმარისი და სწავ-

ლის მსურველთა უმეტესობა იძულებულია სხვა ქალაქების სასწავლებლებში შევიდნენ“. მართლაც, ქალაქის რუსულ სკოლათა შორის პირველი ადგილი ეკავა ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას, რომლის შენობის აგება 1897 წელს დაიწყო ზღვის პირას. 1910 წელს აქ სწავლობდა სულ 409 მოსწავლე, ხოლო 1913 წელს 500 მოსწავლე. ეროვნული შემადგენლობის მხრივ რუს მოსწავლეთა რიცხვი 1910 წელს 133 იყო, ხოლო რუსული ორიენტაციის ქართველთა კი 125, აქედან მუსულმანთა რიცხვი 15 მონაფით განისაზღვრებოდა, მაგრამ ოფიციალური ფურცლიდან არ ჩანს, თუ რამდენი იყო მათ შორის ქართველი მაჰმადიანი. ასევე აღსანიშნავია ქალთა გიმნაზია, სახელოსნო სასწავლებლები, გოგოლის სახელობის სკოლა, ბერძნული სკოლა, რკინიგზის ნორმალური სკოლა და ა.შ.⁷

მეფის დროინდელი სკოლა მიზნად ისახავდა თვითმპყრობელური რეჟიმისადმი მონური სულისკვეთებით გაყენილი თაობის აღზრდას. ცარიზმის ძველი სკოლა ემსახურებოდა რუსეთისადმი ერთგულების ჩანერგვას, იგი თესდა ეროვნებებს შორის შუღლს და მტრობას, უხშობდა ახალ თაობას ეროვნული თვით შეგნების განვითარებას, ამ სკოლებს უნდა გაეტარებინათ რუსიფიკატორული პოლიტიკა მოსახლეობაში.

დავით კლდიაშვილი იგონებდა ადგილობრივ მოსახლეობას: „რუსობას უნერგავდა გულმოდგინედ ოლქის მზრუნველი ზავადსკი, ცნობილი იანოვსკის ნაცვალი. ასეთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი ბათუმში მისი ერთ-ერთ ჩამოსვლის დროს. ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ერთ კლასში მან მოიხმო მონაფე და შეეკითხა თუ ვინ იყო ის, როდესაც მოსწავლემ უთხრა მისი ვინაობა, ზავადსკი გაბრაზდა და აიძულა მოსწავლე გაემეორებინა მასთან ერთად, რომ ის იყო რუსი. ამ გზით „აძლიერებდნენ“ მეფის რუსეთს“⁸.

მეფის რუსეთი ცდილობდა ქართული ენა საფუძვლიანად ამოეძირკვა სკოლებიდანაც. განსაკუთრებით ის იმისთვის იბრძოდა, რომ მაჰმადიანი ქართველებისათვის ქართული ენა უც-

ხო ყოფილიყო. მთელი მისი მცდელობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის რუსული ენა გამხდარიყო ერთადერთი სასაუბრო ენად.

ცარიზმი ავიწროვებდა აგრეთვე პროგრესულად მოაზროვნე ქართველ პედაგოგებს, რომლებიც ეროვნულ სულს აღვივებდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. შოვინისტური ძალისხმევა მიმართული იყო სწორედ ასეთ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი მასწავლებლების წინააღმდეგ. ცარიზმის ჩინოვნიკების შეფასებით ქართველი პედაგოგები „უბნელებდნენ მოსწავლეებს გონებას, არასწორი მიმართულებით მიჰყავდათ მათი აღზრდის საქმე, უნერგავდნენ ქართულ ნაციონალიზმს!“

აი, როგორი ხასიათის წერილი გაუგზავნა ბათუმის ოლქიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ადგილობრივმა გუბერნატორმა. წერილი ეხებოდა ქართველ პედაგოგს მირიან რამიშვილს, რომლის დანიშვნა თურმე ბათუმის ოლქის სკოლაში ყოველად მიუღებლად ჩათვალეს. წერილში ხაზგასმულია: „მე იძულებული ვარ გთხოვოთ მიაქციოთ ყურადღება ბათუმის ოლქში სკოლების ისედაც შემცირებულ რაოდენობას... ადგილობრივი მოსახლეობა რელიგიური შეხედულებების გამო ირიბად უყურებს რუსულ კოლებს და ასეთ სკოლებში მასწავლებლად ქართველებისა დანიშვნა და თანაც ისეთების, პოლიტიკურად არა საიმედოა, ნამდვილად არასასიამოვნოა. ამას ისიც ემატება, რომ ქართველი პედაგოგები ყოველ ღონეს ხმარობენ გაავრცელონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები მაჰმადიანებზე და მათში შეიტანონ ქართული წიგნიერება. ვიმეორებ „ქართული წიგნიერება“⁹. შემდეგ გუბერნატორი განაგრძობს, რომ „ქართველებს არა თუ შეუძლია სასკოლო ქსელის გაზრდა ოლქში, არამედ თავისი შმოქმედებით მუსულმანების თვალში ამცირებენ სკოლის მნიშვნელობას და ამიტომ ქართველები არ უნდა იქნან დაშვებული სკოლებში პედაგოგებად, ეს სახიფათოა როგორც პოლიტიკურად, ასევე ზნეობრივად. უნდა ვეცადოდ პედაგოგებად იყოს მხოლოდ და მხოლოდ რუსები იმისათვის, რომ მძლავრი ტემპით დაიწყოს ოლქის სკოლებში რუსიფიკაციის პროცესი“. ამისათვის

კი აუცილებელია- როგორც ამას მიუთითებდა გუბერნატორი-რუსული სკოლების მასიური გახსნა. საჭიროა იმუშაონ პედაგოგებად რუსებმა, სომხებმა და თუგინდც მუსულმანებმაც, გარდა ქართველებისა, რომლებმაც კარგად იციან რუსული ენა. ამით ეს მხარე (ბათუმის ოლქი) კიდევ უფრო შეეზრდება რუსულ- ნაციონალურ კულტურას“¹⁰.

შავრაზმელები, რომლებიც მოკალათდნენ განათლების სფეროში, კარებს ურახავდნენ პროგრესულ იდეებს, აბუჩად იგდებდნენ ხალხის ზნე-ჩვეულებებს, იძულების წესით ნერგავდნენ მათთვის უცხო ტრადიციებს¹¹.

საყურადღებოა ერთი გარემოება, რომელიც შესამჩნევი გახდა რუსეთის კოლონიზაციის დროიდან, კერძოდ იმპერიას თავი არ შეუწუხებია მედრესეების ან სხვა რომელიმე ოსმალური დაწესებულებების შესამცირებლად. პირიქით, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, რუსეთის მმართველობის დროს კიდევ უფრო გაიზარდა მედრესეების რიცხვი.¹²

განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება 1910 წლისათვის, როდესაც დღის წესრიგში დადგა მოსახლეობის **სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევის საკითხი**. ამ დროისათვის ბათუმის ოლქში ცხოვრობდა 57 637 კაცი, უმრავლესობა მუსულმანი ქართველები, ქურთები და ხემშილები იყვნენ. მთელი გასაწვევი მოსახლეობა შეადგენდა 35%-ს, აქედან გამომდინარე ყოველ წლიურად განწვეული უნდა ყოფილიყო სულ 364 კაცი. ამდენი რაოდენობის კაცის გამოყვანა შეუძლებელი იყო, რადგან მაჰმადიანი მოსახლეობა ძნელად თუ შეეგუებოდა ჯარის პირობებს. საიმპერიო ხელისუფლებას სურდა მოეხდაინა განწვევა, რადგან მათი შეფასებით მოსახლეობის ჯარში განწვევა გამოიწვევდა ადგილობრივი მაჰმადანების მასიურად აყრას თავისი მკვიდრი ადგილიდან და გაქცევას ოსმალეთში და აქ კი უნდა განხორციელებულიყო ცარიზმის გეგმა, კერძოდ, რუსული მოსახლეობის მასიურად ჩამოსახლება და იმპერიისათვის არასასურველი ელემენტების თავიდან მოშორება.

აი, რაში მდგომარეობდა სამხერო რეფორმის ძირითადი შინაარსი და მიზანი: „В связи с русским заселением этово района скорее осуществитвится наша гоударственная зфдфча во всем этом богатейшем районе. И для нас будет благоприятна последствие массово ухода ихода инородцев из области“.¹³

„აჭარიდან ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივ წასვლას უნდა მივესალმოდ“- ასეთი იყო ამ ღონისძიების ძირითადი შინაარსი. მეფის მთავრობა თუ შეძლებდა ამ გეგმის განხორციელებას, დიდად კმაყოფილი დარჩებოდა, რადგან მას საშუალება ეძლეოდა აჭარის ნოყიერ მიწაზე ჩამოუღებელი დაესახლებინა, რაც ხელს შეუწყობდა ამ მხარის რუსიფიკაციას. იმპერიის მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ: „ведение всеобщей повинности... вызовет бегство и муходжирование большинства населения и вероятно всего мужского населения призывного возраста“.¹⁴

მიუხედავად ამ ვერაგული ჩანაფიქრისა, ცარიზმმა ვერ შეძლო სამხედრო რეფორმის ბოლომდე განხორციელება, რადგან ამ რეფორმას 1911 წლის თებერვალში მოჰყვა ხალხის მღელვარება და იმპერიის მესვეურები იძულებულნი გახდნენ ის შეეწყვიტათ.

ამრიგად, აშკარაა, რომ მეფის რუსეთი აჭარას ინკორპორაციისთვის იყენებდა ადგილზე რუსეთს მოახალშენეთა დიდი მასის ჩასახლებას- რუსული სპეგლების შექმნას, სასკოლო პოლიტიკას და სამხედრო რეფორმასაც კი, რომ აჭარაში მტკიცე ღვედებით დაეკავშირებინათ იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებთან და ამოეშანთათ ყოველი ქართული, ტრადიციული.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. რ. კოჭლამაზიშვილი, საქართველოს გლეხურ მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიური ხასიათი, თბილისი, 1975, გვ 25;
2. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ, 1984;
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით აც-

- სა), ფ.1, აღნ. 1, საქ. 410, ფურც.20.26,41. საქმე 426, ფურც. 11, 37,5929;
4. აცსა,ფ.1,აღნ.1, საქ 431, ფურც.3.8,16;
 5. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №283, გვ.179.

Otar Gogolishvili

About Some Aspects of Tsarist Colonial Policy in Batumi Region Summary

Russian Tsarist regime steadily led its national-colonial policy in Adjara. The Tsarist colonial policy always tried to isolate the small nations from each other and then to make their assimilation. The invading policy of Russia artificially created the conditions for small nations to forget their past. First of all, this policy persuaded the Adjarians that they had nothing in common with Georgians. The officials of the Tsarist government constantly told the people that the Georgian culture was strange for them. The Tsarist policy banished The Georgian language from schools, court, administrative institutions. The government officials spoke to the people by the help of interpreters of the Turkish language. To restrict the native language for the Muslim Georgians was an anti-national step: the local Muslim population must know the Russian language very well. We must do our best to make Russian the only native language for them, and in the mountainous regions, where the Ottoman remains are still strong, we should try that Russian could oppress and gradually abolish its usage” – one of the military governor of Batumi region mentions in his official letter to the Chief Governor of the Caucasus in 1901.

ალექსანდრე ჩხაიძე

ჯანმრთელობის მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის შუა ხანები)

ოსმალთა მფლობელობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სამშობლოს ეს კუთხე მრავალმხრივ ჩამორჩა. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარე ნელა ვითარდებოდა.

1839 წლიდან ოსმალეთის იმპერიაში ერთგვარად დაჩქარდა გარდაქმნის („თანზიმათის“) პროცესი. ამის შედეგად წინსვლა დაეტყო განათლების სფეროს, მაგრამ ჯანმრთელობის საქმე იმპერიაში კვლავ არასახარბიელო რჩებოდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ახალშობილთა სიკვდილიანობის სავალალო მაჩვენებლით.

მართალია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შობადობის მაღალი დონე იყო, მაგრამ ამასთან ერთად სიკვდილიანობაც დიდი იყო, მაშინ ბავშვთა თითქმის ნახევარი ვერ აღწევდა 2 წლამდე ასაკს, რაც განპირობებული იყო პრიმიტიული სამედიცინო მომსახურებით, ეკონომიკური სიდუხჭირით და სხვა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საკვლევ პერიოდში ერთგვარი დანინაურება დაეტყო ქ. ბათუმს, რომელიც იმ დროს ლაზისტანის სადროშოს ცენტრი იყო. ამის მიუხედავად აქ არავითარი სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულებანი არ ფუნქციონირებდა. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო მთიან რეგიონებში. განათლების დაბალი დონე განაპირობებდა სპეციალისტების უკმარისობას და მაღალპროფესიონალი ექიმების უყოლობას.

ყოველივე ამის შედეგად ვრცელდებოდა მრავალი ავადმყოფობა, რაც საფრთხეს უქმნიდა მხარის მოსახლეობის ჯანმრთელობას. დაავადებათა შორის აქ აღსანიშნავია: გადამდები სნეულებანი, ციებ-ცხელება, ჩიყვი, „ინფლუენცია“ ანუ გრიპი და ა.შ.

იმუშამად განუვითარებელ მედიცინას უჭირდა მრავალ გადამდებ სნეულებასთან ჭიდილი. ამიტომ ავადმყოფობათა მსხვერპლი მრავალი ადამიანი ხდებოდა.

ოსმალეთის იმპერიაში თანზიმათის პერიოდის დამდეგს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა. 1838-1843 წლებში ამ სენით ხალხი შეწუხებული იყო რუსეთის

მფლობელობაში მყოფი საქართველოს ფარგლებშიც. კერძოდ ახალციხეში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიამ დიდი მსხვერპლი გამოიწვია (1). 1840 წლისათვის ახალციხის მაზრის სამხრეთ საზღვართან, როგორც წყაროშია მითითებული, „შავი ჭირი მძვინვარებდა მთელი სისასტიკით”(2). უნდა ვიგულისხმოთ, რომ ახალციხესთან ახლომდებარე აჭარა, შავშეთი, ნიგალი, ბათუმის მიდამოებიც ვერ იქნებოდა დაცული ამ სენისაგან.

ოსმალეთის ხელისუფლებას იმ დროს ტრაპიზონში მკაცრი კარანტინითა და სხვა ქმედითი ზომებით ეს უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ქალაქი და პორტი სენისაგან გადაურჩენია. საგულისხმო ცნობას გვანვძის 1841 წელს კავკასიის მთავარმმართველის კანცელარიის მმართველი ა. ხვოსტოვი, რომელიც მიუთითებს, რომ ერზრუმშიც აღნიშნული სენი მცირდებოდა (3). ჩანს, რომ გატარებულმა დროულმა მკაცრმა ღონისძიებებმა დიდ სავაჭრო ცენტრებში და მოხერხებულ ნავსადგურებში კარგი შედეგი გამოიღო, მაგრამ ამ დიდი ქალაქების შემოგარენი და დაშორებული ადგილები დაუცველი აღმოჩნდა.

1842წ. გაზაფხულზე რუსეთის არმიის ოფიცერი ი. პროსკურიაკოვი ბათუმში იმყოფებოდა. მისი გადმოცემით ქალაქში ჭაობიანობის და საერთოდ ნიადაგში ტენის შენარჩუნების გამო ჰავა არაჯანსაღი იყო და შედეგად ციებ-ცხელება მძვინვარებდა. ქალაქელებიც მაღალ ადგილებში სახლდებოდნენ, რითაც გაურბოდნენ არასასურველ ჰავას (4). ამავე დროს რუსი ოფიცერი წერს ოლთისში შავი ჭირის არსებობაზე. ამ დაავადებას მორწმუნენი უწოდებდნენ- „მუბარენ“, ანუ ღვთის განგებას(5). ირკვევა, რომ მოცემულ პერიოდში ჩვენი მხარის სპეციფიკური განვითარების გამო საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ რელიგიური დოგმები. კონფენსიური აღზრდა აჭარელს არწმუნებდა ბედისწერის წინასწარ განზრახულობაში, რაც მას ფაქტიურად ფარხმალს აყრევინებდა ავადმყოფობასთან ბრძოლაში.

მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფა არც რუსეთის ხელისუფლებას ჰქონდა შესაბამის დონეზე დაყენებული. კარანტინის ისინი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ, ამიტომ 1843 წელს იმპერიის შავი ჭირისაგან დაცვის მიზნით ოსმალეთთან და სპარსეთთან ორი დამცველი ხაზი დანესდა (6).

ეტყობა რამდენიმე წელიწადში შავი ჭირის პრობლემა საქართველოს ამ მხარეში ნელ-ნელა მოაწესრიგეს. მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვი, როცა თავის მოხსენებაში 1849-1851 წლებს მიმოიხილავდა, ამბობდა, რომ თავს უსაფრთხოდ ვგრძნობთ, რადგან ახლა გადამდები დაავადებანი შავი ჭირი, რუსეთის მეზობელ სამხრეთ პროვინციებში არ არისო და ამას იგი მიაწერდა რეფორმების პროცესს (7). პრობლემების საბოლოო მოწესრიგების მიზნით, 1849წ. ქ. ბათუმის ნავსადგურში შემოიღეს კარანტინი, რადგან აქ ვაჭრობა დროთა განმავლობაში იტენსიური ხდებოდა (8). ამის შემდეგ შავი ჭირის მასიური გავრცელება ამ რეგიონში დროებით შეჩერდა.

აღნიშნული შავი ჭირის საფრთხის ლიკვიდაციის შედეგად მხარის მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემა არ მოგვარებულა. ოსმალეთის იმპერიაში დაწყებულმა გარდაქმნებმა „თანზიმათმა“, ჩანს, განაპირა მხარეების განვითარებას ისე ვერ შეუწყო ხელი, როგორც ცენტრალურ პროვინციებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონების მოსახლეობას, აქაური არახელსაყრელი პირობების გამო, ძალიან აწუხებდა ციებ-ცხელება. თავადი მ. ვორონცოვი 1853 წელს წერდა, ბათუმში „ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში მძვინვარებდა ციებ-ცხელება, რომელიც ძლიერი წვიმებისა და ქარიშხლის ბუიანობის მერე სუსტდებოდა“ (9). ყირიმის ომის დროს (1853-1856წწ.) აქაურმა ჰავამ და ხსენებულმა ავადმყოფობამ სერიოზული ზიანი მიაყენა ოსმალეთის არმიასაც. მაიორი ოსმან ბეი ამ ომის გახსენებისას გადმოგვცემს, რომ ტიფი და გავრცელებული ციებ-ცხელებანი შეადგენს აქაურობის (მხედველობაშია შავიზღვისპირა დაბლობები მდინარე ენგურიდან მდინარე ჭოროხის ჩათვლითა.ჩ.). ერთ-ერთ, მაგრამ ყველაზე საშინელ თავისებურებას, ეს დაავადებანი „იმდენად დამლუპველი და ავთვისებიანია, რომ სახელი მსოფლიოში გაითქვა და როცა ამბობენ: „შავი ზღვის ციებ-ცხელება“ მთელმა მსოფლიომ იცის ეს რა არის... ბოლო ომში ოსმალეებმა ამ ჯოჯოხეთის ნაპირზე დაკარგა ათი ათასობით ადამიანი“ (10).

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მერყევი მდგომარეობა, სავაჭრო ურთიერთობის ზრდა აიძულებდა რუსეთის ხელისუფლებას ფხიზლად ყოფილიყო, გაეთვალისწინებინა გადმოცემუ-

ლი ცნობები, რასაც ოსმალეთის მფლობელობაში არსებულ საქართველოში მყოფი თავისი წარმომადგენლებისაგან იღებდა.

ბათუმის ვიცე კონსული 1862წ. მარტს იტყობინებოდა, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბათუმსა და მის შემოგარენში დამაკმაყოფილებელი იყო (11). ეს იმას ნიშნავდა, რომ არ იყო ეპიდემიური დაავადების გავრცელების და რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეულ საქართველოში ამ სენის გავრცელების საფრთხე. რუსეთის ხელისუფლებას სხვა საკითხები აღარ აინტერესებდა. საჭირო შემთხვევაში დროულად იქმნებოდა კარანტინი და კარგად ისინჯებოდნენ საექვო პირები, გემები, საქონელი, მაგრამ ამ ღონისძიებას სხვა დანიშნულებითაც იყენებდნენ. როცა 1872წ. აჭარაში ეკონომიურ ნიადაგზე დაიწყო ანტისამთავრობო გამოსვლები, რუსეთის ჯარს რომ უკონტროლოდ არ ეპარპაშა, გააკეთეს კარანტინი(12).

ამ რეგიონის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით შემანუხებელი იყო, როგორც იმდროინდელი მოღვაწე გვამცნობს, წელიწადის დროების სეზონის მიხედვით ინფლუენცია ანუ გრიპი, რომლის გავრცელებას სიღარიბე განაპირობებდა. აქაური მკვიდრი აბდულ მიქელაძე თავის საგაზეთო პუბლიკაციაში ამ საკითხსაც ეხებოდა. „საშინელმა ნოტიო და წვიმიანმა დარებმა, -წერდა ის, -გაგვიჩინა საძაგელი სენი, ინფლუენცია. დღე იშვიათად გაივლის, კაცი არ დაიმარხოს“ (13). ამის მიზეზად ის ასახელებდა სიღარიბეს, არც თბილი სახლები გვაქვს-მიუთითებდა ის, არც კარგი საჭმელები. სახლები კი მამა-პაპურია, უიატაკო და უფანჯრებო, რომელიც ვერ თბება, ხოლო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უვარგისია და წყლისაგან ვერ გვიცავსო(14).

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო შემოიარეს გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა: ნიკო ნიკოლაძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა და სხვა. მათ, როგორც თვითმხილველებმა, გადმოგვცეს ცნობები რეგიონში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მკაცრი რეალობის შესახებ.

XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისში, როცა ნ. ნიკოლაძე ბათუმში იმყოფებოდა, ის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა უცხოელთა მფლობელობის შედეგად აქ შექმნილ მძიმე მდგომარეობას: „ერთი უბრალო გადამდები ავადმყოფობა უეჭიმობის და

უნამლობის გამო ათასობით ხოცავს ხალხს, არსად არც საავად-
მყოფოა, არც სამაგალითო სამკურნალო” (15).

დიდ ინტერესს იწვევს გამოჩენილი ქართველი ისტორიკო-
სის დიმიტრი ბაქრაძის აზრი, რომელიც განსაკუთრებული ის-
ტორიული მისიით იმყოფებოდა გურია-აჭარაში 1873 წელს. ის
სავსებით რეალურად აღწერდა აქაურთა ჯანმრთელობის მდგო-
მარეობას. მისი თქმით, ბათუმის ოლქში, ისევე როგორც მთელ
აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, გავრცელებულია ციებ-ცხე-
ლება, კატარული ავადმყოფობანი და სხვა. მხოლოდ ბათუმის
ოლქისათვის კი დამახასიათებელია ჩიყვი. დაავადება გავრცე-
ლებულია, როგორც ზემოთ, ისე ქვემო აჭარაში, -აგრეთვე მცი-
რედ იმერხევში (შავშეთში და იქით არააო). „აჭარაში, -გადმოგ-
ვცემს სახელოვანი ისტორიკოსი, ის განსაკუთრებით გავრცელე-
ბულია: ხულოს, ჩანჩხალოსა და მერისის ხეობებში. ზოგი მამაკა-
ცის ჩიყვი მთლინად ბურთისებრია, ზოგჯერ ისეთი შემზარავი,
როგორც სვანეთში. ქალებში ეს ნაკლებადაა განვითარებული.
ჩიყვის მიზეზს აქ მიაწერენ წყალში იოდური მარილის ნაკლებო-
ბას”(16), სამართლიანად ასკვნის ისტორიკოსი.

რუსეთის არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკმა გიორ-
გი ყაზბეგმა 1874წ. იმოგზაურა ჯერ კიდევ ოსმალეთის მფლობე-
ლობაში მყოფ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და დაგვიტო-
ვა საკმაოდ საინტერესო ცნობები იმდროინდელ აჭარაზე. სხვა-
თა შორის ის წერდა, რომ აქ ავადმყოფობის და სიკვდილიანობის
დაბალი დონეა, მაგრამ გამონაკლისი ჩიყვიაო (17). ამ ცნობამ შე-
იძლება შექმნას მხარეში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კარ-
გი მდგომარეობის შთაბეჭდილება. თუმცა ავტორს ჩვენ ვერ და-
ვეთანხმებით.

გ. ყაზბეგი აჭარის სხვადასხვა კუთხეში მცირე ხნით ყოფნი-
სას ნამდვილად შეხვდებოდა ცხოვრების სიმკაცრეში, შეიძლება
ითქვას, სპარტანული წესით გამოზრდილ თაობას, მაგრამ, რო-
გორც აღვნიშნეთ, დაბადებულთა დიდი ნაწილი ბავშვობაში ილუ-
პებოდა, ხოლო გადარჩენილნი ეგუებოდნენ ცხოვრების მკაცრ
პირობებს და კაჟდებოდნენ. ეს იყო თავისებური „ბუნებრივი გა-
დარჩევა”. მაგრამ ადამიანები არა თუ არ იყვნენ დაზღვეულნი
ავადმყოფობისაგან, არამედ ცუდი პირობების, უექიმობის გამო
სნეულების გართულება და სიკვდილი აქ იშვიათი ამბავი არ იყო.

სავალალო მდგომარეობა იყო არა მარტო უგზოო მთიანი რეგიონისათვის, არამედ ლაზისტანის სადროშოს ცენტრის-ქ. ბათუმისათვისაც კი. აღნიშნული სადროშო თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე თითქმის სამჯერ დიდი იყო (მოიცავდა აჭარას, მის მიმდებარე სამხრეთ ტერიტორიას, კერძოდ ლიგანსა და მის დასავლეთით, ზღვის სანაპიროს, ათინას მაზრას ანუ კაზას ჩათვლით).

ასეთ პირობებში, როცა სახელმწიფო მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ არ გავრცელებულიყო ეპიდემიური დაავადებანი, ხოლო ხალხი ძირითადად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, აჭარაში გავრცელებული იყო სამედიცინო საქმიანობის ყველაზე ძველი სისტემა-სახალხო მედიცინა. ეს იყო ძველი ტრადიციული მკურნალობის წესები და ხერხები, ანუ მწირი სამედიცინო გამოცდილების პრაქტიკა. შესაბამისი ხალხური მკურნალობის კარაბადინების მნიშვნელოვანი ნაწილი ჟამის სიავემ მოსპო. შემორჩენილთაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ხსენებული აბდულ მიქელაძის მიერ 1893 წ. აღმოჩენილი XVIII საუკუნის „აგარული კარაბადინი“. გამოვლენილია სხვა მსგავსი ძეგლებიც (18). ამ მნიშვნელოვან სამკურნალო ხელნაწერთა მონაცემების და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მხარის ექიმები ემსახურებოდნენ ადამინის ჯანმრთელობის დაცვის დასაფასებელ საზოგადოებრივ საქმეს. ამასთან ერთად სწეულთან მიჰყავდათ სასულიერო მოძღვრები, ამა თუ იმ ავადმყოფობათა შელოცვის მცოდნენი, რომელთა რჩევა, შთამაგონებელი მოწოდებები, დარიგებები და სხვა, კეთილ იდეურ მხნეობას მატებდა სწეულს, ხელს უწყობდა მის სწრაფ განკურნებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, გამომცემლობა, თბილისი, 1970, გვ. 230.
2. Акты, т. IX, Типография канцелярии главноначальствующего гражданскою частью на Кавказе, Тифлиси, 1884, გვ.66.
3. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (შემოკლებით სსცსა), ფონდი 11, საქმე 1197, ფ.21.

4. Я. Проскуряковъ, Заметки о Турции, типография К.П. Козловскаго, Головинск, просп. №12, Тифлисъ, 1905, გვ.3.
5. იქვე, გვ.5.
6. Акты, т. IX, Типография канцелярии главноначальствующаго гражданскою частью на Кавказе, Тифлисъ, 1884, გვ.610.
7. Акты, т. X, Типография канцелярии главноначальствующаго гражданскою частью на Кавказе, Тифлисъ, 1885, გვ.894.
8. სსცსა, ფონდი 11, საქმე 1934, ფ.2.
9. Акты, т. X, Типография канцелярии главноначальствующаго гражданскою частью на Кавказе, Тифлисъ, 1885, გვ.757.
10. Кавказский сборникъ, Т II, Типография окружнаго штаба кавказкаго военнаго округа, Тифлисъ, 1877, გვ.146.
11. სსცსა, ფონდი 8, საქმე 2567, ფ.4.
12. გაზეთი „დროება“, 1872წ., №26.
13. აბდულ მიქელაძე, წერილები აჭარიდან, შეადგინა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი, 1991, გვ. 50.
14. იქვე.
15. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. III, სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“, 1963, გვ. 79.
16. Известия Кавказкаго отдела императорскаго русскаго географическаго общества, Т. VI, типография главнаго управления наместника Кавказскаго, Тифлисъ, 1879-1881, გვ.156.
17. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ.62.
18. რ. სურმანიძე, ქართული კარაბადინი, ბათუმი, 1996, გვ. 13.

Aleksander Chkhaidze

*Condition of Health in South-West Georgia
(The middle of XIX century)*

Summary

In the middle of XIX century in Ajara the low level of medicine and poverty of population provoke child's death-rate.

During Tukey's domination in Ajara there was no medical establishment, the government took some measure against epidemic. In other certain cases they did not took care to defend population's health.

Such as terms national medicine helped them. For medical treatment also took Muslim religious servant for sick.

მერაბ მეგრელიშვილი

რუსული მმართველობა აჭარაში XIX ს. დასასრულს და XX ს. პირველ ოცნლედეში

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ, ანექსირებულ დედა-სამშობლოს. რუსეთის ხელისუფლებამ ახლად შემოერთებულ აჭარაში გააგრძელა „გააერთიანე და იბატონეს“ კოლონიური პოლიტიკა და ამით კიდევ უფრო გააფართოვა საკუთარი იმპერიის შავი ზღვის საზღვრები, „საქართველო, როგორც იმპერიის განაპირა კოლონიური მხარე ბუნებრივია განიცდიდა ყველა იმ შინაგანი პროცესის ზეგავლენას, რაც XX საუკუნის პირველი ოცნლედის რუსეთის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას ახასიათებდა (საქართველოს სიტორიის ნარკვევები; 1973:შესავალი). ჯერ კიდევ „1840 წელს რუსების მიერ ამიერკავკასიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის მიზანი იყო სრული, წმინდა რუსული მმართველობის შემოღება და მისგან ადგილობრივი ელემენტების მთლიანად ჩამოცილება“ (გოდერძი ვაჭრიძე, სულხან კუპრაშვილი; 2015:78.) „რუსეთის განაპირა კოლონიურ რაიონებში, სადაც ცარიზმი სოციალურ ჩაგვრასთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც ახორციელებდა, გაცილებით უფრო მძიმე და მტკიცენეული იყო შეურიგებელი წინააღმდეგობა და მისი შედეგები“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები: 1973:შესავალი). საქართველოში მოსული დამპყრობელი საკუთარ საზღვრებს აწესებდა. რუსეთსა და თურქეთს შორის საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებმა ჭახათში დაიდო სათავე და შეკვეთილში ზღვას შეუერთდა. რუსეთი ცდილობდა საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინა ადგილობრივი მოსახლეობა. და ამ მიზნით აჭარაში ჰქმნიდა სადროშოებს. აღმოსავლეთ ციმბირის 35-ე პოლკის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა სლავოჩინსკიმ მანჯურიის არმიის მთავარსარდალს გენერალ ლენევიჩს მოახსენა, აჭარლების სურვილის თანახმად სადროშის შექმნის შესახებ, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა რუსეთ-იაპონიის ომში. გენერალ-მაიორ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილმა თემურ-ბეგ ხიმშიაშვილმა და პოლიციის მაიორმა თუფან-ბეგ შერვაში-

დემ 1905 წლის 10 აპრილს წერილით მიმართეს პოლკოვნიკ სლავოჩინსკის, რომ დახმარებოდა მათ სადროშის ფორმირებაში. 200-მა აჭარელმა გამოთქვა მზადყოფნა საკუთარი სისხლის ფასად დაემტკიცებინა რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულება. პოლკოვნიკ სლავოჩინსკის მიაჩნდა, რომ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გაძლიერდებოდა მოსახლეობასთან კავშირი, ასევე წარმოჩნდებოდა აჭარლების საუკეთესო საბრძოლო თვისებები და ეს კი იმპერიას მოუტანდა სარგებელს. მაგრამ როცა საქმე უკვე არმიაში განწვევაზე მიდგა, მაშინ პოლკოვნიკმა სლავოჩინსკიმ უნდობლობა გამოუცხადა ადგილობრივ მოსახლეობას. მაშინ თემურ-ბეგ ხიმშიაშვილმაც არ დააყოვნა, უკან დაიხია და სლავოჩინსკის შემდეგი პასუხი გასცა: „ამბოხებები ოზურგეთსა და ბათუმის რეგიონში გარკვეულ საშიშროებას უქმნის, როგორც რუსეთის სახელმწიფო წყობას, ასევე ჩვენ ოჯახებს, ამიტომაც უმჯობესია, რომ თავი შევიკავოთ“ (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 170, ფ. 4). რუსეთის ხელისუფლების ცალკეული პირები გამოთქვამდნენ სხვა მოსაზრებასაც, კერძოდ 1905 წლის 13 მაისს, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ბათუმის სამხედრო გუბერნატორს აცნობებდა, რომ აჭარლებს არავითარი ვალდებულება არ გააჩნდათ რუსეთის არმიის წინაშე და მათი ნების გარეშე ამ საქმის განხორციელება არ შეიძლებოდა.

1910 წლის 1 სექტემბერს რუსეთის მეფისნაცვალ კავკასიაში თავის საიდუმლო წერილში იუწყებოდა, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო გამოთქვამდა სურვილს, რომ სამხედრო ვალდებულება გავრცელებულიყო იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრებ მოსახლეობაზე. თუმცა რუსეთის სამხედრო მინისტრი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ინოვაციებისგან (უცხო ტომები, ასე მოიხსენიებდნენ ქართველებს) შექმნილიყო რეგულარული სამხედრო შენაერთი, რადგან თვით ინოვაციები გამოთქვამდნენ ზიზღს სამხედრო ჯარში სამსახურზე, ასევე წინადადებას იძლეოდა თავი შეეკავათ ასეთი გადაწყვეტილებისგან, რათა ამას აღშფოთება არ გამოენვია ადგილობრივ მოსახლეობაში. სამხედრო მინისტრს უფრო მეტად აინტერესებდა რუსული კოლონიზაციის საქმე. აღნიშნული საქმის გამოკვლევის და დადგენის მიზნით, სამხედრო მინისტრს შედგენილი ჰქონდა

მკითხვარი, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავდა: არმიის რომელ ნაწილებში (ქვეითი, ცხენოსანი, კაზაკების ასეული და ა.შ) შეიძლებოდა ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება, როგორი იყო ინოროდცების განწყობა, გამოიწვევდა თუ არა ეს ღონისძიება მათი მხრიდან აღშფოთებას და წინააღმდეგობას, იყვნენ თუ არა ინოროდცები საიმედო და ერთგული ჯარისკაცები, 100 მამაკაცისგან რამდენი პროცენტი გაეწვიათ ჯარში, განსაკუთრებით რომელი კუთხის მცხოვრებნი იყვნენ უფრო საიმედონი, იყვნენ თუ არა ინოროდცები ფიზიკურად სრულყოფილნი, ჰიგიენური წესების დამცველნი, გამოიწვევდა თუ არა ეს ღონისძიება მათ მასიურ ემიგრაციას რუსეთის საზღვრებს მიღმა და ეს უკანასკნელი სავალალო შედეგს მოუტანდა იმპერიას. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი რუსეთის იმპერატორს აცნობებდა, რომ თურქი ემისრები ინოროდცებში ავრცელებდნენ ხმას, რუსულ ჯარში იძულებით განწვევის შესახებ, რამაც გამოიწვია მუსლიმი მოსახლეობის მასიური მუხაჯირობა. ამასთან ერთად 1905 წელს, კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის აღორძინების პერიოდში, გარკვეული წრეები შეეცადნენ ამ გამონათქვამების საფუძველზე ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობაში გამოეწვიათ უკმაყოფილება, თუმცა ამას მათთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთის ხელისუფლებამ დაამშვიდა ადგილობრივი მოსახლეობა და აუხსნა, რომ ხელისუფლება უახლოეს მომავალში ასეთი ღონისძიებების გატარებას არ აპირებდა. რუსეთის ხელისუფლება ამ პრობლემურ საკითხს განიხილავდა წმინდა რელიგიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე და მათი მხრიდან წინააღმდეგობას ხსნიდნენ, როგორც: „посягательства на их религиозные принципы и тот оригинальный их уклад жизни и мировоззрение, которое кристаллически чисто построено еще на шариате и очень слабо подверглось нашему культурному влиянию“ (აცსა, ფონდი ი-1 ანან. 1, საქმე 882, ფ. 4).

ანტირელიგიური პროპაგანდა მუსლიმ მოსახლეობაში იწვევდა პანიკურ შიშს, ამას ემატებოდა რუსული კოლონიზაციით გამოწვეული უკმაყოფილება, რუსი ჩინოვნიკების უტაქტო ქმედებები, სავაყუფო მიწების ჩამორთმევა და მოსახლეობაში გადასახადების იძულებითი აკრეფის წესი.

რუსეთის ხელისუფლება ინოროდცების რუსულ არმიაში

განვევასთან დაკავშირებით სიფრთხილეს იჩენდა შემდეგი გარემოებების გამო: ინოროდცების ცხოვრების არსებული პირობები, მათი რელიგიური და ყოფითი თავისებურებები, სხვა რელიგიებთან შეუთავსებლობა, სიმპატიები თურქების მიმართ, რაც განსაკუთრებით შეინიშნებოდა ადგილობრივ ბეგებში, რუსებს მიაჩნდათ, რომ დიდგვაროვანთა ორიენტაციებს უპირველეს ყოვლისა მათი ფეოდალური, სამამულო ინტერესები განსაზღვრავდა და ყველა სხვა მომენტი მათთვის მეორადი ხასიათის იყო. ყოველივე ამის საფუძველზე რუსეთის ხელისუფლება ასკვნიდა, რომ შეუძლებელი იყო რაიმე მოთხოვნები წაეყენებინათ იმ მოსახლეობის მიმართ, რომელიც რუსეთის იმპერიას რალაც 30 წელია შეეკედლა და რომელსაც ცნობიერებაში შემორჩენილი აქვს თურქეთის ბატონობის მძიმე ხვედრი, მისი პანისლამიზმით.

საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამკვიდრებას კავკასიის ქრისტიანებს შორის ასწლეული დასჭირდა. რუსეთის ხელისუფლება ამ საკითხს თანდათანობით წყვეტდა, კერძოდ კავკასიის ქრისტიანთა საუკეთესო გვარის წარმომადგენლები საკუთარი სურვილით მსახურობდნენ რუსეთის არმიაში ოფიცრებად, თავადაზნაურთა შვილები თითქმის იძულებით აღიზრდებოდნენ რუსულ კადეტურ კორპუსებში, სამხედრო გიმნაზიებში. თავადაზნაურთა ქალიშვილები კარგ პირობებში სწავლობდნენ კეთილშობილთა ინსტიტუტებსა და ქალთა გიმნაზიებში. ყაზანელი და ასტრახანელი თათრები დღემდე ინარჩუნებენ სიმპატიებს თურქების მიმართ. წლების განმავლობაში ბრიტანეთის დაქვემდებარებაში მყოფი ინდოეთის ადგილობრივი არმია რელიგიური ნიშნით იყო დაყოფილი, ერთმანეთისადმი მტრულად იყო განწყობილი და ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი ასიმილაცია ბრიტანეთის ნაციონალურ არმიაში.

რუსები დიდათ უფრთხილდებოდნენ იმპერიის საზღვრების თავდაცვის საქმეს და ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას უნდობლობას უცხადებდნენ. მათ აუცილებლად მიაჩნდათ „ინოროდცების“ სამხედრო სამსახურში გაგზავნა პირველ წელს ამიერკავკასიასა და ჩრთილოეთ კავკასიაში, შემდეგ ყირიმში და ბოლოს ისეთ ადგილებში, როგორიცაა ყაზანი და იმპერიის შიდა გუბერნიები. ბათუმის ოლქში ახალწვეულების კონტიგენტი აღწევდა 364 კაცს. 1910 წელს აჭარის მკვიდრი მოსახლეობიდან 57,637

იყო მამაკაცი. რამაზანის პერიოდში მუსლიმთა ცხოვრების წესი მოითხოვდა გარკვეულ დათმობებს რუსულ სამხედრო ნესდებში (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 482, ფ. 10).

რუსეთის ხელისუფლებას სასურველად მიაჩნდა მუსლიმების მასიური გახიზვნა კინტრიშის ოლქიდან, სარფის სასოფლო მხარიდან, გონიოს უბნიდან, მურლულის და ართვინის ოლქებიდან, სადაც იყო მდიდარი კლიმატური პირობები, მოსავლიანი ნიადაგი, ზღვისპირა და მთის ბუნებრივი სიმდიდრეები. რუსებს წინასწარ მოფიქრებული ჰქონდათ, მკაცრი პროგრამით, ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში რუსების ჩასახლება და მათგან ერთგული, სამხედრო ჯარის შექმნა.

რუსეთის ხელისუფლება არ ინდობდა არავის, ვინც ეწინააღმდეგებოდა მათ მიზნებსა და ინტერესებს. 1904 წლის 6 მარტის, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნულია, რომ ხულოს ეკლესიის მღვდელი ანტონ ფირცხალავა ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებდა რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებისკენ. რუსებმა ანტონ ფირცხალავა ხულოდან გაიწვიეს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1904 წლის 22 მაისის მიმართვაში აღნიშნულია, რომ ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვის მცხოვრები გიორგი სალუქვაძე სოფელ ღორჯომის მოსახლეობას მოუწოდებდა გადასახადებზე უარის თქმისკენ და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების განხორციელების მიზნით გურულებთან გაერთიანებისკენ. გიორგი სალუქვაძეზე დაწესდა მეთვალყურეობა და გაიცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ. ამ პერიოდში აჭარაში ხმა გავრცელდა, რომ ბათუმის და ოზურგეთის მოსახლეობამ თურქეთის სულტანს გაუგზავნეს მიმართვა, სადაც თანადგომას უცხადებდნენ რუსეთთან ომის დაწყების შემთხვევაში.

1904 წელს რუსეთის ხელისუფლებამ გამოსცა კანონი, რომლითაც საეკლესიო საკუთრება მთლიანად გადაეცა სახელმწიფოს და ამ გადაწყვეტილების სამართლიანობას იგი ხსნიდა შემდეგი მიზეზით: „ всем хорошо известно, что никто, никогда, ничего не терял, когда здавал свои збережения на хранения в казенных учреждениях, казна будет только управлять, всеми церковными имуществами, но все доходы с этих имуществ будут идти в пользу церквей. в Российском государстве, где существуют и католики, и

протестанты, и магометани, ни католическое, ни протестантское, ни магометанское духовенство не управляет имуществом своих храмов, без правительственного надзора (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 13, ფ. 65).

რუსეთის ხელისუფლების ამ უკანონო გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის გუბერნიაში მოჰყვა მასობრივი დემონსტრაციები, მაგრამ ღია დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, რუსეთის ხელისუფლებამ გასცა განკარგულება, რომ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ არმია, ასევე გავრცელდა განცხადება, რომ რუსეთის ხელისუფლება არ აპირებდა სხვადასხვა რელიგიების აღმსარებელთა მართლმადიდებლობის წესებზე მოქცევას. რუსეთის ამ უკანონო ქმედებამ განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია სომეხ გრიგორიან და კათოლიკ მოსახლეობაში. კათოლიკი და გრიგორიანი სომხები ცხოვრობდნენ ართვინის და არტანუჯის ოლქების შემდეგ სოფლებში: ნორაშენი, ტანზოტი, სათლელრაბათი, ოქრობაკეთი, ფხიკიური და მამანელისი, აქედან 1730 იყო მამრობითი სქესის და 1768 იყო მდედრი. (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 482, ფ. 13) ართვინში მოენყო სომხების გამოსვლები, სომხებმა დაიკავეს ჭოროხის ხიდთან არსებული სოფლები და აპირებდნენ ბათუმში გადმოსვლას. სომხური ეკლესია უარს ამბობდა საეკლესიო საკუთრების სახელმწიფოსთვის გადაცემაზე.

1904 წლის 12 იანვარს, კავკასიის მთავარმართებელი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების საფუძველზე ბრძანებას იძლეოდა, რომ კავკასიიდან გაესახლებინათ სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მსახურნი, რომლებიც მთავრობის დადგენილებას არ ასრულებდნენ. რუსეთის სახელმწიფოსთვის მავნე პირებს ასახლებდნენ რუსეთის გუბერნიაში. 1907 წელს, კავკასიიდან ციმბირში გენერალ ასლან-ბეგ აბაშიძესთან ერთად გასახლებული იქნა ოზურგეთის რაიონის სოფელ უჩხუბში, ოთო ჯინჭარაძის სახლში მცხოვრები ალფეს მიქელაიშვილი. იგი იყო სოციალ-დემოკრატი, მისმა ორმა შვილმა უარი თქვა რუსეთის არმიაში სამხედრო სავალდებულო სამსახურზე. ასლან-ბეგ აბაშიძე და ალფეს მიქელაიშვილი მოსახლეობაში აწარმოებდნენ პროპაგანდას გერმანიის იმპერიის ლიბერალური წყობის შესახებ და აიარალებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის ხელისუფ-

ლების წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ მათ მხარი დაეჭირათ თურქეთის არმიისთვის, რომელიც გერმანიის მოკავშირე იყო. ამ მიზნით მათ მიერ გურიის სოფლებში დაგზავნილი იქნა პროკლამაციები. მათი თანამებრძოლი იყო ოზურგეთის სოფელ დვაბზუს მცხოვრები ვიქტორ ლლონტი.

რუსეთის ხელისუფლება აგიტაცია-პროპაგანდის გზით დაპყრობილ ხალხებში აღვივებდა რუსეთისადმი სიყვარულს. 1912 წლის 17 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე განსაკუთრებული პატივისცემით აღნიშნეს რომანოვების 300 წლიანი ბატონობის ხანა. ბათუმში, აზიზიეს მოედანზე სკოლის მოსწავლეებთან ერთად მოეწყო საერთო სახალხო წირვა-ლოცვა. სობორის მოედანს რომანოვების სახელი უწოდეს. ბათუმის ქალთა გიმნაზიას მიენიჭა რომანოვების სახელი. ბათუმის სკოლებში დაარიგეს რომანოვების მეფობის ისტორიის ამსახველი ბროშურები. (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 527, ფ. 4)

აჭარის მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. ამ პერიოდში ზემო აჭარაში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები მოეწყო. ხულოს, სხალთის ეკლესიის მღვდელი ლუკა ხუნდაძე ოზურგეთიდან ჩამოსულ პირებთან ერთად აწარმოებდა ანტირუსულ პროპაგანდას. 1908 წლის 18 ივნისს ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოკრუგის გენერალ გუბერნატორი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს აცნობებდა, რომ მღვდელი ლუკა ხუნდაძე მუსლიმ მოსახლეობაში ეწევა პოლიტიკურ აგიტაციას, აჭარლებს მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისკენ. 1909 წლის 29 მაისს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, პოლკოვნიკი რომანოვსკი გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოს ლეონიდეს სთხოვს სოფელ აჭყვის ეკლესიის მღვდელი თევდორე პაპანდოპულო გადაიყვანოს სხვაგან, რადგან იგი რუსეთის ხელისუფლებისთვის არასასურველი პიროვნება იყო (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 412, ფ. 1-8)

1908 წლის 20 მაისს, იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს აცნობებდა გურიის შვირადებული აჯანყების მონაწილეთა, ბათუმიდან ოდესაში, გასასამართლებლად გადაგზავნის შესახებ. გურიის აჯანყებულთა ოდესაში გადაგზავნის უსაფრთხოების

თავიდან აცილების მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ გამოჰყო შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები „დონეცი“, „პრუტი“, „კრონშტადი“, ადმირალ დიკოვის ხელმძღვანელობით. გურიის 12 მსჯავრდებულთა შორის იყვნენ ერთი თავადი, ორი სასულიერო წოდების მქონე პირი და დანარჩენი გლეხები. მათ შორის იყვნენ: ბენიამინ ჩხიკვიშვილი (ეს პიროვნება 1905 წელს გურიის სახალხო რესპუბლიკას ედგა სათავეში), ნესტორ ერქომაიშვილი, სიმონ ლლონტი, სერგო სურგულაძე, მოსე ტულუში, პარმენ თოთიბაძე, ალექსანდრე იმედაიშვილი, რაჟდენ ხომერიკი, გიორგი მამულაიშვილი, კირილე ლომაძე. (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 347 ფ. 1)

1914 წელს, მსოფლიო ომის დაწყების შედეგად რევოლუციური მოძრაობა შესუსტდა, ადგილობრივი მოსახლეობის განწყობას აჭარაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი განაპირობებდა შემდეგი მიზეზები: თვითგადარჩენის ინსტინქტი, პოლიტიკუტი ორიენტაციის გაურკვეველობა, რელიგიური ფანატიზმი, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, გადასახადების სიდიდე და რუსეთისადმი სიძულვილი. ამ პერიოდში გავრცელდა ცნობა აჭარლების მიმართ რუსი ჯარის სასტიკი მოპყრობის შესახებ, რამაც გამოიწვია გურიის და იმერეთის მოსახლეობის აღშფოთება. აჭარისწყალში, სოფელ ერგეში ადგილი ჰქონდა რუსი სამხედროების მიერ მოსახლეობის დარბევას, დაყაჩაღებას. კავკასიის მეფისნაცვალთან მოსალაპარაკებლად შეიქმნა დეპუტაცია, რომელშიც შევიდნენ: ქალაქის თავი ჩიქოვანი, მწერალი აბაშიძე, სახლმწიფო სათათბიროს წევრი ჩხენკელი და თავადი ერისთავი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბათუმში მოლაპარაკება გაიმართა სამხედრო გუბერნატორთან.

1914 წლის 7 ოქტომბრის, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის საიდუმლო წერილში, თურქეთთან მოახლოვებულ ომთან დაკავშირებით, თურქი მისიონერების აგიტაციის გამო, რუსეთის ხელისუფლება გამოთქვამდა შიშს, ხელსაყრელ ისტორიულ მომენტში თურქეთის გარშემო მუსლიმი მოსახლეობის გაერთიანების გამო, ისლამის უდიდესი იმპერიის შესაქმნელად. მისიონერები ადგილობრივ მოსახლეობაში ეძებდნენ დასაყრდენ ძალას. რუსები განსაკუთრებულ შიშს გამოთქვამდნენ თურქი გენერლის, წარმოშობით ქართველი ალა თავ-

დგირიძის გამო, რადგან 1911 წელს კონსტანტინეპოლიდან საქართველოში მის ჩამოსვლას მოჰყვა მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს საიდუმლო წერილში აღნიშნულია, რომ მუსლიმი მოსახლეობის ერთი ნაწილი ანტირუსულ მოძრაობასთან დაკავშირებით იჩენდა პასიურობას და უცდიდა ხელსაყრელ მომენტს, რომ გადასულიყო გამარჯვებულის მხარეზე. აჭარელი ბეგების მონოდების მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობა სადროშოში არ გაერთიანდა, მაგრამ მათ აწუხებდა სომხური სადროშოს შექმნა, რადგან მათი მხრიდან იყო დაპირისპირების საშიშროება (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 708, ფ. 1-2).

1914 წლის 16 ოქტომბრის კავკასიის არმიის დაზვერვის შტაბის უფროსის საიდუმლო წერილში საუბარია ვინეში (ლაზეთი) განთავსებულ განსაკუთრებულ კომისიაზე, რომელშიც შედიოდა სამი გერმანელი, ოთხი თურქი ოფიცერი და პარიზიდან ჩამოსული ოთხი ინტელიგენტი ქართველი. აღნიშნული კომისია შეიქმნა ტრაპეზუნდში იარალის მიწოდების ორგანიზაციის მიზნით. კავკასიაში, რუსეთის ბატონობით უკმაყოფილო პირებისათვის ტრაპეზუნდიდან რიზეში ჩამოტანილი იქნა 82 ყუთი გადაკეთებული იარალი, 300 ყუთი საბრძოლო ტყვია. საომარი იარალი უნდა გადმოეტანათ ბათუმსა და ფოთში. 1914 წლის 14 ოქტომბერს ტრაპეზუნდის ვალის დეპეშის ცნობით დასტურდება, რომ რიზედან ტრაპეზუნდში ჩამოვიდა 150 ადამიანი, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნეს საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს. 1914 წლის 20 ოქტომბრის რუსეთის ჟანდარმერიის საიდუმლო წერილში აღნიშნულია, რომ ვინეში გამოცხადდა 6000 ქვეითი რაზმი, იქმნებოდა ჩეთნიქების რაზმები. ზემოთ აღნიშნული კომისია უნდობლობას უცხადებდა ლაზებს, მაგრამ ვითარების არ გამწვავების მიზნით მათ მაინც ლეზულობდნენ ჩეთნიქებათ, მაგრამ ლაზებმა უნდობლობის გამო გადაწყვიტეს შური ეძიათ ვინეს კომისიისთვის და მხარი დაუჭირეს რუსებს. ამავე წერილში ნათქვამია, რომ ირანის ყოფილი შაჰი ალი სალალუტი ლოილას გადაწყვეტილი ჰქონდა ურმიაში თავს დასხმოდა რუსეთის არმიას (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1 საქმე 708, ფ. 9-10).

1914 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებულ ბათუმის ოლქის მმართველის საიდუმლო წერილში აღნიშნულია, რომ ტრაპეზუნ-

დის ვილაეთის სოფელ ორდუში მყოფი გენერალი ასლან-ბეგ აბაშიძე 500 მეომრით, საიდუმლო ბილიკებით აპირებდა აჭარაში გადმოსვლას, რის შესახებ იგი წერილობით აცნობებდა თავის ძმას ბათუმში მემედ-ბეგ აბაშიძეს. (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 708, ფ. 9).

1914 წლის 3 ნოემბერს, ბათუმის ოლქის მმართველი პოლკოვნიკი სატოვი მის მოადგილეს როტმისტრ აივაზოვსკის ავალებდა, რომ გამგზავრებულიყო აჭარის წყალში, ქედაში, შუახევში, ხულოში და მიხაელის ციხესიმაგრის მეომრებისთვის მოსახლეობისგან შეესყიდა 286 ცხენი (აცსა, ფონდი ი-1 ანან. 1, საქმე 708, ფ. 20).

სოფელ მარადიდში მყოფ 150 კაციან რაზმს ხელმძღვანელობდა ასლან-ბეგ აბაშიძე, გონიოში მყოფი 15 კაციანი რაზმით მასვე შეუერთდა ბათუმის ოლქის ურიადნიკი, ზენდიდელი დედე-ბეგ ბეჟანიძე, ჩეთნიკების რაზმი ოსმან-ბეგ ბეჟანიძის ხელმძღვანელობით და ლიმანში მყოფი 1200 კაცი ალი ეფენდი ჯაფარიძესთან ერთად. ადგილობრივ მოსახლეობას რუსების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ ბათუმში მცხოვრებნი: ქიქავა დურსუნი, დიასამიძე აბდული, კომახიძე დურსუნი, მურმან გორაძე, რამიზ ჭყონია. ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდა თურქეთში მოქმედი ქართული ლეგიონი. 1920 წლის 20-28 ივნისს, ინგლისის წარმომადგენელმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთვის გადაცემის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი (ლელა სარალიძე; 2015:159).

ვინეში გერმანელების მიერ ორგანიზებულმა დამოუკიდებლობის კომიტეტმა გამოაქვეყნა მონოდება „ქართველ ხალხს“, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: „ასწლიანი აუტანელი დამცირების შემდეგ დადგა თავისუფლების დღე, დიდი წარმატებით ომობს და იმარჯვებს რუსებზე გერმანია, ხოლო ამჯერად რუსეთს ომი გამოუცხადა თურქეთმა. ქართველებო! ახლა ის დროა, როცა ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი უკუნიითი უკუნისამდე. ნუ ემსახურებით ჩვენს მტერს, ჩვენს დამანგრეველ რუსეთს, არ დაუჯეროთ მათ დაპირებებს, რადგან მათ დარღვიეს ხელმოწერილი ტრაქტატიც, ამიტომ მათი დაპირება არაფერს ნიშნავს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კომიტეტი გერმანიის წარმომადგენლებთან ერთად მოდის საქართველოში და მთელ ქართველ ერს მოუწოდებს მალე ახსნოს თავისუფლების დროშა. აქ არჩევანი არ არის. ის ქართველი, რომელიც არ დადგება თავისუფალი საქართველოს დროშის ქვეშ, ის იქნება საქართველოს მოღალატე, საკუთარი მშობლიური ერის მოღალატე, ნუ გეშინიათ თურქეთის არმიის, მიიღეთ ისინი მეგობრული სიყვარულით, რამდენადაც ის მოგვიტანს თავისუფლებას. გერმანია თანახმაა უზრუნველყოს ჩვენი თავისუფლება. აი ის პირველი პუნქტი ამ თანხმობის: „ საქართველო წარმომადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არც რუსეთს, არც თურქეთს არ ექნება არავითარი უფლება საქართველოზე. აღსდექით ყველგან და დააფუძნეთ, სადაც კი შეიძლება საკუთარი დროებითი ხელისუფლება. ყველგან შეჰქმენით შენაერთები, შეიარაღდით და ყოველგვარ დახმარებას გაგინვეთ, როგორც კი შემოვალთ. გაუმარჯოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს! ძირს მონობა! (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 708, ფ. 88).

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის 1914 წლის 25 ნოემბრის საიდუმლო წერილში აღნიშნულია, რომ ჭოროხის გარე რაზმს ხელმძღვანელობს გენერალი ხუსეინ ავნი ფაშა, წარმომობით ქართველი, ჩურუქსუდან, რაზმში ირიცხება 30-40 ათასი კაცი, მასვე შეუერთდენ მურღულისა და ბორჩხის მცხოვრებნი. გენერალი ასლან-ბეგ აბაშიძე იმუქრებოდა თავის მოკვლით თუ ერთი თვის განმავლობაში არ დაიკავებდა ბათუმს (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1 საქმე 708, ფ. 26).

თურქები რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ცდილობდნენ გამოეყენებინათ ქართველები. ქედის აღების შემდეგ თურქეთის მთავარსარდლობამ მიმართა ქართველ მოსახლეობას, რომ გაერთიანებულიყვნენ არმიაში და მათ დაურიგდებოდათ იარაღი. თურქეთის არმიის მიერ გონიოს, მახოს, ჭარნალის დაკავების შემდეგ, მოსახლეობას დაურიგდა გერმანული წარმოების მაუზერები. ამ ფაქტს მოსახლეობა გამოეხმაურა შეძახილით: გაუმარჯოს სულთანს! გაუმარჯოს ვილჰელმს! მოსახლეობისადმი გავრცელდა მიმართვა: „ბისმილა, რჰმანი რახილ!“ მუსულმანებო! მუსულმანური დროშა კვლავ აღიმართა კავკასიის მთებზე. ყველა მხრიდან შეძახილით ალაჰიკბერ! – მიესალმებოდნენ მათ. ხა-

ლიფა გიგზავნით თქვენ თაყვანისცემას და მოგიწოდებთ საღვთო ომისკენ. ყველა მუსულმანმა გამოაცხადა საღვთო ომი დღეს. თქვენ, კავკასიის მუსულმანებმა უნდა აღსდგეთ რუსების წინააღმდეგ და დაიწყოთ საღვთო ომი. დადგა რელიგიის, ყურანის კანონის დაცვის დრო შეურაცხყოფებისგან, ამიტომ თქვენ უნდა შეიარაღდეთ, რათა გააძევოთ თქვენი ქვეყნიდან მტერი. ამიტომაც თქვენ უნდა მოშალოთ რკინიგზის ხაზი, დაანგრიოთ ხიდები, ტელეგრაფი და დაეხმაროთ თურქეთიდან მოსულ ჩეთნიქებს, შეასრულოთ მათი მოთხოვნები და შეუერთდეთ მათ, რადგან ისინი არიან თქვენი სისხლისმიერი და რწმენის ძმები და თქვენი ყურანის და შარიათის განთავისუფლებისთვის ისინი ღვრიან სისხლს და სწირავენ თავიანთ სიცოცხლეს. ასი ათასიანი არმია მოდის თქვენ დასახმარებლად, ისინი კვლავ გაანთავისუფლებენ კავკასიას (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 708, ფ. 76-77).

1914 წლის 10 თებერვალს ბათუმში გავრცელდა ქართულ ენაზე დაწერილი პროკლამაციები, რომელიც იპოვეს მდინარე ჭოროხთან, ერგეს მიდამოებში. პროკლამაციას ბოლოში ეწერა ქალაქი თბილისი, მაგრამ ჟანდარმერიის აზრით იგი დამზადებული იყო თურქეთში და ჩეთნიქების მიერ გავრცელებული ქართველებში. აი ისიც: ქართველებო! საქართველოს შვილებო! 114 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ივერია იმყოფება მონობაში. მეფე ერეკლე და გიორგი შეუთანხმდნენ რუსებს, რათა მიეღოთ მფარველობაში საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა. რუსების შემოსვლით საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობის რწმენა, საკუთარი ენა და უფლებები, საეკლესიო ფასეულობანი და სახელმწიფო ქონება. საქართველო საბოლოოდ გაძარცვული და დანგრეულია, ქართული სინმინდეები შეურაცხყოფილი. საუკუნეების განმავლობაში ქართველები იარაღით ხელში იცავდნენ სამშობლოს მეზობელი ხალხებისგან. ბაგრატიონები გაასახლეს რუსეთში, ხალხი შეეჩვია მონობას. თავადაზნაურობა, ორდენების გამო მზად არის გაჰყიდოს არა მარტო სამშობლო, არამედ საკუთარი თავიც. მათ ვერ შეძლეს ქართველ კათოლიკებთან და მაჰმადიანებთან ერთად ქართული სულის განმტკიცება. კულტურული პროგრესის მხრივ ჩვენ ვერაფერი ვერ მივიღეთ. შარიათის მტრები ფრანგები, რუსები და ინგლისელები ფლობენ მუსულმანთა მიწებს, ისინი ცდილობენ

ყველგან მოსპონ შარიათის რწმენა. რუსებმა ბეგებს წაართვენ ყველა უფლება და პრივილეგია. გუბერნატორები მათ ისე ექცევიან, ვით მონებს. თქვენ მუფთებს არა აქვთ ისეთი დაფასება, როგორც აქვს პრისტავს. სკოლაში ისწავლება მხოლოდ რუსული ენა. თქვენ მოლებს ნიშნავენ რუსები. კავკასიის ვაჟკაცებო! აამხედრეთ ახალგაზრდობა, შეიარაღდით და შეუტით მტერს, რადგან სამყაროს ყველა მუსულმანი აღდგა და იღებს მონაწილეობას საღვთო ომში. ყველა განანყენებული ხალხი იბრძვის და ჩვენ ქართველებს უნდა გვეძინოს! ქართველებო! იყავით ვაჟკაცები, გაერთიანდით ყველამ, მაჰმადიანი თუ ქრისტიანი და წადით დესპოტი ხელისუფლების წინააღმდეგ. თურქეთი გაგანთავისუფლებთ თქვენ რუსების ბატონობისგან. თურქეთის ინტერესია, რომ ივერია იყოს დამოუკიდებელი. ჩვენ უნდა ვიყოთ მეგობრულად თურქეთთან. უნდა დავივიწყოთ ადრეული მტრობა. იმიერ ამერნო, ჭანებო და ლაზებო და ყველა ქართველებო! აიღეთ იარაღი ხელში, კმარა მონობა და მოთმინება! გაუმარჯოს განმანთავისუფლებელ ომს! დიდება ქართველ მხედრობას (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 708, ფ. 60).

ავსტრიელი მეცნიერი, მოგზაური, სამხედრო მოღვაწე ამანდ ფონდ-შვაიგერ ლერხემფელდი, რომელმაც XIX საუკუნის 80-იან წლებში იმოგზაურა აჭარაში, თავის წიგნში „დუნაისა და კავკასიას შორის“ (სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა შავი ზღვის რეგიონში) მიმოიხილავს რა ბათუმში არსებულ ვითარებას რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე და ომის შემდეგ აღნიშნავს, რომ აჭარლები არც პორტას ერთგული ქვეშევრდომები და არც რუსეთის მშვიდობიანი მეზობლები არ ყოფილან (გოჩა საითიძე, იზა აღლაძე; 2009:38) იტალიელი ისტორიკოსი, მოგზაური და დიპლომატი ლუიჯი ვილლარი, რომელმაც 1905 წელს იმოგზაურა ბათუმში, თავის წიგნში „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“ წერს: „ღარწმუნებული ვარ ბოლოს და ბოლოს მიეცემათ თავისუფალი განვითარება იმ ერებს, რომლებიც ასე დიდხანს იყვნენ ისტორიული „უკუღმართობის გერები“ (გია გელაშვილი; 2009:42).

დასასრულს, განვიხილოთ ჩვენი კუთხის ისტორიისთვის ისეთი მტკივნეული საკითხი, როგორცაა „აჭარელთა ღალატი რუსებისადმი“. მიმაჩნია, რომ ჩვენი კუთხის ისტორიის ამ რთულ

პერიოდში მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო ტერორიზებული, რადგან, როგორც რუსეთის, ისე თურქეთის მხრიდან განიცდიდა შემოსევას. ადგილობრივი მოსახლეობა არსებულ ვითარებას განიხილავდა, როგორც უბედურებას, რომელმაც დაარღვია მათი მშვიდობიანი ცხოვრება. მოსახლეობის მცირე ნაწილი დაექვემდებარა რა ძლიერის ნებას, პასიურად უყურებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ცალკეული პირები, რომელთა მისამართით ისმის ღალატის ბრალდება, იძულებული გახდნენ მუხაჯირობის თუ სხვა მიზეზების გამო წასულიყვნენ სამშობლოდან. ისტორიკოსი ჯ.ვარდმანიძე წიგნში „მუხაჯირობა სამხრეთ დასავლეთ საქართველოში“ აღნიშნავს, რომ ქართველი მუხაჯირების ოსმალეთში გადასვლას ესა თუ ის კონკრეტული მიზეზი ჰქონდა, ეკონომიკური გაჭირვება, ჩინოვნიკთა უდიერობა, ისლამის პროპაგანდა. ისინი აცხადებდნენ, რომ საჭიროა აჭარის მოსახლეობის ასიმილაცია ან გადასახლება (ჯ. ვარდმანიძე; 2013:123). პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე სტატიაში „მუხაჯირობა ბათუმ-ქობულეთის მხარეში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის მიხედვით“ აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც გადანყდა აჭარის ბათუმითურთ რუსეთზე გადაცემა, თურქებმა გაააქტიურეს აჭარიდან ქართული მოსახლეობის გასახლება სხვადასხვა ხერხებით და ძალის გამოყენებითაც (ბიჭიკო დიასამიძე, 2015:63).

უნდა ითქვას, რომ ობიექტურ, ისტორიულ რეალობას წარმოადგენს თვით რუსების მიერ აღიარებული დებულება, რომლითაც უარყოფილია თურქების სასარგებლოდ რუსების მიმართ აჭარელთა მასიური ღალატის ისტორიული ტენდენციის არსებობა. 1915 წლის 14 მარტს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის საიდუმლო წერილში აღნიშნულია, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში აღმოჩნდა მხოლოდ რამდენიმე მოღალატე (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 708, ფ. 85). ამ აზრს ადასტურებს 1915 წლის დასაწყისში პეტროგრადიდან გამოგზავნილი სამი კომისიის დასკვნაც (გენერალ ლეიტენანტ პოროშინის, გენერალ ნიროდის, სენატორ გოლიცინის) სადაც აღნიშნულია, რომ აჭარის ოლქის მუსლიმური მოსახლეობის საერთო ღალატს ადგილი არ ჰქონია, იყო მხოლოდ ცალკეულ დამნაშავე პირთა ღალატი (მალხაზ სიორიძე; 2002:135). აჭარლების მიმართ განსაკუთრებული სიძულვი-

ლით გამოირჩეოდნენ რუსი გენერლები: გრიაზნოვი, ალიხანოვ-ავარსკი, ლიახოვი, ვორონცოვ-დაშკოვი, პარკაუ. მათ კავკასიის ერები დაუპირისპირეს ერთმანეთს (ოთარ გოგოლიშვილი; 2015:55). აჭარელთა დაცვის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის აკაკი ჩხენკელს და კარლო ჩხეიძეს, ასევე ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებას. ადგილობრივი მოსახლეობის ერთ ნაწილი რუსეთის ხელისუფლებისადმი იჩენდა ლოიალურ დამოკიდებულებას, მაგრამ მათაც ჰქონდათ შიში შეიარაღებული მოსახლეობის მხრიდან, რომლებიც მოუწოდებდნენ თურქებთან გაერთიანებისკენ. (აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1 საქმე 708 ფ. 60). მკვლევარი კახა კვაშილავა სტატილაში „ოსმალთა ბატონობისგან ბათუმის განთავისუფლების ერთი გეგმის შესახებ, სამურზაყანოელ შერვაშიძეთა იდეა“ აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ზემოდ აღნიშნული პოლიტიკური პროცესი იმჟამინდელი ქართული საზოგადოების ნაწილისთვის მისაღები იყო, რადგან ისინი ამ გზით მოიაზრებდნენ ქართული მიწა-წყლის გაერთიანებას და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. (კახა კვაშილავა; 2015:112).

ამრიგად, ზემოდ მოტანილი სარქივო მასალა ნათლად წარმოაჩენს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ოცნლედში აჭარაში რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, კულტურულ-ინფორმაციული ექსპანსიის არსს, რომელსაც ვერ ეგუებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და აწარმოებდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ განმანთავისუფლებელ ომს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 170.
2. აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 882.
3. აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 482.
4. აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 13.
5. აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 527.
6. აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 412.
7. აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 347.
8. აცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 708.

9. კახა კვაშილავა „ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლების ერთი გეგმის შესახებ სამურზაყანოელ შერვაშიძეთა იდეა“ ბათუმი წარსული და თანამედროვეობა ტ. VI, თბ. 2015
10. ლელა სარალიძე „ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის დატოვების ისტორიიდან 1920“ ბათუმი წარსული და თანამედროვეობა ტ. VI, თბ. 2015
11. ბიჭიკო დიასამიძე „მუხაჯირობა ბათუმ-ქობულეთის მხარეში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის მიხედვით“ ბათუმი წარსული და თანამედროვეობა ტ. VI, თბ. 2015
12. გოდერძი ვაჭრიძე, სულხან კუპრაშვილი „ბათუმი ქუთაისის გუბერნატორების ანგარიშებში“ ბათუმი წარსული და თანამედროვეობა ტ. VI, თბ. 2015
13. ჯუმბერ ვარდმანიძე „მუხაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“ ბათ. 2013.
14. გია გელაშვილი „ლუიჯი ვილლარი 1905 ბათუმის შესახებ“ ბათუმი წარსული და თანამედროვეობა ტ. I, ბათ. 2009
15. გოჩა საითიძე, იზა ალლაძე „ავსტრიელი მეცნიერი და მოგზაური ამანდ ფონ შვაიგერ-ლერხემფელდი ბათუმისა და აჭარლების შესახებ“ ბათუმი წარსული და თანამედროვეობა ტ. I, ბათ. 2009
16. საქართველოს ისტორის ნარკვევები ტ. VI თბ.1973
17. ოთარ გოგოლიშვილი „დავით კლდიაშვილი ქართული ტრადიციების დანერგვისა და განმტკიცების საქმეში დაულალავი მებრძოლი“ ბათუმი წარსული და თანამედროვეობა ტ. VI, თბ. 2015
18. მალხაზ სიორიძე „სამხრეთ დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში“ ბათ. 2002

Merab Megrelishvili

*Russian Rule in Ajara at the End
of the 19th Century and in 1920s
Summary*

Based on the analysis of the archive material, the article presents the objectives of the Russian rule in Ajara and the very essence of their political, military, cultural, and information expansion. It also provides a brief history of the fight against the Russian colonization in this period.

ერთი შენობის ორი ისტორია

ბათუმი, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ქალაქებს შორის გამორჩეული ქალაქია. იგი უძველესი დასახლებული პუნქტია. დღევანდელი იერსახის მიღებამდე განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. ბათუმის, როგორც საპორტო და სამრეწველო ქალაქის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნეში იწყება. 1878 წლის 29 ოქტომბერს კი, თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად, „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადებამ, სათავე დაუდო ბათუმის ინტენსიურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ქალაქში ჩამოსახლდნენ: რუსები, სომხები, ბერძნები, გერმანელები, ებრაელები, ფრანგები...სწრაფი ტემპით შენდებოდა სახლები, სავაჭროები, მაღაზიები, სასტუმროები, ქარხნები, ბანკები, სკოლები, ეკლესიები... ქალაქში იხსნებოდა საკონსულოები და უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლობები.

ქალაქის არქიტექტურულ დაგეგმარებაში მთავარი, ბუნებრივი ორიენტირი მუდამ იყო და არის ზღვა, ამიტომაც ქუჩების განლაგება კვარტალურია და შენობის ფასადებიც ქუჩების მიმართულებითაა ნაგები. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აშენებული შენობები შთაგონებულია რომანტიზმით, ნეოკლასიციზმით და საერთოდ მრავალფეროვანი მხატვრულ-არქიტექტურული სტილით.

ეს ლამაზი, ისტორიულ-არქიტექტურული შენობები დღესაც ამშვენებს ბათუმს, რითაც კიდევ უფრო იზრდება უცხოელი ტურისტების, ქალაქის სტუმრებისა და დამსვენებელთა ინტერესი ქალაქისადმი, რომელმაც ზღვისპირა საკურორტო ქალაქის სტატუსიც შეიძინა.

ამ უძველეს შენობებს თავისი ისტორია და თავგადასავალი აქვს. საუკუნის განმავლობაში ყველა მათგანს შეეცვალა მებატრონე და თავდაპირველი დანიშნულება. შენობებმაც, ისევე რო-

გორც ადამიანებმა, თავის თავზე იწვნიეს ისტორიის ქარტეხილები, გასაბჭოების მიძიმე შედეგები; ბევრი მათგანი დაინგრა და გავერანდა, თუმცა ბევრიც შემორჩა და ქალაქის წარსულის ისტორიულ ძეგლად იქცა.

ერთ-ერთი მათგანია შენობა, რომელმაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კვლავ დაიბრუნა თითქმის 60 წლის მანძილზე ჩამორთმეული ფუნქცია და დანიშნულება.

კ. გამსახურდიასა და ნ. ჟორდანიას ქუჩების კვეთაში, ფართოდ გაშლილ, მაგნოლიებით დამშვენებულ ეზოში დგას სომხურ-გრიგორიანული ეკლესია „**სობრ-ჰრკიჩას**“-ს, **წმინდა ჰრკიჩას** სახელწოდებით. მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის თ. კომახიძის წიგნში „რელიგია და საღვთისმსახურო ნაგებობები აჭარაში,“ (თ. კომახიძე, 2001:362-365) ვკითხულობთ: „პირველი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია ბათუმში აიგო 1873 წელს. შენობა ხის იყო. 1885 წელს ხის შენობა დაშალეს და აქაური მრევლის შემოწირულობებიდან შეგროვილი თანხით, აისიკ ხრიმიანის ინიციატივით აიგო ქვის ეკლესია“ (სამწუხაროდ, ავტ. საფუძველს არ უთითებს).



აჭარის ცენტრალურ არქივში, ბათუმის საქალაქო მმართველობის ფონდში, დაცულია ბათუმის შენობა-ნაგებობათა შეფასებითი უწყისები, რომლებიც წარმოადგენს მათ ტექნიკურ დახასიათებას. ქალაქის მმართველობის მიერ შენობების ტექნიკური აღრიცხვა და პირველი აღწერილობების შედგენა დაიწყო 1889 წლიდან.

1890 წლის შეფასებითი უწყისის მიხედვით დუნდუკოვ-კორსაკოვისა და ლორის მელიქოვის (ამჟამად, კ. გამსახურდია – ნ. ჟორდანი) ქუჩების კუთხეში 304 კვ. საჟენი მიწის ნაკვეთი უჭირავს სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიასა და მის მფლობელობაში არსებულ ნაგებობებს. უწყისის მიხედვით, ეკლესია აქ იდგა 1884 წელსაც. შენობა – ნაგებობების დახასიათებაში აღწერილია: 1. ჩასხმული ფუნდამენტი ეკლესიის ასაშენებლად; 2. ერთსართულიანი სახლი კრამიტის სახურავით; 3. ეკლესიის ეზოში მდგარი ორი ხის სახლი, რომელთაგან ერთში დროებით განთავსებულია ეკლესია, მეორეში – სკოლა; 4. ხის 4 დახლი (ЛІВКА) თუნუქის გადახურვით და 5. ხის სავაჭრო ჯიხური (ასსცსა, ფონდი ი-ნ; აღწ.1; საქ. 72; ფურც.533).

თავისთავად ცხადია, ეკლესია თავის ფუნქციას ასრულებდა და ბათუმში მცხოვრები სომხებისათვის სულიერების თვალსაზრისით დიდი დატვირთვაც ჰქონდა. ეკლესიას ჰყავდა მრევლი, აღმსარებელ-მაზიარებელი, შემომწირველი... ეკლესიაში მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა, ჯვრისწერა, ნათლობა, მიცვალებულისათვის წესის აგება. ეკლესიის ცხოვრების ამ პერიოდზე წარმოდგენას გვიქმნის ბათუმის ოლქში მოქმედი ეკლესიების გაერთიანებული ფონდის (ი-80) საარქივო დოკუმენტები, სადაც ბათუმის ოლქში 1873-1922 წლებში მოქმედი სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესიებთან (რომის კათოლიკური, ბერძნული, რუსული და ქართული მართმადიდებლური, ებრაული სინაგოგა) ერთად დაცულია სომხურ-კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიების საეკლესიო ჩანაწერები: დაბადების, გარდაცვალების, ჯვრისწერისა და ნათლობის შესახებ (იქვე, ფონდი ი-

80). ჩანაწერები გაკეთებულია სომხურ ენაზე და მოიცავს 1889-1921 წლებს.

1903 წლის 12 ივნისს, მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მიერ დამტკიცებული იქნა რუსეთის მინისტრთა კომიტეტის დებულება – რუსეთში არსებული სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის უძრავი ქონებისა და კაპიტალის სახელმწიფო დაწესებულებებში მართვის მიზნით თავმოყრის შესახებ (ასსცსა, ფონდი ი-1; აღნ.1; საქ.13; ფურც 20).

ამ რეფორმის აუცილებლობის საფუძველი მოყვანილია დებულებაში, ხოლო გადაცემის თანმიმდევრობა და პირობები ჩამოყალიბებულია სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ქონებისა და კაპიტალის რუსეთის ორ – შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების – სამინისტროების მმართველობასა და მფლობელობაში გადაცემის წესში, ამასთანავე სომხურ ეკლესიას შენარჩუნებული ექნებოდა საკუთრების უფლება. გადაცემა ეხებოდა არა მარტო ბათუმის, არამედ ართვინის ოლქის სომხურ ეკლესიებსაც. მასალები, თუ როგორ მიმდინარეობდა ქონების გადაცემა, რა წინააღმდეგობები და გამოსვლები მოჰყვა მას, დაცულია ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის ფონდში (ასსცსა, ფონდი ი-1; აღნ.1; საქ. 13-14-15).

ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა ეკლესიისათვის მეპატრონისა და მფლობელის შეცვლისა. 1921 წელს, საქართველოსა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოჰყვა საკუთრების ნაციონალიზაცია, ქონების ჩამორთმევა და სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებზე გადაცემა, ბევრ მათგანში საცხოვრებლად შეასახლეს მოქალაქეები და ოჯახები.

ისტორიის ეს შავი ფურცელი შეეხო სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიასაც. 1938 წელს ეკლესია დაიხურა, შეწყდა საეკლესიო მსახურება, ქონება სახელმწიფომ ჩაიბარა, მრევლიც გაიფანტა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეკლესია დაკეტილი და უფუნქციო იყო, მაგრამ სხვა ეკლესია-მონასტრებისაგან განსხვავებით დანგრევას გადაურჩა. რაღაც დროით ეკლესიაში განთავსებული იყო კინოგაქირავება.

შენობამ (და არა ეკლესიამ) სიცოცხლე დაიბრუნა და ახალი ფუნქცია შეიძინა 1959 წლის 29 დეკემბერს, როცა დღის 4 საათზე მასში საზეიმოდ გაიხსნა **პლანეტარიუმი**. საქართველოს სსრ პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმის 1959 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, საზეიმო გახსნისათვის შეიქმნა კომისია და დაისახა ღონისძიებები (ასსცსა, ფონდი რ-978; აღნ.1; საქ.71; ფურც 136).

რა თქმა უნდა ეს უცებ არ მომხდარა. ყოფილ გრიგორიანულ ეკლესიაში პლანეტარიუმის დაფუძნებას წინ უძღოდა რამდენიმეწლიანი მიმონერა კულტურის სამინისტროსა და ზემდგომ ორგანოებს შორის პლანეტარიუმისათვის შესაფერისი შენობის შერჩევის, რეკონსტრუქციის, საჭირო აპარატურის შეძენისა და სხვათა შესახებ.

ცოტა რამ თვით პლანეტარიუმის შესახებ: „პლანეტარიუმი“ ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს მოწყობილობას, რომლითაც გუმბათისებურ ეკრანზე აჩვენებენ პლანეტებისა და სხვა ციური ხსეულების მოძრაობას. პლანეტარიუმს უწოდებენ აგრეთვე შენობას, რომელშიც ასეთი აპარატია მოთავსებული ციური ხსეულების მოძრაობის სადემონსტრაციოდ. სწორედ ეკლესიის გუმბათი უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი საფუძველი საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1958 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისა, რომლითაც სამეცნიერო-ათეისტურ პროპაგანდაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს დაევალა ლენინისა და სვერდლოვის (ამჟამად, კ.გამსახურდია-ნ.ჟორდანი) ქუჩების კუთხეში მდებარე „კინოპრაკატის“ აჭარის განყოფილების ყოფილი შენობის ბაზაზე მიეწყო პლანეტარიუმი.

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს ფონდში (ასსცსა, რ-972) სხვა მიმონერებთან და საინტერესო საარქივო დოკუმენტებთან ერთად დაცულია აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის ვ.ახვლედიანის წერილი საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კო-

მიტეტის პირველ მდივნის ლ. უკლებასადმი (ასსცსა, ფონდი რ-972; აღნ.1; საქ. 337; ფურც. 54-55). ფონდში ინახება აგრეთვე მინისტრის წერილი აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. თხილაიშვილისადმი, რათა კულტურის სამინისტროს ნება დაერთო ბათუმის პლანეტარიუმის კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრები -100 000 მან. გახარჯოს ამავე პლანეტარიუმის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასრულებლად (ასსცსა, ფონდი რ-972; აღნ.1; საქ.335; ფურც15,16).

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 17 მარტის N 101 დადგენილებით დაკმაყოფილდა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს შუამდგომლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (ასსცსა, ფონდი რ-2; აღნ.1; საქ.3170; ფურც 100.) აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის ზემოთ ხსენებული წერილიდან ირკვევა, რომ პლანეტარიუმისათვის საჭირო აპარატურისა და ხელსაწყოების დამზადება ხდებოდა მოსკოვის პლანეტარიუმში, მასთანვე შეთანხმდა შენობის რეკონსტრუქციის პროექტიც. კულტურის სამინისტროს მიმონერებში, საყურადღებოა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოსკოვის პლანეტარიუმიდან აჭარის ასსრ კულტურის მინისტრისა და სამშენებლო ჯგუფის არქიტექტორის სახელზე გამოგზავნილი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1958 წლის 1 დეკემბრით. წერილში გამოთქმულია შენიშვნები ბათუმის ყოფილი სომხური ეკლესიის პლანეტარიუმად რეკონსტრუქციის პროექტის შესახებ (ასსცსა, ფონდი რ-972; აღნ.1; საქ. 344; ფურც 30.)

პროექტი წარდგენილი იყო ბათუმიდან. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთი შეხედვით, თითქოს უწყინარმა წინადადებათა კერძოდ, პროექტის ირგვლივ გამოთქმულ შენიშვნაში მოსკოვის პლანეტარიუმის დირექტორი კოზლოვი აღნიშნავს, რომ არ იყო საჭირო სომხური ეკლესიის საარქივო ნახაზების აღდგენა, მათ არაფერი აქვთ საერთო და არ არიან დაკავშირებული პლანეტარიის საპროექტო დავალებასთან. ყოფილი საკულტო ნაგებობების (ეკლესიები) გამოყენებაზე მოსკოვიდან გამოგზავნილი გეგ-

მის მიხედვით სასურველი იყო, ბათუმის არქიტექტორთა ჯგუფს გასაცნობად წარმოედგინა ყველაზე მთავარი-გუმბათის სამუშაო ნახაზი. ამ წერილში (ჩემი აზრით) საყურადღებოა ის, რომ როგორც ჩანს, ბათუმის საპროექტო ჯგუფის მიერ პლანეტარიუმის რეკონსტრუქციის დროს მოხდა სომხური ეკლესიის თავდაპირველი სახისა და იერის აღდგენა, რაც რა თქმა უნდა მიუღებელი იქნებოდა მოსკოვისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელიც ებრძოდა ყოველივე ეროვნულს, რელიგიას, ტრადიციას, როგორც მავნე წეს-ჩვეულებებსა და მავნე გადმონამთებს. ასე იყო თუ ისე, სომხურ ეკლესიაში რეკონსტრუქციის შედეგად განთავსდა პლანეტარიუმი.

აჭარის კულტურის სამინისტროს ფონდში დაცულია მასალები, პროექტები, ნახაზები, განმარტებითი ბარათები, ხარჯთაღრიცხვები სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის რეკონსტრუქციისა და პლანეტარიუმის მონყობის შესახებ. სწორედ ეს არის ერთადერთი პროექტი ამ ეკლესიისა. ეკლესიის წინა ფასადის პროექტზე კარგად ჩანს წარწერა „პლანეტარიუმი“ -გაკეთებული ქართულ და რუსულ ენებზე, ასევე სააფიშედ გამოყოფილი ადგილები. დაცულია აგრეთვე გუმბათის ქრილის პროექტი, როგორც პლანეტარიუმის სფეროსებრი გუმბათისა, რომლის ქვეშ, მრგვალი დარბაზის ცენტრში მოეწყობა აპარატი „პლანეტარიუმი“. დარბაზი გათვალისწინებულია 88 მაყურებლისათვის. ცენტრში დგას სალექციო კათედრა (ასსცსა, ფონდი რ-972; აღწ.1 საქ.342; ფურც 33). პროექტის ავტორია **კალანდარიშვილი**, არქიტექტორი და ჯგუფის ხელმძღვანელი **ბერშტეინი**.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ივნისის N 272 დადგენილებით პლანეტარიუმი კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებიდან გადაეცა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილებას თავისი შტატით, ხელფასის ფონდითა და საბიუჯეტო ასიგნებებით (ასსცსა, ფონდი რ-2; აღწ. 1; საქ. 3174; ფურც. 53). დაქვემდებარების შეცვლა გამოწვეული იყო იმით, რომ კულტურის სამინ-

ნისტროს სალექციო პროპაგანდის ფუნქციები გადაეცა პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას. აჭარის ცენტრალურ არქივში დაცულია საზოგადოება „ცოდნი“-ს საარქივო დოკუმენტებიც, სადაც თავმოყრილია დადგენილებები, მიმონერები, პლანეტარიუმის ანგარიშები. „ქ. ბათუმის პლანეტარიუმი, რომელიც გაიხსნა 1959 წლის 29 დეკემბერს, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მშრომელთა შორის საბჭოთა მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაციისათვის, ადამიანთა შეგნებაში რელიგიური ცრურწმენების გადმონაშთების დაძლევისათვის“- აღნიშნულია პლანეტარიუმის პირველი დირექტორის **ლევან ძნელაძის** მოხსენებით ბარათში (ასსცსა, ფონდირ-978; აღნ.1. საქ.191; ფურც 51). პლანეტარიუმის ლექტორთა ჯგუფი ლექციებს ატარებდა არა მარტო პლანეტარიუმის სალექციო დარბაზში, არამედ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლო დაწესებულებებსა და დასასვენებელ სახლებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და სხვა დაწესებულებებში. ლექციები იკითხებოდა ასტრონომიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, გეოფიზიკის და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერების საკითხებზე. ლექციები ტარდებოდა ისეთი თვალსაჩინოების გამოყენებით, როგორცაა პლანეტარიუმის აპარატი, დიაპოზიტივები, დიაფილმები. პლანეტარიუმის ხშირი სტუმრები იყვნენ არა მარტო ბათუმის და აჭარის მოსახლეობა, მოსწავლეები და სტუდენტები, არამედ საქართველოსა და სსრკ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებლები, საზღვარგარეთელი ტურისტები. პლანეტარიუმის ეზოსთან სეანსზე შესვლის მოლოდინში, ხშირად იდგა ერთდროულად ექსკურსანტებით სავსე რამდენიმე ავტობუსი. პლანეტარიუმი შესული იყო მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის, კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ნუსხაში. პლანეტარიუმი და მისი ულამაზესი ეზო ბათუმის ერთგვარ სავიზიტო ბარათად და ბათუმელებისათვის შეხვედრების ერთ-ერთ საყვარელ ადგილად იქცა.

ამ სტრიქონების ავტორმა ბავშვობა პლანეტარიუმთან მჭიდრო კავშირში გავატარე. იქვე ახლოს მდებარე სახლში დავი-

ბადე და გავიზარდე. მე და ჩემს მეზობელ ბავშვებს სათამაშო ადგილი არ გვქონდა და პლანეტარიუმის ეზოში გავრბოდით სა-თამაშოდ და დასასვენებლადაც, რადგან მაღალი მაგნოლიების ფართოდ გაშლილ ტოტებ ქვეშ ზაფხულის მზეს კარგად ვემალე-ბოდით. პლანეტარიუმის თანამშრომლებიც გვიცნობდნენ და ჩვენთვის საინტერესო სეანსების სანახავად გვეპატიჟებოდნენ ხოლმე. მახსოვს, როგორ მიყვარდა, როცა შუქი ჩაქრებოდა და სრულ სიბნელეში დარბაზის ჭერზე, ანუ ეკლესიის გუმბათზე, ცის კაბადონი გამოისახებოდა მოჭედილი ვარსკვლავებით, მზით, მთვარითა და პლანეტებით. ბავშვები აღტაცებით შევეყუ-რებდით, როგორ მოძრაობდა პლანეტები, როგორ ბრუნავდა დე-დამინა თავისი ღერძის გარშემო, როგორ თენდებოდა და ღამდე-ბოდა...ეს იყო ნამდვილი ზღაპარი....მიუხედავად იმისა, რომ კომ-პიუტერით შესაძლებელია ტექნიკურად უფრო დახვეწილი კად-რების ნახვა, ჩემში მაინც პლანეტარიუმის ნოსტალგია ცოც-ხლობს შორეული ბავშვობიდან...

აღბად, ბედის ირონია იყო, რომ ღვთის სალოცავში, იქ, სა-დაც ჯვარს იწერდნენ და ინათლებოდნენ, იქ, სადაც ერთ დროს აქტიურად მიმდინარეობდა საღვთო მსახურება, სულ რაღაც 20 წლის შემდეგ გაიხსნა დანესებულება – კომუნისტებისათვის და-მახასიათებელი ათეისტური დატვირთვით, ღვთის გმობითა და უარყოფით. ის, რაც ერთის მხრივ, სასარგებლო იყო ადამიანები-სათვის საბუნებისმეტყველო და საერთოდ მეცნიერული ცოდნის ამაღლებისათვის, მიუღებელი იყო სულიერების თვალსაზრისით. თითქმის 30-33 წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა პლანეტარიუმის ლექტორთა ჯგუფი ორივე მიმართულებით.

1985 წელს, საბჭოთა ხელისუფლებაში ახალმა სიომ დაუბე-რა. საბჭოთა ხელისუფლების გადარჩენისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის დაწყებული ე.წ. „перестройка“ (გარდაქმნა), 1992 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრდა. ყოფილმა საბჭოთა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, წარსულს გადახე-და და მისი მყოფადობის დაბრუნება დაიწყო.

1992 წელს, ქ. ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტს (ყოფილი ქალაქის საბჭო, ამჟამად მერია) წერილით მიმართა საზოგადოებრივ-საქველმოქმედო ასოციაცია „ვერა ცუნდა“-მ, კ. გამსახურდიას (ყოფ.ლენინის) ქ. N25-ში მდებარე პლანეტარიუმის შენობის ასოციაციაზე გადაცემის მოთხოვნით. „პლანეტარიუმის შენობა თავის დროზე იყო სომეხთა ეკლესია, რომელიც ქალაქის ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული იქნა 1938 წელს. საზოგადოებრივი საქველმოქმედო ასოციაცია „ვერა ცუნდი“ მოითხოვს აღნიშნული შენობის დაბრუნებას და გათვალისწინებული აქვთ ეკლესიის აღდგენა“- ნათქვამია ქ. ბათუმში აჭარის არ მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992 წლის 3 მარტის N212-ე გადაწყვეტილების საკონსტატაციო ნაწილში (ასსცსა, ფონდი რ-10; აღნ.1; საქ. 2430; ფურც.118). აღნიშნულის საფუძველზე დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა და პლანეტარიუმის შენობა ბალასიდან ბალანსზე გადაეცა ასოციაცია „ვერა ცუნდ-ს“ სომხური ეკლესიის მოსაწყობად.



შენობამ დაიბრუნა დანიშნულება და ფუნქცია. სომეხი მრევლისა და ქალაქის ხელმძღვანელთა თანადგომით, 1994 წელს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის კარები და თითქმის 60-წლიანი შესვენების შემდეგ ბათუმელ სომხებს ღვთისმსახურებისაკენ მოუწოდა.

კ. გამსახურდიასა და ნ. ჟორდანიას ქუჩების კუთხეში, მაგნოლიებით დამშვენებულ დიდ ეზოში, რომელსაც ჩემი თაობა

პლანეტარიუმის ეზოდ იცნობდა, ბათუმელი სომხების რწმენად და იმედად დგას მე-19 საუკუნის რთული არქიტექტურული ფორმის, აგურით ნაშენები სომხურ-გრიგორიანული ეკლესია თავისი წარსულით, ანმყოთი და მომავლით.

აპარატი პლანეტარიუმი გადაიტანეს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ სასწავლო დარბაზში, როგორც საილუსტრაციო საშუალება გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იქნებ, ეს ერთ-ერთი სწორი გადაწყვეტილება იყო იმ დროისათვის, მაგრამ, ვფიქრობ აპარატურა „პლანეტარიუმი“ უფრო ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული, რითაც კიდევ ერთი სამეცნიერო კულტურული სანახაობითი ობიექტი შეემატება ქალაქს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. თ. კომახიძე, რელიგია და საღვთისმსახურო ნაგებობები აჭარაში, ბათ. 2001;
2. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში ასსცსა), ფონდი ი-1; აღნ.1; საქ.13, 14, 15
3. ფონდი ი-6; აღნ. 1; საქ. 72; ფურც.533;
4. ასსცსა, ფონდი რ-2; აღნ. 1; საქ. 3170, 3174; ფურც. 100, 53;
5. ასსცსა, ფონდი რ-10; აღნ.1; საქ. 2430; ფურც.118;
6. ასსცსა, ფ. ი-80;
7. ასსცსა, ფონდი რ-972; აღნ.1; საქ. 71, 335, 337, 342,344, ფურც.136, 54-55, 15-16, 33, 30;
8. ასსცსა, ფონდი რ-978; აღნ.1. საქ.191; ფურც 51.

Maia Rurua

Two stories of one building
Summary

Between the cities of the Black Sea countries, the most distinctive is Batumi. There are many beautiful historic buildings in the city. One of them is Armenian-Gregorian church `Sobor-Hrkicha` the name of St. Hrkicha on K. Gamsakhurdia street. That building history is described in the article.

**რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ისტორიიდან
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის
ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში**

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის აჭარაც, განთავისუფლდა და სამშობლოს დაუბრუნდა. ეს უდავოდ ღირშესანიშნავი მოვლენა იყო. მაგრამ ამიერიდან აჭარაც, საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. რუსეთს სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ აჭარაშიც დიდი ინტერესები გაჩნდა. ეს ინტერესები აჭარაში რუსეთის დამკვიდრების პირველი დღეებიდანვე გახდა აშკარა.

რუსეთთან ახლად შეერთებულ აჭარის მოსახლეობას გენერალმა სვიატოპოლ-მირსკიმ გამოუცხადა, რომ ხელშეუხებელი იქნებოდა ადგილობრივთა ქონება, რელიგია, სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებები დარჩებოდა იგივე, რაც ოსმალთა მმართველობის პერიოდში იყო. უცვლელი დარჩებოდა ადგილობრივი თვითმმართველობა, გადასახლების მსურველებს მიეცემოდათ ქონების გაყიდვის დრო (სცსსა, ფ.426, ს.163 : 11). სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობისადმი მიცემული პირობა არ შეასრულა, რამაც ოსმალეთში გადასახლების პროცესს ხელი შეუწყო. მით უფრო, რომ ოსმალეთის აგენტები ხალხში სხვადასხვა ჭორს (სალდათში განწვევას, ძალად გაქრისტიანებას, ტრადიციების ხელყოფას) ავრცელებდნენ.

აჭარის მკვიდრთათვის ძნელად ასატანი და შესაგუებელი იყო უცხო, რუსული მმართველობის ხელაღებით შემოღება. „დროება“ ეხებოდა რა საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას, აქაურთა მუჰაჯირად წასვლის ძირითად მიზეზად რუსულ მმართველობას და სამართალს მიიჩნევდა: „ჩვენი მხარე ვერანდება, ხალხი დიდი და პატარა, ფუხარა და შეძლებული, ყველაყაი სტოვებს თავის სახლ-კარს, დედულ-მა-

მულს და მიეშურება ხონთქრის სამკვიდრებელში... სადმე რომ სამართალი იყოს და მთავრობას სურდეს ამ გავერანებას ბოლო მოუღოს, კვლავად გადასახლება შეაჩეროს და ჩვენს ხალხს გული გაუკეთოს – ერთი რაცლას შემოღების მეტი არაფერი იქნება საჭირო. ამ ერთს რაღაცას სახელად ჰქვია სამართალი. სამართლის მეტი ჩვენ არაფერი გვინდა. იგი დაგვაკმაყოფილებს სულ მთლად. იგი მოგვიბრუნებს გულს, ხელს აგვაღებინებს გადასახლებაზე, შეგვაყვარებს რუსთ-მმართველობას და ტირილით გარდახვენილ მუჭაჯირებსაც კი დააბრუნებს“ („დროება“, 1881 : #4).

აჭარაში რუსეთის ადინისტრაციული მმართველობის შემოღების შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგება. ამ მიმართებით რუსეთის ხელისუფლებას გარკვეული ინტერესები გააჩნდა, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლში. ცარიზმის დაინტერესება მდგომარეობდა შემდგომში – რაც შეიძლება მინის მეტი ფართობი გამოეთავისუფლებინა კოლონისტებისათვის ახლადმემოერებულ მხარეში.

ბათუმის ოლქში მინათსარგებლობის წესების შესწავლისა და საერთოდ მინათმფლობელობის საკითხის გადასაწყვეტად ხელისუფლებამ 1879 წელს შექმნა სპეციალური „საადგილმამულო კომისია რომელსაც სათავეში ჩაუყენა ცნობილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე“ (სიჭინავა, 1958: 81). კომისიამ დიდი მუშაობა ჩატარა ამ მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის სათავეში დიდი პატრიოტი დ. ბაქრაძე იდგა, იგი იძულებული იყო მინათმფლობელობის პრობლემები ისე გადაეწყვიტა, როგორც ამას ცარიზმის ინტერესები მოითხოვდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტია კავკასიის ჯარების მთავარსარდლების გენერალ-ადიუტანტ თავად სპიატოპოლ-მირსკის ქ. თბილისში, 1879 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული ინსტრუქცია კომისიებისადმი, რომლებსაც უნდა შეესწავლათ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მინისმფლობელთა უფლებები და მათზე არსებული აქტები (აცსა, ფ.6, ს.141 : 378-381).

სერიოზულ პრობლემას ქმნიდა ისიც, რომ ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა წასვლისას მიუხედავად შეთანხმების პირობისა, მთელი არქივები (და მათ შორის საკადასტრო წიგნები თუ მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტები) თან წაიღეს. ახლადშექმნილი კომისიების მოვალეობას წარმოადგენდა მოეძიებინა ადგილობრივ მოსახლეობაში ამ სახის დოკუმენტები და თუ ასეთი აღმოჩნდებოდა გადაეცა იგი კავკასიის სამხარეო მმართველობისათვის.

ინსტრუქციის № 15 პარაგრაფით თუ რომელიმე დოკუმენტი ტოვებდა ყალბის შთაბეჭდილებას, ხდებოდა ამის დაფიქსირება ოქმში, შემდეგ მისი შედარება სხვა საკადასტრო წიგნებთან (თუ ასეთი კომისიას მოეძევებოდა) თუ არა კეთილსინდისიერი პირების დაკითხვა, რის შემდეგაც დოკუმენტი მიიჩეოდა სანდოდ ან ყალბად. ცხადია, „კეთილსინდისიერი პირები“ რუსეთის ხელისუფლებისათვის სასურველ თვალსაზრისს დაუჭერდნენ მხარს.

რუსეთის ხელისუფლების ნამდვილ მიზანს ცხადყოფს ინსტრუქციის № 10 პარაგრაფი: „კომისია ვალდებული იყო ზუსტად განესაზღვრა ყველა თავისუფალი მიწისა და სავარგულეების რაოდენობა, რომელიც შეადგენდა ხაზინს საკუთრებას...“ (აცსა, ფ.6, ს.141: 378-379).

თუ რამდენად „ზუსტად განსაზღვრა“ და „შეისწავლა მიწისმფლობელთა უფლებები“ ხსენებულმა კომისიამ, კარგად ჩანს შემდეგი ვითარებიდან. აჭარაში მიწისმფლობელობის საკითხი კვლავაც დიდხანს გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. „ბათუმის ოლქში, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში 33 წელია, ჯერ კიდევ არაა მონესრიგებული მიწათმფლობელობის საკითხი“ („ბათუმის გაზეთი“, 1911 : #8). ამ სფეროში შექმნილ კრიტიკულ ვითარებას ვერც ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები ფარავდნენ. კავკასიის სამთო სამმართველოს 1913 წლის ანგარიშში ვკითხულობთ : „მიწათმონყობა ბათუმის ოლქში ჯერ არ განხორციელებულა, ამდენად ჯერ კიდევ დაუდგენელია, სად მთავრდება ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი მიწები და სად იწყება სახაზინო მამულები“ (სცსსა, ფ.264, ს.4805: 307).

მაინც რატომ აყოვნებდა რუსეთის ხელისუფლება მინათ-მფლობელობის საკითხის გადაჭრას? ვფიქრობთ, ასეთ გაურკვეველ ვითარებაში უფრო იოლად შეეძლო კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელება. ოფიციალური საბუთების გარეშე მინათმფლობელს არ შეეძლო მის სარგებლობაში მყოფი მინის გასხვისება. მეორეს მხრივ ცარიზმი ყოველნაირად ხელს უწყობდა მუჰაჯირობას. რათა „განთავისუფლებულ“ მიწებზე „ერთგული“ ელემენტი ჩამოესახლებინა.

რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ასეთი გეგმაზომიერი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მალე აჭარის ზღვისპირა ზოლი მთლიანად გადმოსახლებული კოლონისტების ხელში მოექცა. „1905 წლისთვის ქობულეთამდე გადაჭიმულ რუს მემამულეთა შორის ქართველი მინათმფლობელი მხოლოდ სევასტი ქელიძე ყოფილა“ (გოგოლიშვილი, 1996 : 11).

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ნათლად გამოჩნდა ბათუმის პორტოფრანკოს საკითხშიც. ცნობილია, რომ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა როგორც თავისუფალი სავაჭრო ნავსადგური. რუსეთის დელეგაცია იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდა მის შეზღუდვას. რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის მმართველობას დაავალა შეემუშავებინა ბათუმის პორტო-ფრანკოსათვის შესაბამისი წესდება.

წესდების მიხედვით პორტო-ფრანკო თხრილით უნდა ყოფილიყო შემოსახლდურული. იქმნებოდა საბაჟო საგუშაგოები, რომელთაც უნდა გაეკონტროლებინათ ქალაქში, როგორც საქონლის შემოტანა, ისე განსაკუთრებით მისი გატანა. ამ მიზნით ქალაქს დაუნესდა ოთხი საბაჟო კარი: ოზურგეთისა (ქობულეთ-გურიისკენ), კახაბრისა (ქედა-ხულოსკენ), ჭოროხისა (ბორჩხა-ბირთვინისაკენ) და ჭოროხის ბოლოსი (გონია-სარფის გზით ყარს-ტრაპიზონისაკენ). ამ კარებში გატანილ ნებისმიერ საქონელზე მეპატრონეს უნდა გადაეხადა ბაჟი დაწესებული ნიხრით (სურგულაძე, სიორიძე, 1996 : 25).

რუსეთის ხელისუფლება, რომელიც თავიდანვე წინააღმდე-

გი იყო ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღებისა, სარგებლობს რამე-19 საუკუნის 80-იან წლებში ევროპის სახელმწიფოთა შორის ახალი გადაჯგუფებით, თანდათან იწყებს პორტო-ფრანკოს შეზღუდვას. 1886 წლის 27 ივნისს, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის ბრძანებულებით ბათუმში პორტო-ფრანკო გაუქმებულად გამოცხადდა.

რუსეთის ხელისუფლების ნამდვილი განზრახვა კარგად გამოჩნდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორც იყო ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღება და მისი შემდგომი ფუნქციონირება.

1888 წლის 28 აპრილს ბათუმზე გაიცა უმაღლესი ბრძანება თვითმმართველობის შემოღების შესახებ. აღნიშნული განკარგულების განხორციელებისათვის შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ. დ. გავრონსკი ჩაუყენეს. განკარგულების მიხედვით ქალაქის თავის მოვალეობას პირველი ოთხი წლის მანძილზე შეასრულებდა არა სათათბიროსაგან არჩეული, არამედ მთავრობისგან დანიშნული პიროვნება, ასევე ქალაქის სამშენებლო ნაწილი დარჩებოდა საგუბერნიო მმართველობის განკარგულებაში. ამდენად ბათუმის თვითმმართველობის უფლებები იმთავითვე შეკვეცეს, რასაც ემატებოდა რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები: არჩევნების შეზღუდულობა, ადმინისტრაციის მხრიდან სათათბიროს საქმეებში ჩარევის შემთხვევები და სხვა. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა როგორც ქალაქის ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე. მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, თვითმმართველობა ცდილობდა გადაენწყვიტა ქალაქისთვის ისეთი აუცილებელი საკითხები როგორც იყო წყლით მომარაგება, განათება, სანიტარული მდგომარეობა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა.

თვითმმართველობის სამოქმედო ასპარეზს ზღუდავდა იმდროინდელი სისტემის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქალაქო თვითმმართველობის უფლებებს კვეცავდა. იშვიათი არ იყო შემთხვევები, როცა ბათუმის ოლქისა თუ კავკასიის ადამინისტრაცია უხეშად ერეოდა თვითმმართველობის საქმეებში. ამის მაგალითია 1901 წელს გამგეობის წევრადი. ივანოვის კანდიდატურის თავს მოხვევა. 1911 წელს ბათუმის ოლქის გუბერნატორი მოითხოვდა ქალაქის თავისაგან ხმოსნების: გ. სოგოროვის, ე. ბერძენიშვილის, აა. დეკანოზოვის, გ. ელიაყას და ხმოსანთა კანდიდატის ე. ხორომანსკის გადაყენებას და მათ შეცვლას გურგენიძით. ვ. რუხაძით, ნ. საიპოვით და ი. კახიანიტ („ბათუმის გაზეთი“, 1911 : #12).

თვითმმართველობის წინააღმდეგ ცილისწამების ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1910 წლის 2 აპრილს „რუსკოე ზნამიაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ბათუმის თვითმმართველობის წევრებს და გამგეობას 1905-1907 წლების რევოლუციური მოვლენების დროს აჯანყებულებზე მხარდაჭერა ბრალდებოდათ. ეს საქმე ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ მოიგო. 1915 წლის 31 მარტს სასამართლომ დუბროვინს 2 თვით პატიმრობა მიუსაჯა (აცსა, ფ.6, ს.652 :1-6).

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ნათლად დასტურდება ბათუმის ოლქის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და მისი სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებით.

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზიის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც სათავეში სამხედრო გუბერნატორი ეყოლებოდა. ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი გახდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი (Батумь и его окрестности, 1906 : 105).

ბათუმის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფით რუსეთის ხელისუფლება ორ მიზანს ისახავდა: ჯერ

ერთი, ამათ ხელი შეეშლებოდა აჭარის დანარჩენ საქართველოს-თან შერწყმის (როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად-ავტ.), ბუნებრივ პროცესს; მეორე – ხელისუფლება უფრო სწრაფად მოახდენდა აჭარის (და საერთოდ ბათუმის ოლქის – ავტ.) კოლონიზაციას. მთავრობა მალე დარწმუნდა, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები არასაკმარისი იყო. ცარიზმს აშკარად არ აკმაყოფილებდა ბათუმის ოლქის კოლონიზაციის ტემპები (ქცა, ფ.130, ს. 258 : 24). ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის შენახვა მთავრობას არც თუ მცირე თანხები უჯდებოდა. „ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის ხარჯები, სასამართლოსა და სხვა სპეციალური დაწესებულებების გარდა ხაზინას ყოველწლიურად უჯდებოდა 219, 419 მანეთი („Кавказ“, 1882 : #155), მე-19 საუკუნის 80-იან წლებში კავკასიის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირების მიზნით მომზადდა რეფორმები როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე ადმინისტრაციულ მოწყობაში. ასეთ ვითარებაში გაჩნდა ბათუმის ოლქის გაუქმებისა და მისი ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების იდეა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ხარჯებისაგან გაათავისუფლებდა. „ოლქის ცენტრალური მმართველობა შეიძლება გაუქმდეს საქმისადმი ყოველგვარი ზიანის გარეშე... ამ გზით სახელმწიფო შეამცირებს ხარჯებს 173, 349 მანეთით“- წერდა „კავკაზი“ („Кавказ“, 1882 : #155). ხელისუფლებას მოეწონა აღნიშნული მოსაზრება და ბათუმის ოლქის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო“. როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, ბათუმის ოლქი, რუსეთთან შეერთების შემდეგ არსებობდა დაახლოებით 4 წელს. 1883 წლის 12 ივნისს მისი უდიდებულესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა მისი შეერთება ქუთაისის გუბერნიასთან.

მალე ცხადი გახდა, რომ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ცარიზმის მზაკვრული მიზანი- ბათუმი წმინდა რუსულ ქალაქად გადაქცეულიყო, ხოლო აჭარა საერთოდ მოწყვეტოდა ქართულ სამყაროს – განუხორციელებელი დარჩა. „ცარიზმის ერთგულმა გუშაგებმა გვიან იგრძნეს ეს მარცხი და ამის უმთავრეს

მიზეზად 1883 წლის რეფორმის შედეგად ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება მიიჩნიეს (სიჭინავა, 1958 : 83).

რუსეთის ხელისუფლების სურვილი, სწრაფად მოეხდინა აჭარის კოლონიზაცია, მიუღწეველი იყო. ეს მაშინ, როცა ბათუმის ოკრუგი (ე.ი. აჭარა- ავტორი) მთელს ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე არამჭიდროდ დასახლებული მხარე იყო. ქუთაისის გუბერნიის 1892 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „ყველაზე მცირერიცხოვანი დასახლებები არის ბათუმის ოკრუგში. თუ საშუალოდ გუბერნიაში ერთ დასახლებაზე მოდის 87 კომლი 530 მცხოვრებით, ბათუმის ოკრუგში ეს ციფრი შესაბამისად შეადგენს 28 კომლს და 157 მცხოვრებს“ (ქცა, ფ. 130, ს.175 : 2). ამის მიუხედავად, გადმოსახლებული „ერთგული ელემენტის“ რაოდენობა არც ისე ბევრი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებდნენ რუსი მოხელეები, „ბათუმის და ართვინის ოკრუგში მოსული მოსახლეობა არის უმნიშვნელო. სულ არის ორი რუსული დასახლება – ერთი ჩურუქ-სუსთან, სადაც მოახალშენეებს გამოეყოთ 11 დესეტინა მიწა თითო კომლზე, და მეორე – ხოლოდნაია სლობოდა ბათუმის ახლოს. აქ მხოლოდ მამულისათვის გამოეყოთ მიწები (ქცა, ფ. 18,2145 :4). საქმე მთლად ასე როდი იყო. ჯერ ერთი რუსი კოლონისტები ძნელად ეგულებოდნენ ადგილობრივ კლიმატურ თუ საყოფაცხოვრებო პირობებს, მეორე – მათ სურდათ მხოლოდ ზღვისპირა ზოლში დასახლება, სადაც თავისუფალი მიწები უკვე იმ დროისთვის ძნელად იშოვებოდა. ამით იყო გამონვეული კოლონიზაციის დაბალი ტემპი. მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმის სამრეწველო განვითარების მასშტაბებმა, და ჩაქვში საუფლისწულო მამულის დაარსებამ, რაც თავის მხრივ დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვდა, ხელისუფლებას ზემოთ აღნიშნული „ნაკლოვანების“ გამოსწორების საშუალება მისცა..

1896 წელს დუნდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ კავკასიის მთავართმარტებელი გახდა გენერალი გოლიცინი. (იგი მთავარმარ-

თებელი იყო 1896-1904 წწ. -ავტ.) ახლადდანიშნული მთავარმართებელი „აკრიტიკებდა კავკასიაში 1883-1885 წლების რეფორმის ორგანიზატორებს, რომელთა ძირითად მიზანს მხარის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირება შეადგენდა“ (ვანიშვილი, 1989 : 86). გოლიცინი სასტიკად ილაშქრებდა ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების წინააღმდეგ. მიაჩნდა, რომ ეს ხელს უწყობდა არა მარტო მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამალლებას, არამედ გააძლიერებდა ქართველთა კონსოლიდაციის პროცესს. ეს კი ნამდვილად არ შედიოდა კოლონიური პოლიტიკის თანმიმდევრულად გამტარებელი მთავარმართებლის ინტერესებში. ამას დაემატა ისიც, რომ მე-19 საუკუნის დამლევადან ბათუმი მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. კავკასიის ადმინისტრაცია რევოლუციური გამოსვლების გაძლიერებისა და მის წინააღმდეგ არაეფექტური ბრძოლის მიზეზს ბათუმში ადმინისტრაციული ცენტრის არ არსებობაში ხედავდა.

ბათუმის ოლქის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ 1900 წელს დამდგარა. ამას ადასტურებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში 1900 წლის 23 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი № 4821, რომელშიც ნათქვამი იყო: „თქვენო უმაღლესობავ, ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გამოყოფა ვცანით სასარგებლოდ და აუცილებლად“ (ქცა, ფ. 186, ს. 759 :1).

1902 წლის 9 მარტის მოვლენებმა კვლავ განსაკუთრებული აქტუალობით დასვა ბათუმის ადმინისტრაციული სტატუსის აღდგენის საკითხი. იმპერატორის კანცელარიიდან მთავარმართებლის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: „ როგორც ჩანს თქვენ ვერ იმოქმედეთ ისე, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბების საკითხი. სწორედ ეს უმოქმედობა გახდა მიზეზი 1902 წლის 9 მარტის სისხლისღვრისა. ამჟამად, მგონი აღარ გამოინახება იმის საბაბი, კიდევ გადაიდოს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი. ამიტომ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ პროექტი

ბათუმის ოლქის ცალკე გამოყოფის თაობაზე (აცსა, ფ. 7, ს.431 : 46). ოფიციალური ბათუმის ოლქის გამოყოფის ასეთნაირად ასახულებდა: „1883 წელს ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება იყო ხელოვნური და მექანიკური გაერთიანება ერთ მმართველობაში ორი პრინციპულად განსხვავებული სისტემისა და აბსოლიტურად სხვადასხვაგვარი ადგილებისა, და ამ ღონისძიებამ შეაფერხა ახლადშემოერთებული ოლქის განვითარება ყველა მიმართულებით და მოუტანა ხაზინას ზარალი, რომელიც აჭარბებდა ეკონომიას, მიღებულს დამოუკიდებელი ბათუმის ოლქის მმართველობის გაუქმებით.

1903 წლის 17 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ II ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის აღდგენის შესახებ დადგენილებას. 1903 წლის 17 მარტს მისი უმაღლესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს წინადადების საფუძველზე იმავე წლის 1 ივნისს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან მასთან შეერთებული ბათუმისა და ართვინის ოკრუგები გამოიყო დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, სამხედრო გუბერნატორის მმართველობით. ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქ. ბათუმი“ (ქცა, ფ. 130, ს.258 : 4).

ამრიგად, აჭარის რუსეთთან შეერთების შემდეგ აშკარად გამოიკვეთა მისი მიზანი, დაუყოვნებლივ მოეხდინა ახლადშემოერთებული მხარის სრული კოლონიზაცია. განზრახვის განსახორციელებლად იგი იყენებდა ყველა სფეროს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს. ამის მიუხედავად, ცარიზმის გეგმა მიუღწეველი დარჩა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აცსა, ფ. 6, ა.1, ს.141, 652
2. აცსა, ფ.7, ა.1, ს.431
3. სცსა, ფ. 264, ა.4, ს. 4805
4. სცსა, ფ. 426, ა. 3, ს.163

5. ქცსა, ფ.18, ქ.1, ს. 2145
6. ქცსა, ფ. 130, ა.1, ს. 175
7. ქცსა,ფ.130,ს. 258
8. ქცსა, ფ.186, ა.1, ს. 759
9. „ბათუმის გაზეთი“, #8, 1911
10. „ბათუმის გაზეთი“, #12, 1911
11. „დროება“, #4, 1881 წ.
12. გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1914, I, ბათუმი 1996;
13. ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ. თბილისი, 1989;
14. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი 1958;
15. სურგულაძე ა., სიორიძე მ., პორტო ფრანკო ბათუმში, ბათუმი 1996;
16. Батумь и его окрестности, Батумь 1906;
17. „Кавказ“, #155, 1882.

Jemal Karalidze

***From the history of Russia colonial policy in the late XIX
and early XX centuries in the south-west Georgia
Summary***

As a result of Russian-Turkish war in 1877-1878, the important part of western Georgia, Adjara, among them, became the part of Russia. The aim of Russian policy was clear: the goal was to take full control of the annexed country. Tsarism took measures to fulfill the plan through administrative settlement and changes, determining estate arrangement, announcing self-government and its further functioning in the field of education and culture. In spite of great effort, tsarism was not able to accomplish its mission.

ЯЗЫК КУЛЬТУРЫ И КУЛЬТУРА ЯЗЫКА

Культура – своеобразная историческая память народа. И язык, благодаря его кумулятивной функции, хранит ее, обеспечивая диалог поколений не только из прошлого в настоящее. Но и из настоящего в будущее.

В.Н.Телия

Изучение языков мира – это также всемирная история мыслей и чувств человечества.

Вильгельм фон Гумбольдт

Каждый национальный язык – это зеркало культуры своего народа, в котором отражается не только окружающий человека мир, но его видение мира, менталитет народа, его национальный характер, система ценностей. Все, что пережил народ, так или иначе, отражается в его языке и культуре.

Конец двадцатого века ознаменовался активным процессом всеобщей глобализации, которая охватила все важнейшие сферы жизни человека. Достижения научно-технической революции, современные технологии, интернационализация образования, разветвленная экономическая система – все это сопровождается культурной и языковой глобализацией.

По мнению С.В.Кортунова, признаками глобализации считают демократизацию, экономизацию, информатизацию, культурную стандартизацию, универсализацию ценностных ориентиров (Кортунов 2009:18).

В современном мире культурная стандартизация протекает по англо-американской модели общества, которая заняла доминирующее положение после окончания холодной войны. Как отмечает В.М.Алпатов, помимо экономических и политических причин это связано с английским языком, который претендует на роль всемирного языка (Алпатов 2005:3001). Таким образом, диалог языка и культуры в условиях глобализации перерастает в культурную и языковую глобализацию.

А.Т.Хроленко считает языковую глобализацию важнейшей составной частью всеобщей глобализации и понимает ее как “процесс активного взаимопроникновения языков в условиях доминирования одного из языков в качестве мирового“. По его мнению, термин языковая глобализация имеет два значения:

1) использование английского языка в качестве средства научных и политических

контактов;

2) американизация национальных языков (Хроленко 2013:277).

На примере современного грузинского языка четко прослеживаются оба этих процесса. Языковая глобализация в Грузии имеет интересную предысторию. Являясь страной древнейшей культуры и одного из оригинальных языков с уникальным алфавитом, Грузия в разные исторические периоды испытывала влияние разных языков и культур. “Многослойный пирог“ грузинской национальной культуры впитал в себя и этническую культуру этого древнего народа, и общечеловеческие культурные ценности, в ней отражены и культурные концепты завоевателей (персы, арабы, турки-османы, монголы и пр.), и культурные концепты, сформированные в период тесных русско-грузинских взаимоотношений. Многочисленные поликультурные связи в той или иной степени получили отражение в грузинском языке, который в разные периоды своего функционирования обогащался заимствованиями из этих языков. На раннем этапе развития грузинского языка сильным было влияние арабского и персидского языков, процесс заимствования из латинского и греческого языков стал особенно интенсивным после принятия христианства, во время переводческого бума, когда на грузинский язык переводилось большое количество богослужебной литературы.

Тюркско-кавказские языковые контакты зародились в период раннего средневековья, что подтверждается многочисленными данными кавказских, и в частности грузинских, письменных памятников (Картлис цховреба и др. – гунны, хазары, кыпчаки, сельджуки). Исторические данные свидетельствуют о нескольких периодах контактирования тюркских и кавказских народов, что не могло не

оставить свой особый отпечаток и на их языках. Продолжительным и тесным этот контакт был в нашем регионе, в Аджарии, которая около трехсот лет – с конца 16-го до конца 19-го вв. – находилась под игом Османской империи. Еще более длительным был период господства османов для болгар – около 500 лет – с конца 14-го до конца 19-го вв. Неудивительно, что османская экспансия оставила серьезный след и в болгарском, и в грузинском языках. Помимо большого количества лексических заимствований схожие культурные параллели прослеживаются в быту, архитектуре, искусстве, национальных кухнях этих народов.

Грузинский язык легко осваивал заимствованную лексику, переплавляя и “огрузинивая” ее: она органично переплеталась с исконными грузинскими лексемами и фраземами. Известный исследователь грузинской культуры Иосиф Гришашвили назвал разговорную речь жителей Тбилиси “сплавом персидско-турецко-арабско-армянско-грузинских слов”, но в конце-концов “многие века кропотливо и осторожно оттачивал Тбилиси слова-алмазы чужих языков, сообщал им свою свежесть и солнечность, и они поддались, вписались в грузинскую речь” (Гришашвили 1989:11).

С конца XVIII века после принятия протектората России грузинский язык стал испытывать влияние русского языка: билингвизм, насильственно насаждаемый в царской России, после образования Советского Союза сменился более тонкой и разумной политикой, провозгласившей русский язык “вторым родным языком”. Большое количество русскоязычного населения, активные общественно-политические и культурные связи с Россией, высокий удельный вес русского языка как обязательного учебного предмета в сочетании с языковой средой позволяли активизировать приобретаемые навыки аудирования и говорения, что способствовало высокому уровню владения русской речью большей частью населения Грузии. Более того, русское телевидение, русская пресса, основательное изучение русской истории, культуры и литературы позволяло усваивать концепты русской культуры, реалии русской жизни, поэтому билингвизм языковой базировался на бикультуризме.

Эпоха НОМО SOVETICUS сблизила народы Советского Союза, сформировала общий пласт культурной памяти: общие радости и проблемы, совместные достижения, направляемые и регулируемые централизованной властью, формировали общую концептуальную базу, вырабатывали схожие языковые формы их фиксации в разных национальных языках (например, Великая Отечественная война, совместно пережитая представителями всех советских республик, породила во всех национальных языках схожие лексемы и фразеологизмы, идентичные коннотации и прецеденты).

Культурная память – феномен коллективный, но коллективные воспоминания являют собой отнюдь не простую сумму индивидуальных воспоминаний. Культурная память общества является социокультурным конструктом, который в определенной степени поддается манипулированию. Культурная коллективная память зафиксирована в многочисленных текстах, в медиа-текстах, архивных материалах, произведениях устного народного творчества, мифах, в художественной и специальной литературе, фотодокументах, кинофильмах, в произведениях изобразительного искусства, в материальных памятниках, сооружениях и пр., в том числе и в языке (в лексемах, фразеологизмах, метафорах, сравнениях, прецедентах, коннотациях). Процесс социализации человека – это, прежде всего, процесс овладения культурной коллективной памятью, овладение символическим культурным кодом.

Резкая смена общественно-политического устройства Грузии после развала Советского Союза и периода перестройки, возникновение серьезных этноконфликтов в Абхазии и Осетии, отток русскоязычного населения, большое количество мигрантов и эмигрантов – все эти обстоятельства сильно изменили языковую ситуацию в Грузии. Роль английского языка как медиатора международных отношений повсеместно выросла как следствие всеобщего процесса глобализации и интеграции, в современной Европе повседневной реальностью становится мультилингвизм, современный европеец – это человек, владеющий, как минимум, тремя языками, из которых один родной, а один из иностранных – чаще всего английский. Но если естественный переход от билингвизма к мультилингвизму

обычно осуществляется добавлением к уже приобретенному языку нового языка (ведь каждый коллективный опыт усвоения языка – бесценен), то в Грузии произошло вытеснение русского языка английским в результате целенаправленной языковой политики: русский язык потерял статус обязательного предмета, в средних школах его еще выбирают в качестве второго иностранного языка, а в высших учебных заведениях почти повсеместно студенты изучают лишь один иностранный язык – английский. Общение на русском языке, ранее охватывающее все стороны общественно-культурной жизни, сосредоточилось в основном в сфере профессиональной, круг людей, для которых доступны телевизионные передачи на русском языке и Интернет, довольно ограничен, к этому необходимо добавить, что язык интернет-сайтов демонстрирует размывание и расшатывание норм на всех уровнях языка, засилье заимствованной и нецензурной лексики.

Результатом всех вышеперечисленных процессов стала сложная языковая ситуация, когда интенсивное изучение английского языка не базируется на мультикультуризме: часть русских культурных реалий и советизмов уже агнонимичны для подрастающего поколения, а реалии англо-американской культуры еще далеко не привычны. Более того, необходимо учитывать и тот факт, что в школах и вузах молодежь изучает британский вариант английского, тогда как средства массовой информации и массовая культура тиражируют американизмы. Еще одним фактором, оказывающим влияние на складывающуюся в Аджарии языковую ситуацию стало повышение роли турецкого языка в силу активизирующихся турецко-грузинских взаимоотношений. Современные грузинские школьники и студенты получают образование в условиях настоящего “лингвистического бума”, который закономерно привел к пересмотру социокультурного контекста и условий формирования языковой личности. Изменение социальной структуры общества приводит к изменениям личности языковой, ограничивает возможности привычных средств ее самореализации и самопонимания.

Владение несколькими языками и межкультурная компетентность уже стали одним из главнейших условий успешного трудоус-

тройства и карьеры в современной Европе. Но в процессе мультилингвального образования происходит интенсивная трансляция концептов иных культур, протекает сложный и многогранный процесс формирования языковой картины мультилингвов, который требует пристального внимания и координированных социолингвистических, психолингвистических, лингвокультурологических исследований, исследований культурной памяти этноса. Острая необходимость подобных исследований диктуется еще и тем обстоятельством, что дети очень рано начинают изучать английский язык. Они приобщаются к нему уже в детском саду, затем начинают интенсивный курс обучения с первого же класса грузинской школы, когда еще у маленького члена социума не вполне сформирована национальная картина мира. Затем с третьего (или с пятого класса) они изучают второй иностранный язык и т.д. Этот процесс необратим, иностранные языки необходимо изучать, но при этом надо успевать усваивать ценности своей собственной культуры.

Именно язык народа является необходимым условием понимания его культуры, менталитета. На современном этапе развития науки особенно ярко проявилась концентрация современных научных отраслей вокруг языка. Это, в первую очередь, лингвокультурология, которая рассматривает язык как средство проявления, отражения и фиксации культуры, как транслятор культурной информации, а языковые единицы – как средство выражения языкового и внеязыкового содержания. Это и этнолингвистика, которая исследует взаимодействие языка и этноса в свете культурно-национального самосознания, с ориентацией на систему норм и общечеловеческих ценностей. Это и интенсивные исследования культурной памяти народа. Будучи тесно взаимосвязанными проблемы этнической идентификации и культурной памяти имеют универсальные средства выражения – языковые маркеры, динамика изменений которых отражает судьбоносные для данного этноса периоды жизни. Это и лингводидактика, одним из самых спорных вопросов которой является вопрос о подаче культурологического материала. В качестве цели обучения выдвигается межкультурная (социальная) компетенция, которая включает различные компоненты: языковой, исторический, эстетический, этический.

Социальная сущность современного мультилингвального образования состоит в формировании не просто языковой, а широкой социокультурной компетенции, формирование которой решает проблемы этнических статусов, критического осознания мира с развитием коммуникативных возможностей и глубоко рефлексивного отношения к собственной культуре и языку – что делает процесс социокультурной трансляции этнических ценностей более стабильным, способствует осознанному сохранению национальной культуры носителями языка и социокультурного опыта конкретного народа.

Литература:

Алпатов В.М. Глобализация и развитие языков// Труды ОИФН РАН. М., 2005.

Гришашвили И. Литературная Богема старого Тбилиси. Тбилиси, 1989.

Гумбольдт В. фон – Избранные труды по языкознанию. М., 1984.

Кортунов С.В. Становление национальной идентичности. Учебное пособие для студентов вузов. М., 2009.

Сабитова З.К. Лингвокультурология. М., 2015.

Телия В.Н. Основные постулаты лингвокультурологии // Филология и культура: материалы II международной конференции. Тамбов, 1999.

Хроленко А.Т. Основы современной филологии. М., 2013.

**ნათია კალანდაძე
ქეთევან ფუტკარაძე**

**ქართული სარკინი თოჯინის გენეზისი, ტრადიციები
და რიტუალი ზემო გურიისში**

„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“-ში ვკითხულობთ: „თოჯა“ – თოჯინა დედოფალა (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ) (253, თბ 1974). სულხან საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს სიტყვა „კუკი“, კაცთ სახე ცუდა(დ) ZAB. ჭუპრა შემზადებულ(ნ)ი კაცთა მსგავსნი (მგზავსი ცყ) ს. ჭუპრი DE (393; თბ. 1966).

საქართველოში კუკების თეატრი თავისი წარმოდგენისათვის ბიბლიის სიუჟეტებს იყენებდა. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროდ, რომ კუკების ქართულ თეატრში რელიგიური მისტიკების წარმოდგენა წინ უსწრებდა, თუ ამაზე მეტი არა 9 საუკუნით ევროპული მარიონეტების ქრისტიანულ-რელიგიურ დრამებს (487; თბ 1948).

ყოველივეს გათვალისწინებით თამამად შეიძლება ითქვას: ქართული თოჯინის განვითარების გზა მეტად საინტერესო და საყურადღებოა. გურიაში გართობა-თამაშობა წარმოდგენდა სწავლების ერთ-ერთ ფორმას.

სამწუხაროდ გურულების ეთნოგრაფიულ დახასიათებას, ნაკლებად ვხვდებით ქართულ მწერლობაში. გურული ყოველ დროს ცდილობდა შრომა შეემსუბუქებინა და ყოველგვარ პირობებში სიამოვნება ენახა. შემოდგომაზე, როგორც ყველგან ზემო გურიაშიც ძალიან მძიმე იყო მოსავლის დაბინავება. შრომაში მამა-



კაცებს არც ქალები ჩამორჩებოდნენ, ბავშვები ცდილობდნენ მშობლებს შრომაში გვერდით ამოდგომოდნენ, ამასთანავე დრო გართობა--თამაშობით გაეტარებინათ. რთველის დროს შექმნილი გურულ უნიკალურ სიმღერებს მშობლები თუ შეიძლება ითქვას „თამაშ-თამაშით“ გადასცემდნენ მომავალ თაობებს.

მეცნიერ მკვლევარი ნ. ლოლობერიძე აღნიშნავს, რომ გური-ას განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს სწავლა-განათლებისადმი ბავშვი შეიქმნება თუ არა 6-7 წლის, მაშინვე სკოლაში აძლევენ. უპირატესობას ანიჭებდნენ ისეთ დარგებს, რომელიც გურიაში განსაკუთრებით იყო ფეხმოკიდებული (144; თბ 1980). ეს იყო მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოება, საფეიქრო საქმე, მებოსტნეობა და სხვა ბავშვები მშობლებს ეხმარებოდნენ აბრეშუმის პარკის „დახვევის“ დროს აგროვებდნენ ნარჩენებს ცდილობდნენ დედოფალების კეთების დროს გამოეყენებინათ. ასევე იყო მეთამბაქოობის დროს ისინი ფოთლებს კინძავდნენ ერთ სწორ ძაფზე ან მავთულზე, ყოველივეს თამაშის ფორმით აკეთებდნენ, ეუფლებოდნენ კერვის ხელოვნებას და სხვა.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული გართობა თამაშობანი და რიტუალები შემორჩენილია ეთნოგრაფთა და სხვა მკვლევართა ჩანაწერებში. ვარაუდობდნენ გაერკვიათ რა უფრო ადრინდელია შრომა თუ თამაშობა, როგორც სხვაგან გურიაშიც საბავშვო თამაშობანი წარმოადგენდა იმპროვიზაციას მოზრდილთა ცხოვრებიდან. ეს განპირობებული იყო იმითი, რომ ბავშვები მცირე ასაკიდან ეხმარებოდნენ მშობლებს საოჯახო საქმიანობაში, მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი შვილები თითქმის დამოუკიდებლად ზრდიდნენ უმცროს და-ძმებს.

გოგონები ძირითადად სწავლობდნენ ჭრა-კერვას, სახლებში ბებიების დახმარებით ამზადებდნენ თოჯინებსა და სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებებს, რომლებსაც მოარგებდნენ თამაშს, რომლებსაც ასრულებდნენ მეგობრებთან და და-ძმებთან ერთად.

XVIII საუკუნის დასასრულს საქართველოში ცნობილი ყოფილა ცხენკაცობის თამაშობა მოთამაშენი „ხეებს გაიკრავდნენ ტანზედ და ჩითებს გადააფარებდნენ ცხენებივით თავსა და კისერს ხისაგან გააკეთებდნენ შემოახვევდნენ რასმე და კიდებდნენ წვრილ ზანზალაკებს. მეცნიერთა კვლევებიდან დადგინდა,

რომ ცხენკაცობა ძველისძველი თამაშობაა ასრულებდნენ ყველიერობას „კერპობის დროიდან“, მსგავსი ტიპის თამაშები დადასტურებულია რაჭასა და სამეგრელოში, რომელიც იოანე ბაგრატიონს შეუსწავლია და შეუგროვებია (50; თბ, 1948).

მსგავსი ტიპის თამაში ე. წ. ცხენოსნობა გავრცელებული ყოფილა გურიაში, ჯოხზე გადამჯდარი პატარა ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დათქმულ ადგილამდე მისვლაში და ამასობაში ისეთ წვრთნას გადიოდნენ, რომ ცნობილი მოჯირითეები ხდებოდნენ. ამ თამაშთან დაკავშირებით გურიაში შეიქმნა ლეგენდა როგორ გაჩნდნენ ქართველები სტამბულში“, გურული და ეშმაკი ერთმანეთს „ცხენობიაში“ შეჯიბრებიან. თან მღეროდნენ, სტამბულამდე ჩასულან. ეშმაკს გურული მიუტოვებია და უკან დაბრუნებულა. 1923 წელს საქართველოში სტუმრად მყოფ ფერიენელ ქართველს სეიფულა იოსელიანს საზოგადოებისთვის გაუცნია, რომ პატარძლის მოყვანის დროს მაყრები გადავაჯდებით ჯოხების ცხენებს და ეზოში დავაჭენებთო” (138; 1980).

ბავშვები თვითონ იკეთებდნენ სათამაშოებს, უმთავრესად ჩალის ღეროსაგან: მშვილდისარს, შურდულს, საბზრიალას, დედოფალას, სამეურნეო დანიშნულების სახვადასხვა საგნებს, ჩიტის დასაჭერ მახეებს, აგებდნენ სათამაშო წისქვილებს, პატარა ოდა სახლებს და სხვა (153; თბ: 1980).

მშობლებიც ცდილობდნენ შვილებს ისეთი თამაშით გაეტარებინათ დრო, რომელიც შემდეგ მათ ცხოვრებაში სირთულეების დაძლევაში დაეხმარებოდათ (იგულისხმება ტყვეთა ტაცების პერიოდი, გატაცებულს გაჭირვებისათვის გაედლო და დასხლეტოდა მტერს).

მკვლევართა მოსაზრებით თამაშთა გავლენა ჩანს ამ კუთხის მცხოვრებთა ხასიათზედაც. გურულები მოქნილები, ცქვიტები, გამბედავები, საზრიანები, გონებამახვილები არიან. ამ თვისებათა ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო გურულებისათვის საყვარელმა თამაშებმაც. გართობა-შეჯიბრება ვაჟის ფიზიკურ წვრთნას ემსახურებოდა: ნონასნორობა, თითის, ფრჩხილის „წკიპურტი“, ბეჭის გატეხვა ცერზე, „კენწლობი“ ფეხით, ჯოხით, უმოძრაო კაცის აყვანა, მჯილის გახსნა, მუშტებით აყვანა, „მკლავაყვანიე“, ფოთლის გატკლევაცა, ცურაობა, „ჩორხიალი“ და სხვა (131; თბ: 1980).

გოგონები ძირითადად ერთობოდნენ დედოფალებით, რომლებსაც აკეთებდნენ ხისას, ნაჭრებისას, უმთავრესად კი ჩალის ღეროსაგან, თვალების მაგიერ ჩაუდგამდნენ „ნი-ლობიეს“ ან ნახშირს. ტუჩებზედ ამ მასალას ხმარობდნენ. თმად აბრეშუმის ჭიის ნაწენს ან სიმინდის ფუჩეჩს უკეთებდნენ. თავზე დაადგამდნენ ხოლმე ან ნაჭრებისაგან შეკერილს ან თიხისაგან გამოძერწილ ქუდს. დედოფალას ხან ქორწინლს უმართვადნენ, ხან დღეობას, ხან დაიტირებდნენ და სხვა (147; თბ: 1980).

XVII საუკუნიდან საქართველოში თოჯინის აღმნიშვნელად კუკსა და ჭუპრს ხმარობენ. ხალხში დაცულ ბავშვის სათამაშო თოჯინის აღმნიშვნელ სახელებად ჩანს: კუკი, ჭუპრა, ძონძი-კუკუ (კახეთი სოფ. საბუე), ტიკინა-ტუკინა (ქართლი), შვილუკა (ხევსურეთი, ზემო რაჭა), დედოფალ დიოფალა (რაჭა), გუგა (თუშეთი), სამეგრელოში გუგას უწოდებენ ნაქუჩელას, რისგანაც თოჯინას ამზადებენ (450; თბ. 1948).

მსახიობ სერგი ცაგარეიშვილის მონათხრობიდან ჩანს, რომ კახეთში, სოფელ შილდაში „როდესაც გვალვიანი დღეები დადგებოდა, ძველად სოფლელებს გამოჰყავდათ ხელზე წამოგებული ორი თოჯინა „გელიოსი“ და „მარო“, რომლებსაც წყალს ასხამდნენ და ლოცვებს ამბობდნენ“ (460; თბ. 1948).

გაზაფხულის დღესასწაულ ბერიკობაში, რომელიც XVIII საუკუნიდან იღებს სათავეს, მოთამაშებთან ერთად კუკიც მონაწილეობდა. იგი მწყემსის ტანსაცმლით იყო მორთული. ბერიკების ნიღბების რკალზე ზოგჯერ თოჯინებიც იყო დაკიდებული.

ნ. მარის განმარტებით მესტიაში „განსაკუთრებულ როლს თამაშობს ალიკაპამოდებული ხახადარებული ლომის ფიგურა, დამზადებულია აბრეშუმისაგან. ლოცა იგი ჰაერით ივსება და იბერება, სკულპტურული ნაწარმოების სახეს ღებულობს. მიმავრებულია ჯოხის ტარზე და დაცულია ადგილობრივ ეკლესიაში. ერთ-ერთი მხედარი იღებს მას და ცხენს მიაჭენებს, „ლომი“ ჰაერით იბერება და ცოცხალის შთაბეჭდილებას ტოვებს, უკან მიჰყვება ასევე ჭენებით 10-15 მხედარი. ისინი 2-3 ჯერ გაიჯირითებენ და ისევ ეკლესიაში ინახავენ (476; თბ. 1948).

სვანეთში მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ „კათხტაბაკობას“ ან „კონჩხობობას“ იხდიდნენ. სუფრას რომ გაანყო-

დნენ „სუფრის ბოლოს საპატიო სკამზე წამოსკუპებულია რაღაც არაჩვეულებრივი არსება. როცა კარგად დაუკვირდებით, დაინახავთ, რომ კრივისათვის ჩაუცმევიათ ჩოხა-ახალუხი, გვერდით აუყუდიათ თოფი, ურომლისოდაც სვანი არ გაივლის. მუჯირო, ქამარ-ხანჯალი, ჩოხა-ახალუხი ეკუთვნის იმ მიცვალებულს, რომლისათვის არის მონყობილი ეს „კათხტაბაკობას“ ან, კონჩხო-ბობას”.

ხევში კვირეღვთისშვილის ხატში (სოფ. თხლეშე) ციხე-კომპის ნანგრევში არის ქალის კუკი სიმაღლით 0,54 მ. რომელსაც აცვია თეთრი სამოსი მოკაზმულია მძივებით, ბეჭდებით, საყურეებითა და ზანზალაკებით. დღესასწაულებს აწყობენ ქალები ამალღების წინადღეს. მლოცველი ქალები კვირეღვთისშვილის სთხოვდნენ შვილიანობას, ჯანმრთელობას, უშვილო ქალები კერპს სწირავდნენ თოჯინებს.

აფხაზებსა და ქართველებს, კახელებსა და აჭარლებს აქვთ წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვით გვალვის დროს, წვიმის გამონვევის მიზნით თოჯინას აბანავებენ. წესს მხოლოდ ქალები და ქალიშვილები ასრულებენ მდინარეში ხტებიან ტანსაცმლიანად თოჯინასთან ერთად (478; თბ. 1948).

ჩოხატაურის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში დაცულია რამდენიმე წერილობითი დოკუმენტი მარო კალანდაძის ჩანაწერით: „წითელა და წითურა ბატონები მძიმე ავადმყოფობა იყო, მარა ბავშვებს გვიხაროდა, ნენე პატარა ტომრებს გატენიდა თივით, ჩამოაცმევდა წითელ კაბას, თავის ფორმას თუ პატარა ღილები ჰქონდა თვალებად დაამაგრებდა, ნახშირით მოხატავდა და სანოლთან დაგვისვამდა. ზოგჯერ მეზობლის ქალებსაც მოჰქონდათ, რავაც დედაჩემმა იცოდა სხვისას წაღება. ამ დროს დამზადებულ თოჯინას განსაკუთრებით ყურადღებით ვექცეოდით, ბატონი რომ არ გაბრაზებულიყო და უკან აღარ შეგვეყროდა”. განსაკუთრებით გვიყვარდა, ასევე ჭიაკოკონობა (15 თებერვალი). ამ დღისთვის ვემზადებოდით. მამა შეშას აგროვებდა სახლის წინ ცეცხლის დასანთებად, წინა საღამოს „მწარე ხაპისგან“ გვიმზადებდა სათამაშო ნიღაბს, რომელიც გრძელ ჯოხზე იყო დამაგრებული და პირის და თვალების ადგილი ჰქონდა გამოჭრილი. ცხიმში ამოვლებულ

ნაჭრებს ვტენიდით ამოჭრილ ადგილებში და ცეცხლს მოუკიდებდით, ღამე, როცა კოცონი დაინთებდა, სახლს ანთებული სათამაშოთი შემოუვლიდით და მერე კოცონზე დავაგდებდით (სოფელ ხიდისთავის ისტორია).

სოფელ დაბლაციხეში მცხოვრები ქალბატონი ეთერი ცინცაძე (მარი) იგონებს: სად გვქონდა შვილო სათამაშოები მშობლებსაც არ ეცალათ ჩვენთვის დრო დაეთმოთ, საქმე აუარებელი იყო, ამიტომ ჩვენ თითონ ვიკეთებდით თოჯინებს. ბებია--ბაბუები გვეხმარებოდნენ. შემოდგომა გვიხაროდა თოჯინის გასაკეთებელი ბევრი მასალა იყო: სიმინდის „ქურჩენე“ და ფურჩი, გადაჭრილი ჩალის ღერო, ზოგი ნედლი იყო და ზოგი ხმელი ე. ი. ფერები სხვადასხვა იყო და ჩვენს დედოფალს ღამაში კაბა ეცვა. თუჩენს შევაგროვებდით დავნინდით და თმებად ვამაგრებდით. ზოგს გაშლილ თმებს უკეთებდით. მერე მეზობლის ბავშვები ვეჯიბრებოდით ერთმანეთს თოჯინებს უხდიდით დღეობებს, დაგვყავდა სტუმრად, უტარებდით მეცადინეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. 1966;
2. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1974;
3. გურია, თბ. 1980;
4. დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ. 1948;
5. ჩოხატაურის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი (ეთნოგრაფიის განყოფილება).

Natia Kalandadze
Ketevan Phutkaradze

*The genesis, traditions and rituals of Georgian
fishing dolls in Upper Guria*
Summary

The development of Georgian dolls is very interesting and worthy of the attention of people. In Guria, children entertainment was considered as a form of teaching them. Information about entertainment connected with agriculture can be found in different ethnographic and scientific writings. From the 17th century, Georgians used chrysalis to denote dolls.

ნანული ნოღაიდელი

კაცი იყო მამულისა (ჯემალ ნოღაიდელის დაბადების 110 წლისთავის გამო)

„კაცი იყავ მამულისა“... ეს სიტყვები ეკუთვნის პოეტ ნესტორ მალაზონიას; იგი მიძღვნილია გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ ნოღაიდელისადმი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, 1966 წლის მარტში;

საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი და უმშვენიერესი კუთხის, აჭარის, მეცნიერულ შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამაგდარ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ჯემალ ნოღაიდელს. თანამედროვეთა შეფასებით, ის იყო ამ კუთხის მეცნიერთა შორის პირველი, ვინც თავისი დაუღალავი საქმიანობით პირველი ხნული გაიტანა აჭარის ეთნოგრაფიის, ზეპირსიტყვიერების, მუსიკალური ფოლკლორისა და აჭარული კილოს თავისებურებათა მეცნიერულად შესწავლის უაღრესად საშურ საქმეში.



ჯემალ იზეთის ძე ნოღაიდელი დაიბადა 1906 წლის 23 მარტს ქობულეთის რ-ის სოფ. წყავროკაში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ 1916–1919 წლებში იგი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, შემდეგ, 1919–1921 წლებში, – ბათუმის მგელაძის სახელობის სკოლაში 1921–1924 წლებში კი – ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში. 1924 წელს მან სწავლა განაგრძო აჭარის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგაც, 1926 წელს მუშაობა დაიწყო სოფელ ანგისის რვანლიანი სკოლის გამგე-მასწავლებლად.

1928 წელს იგი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტი. 1930 წელს უნივერსიტეტს პედაგოგიუ-

რი ფაკულტეტი გამოეყო. ჯ. ნოლაიდელი და მისი თანაკურსელები საქართველოს სსრ სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ. მისი მეგობრები, იოსებ მეგრელიძე და თინათინ გონიაშვილი უნივერსიტეტში ენათმეცნიერების ფაკულტეტზეც სწავლობდნენ. ჯ. ნოლაიდელი მათთან ერთად აქაც ესწრებოდა ლექციებს. მან იცოდა თურქული ენა, იცნობდა არაბულ დამწერლობას. სწორედ აქ დაინტერესდა არაბული ენის და მეორე დარგის, ენათმეცნიერების ფაკულტეტის, მსმენელიც გახდა. ი. მეგრელიძეს, თ. გონიაშვილს და ჯ. ნოლაიდელს, სხვა სტუდენტთაგან განსხვავებით, უტარდებოდათ დამატებითი ლექციები და კლასიკურ ენებსაც სწავლობდნენ. იოსებ მეგრელიძე იგონებს: ერთსა და იმავე დროს ორ განყოფილებაზე სწავლა გვიჭირდა, მაგრამ, იმის შიშით, რომ, ლექციებზე დამსწრეთა სიმცირის გამო, ენათმეცნიერების დარგი შეიძლებოდა შეემცირებინათ, აღარც ფაკულტეტის ძირითადი, ენისა და ლიტერატურის, განყოფილება დავტოვეთ და ორივე განყოფილება დავასრულეთ. ამან უეჭველად კარგი გავლენა იქონია ჯ. ნოლაიდელის შემდგომ მუშაობაზე. მნიშვნელობა ჰქონდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში და გვგზავნიდნენ სამეცნიერო მივლინებებში... (ი. მეგრელიძე, ჯემალ ნოლაიდელი, ბათუმი, 1977, გვ.10).

აჭარის წარსულის, ანმეოს და მისი სულიერი კულტურისადმი დიდი ინტერესი ჯ. ნოლაიდელმა ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდიდან გამოამჟღავნა. კუთხის ყოფა-ცხოვრების შესახებ შეკრებილ მასალათა ნაწილი მან პირველად 20-იანი წლების ბოლოს გაზეთ „ფუხარაში“ დაბეჭდა.

უნივერსიტეტში სწავლის წლებიდან ჯ. ნოლაიდელი ფართოდ ჩაება სამეცნიერო საქმიანობაში. იგი აჭარაში სისტემატურად კრებდა ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ თუ დიალექტოლოგიურ მასალებს, მეცნიერულად აანალიზებდა, აქვეყნებდა სამეცნიერო კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში, მან კარგად იცოდა, რა დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა ამ მასალებს ქართველი ერის სულიერი კულტურისათვის.

1935 წელს ჯ. ნოლაიდელი წერდა: აჭარა ამჟამად არ არის ის, რაც იმ ათიოდე წლის წინ იყო. იცვლება ძველი ყოფა-ცხოვრება, თანდათან ქრება ძველი ზნე-ჩვეულებანი, ადგილი ეთმობა

ახალს. ამიტომ საჭიროა წარმავალი ყოფისა და ადათ-ჩვევების, ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შეკრება-შესწავლა, რომ შესაძლებელი გახდეს წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების სწორი გაშუქება. ეს მითუმეტეს საჭიროა აჭარაში, სადაც ასეთი მუშაობა ჯერ არ ჩატარებულა (ჯ. ნოლაიდელი, ეთნოგრ. ნარკ. აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, ტფ., 35. 3).

ჯ. ნოლაიდელი განათლებით ფილოლოგი, ენათმეცნიერი იყო. მან პირველმა სცადა, მონოგრაფიულად შეესწავლა აჭარული დიალექტი და სამეცნიერო ხარისხიც 1940 წელს ამ საკითხის გაშუქებისათვის მიენიჭა. აჭარული კილოს დიალექტური თავისებურებების, აჭარის ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის შესწავლასთან ერთად, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული პოლიფონიური მუსიკისა და მისი ტექსტების შეკრება-შესწავლას. ჯ. ნოლაიდელი დაჯილდოებული იყო შესანიშნავი სმენითა და ხმით. იცოდა ქართული ხალხური, განსაკუთრებით კი გურულ-აჭარული ოთხხმიანი სიმღერები. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ჯ. ნოლაიდელის მიერ ტრადიციული ნაღური სიმღერების ოთხხმიანობის შესახებ მინოდებული ცნობების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა წიგნში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები (თბილისი, 1938 წ.) მოგვცა ამ სიმღერებში მონაწილე ხმათა სახელწოდებები და მათი საერთო დახასიათება, რის შესახებაც იქვე მიუთითა კიდევც.

ჯ. ნოლაიდელი დაულალავად მოგზაურობდა, კრებდა ფოლკლორულ, დიალექტოლოგიურ, ეთნოგრაფიულ მასალებს. მისი ხელმძღვანელობით აჭარისა და მის მეზობელ რაიონებში მოენყო მრავალი ექსპედიცია, რომელთა მასალებიც ინახება ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და აჭარის ცენტრალურ არქივში-ჯ. ნოლაიდელის პირად ფონდში.

ნაკლებადაა ცნობილი, რომ ჯ. ნოლაიდელი, სხვადასხვა სახის მასალის შეკრებასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა აჭარული დიალექტური ლექსიკის მოძიებას და მის ფიქსაციას. განზრახული ჰქონდა აჭარული კილოს ლექსიკონის გამოცემა. ლექსიკონისთვის საჭირო მასალები ბარათებზე ჰქონდა გადატანილი, მაგრამ ისე გარდაიცვალა, მისი სათანადოდ დამუშავება და გამოცემა ვერ მოასწრო.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი-

სა და უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მესვეურთა თანადგომითა და ხელშეწყობით ჯ. ნოლაიდელის აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები დაიბეჭდა 2015 წელს. ეს მასალები დღესაც აქტუალურია, რადგანაც მასში მოქცეულია აჭარის მე-20 ს-ის 30-50-იანი წლების ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, სამეურნეო თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ცნობები. სალექსიკონო მასალები იმითაცაა საინტერესო, რომ აქ დაფიქსირებულია ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ახლა უკვე აღარ გვხვდება; ჯ. ნოლაიდელის სალექსიკონო მასალებში დიდი როლდენობითაა შესული მის მიერ პირველად დაფიქსირებული ფრაზეოლოგიზმები, ხატოვანი გამოთქმები და სხვ.

ახლა უკვე გამოცემული ჯ. ნოლაიდელის ნაშრომის „აჭარული კილოს სალექსიკონო მასალების“ დედანი (ბარათებზე გადატანილი 4000-ზე მეტი ლექსიკური ერთეული) ინახებოდა ჯ. ნოლაიდელის პირად არქივში, მის ოჯახში. ასევე, აქვე ინახებოდა ის პირადი ბარათები, რომელთა ადრესატი იყო ჯ. ნოლაიდელი. ბარათების ავტორები არიან დიდი ქართველი მეცნიერები, ჯ. ნოლაიდელის მეგობრები და თანამოკალმეები: ივანე ჯავახიშვილი, ვარლამ თოფურია, სერგი ჯიქია, მიხეილ ჩიქოვანი, იოსებ მეგრელიძე, ალექსანდრე ღლონტი, გირგი ლეონიძე და სხვ. რადგანაც აჭარის ცენტრალურ არქივში უკვე არსებობს ჯ. ნოლაიდელის საარქივო ფონდი, გადავწყვიტეთ, ეს, უკვე ისტორიულ დოკუმენტებად ქცეული ბარათები და მისი სალექსიკონო მასალები, ჯემალ ნოლაიდელის დაბადების 110 წლისთავთან დაკავშირებით, გადავცეთ არქივს, რომ ისინი ხელმისაწვდომი გავხადოთ აჭარის ისტორიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, დიალექტისა თუ ლექსიკის კვლევით დაინტერესებულ პირთათვის, ფართო საზოგადოებისათვის.

Nanuli Noghaideli

A man was of the estate

Summary

In scientific study one of the most beautiful region of Georgia, Ajara, special role has Jemal Noghaideli, honored scientist and public figure. The article discusses about his life and merit.

ნარგიზ ბასილაძე

მამია ვარშანიძის ცხოვრება და ღვაწლი (აჭარის არ საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

მიმდინარე 2016 წელი პოეტ მამია ვარშანიძის საიუბილეო წელია. მას დაბადებიდან 100 წელი უსრულდება. აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია მისი პირადი ფონდი, რომელიც აერთიანებს 38 საქმეთა ერთეულს. მასში შესულია მისი ბიოგრაფიული, სამეცნიერო, სამსახურეობრივი, საზოგადოებრივი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, აგრეთვე მხატვრული ნაწარმოებები, პოემები, ლექსები, სიტყვები და მოხსენებები წარმოთქმული საიუბილეო საღამოებზე, კონფერენციებზე, პუბლიცისტიკა, გაზეთში გამოქვეყნებული სტატიები, მიმოწერები, ავტორეფერატები, მისალოცი ბარათები.

მამია ვარშანიძე დაიბადა 1916 წლის 15 დეკემბერს, ბათუმის რაიონის სოფ. ურეხში, გლეხის ოჯახში. დედა გარდაიცვალა 1923 წელს, ხოლო მამა 1947 წელს. დედის გარდაცვალებამ მომავალ პოეტს დიდი ტკივილი დაუტოვა: „ბავშვისთვის დედა ყოფილა ყველაფერი, რომლის შეცვლა არავის შეუძლიაო“ – წერდა იგი.. დედის გარდაცვალების შემდეგ მამია ვარშანიძე დედუღეთში, სოფელ ყოროლისთავში ბიძებთან იზრდებოდა. აქ შევიდა სკოლაში, აქ შეისწავლა ქართული ენა, აქ შეიგრძნო სიტკბოება „დედა ენისა“. სწორედ ბიძებმა მისცეს ხელში პირველად „ვეფხისტყაოსანი“, გააცნეს ნიკოლოზ ბარათაშვი-



ლის შემოქმედება. ამ მაღლს ბატონი მამია ბიძა – ჯემალ ფაღალას უმაღლის. ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ მამია ვარშანიძე ჩაირიცხა მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, სადაც საფუძვლიანად გაეცნო მხატვრულ ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას. მისი პირველი პატრიოტული ლექსების წყარო სამხრეთ საქართველოს (აჭარა, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი) მღელვარე, ტრაგიკული, რომანტიკული ისტორიაა. ამ პატრიოტულ მოტივზე უამრავი ლექსი შექმნა ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე. პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ 1933 წელს, ხოლო 1934 წელს – აჭარის მწერალთა კავშირის განყოფილების მიერ გამოცემულ ალმანახში. 1935 წლიდან იგი აჭარის მწერალთა კავშირის წევრია.

1934 წელს მომავალი პოეტი სწავლას აგრძელებს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (იძულებით, კადრების არარსებობის გამო), თუმცა სულით და გულით უნდოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა, რაც მისთვის აუხდენელ ოცნებად დარჩა. ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო (აუტანელი თავის ტკივილი) მეორე კურსიდან აკადემიური შვებულება აიღო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს აღარ დაბრუნებია. ეს დაავადება მას 27 წელი აწამებდა. თავის ტკივილებმა მოადუნა მისი ნიჭი და მეხსიერება. იგი იგონებს: „ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი წამება ჩემთვის ეს იყო, თორემ ადამიანმა არც უნდა მოიგონოს ეკონომიკური გაჭირვება ან ერთდროულად მოხდილი სენი ან რაიმე წამიერი უსიამოვნებანი, რაც ადვილად გადაივლის ხოლმე ქარივით“... მიუხედავად ამისა, ბატონი მამია სულით არ დაცემულა. წინააღმდეგობათა და ტკივილთა სამყაროში იგი უფრო გამაგრდა. ამ გარემოებით უნდა აიხსნას მისი ლირიკის სევდიანი, მაგრამ ოპტიმისტური ტონი. საბოლოოდ, მამია ვარშანიძემ დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მამია ვარშანიძე 1941 წლის 15 მაისს ჯარში გაინვიეს. იყო

არტილერისტი. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, კერძოდ ჩრდილო კავკასიის ფრონტზე. ომიდან იგი დაბრუნდა 1945 წლის 10 ოქტომბერს. 1946 წელს კრებულის სახით გამოიცა სანგრებში დაწერილი ლექსები.

ომის დასრულების შემდეგ, 1946 წ. მ. ვარშანიძემ მუშაობა დაიწყო ბათუმის მასწავლებელთა სახლის დირექტორად. ამავე წელს გადაყვანილი იქნა აჭარის ასსრ მიმისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო სამმართველოში. მოგვიანებით, სწავლა გააგრძელა პარტიულ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1948 წელს. 1948-1952 წლებში მუშაობდა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ, ხოლო 1952-1955 წლებში ბათუმში არსებული სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორად. აქედან კი გადაყვანილი იქნა „ლიტერატურული აჭარის“ პასუხისმგებელ მდივნად.

მამია ვარშანიძეს გამოცემული აქვს ოცზე მეტი წიგნი, კერძოდ: „მებრძოლის სიმღერები“ (1946 წ.), „ჩემო სამშობლოვ“ (1950 წ.), „სიცოცხლის წყარო“ (1953 წ.), „მთის ყვავილები“ (1955 წ.), „შენ მზეს ვფიცავ“ (1957 წ.), „ხიხანის არწივები“, პირველი და მეორე ნაწილი (ისტორიული პოემა, 1958 და 1968 წწ), „ჩემი ტაძარი“ (1960 წ.), „უუჟუნა წვიმა“ (1962 წ.), უკრაინული, რუსული, აფხაზური, თურქული პოეზიის ნიმუშები, თარგმანები (1971) „ჩემი დედუღეთი“ (პროზა, 1980 წ.), „სიზმარეული მესხეთი ჩემი“ (1985) და სხვ.

პატრიოტიზმი ხომ მამია ვარშანიძის შემოქმედებითი ქვაკუთხედია, „ხიხანის არწივები“ სამხრეთ საქართველოს გმირული წარსულის აპოპეაა. აჭარის ზვიადი მთები და წყალუხვი ხეობები მონმეა არაერთი სისხლისმღვრელი ბრძოლისა. აჭარა არასოდეს შეგუებია დამპყრობელთა ბატონობას. ამ ბრძოლაში კი მამაც მამულიშვილებს მხარში ედგნენ მანდილოსნებიც.

გაბედულობა და მამაცობა, მეგობრობა, სიყვარული, შუღლი და ღალატი – ნაწარმოებებში კონკრეტული სახელებია წარმოჩენილი. პოეტი გზადაგზა გვახედებს გლეხკაცის ჭირვეულ ცხოვრებაში. „ხიხანის არწივებში“ წყაროსავით ჩქეფს ხალხთა მეგობრო-

ბის, მშვიდობის, კაცთმოყვარეობის, ბოროტზე კეთილის გამარჯვების ჰიმნი. მე-19 ს. დასაწყისში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლებს სათავეში ჩაუდგა სამხრეთ საქართველოს მმართველი სელიმ სელიმ ხიმშიაშვილი, რომლის უკანასკნელი, 1815 წლის ბრძოლა მომხდურთან ტრაგიკულად დამთავრდა. პოემას ავტორმა უწოდა არა ხიხანის არწივი, არამედ „ხიხანის არწივები“. ერთი არწივი სელიმის სახით დაეცა ბრძოლაში, სხვა არწივები კი შლიან ფრთებს და გადაუხდიან მტერს სამაგიეროს. „ხიხანის არწივები“ მკითხველისათვის იქცა სამაგიდო წიგნად, თავად ავტორი კი ყველასათვის საყვარელ პოეტად.

„პოეზია უწმინდესი მცნებაა, იგი წმინდაა, ისე როგორც მორწმუნე ქრისტიანისათვის ხატი, იგია ლოცვა და სიმღერაც, სიცილიც და ცრემლიც. ამიტომ ლექსი უბრალო ქმნილება როდია, იგი ადამიანის სულის რთული პროცესის შემოქმედია და უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანის კი არა, ჭეშმარიტი ზეგარდმო მადლით მოსილი კაცის სულის, გონების, ნიჭის შენამოქმედია“, წერდა პოეტი. მისი კრებული „ჩემი ტაძარი“ ჩვენი ერის საუნჯეა – სამშობლოს, მისი კუთხის სიყვარულით გაჯერებული.

კრებული – „ჩემი ტაძარი“ პოეტის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის ერთგვარი შეჯამებაა. იგი მტკივნეულად განიცდიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრაგიკულ ისტორიას:

„რა მენადვლება?! – ეს რა თქმა არის

უდარდელებთან მუდამ ვშიშობდი,

ძმაო სამშობლო არის მთავარი,

თორემ ლუკმა-პურს ყველგან იშოვი“..

მამია ვარშანიძის პოეზიის ნყარო-მარაგი დაუშრობელია. მისი საასპარეზო სარბიელი შემოქმედებით სიღარიბეს არასდროს განიცდიდა. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა უკვალოდ და უყურადღებოდ არ დარჩენილა. აღინიშნა მამია ვარშანიძის 50, 60, 70 წლის საიუბილეო თარიღები. გაიმართა საიუბილეო საღამოები რესპუბლიკის მასშტაბით. მიღებული აქვს მრავალი ჯილდოები: ორდენები, მედლები, სიგელები. მინიჭებული ჰქონ-

და ქ. ბათუმის, ხელვაჩაურის და შუახევის რაიონების საპატრიო მოქალაქის წოდება.

ასეთი იყო ერთ-ერთი გამორჩეული პოეტის ბატონი მამია ვარშანიძის შემოქმედებითი ცხოვრების გზა, რომელიც ეფუძნებოდა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს:

„მშობლიურ მთების ახლოს
ძლელისძველი ქვევრებია,
მოდის, ნახე, მე იქ ვსახლობ,
მზე იქ შემჩერებია“.

მამია ვარშანიძე გარდაიცვალა 1998 წელს, 82 წლის ასაკში. ნავიდა ქვეყნიდან, მაგრამ მისი შემოქმედება, მისი აზრი და გონება ჩვენ, მომავალ თაობას დაგვიტოვა.

მამია ვარშანიძე მე-20 საუკუნის ჯანსაღი მემკვიდრეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა „ჩუმი ხმის, უპრეტენზიო, მაგრამ დიდი გულის უფალი პოეტი“ იყო. იგი იმ პლედადს ეკუთვნოდა, ვისთვისაც მწერლობა ხელოვნება იყო და არა ხელობა. და ეს ხელოვნება თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს. იგი ყველა თაობას უნდა ეკუთვნოდეს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პოეტის რჩეული ნიმუშების შეტანა სასკოლო პროგრამებში რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ – ვინ იყო მამია ვარშანიძე და რა დამსახურება ჰქონდა მას სამწერლო ასპარეზზე.

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცსა, ფ. ფონდი №1010; ან. 1. საქმ. №1,2,3, 26, 35,41, 46, 46-ა.

Nargiz Basiladze

Life and deeds of Mamia Varshanidze Summary

This year is anniversary year for the poet-Mamia Varshanidze. It's his 100th anniversary. In Archives Administration of Ajara are preserved his personal fund, which brings together 38 units. Based on archival data, in article is presented main issues of his creative life.

თინა შიოშვილი

პატარძლის დასამოძღვრავი ლექს-სიმღერები კლარჯულ საქორნილო პოეზიაში

კლარჯული საქორნილო რიტუალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია დედოფლის (პატარძლის) დასამოძღვრავი ლექს-სიმღერები, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული, აგრეთვე, შავშეთსა (შიოშვილი, 2011: 178-178) და აჭარაში (ნბიფა, საქმე №150-163). ზეპირსიტყვიერების ეს ნიმუშები დიდაქტიკური ხასიათისაა და გულისხმობს ოჯახში ახლად შესული ნევრისათვის გარკვეული რჩევა-დარიგების მიცემას. ჩვეულებრივ, როგორც შავშეთში, ისე კლარჯეთშიც, ამგვარი ლექს-სიმღერები სრულდება როგორც მშობლიური სახლიდან დედოფლის გამოყვანისას, ისე მის ახალ საცხოვრისში, ანუ მეუღლის სახლში, შეყვანისას.

საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს უბანში – ბიჩქიდირეში 2013 წელს კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლისაგან – მელაათ ქიბარისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერით, რომელიც პატარძლის სახლიდან გამოყვანისას სრულდება, მისიანები არიგებენ, ახალი ოჯახის ნევრებს სათანადო პატივისცემით მოექცეს:

გელინო, გელინო,
მიხვალ, მიხვალ, ჰად მიხვალ?
აქზე მოდი, გელინო!
დედამთილი დედასავე,
მამამთილი მამასავე,
მაზლები გყავსდა ძმასავე,
მეეხიზმეთე, გელინო!..

საქმროს სახლის კართან მისულ პატარძალს კი დამხვდურები მიეგებებიან და ასე მიუმღერებენ:

გელინო, გელინო,
ზალო, ზალო!
კარზე მოვდა ზალი,
ბოძა მუუსვა კარზე!
გელინო, გელინო!..

(მთქმელი ნურიე ეფენდოლი (ფაღავა), ჩაინერა თინა ში-ოშვილმა 2007 წელს სოფ. ავანაში)

ლექსში ნახენებია პატარძლის მიერ კარზე “ბოძას” (საღებავის) წასმა, რაც, აგრეთვე, პროფილაქტიკურ-მაგიური დანიშნულეებისაა.

დამხვდურთა სიმღერაა, აგრეთვე, სოფელ ბუჯურში ნურან ილმაზისაგან ჩვენ მიერ 2007 წელს ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომელშიც, დედოფლისადმი სიყვარულისა და პატივისცემასთან ერთად, გამოხატულია სიხარული იმის გამო, რომ დაპირებული სარძლო “გელინად” (რძლად) მოიყვანეს:

გელინო, გელინო, გელინო,
ჰაიდუ, ზალო, მოზზანდი,
მოვიაროთ სარაძ!
ჰემ ვთქვით და მოგიყვანეთ,
არ გეიარა ერთი თვით.

პატარძალს დამხვდურებმა “კაი თვალით” უნდა შეხედონ. ამის დასტურია სოფელ დევსქელში იხსან ილმაზთურქისაგან 2007 წელს ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომელიც “დაკვლევა-შერჩევის” ცნობილი ლექს-სიმღერის – “...თითზე ბეჭედი მაქვა...” – ტრანსფორმაციაა:

გელინო, გელინო,
თავზე ძაზმა გბურია,
გელინო, გელინო!
თითზე ბეჭედი მაქვა,
გელინო, გელინო!
ბეჭედ თვალი არ აქვა,
გელინო, გელინო!
ბოშინე ნუ მიყურავ,
გელინო, გელინო!
შენზე თვალი არ მაქვა,
გელინო, გელინო!

თავად რძალმაც კარგი “ფეხი” უნდა გამოიჩინოს, ხვავი და ბარაქა შეიტანოს ოჯახში. სოფელ ბაშქოიში (თავისოფელი) მკვლევარ ვარდო ჩოხარაძის მიერ 2007 წელს ნეირე იეთიშისაგან (თავდგირიძე) ჩანერილი ლექს-სიმღერით პატარძალს ასე წაახალისებენ:

გელინო, გელინო,
ხეირი მეიტანე, გელინო!
გელინო, გელინო!..

დასამოძღვრავი ლექს-სიმღერების თანახმად, ახალ ოჯახში პატარძალი სუფთა გულით უნდა შევიდეს, გულში ცუდი არაფერი უნდა ჩაიდვას. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ჰამიდიეში (ბორჩხა) 2013 წელს ადნან ვურალისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, პატარძალს ამაზე მინიშნებენ:

გელინო, გელინო,
სოილე რუმინაძნა;
გელინო, გელინო,
გულში რამ გეგივარა?

(თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, 2014: 161)

კარგ რძალს, კლარჯული ხალხური პოეზიის თანახმად, ბევრი ლაპარაკი არ შეშვენის. 2007 წელს სოფელ არხვაში 72 წლის ფაქიზე თოსუნისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ლექს-სიმღერა ასე მოძღვრავს პატარძალს:

გელინო, გელინო,
დედამთილ კაძ შეხედე, გელინო!
კაძ ძლობა ქენი, გელინო!
ლაში გქონდეს, გელინო,
ენა არ გქონდეს, გელინო!

უმთავრესი სწავლება კი, რაც დასამოძღვრავი ლექს-სიმღერებით არის გამოხატული, ოჯახის წევრთა მიმართ გამოსაჩენი სათნოებაა:

გელინო, გელინო,
შენ დედამთილს კაძ ასვი, გელინო,
გელინო, გელინო!
რა ლამაზი გოგონა ხარ, გელინო,
გელინო, გელინო!
დედამთილი დედასავით, გელინო...

(თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, 2014: 160)

სოფელ ებრიკაში (იბრიქლი), მარმარწმინდას უბანში, 2007 წელს ჩვენ მიერ ნეზაჰათ დემირალისაგან ჩანერილი დედოფლის დასამოძღვრავი ლექს-სიმღერა ერთდროულად ოჯახის ახალი

წვერის ქება-დიდებაც არის და მოვალეობის შეხსენებაც, რათა კარგი რძობა გამოიჩინოს, დედამთილი დედასავით მიიღოს, მამამთილი – მამასავით, ხოლო ქმრის და-ძმები – საკუთარ დედ-მამიშვილებად:

გელინო, გელინო,
ლელა-ლელა გამეიარ,
გელინო, გელინო!
კარის ღობი დაბალი, გელინო,
გელინო, გელინო!
შენი ტანი მაღალი, გელინო,
გელინო, გელინო!
დედამთილი დედასავით, გელინო,
გელინო, გელინო!
მამამთილი მამასავით, გელინო,
გელინო, გელინო!
მაზლი არი ძმასავით, გელინო,
გელინო, გელინო!
მული არი დასავით, გელინო,
გელინო, გელინო!
კაძ ძლობა ქენი, გელინო,
გელინო, გელინო!
ლაში გქონდეს, ენა – არა, გელინო,
გელინო, გელინო!

ამ ვრცელ ლექს-სიმღერას მთქმელმა ასევე ვრცელი კომენტარი მოაყოლა: „– სახლებში დუგუნი იქნებოდა. ახლა გოგოს სახში ყინა დეიდება, დილამდინ ისამება, ელენჯი იქნება. დადეები მოიდოდენ ბიჭის თერეფიდან. ბიჭის თერეფიდან ერთთანე დადე მოვა, ერთი სადღუჯი მოვა; ისე კიდეც ბევრი მოვლენ დადეგებიან გოგოს თერეფში, ჰო, დოდოფალის სახში. მერე წაველენ, ჰაიდე! დილაზე კიდენ მოიდოდენ. წინანდელი სოფლის დუგუნებ გიძახი მე შენ ახლა. მიორე დღეს, დილას, მოიდოდენ, სალამომდინ გოგოს სახში დუგუნი იქნებოდა... ვარა, გელათ, სავა, ყიამეთი!.. წევიდოდა. იმის მემრე, იქინდის მემრე, ადგებოდენ, ბიჭის სახში წევიდოდენ. ი ღამე ბიჭის სახში გათენდებოდა, დილამდი დუგუნი... საჭმელი გაკეთდებოდა... დილამდი დუგუნი...

მეორე დღესა, შვადლი ხან, დოდოფალი და სიძე კლავი კლავზე გამოდებული, გარეთ გამოვყვანდით. გარეთ, კარზე გამოვყვანდით დოდოფალ. ქალი, კაცი – შიან; იმა მაშინ წინედან ორითანე ქალი, უკნიდან ორითანე ქალი, სიძეს უკან გამოდებული, ისე მუუთქმევდით; ორი წინედან, ორი უკნიდან და მუუთქმევდით: „– გელინო, გელინო, ლელა –ლელა გამეარე... „გელინოს“ ქალები დეიდახვენ“...

ისტორიული კლარჯეთისა თუ თურქეთის რესპუბლიკის შიდა რაიონებში გადასახლებულ კლარჯთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში დედოფლის დასამოძღვრავი ლექს-სიმღერის – “... გელინო...” – 26 ვარიანტი ჩავიწერეთ. მათი ფუნქცია მარადიდელი სახალხო მთქმელის ნიმით ოზთურქის (სადიროღლი) თქმით ასე გამოიხატება: “რძალი მეიყვანებენ და მუუთვალეებენ; მუუთვალეებენ, სახში შეეფერესო”. მართლაც, ახალ ოჯახთან შეთვისება-შეთავსებას ურჩევს ჩვენი ბრძენი ხალხი პატარძალს. ეს ტრადიციული ლექს-სიმღერა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძალზე პოპულარულია შავშეთსა და აჭარაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ მშვენიერი დიდაქტიკური ზეპირპოეტური ნიმუშის ყველა ვარიანტი ერთი ფოლკლორული სივრცის ნაყოფია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორული არქივი;
2. ნბიფა, საქმე №150-163 – ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი;
3. შიოშვილი, 2011 – თინა შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში “შავშეთი”, თბილისი;
4. შიოშვილი, მახარაშვილი, 2014 – თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები). – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის “კრებული”, ტ. VIII, ბათუმი.

Тина Шиошвили

*Наставительные стихо-песни для невестки
в свадебной поэзии Кларджети*

Резюме

Среди свадебных ритуалов клардж особое место занимают наставительные стихо-песни, предназначенные для невестки. Такие стихо-песни распространены также в шавшском и аджарском фольклорах. Стихо-песни указанной тематики дидактического характера и подразумевают передачу невестке – новому члену семьи, некоторых необходимых советов и навыков. Следование этим наставлениям осуществляется как в родительском доме невестки, так и в новом её пристанище, после вхождения в дом супруга.

**СОПОСТАВИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ УСТОЙЧИВЫХ
ВЫРАЖЕНИЙ С ЗООКОМПОНЕНТОМ (НА МАТЕРИАЛЕ
УКРАИНСКОГО И ФРАНЦУЗСКОГО ЯЗЫКОВ)**

Фразеологический корпус языка любого народа представляет собой неисчерпаемую, а, сокровищницу, содержащую в себе традиции, духовный опыт, историю того или иного этноса. Это свидетельствует о непреходящей актуальности исследований в области устойчивых выражений.

Материалом нашего исследования стали украинские и французские устойчивые выражения с зоокомпонентами, обозначающими животное *Felis domestica*. Выбор именно этого компонента обусловлен тем, что данная лексема репрезентирует домашнее животное, т. е. тот объект окружающего мира, который находится в непосредственной близости от субъекта в его повседневной жизни и может служить основой для образования новых значений. Постоянное наблюдение за повадками домашних животных, в частности кошек, дает мотивационную основу для сравнения их с поведением человека и в дальнейшем для образования пословиц и поговорок с исследуемыми компонентами.

В нашем исследовании мы поставили перед собой цель – изучить мотивацию образования устойчивых выражений (фразеологизмов и паремий) в украинском и французском языках, определить при этом универсальные и этноспецифические тенденции, установить влияние зоокомпонента на семантику устойчивых выражений.

Как указано в лексикографических источниках, кот – это “свійська тварина родини котячих, що знищує мишей і щурів; самець кішки” (букв. *домашнее животное семейства кошачьих, которое уничтожает мышей и крыс; самец кошки*) (здесь и далее – перевод наш – А. С.) [1, с.171].

Несколько иное, более расширенное толкование предлагает французский словарь: “*petit animal domestique carnassier, à pelage de couleur variée souvent noir ou gris, se nourrissant de souris, de petites*

proies, et de la nourriture servie par ses maîtres“ [2] (букв. *маленькое домашнее хищное животное, с мастью различного цвета, часто черного или серого, питающееся мышами, мелкой добычей и едой, приготовленной его хозяевами*)

Итак, мы видим, что универсальными составляющими семантики исследуемого зоокомпонента являются всего два: место проживания (дом), рацион питания (мыши). Особенностью является то, что в украинской дефиниции указывается на ранг иерархической классификации в биологической системе (семейство кошачьих), уточняется рацион питания (крысы) и указывается пол (самец кошки). Что касается французского определения, то специфически составляющими семантики являются: размер животного (маленький), окрас (различный, преимущественно черный или серый), плотоядность, рацион питания (человеческая еда), зависимость от хозяина.

Далее нами были проанализированы устойчивые выражения с компонентами *kim/chat*. Нам удалось обнаружить 427 таких выражений в украинском и 513 – во французском языке. Результаты исследования показывают, что в качестве компонента в паремиях употребляются не только гиперонимы укр. *kim* и фр. *chat*, но и другие наименования этого животного: укр. *кішка, кітка, киця, кошениа*, фр. *chatte, chaton, minou* и др.

Изучение данных выражений показывает различный спектр их значений. Все фразеологизмы можно условно разделить на две группы. К первой мы относим те, значение которых мотивировано повадками или внешним видом кота.

Как уже было отмечено, кот является хищником. Это главное его свойство, которое легло в мотивационную основу фразеологизмов: укр. *кіт спить, а мишею бачить* (букв. *кот спит, а мышей видит*); *кішці смішки, а мишці слізки* (букв. *кошке смешки, а мышке слезки*); *котяча забавка – мишам задавка* (букв. *кошачья забавка – мышам удавка*); *грається як кіт із мишею* (букв. *играется как кот с мышью*); *як кіт до миші кидатися* (букв. *как кот на мышь бросаться*); *ловить, як кіт шпака* (букв. *ловит, как кот скворца*); *один кіт стада мишей не боїться* (букв. *один кот стада мышей не боится*); фр. *à tard se répent le rat quand par le col le tient le chat*

(букв. поздно кается крыса, когда ее за шею держит кот); *chat et chaton, chassent le raton* (букв. кот и котенок охотятся за крысенком); *chat de souris s'ébat, puis la dévore* (букв. кот резвится с мышью, потом ее пожирает).

В противоположность вышеперечисленным, следующие фразеологизмы мотивируются теми свойствами, которые могут мешать коту охотиться: укр. *гладкий кіт мишею не ловить* (букв. толстый кот мышью не ловит); *кіт із дзвіночком – мишам забава* (букв. кот с колокольчиком – мышам забава); *кіт їв би рибу, та в воду лізти не хоче* (букв. кот ел бы рыбу, но в воду лезть не хочет); *кіт у рукавицях не зловить птиці* (букв. кот в рукавицах не поймает птицу); *кіт мишею під стелею не ловить* (букв. кот мышью под потолком не ловит); *чує кіт у глечичку молоко солодке, та морда коротка* (букв. чуёт кот в кувшине молоко сладкое, но морда короткая); фр. *chat miauteur, mauvais chasseur* (букв. мяукающий кот – плохой охотник); *chat qui dort ne se met rien sous la dent* (букв. спящий кот ничего не кладет себе под зуб); *personne ne veut attacher la sonnette au cou du chat* (букв. никто не хочет привязывать колокольчик на шею кота) и др.

Следующая группа фразеологизмов имеет значение “равнозначные соперники” и мотивируется хищной натурой котов и тем, что основной их пищей являются грызуны: фр. *à bon chat bon rat* (букв. хорошему коту – хорошую крысу); *à mauvais chat, mauvais rat* (букв. плохому коту – плохую крысу); *à vieux chat, jeune souris* (букв. старому (т.е. опытному) коту – молодую мышь (т.е. достойного соперника)).

Мыши могут чувствовать себя в безопасности только в отсутствии кота, что отражено в следующих фразеологизмах: укр. *кіт з хати – миші на стіл* (букв. кот из дома – мыши на стол); *кіт з хати – миші танцюють* (букв. кот из дома – мыши танцуют); *кіт із дому – миші в танець* (букв. кот из дома – мыши в танец); фр. *n'éveillez pas le chat qui dort* (букв. не будите спящего кота); *c'est folie de réveiller le chat qui dort* (букв. это сумасшествие – будить спящего кота); *quand le chat n'est pas là, les souris dansent* (букв. когда кота нет, мыши танцуют).

Хищнику обязательно присущи такие повадки и свойства, как хорошее зрение: укр. *баче, як кіт* (букв. *видит, как кот*); фр. *avoir des yeux de chat* (букв. *иметь кошачьи глаза*); светочувствительность глаз: укр. *задивився, наче кіт на каганець* (букв. *засмотрелся, как кот на светильник*); бесшумная походка: укр. *ходит, як кицька* (букв. *ходит, как киска*); *ходить котик тихо – буде мишкам лихо* (букв. *ходит котик тихо – будет мышкам лихо*); фр. *ped de chat, bon marcheur* (букв. *кошачья нога – хорошая походка*); хорошее обоняние: укр. *хутко зачує кіт, де сало* (букв. *быстро учует кот, где сало*); *чує кітка, де сало лежить* (букв. *чует кошка, где сало лежит*); скорость: укр. *бігає, як кіт загорений* (букв. *бегает, как кот ошпаренный*); *спішить, як кіт на драбину* (букв. *спешит, как кот на лестницу (ведущую на чердак)*); фр. *courir comme un chat maigre* (букв. *бежать как худой кот*); *passer comme un chat sur la braise* (букв. *пройти как кот по горячему углю*); чистоплотность: *faire une toilette de chat* (букв. *делать кошачий туалет*); ловкость, живучесть: укр. *він що кішка: як ти його не кинь, а він все на ноги стає* (букв. *он как кошка: как ты его не бросай, а он все на ноги становится*); *живучий, як кіт* (букв. *живучий, как кот*); *retomber comme un chat sur ses pattes* (букв. *снова упасть как кот на свои лапы*); игривость: укр. *пустує, мов кіт на старій рогожині* (букв. *шалит, как кот на старой рогожке*); теплолюбивость: укр. *примостився, як кіт на сонці* (букв. *устроился, как кот на солнце*); *заліг, як кошенья у грубі* (букв. *залег, как котенок в грубе*); *пишається, як кошенья в попелі* (букв. *наслаждаться как котенок в золе*); *від чого кіт гладок: поїв – та й набок* (букв. *от чего кот толстый: поел – и набок*); *працюю, як кіт на печі* (букв. *работай, как кот на печке*); наличие когтей: укр. *дряпучий, як кіт* (букв. *царапливый, как кот*); хитрость: укр. *гратися в ката і мишку* (букв. *играться в ката и мышку*); фр. *jouer au chat et à la souris* (букв. *играть в ката и мышь*). Как известно, сытая кошка играет с добычей перед тем, как ее съесть. Эта повадка стала основой для подвижной детской игры.

Кроме мелкой добычи кот питается еще и едой своих хозяев: укр. *готовеньке і кішка з'їсть* (букв. *готовенькое и кошка съест*); *старий кіт, а масло любить* (букв. *старый кот, а масло любит*);

возиться, як кіт з оселедцем (букв. возится, как кот с селедкой); дивиться, як кіт на сало (букв. смотрит, как кот на сало); любить, як кіт сметану (букв. любит как кот сметану); ласий, як кіт на ковбасу (букв. падох, как кот на колбасу); фр. *friand comme un chat* (букв. лакомка как кот) и др. Кроме того, французы еще и подчеркивают, что хозяева должны кормить своего кота: фр. *qui ne pourrait pas le chat nourrit le rat* (букв. кто не кормит кота, кормит крысу). При этом часто кот ворует еду у своих хозяев. Это качество мотивирует следующие фраземы: укр. *шкідливий, як кошеня* (букв. пакостный, как котенок); *поки суд та діло, а кошеня сало з'їло* (букв. пока суд да дело, а котенок сало съел); *знає кіт, чие сало з'їв* (букв. знает кот, чье сало съел); *носив кіт сало, поки його не стало* (букв. носил кот сало, пока его не стало); фр. *comme de donner garder le lard au chat* (букв. как-будто дать хранить сало коту); *laisser aller le chat au fromage* (букв. позволить пойти коту к сыру) и др. Понятно, что за это кота часто наказывают: укр. *наївся, як кіт качалки* (букв. наелся, как кот скалки (т.е. был избит скалкой)); *буде котюзі по заслугі* (букв. будет котяре по заслуге); фр. *à chat lécheur bat-on souvent la gueule* (букв. кот-сладену часто бьют по морде).

Как следствие из вышеназванных устойчивых словосочетаний имеют место следующие фраземы со значением "осторожность": укр. *кіт коло гарячого молока танцює* (букв. кот около горячего молока танцует); фр. *chat échaudé craint l'eau froide* (букв. ошпаренный кот боится холодной воды); *chat brûlé ne se laisse pas brûlé deux coups* (букв. обожженный кот не позволит себе обжечься дважды); *chat brûlé craint la braise* (букв. обожженный кот боится горячего угля) и др.

Но, с другой стороны, урон в быту человека от этого не является значительным, да и наказания не изменяют природу и характер кота. Отсюда фразеологизмы: укр. *з чорної кішки білої не зробиши* (букв. с черной кошки белую не сделаешь); фр. *il n'y a pas de quoi fouetter un chat* (букв. не зачем стегать кота). у французов любовь к коту приравнивается любви к жене: *comme il aime son chat, il aime sa femme* (букв. как он любит своего кота, так он любит и свою жену). Более того, убийство кота считается очень дурной

приметой: *qui tue chat et chien, ne fait jamais bien* (букв. кто убивает кота и собаку, никогда не получит ничего хорошего).

Как известно, антагонистом кота является другое домашнее животное – собака. Их взаимной враждебностью мотивируются фразеологизмы со значением “непримиримость”: укр. *живуть, як кішка з собакою* (букв. живут, как кошка с собакой); *так любляться, як собака з котом* (букв. так любят друг друга, как собака кота); фр. *s'entendre (vivre) comme chien et chat* (букв. договариваться (жить) как собака и кот); *amis comme, le chien et le chat* (букв. друзья, как собака и кот); *eau et vin dans un estomac, chat et chien dans le même sac* (букв. вода и вино в желудке – кот и собака в одном мешке).

Люди часто держат котов не только из-за того, что они охотники на мышей, но и из-за их привлекательного внешнего вида. Поэтому фразеологизм *queue de chat* (букв. кошачий хвост) “маленькое белое облако” мотивирован именно внешними данными этого животного. По этой же причине фраземы укр. *кота в мішку купувати (продавати)* (букв. кота в мешке покупать (продавать)); фр. *acheter (vendre) chat en poche* (букв. купить (продать) кота в кармане (т.е. не видя его)) имеют значение “неудачная сделка”.

С другой стороны, любые действия над котом дают негативный внешний эффект: укр. *заріс, як кіт* (букв. зарос, как кот); *облізла кицька* (букв. облезлая киска); фр. *chat coiffé* (букв. подстриженный кот); *chat écorché* (букв. ободранный кот); данные устойчивые словосочетания имеют значение “урод”. Внешний вид котов является также мотивационной основой для фразеологизма с семантикой “недостатки в поведении”: *fil de chat lui ressemble des pieds à la tête* (букв. сын кота похож на него с головы до ног), т.е. дети имеют те же недостатки, что и их родители.

Как было указано ранее, во французском лексикографическом определении кота обращалось внимание на небольшие размеры этого животного. Хотя в украинских словарях это качество не указывается, но оно нашло свое отражение в устойчивых выражениях: укр. *великий, як кіт навсидячки* (букв. большой, как сидящий кот); *виріс, як кіт навсидячки* (букв. вырос, как сидящий кот).

По внешнему подобию с кошачьей лапой мотивируется и фразеологизм, обозначающий орудие наказания, пытки: фр. *chat à neuf queues* (букв. кот с девятью хвостами) – плеть с девятью хвостами с железными наконечниками для наказания солдат.

Другая группа фразеологизмов с компонентом *chat* не является мотивированной. Данные фразеологизмы являются ироническими. Они образуются вследствие того, что коту приписываются неприсущие ему качества и повадки или действия, которые человек обычно не совершает по отношению к этому животному. Таким образом, в данных фразеологизмах отображено нестандартное видение окружающего мира, т.е. они являются ирреальными. В данных фразеологизмах выделяются такие немотивированные повадки кота, как, например, плохой почерк: укр. *пише, як кішка лапою* (букв. пишет, как кошка лапой); фр. *écrire comme un chat* (букв. писать как кот), т.е. писать плохо, маленькими неразборчивыми буквами; заболевание горла: *avoir un chat dans la gorge* (букв. иметь кота в горле); волнение: укр. *досада шкребе, як кішка лапою* (букв. досада царапает, как кошка лапой); *коти шкребуть на серці* (букв. коты скребут на сердце); непостоянство хорошей жизни: укр. *не все коту масниця* (букв. не все коту масленица); фр. *ce n'est pas du beurre pour son chat* (букв. это не масло для кота); безответственность: фр. *c'est le chat! (qui l'a fait)* (букв. это кот! (который это сделал)) – иронический ответ человека, отказывающегося признать свою ответственность. При перекладывании ответственности за ошибки на другого употребляют выражение фр. *jeter le chat aux jambes de qqn.* (букв. бросить кота под ноги); *c'est le chat qui brise toutes les écuelles* (букв. это кот бьет все миски). Фразеологизм *tirer les marrons du feu avec la patte du chat* (букв. доставать каштаны из костра кошачьей лапой) имеет значение “пользоваться посредником для выполнения работы, которую боишься делать сам”.

Кроме этого, нами зафиксированы и другие фразеологизмы, имеющие различные значения: неблагодарность: *ingrat comme les chats* (букв. неблагодарный как кот); невежливость: *emporter le chat* (букв. уносить кота), т.е. уйти не попрощавшись; глупость: укр. *великий, як світ, а дурний, як кіт* (букв. большой, как мир, а дурной, как кот); жадность: укр. *заліз кіт на сало та й кричить: “Мало!”*

(букв. *залез кот на сало и кричит: "Мало!"*); любопытство: укр. *від допитливості кицька здохла* (букв. *от любопытства кошка сдохла*); небрежная работа: *c'est de la bouillie pour les chats* (букв. *это варево для кота*); бессилие: фр. *donner sa langue au chat* (букв. *отдать свой язык коту*) "признаться в том, что не можешь отгадать загадку, шараду"; и наоборот, умение сделать невозможное: укр. *котові хвоста зав'язати* (букв. *коту завязать хвост*) и др.

Всем известна примета о том, что черная кошка якобы приносит несчастье, отсюда и выражение: *чорна кішка пробігла* (букв. *черная кошка пробежала*); *чорний кіт пробіг між ними* (букв. *черный кот пробежал между ними*). Что касается французов, то у них существует прямо противоположная примета: фр. *un chat noir porte bonheur* (букв. *черный кот приносит счастье*).

Если говорить о коте без упоминания его окраса, то и в украинской картине мира некоторые его повадки – к счастью, напр.: укр. *кіт гуде – в нас весілля буде!* (букв. *кот ворчит – у нас свадьба будет!*).

Таким образом анализ украинских и французских устойчивых словосочетаний с компонентами *кіт / chat* показывает, что зооморфизмы являются важным фрагментом фразеологических картин мира украинцев и французов. Для них является характерным высокий уровень мотивированности.

С точки зрения аксиологического потенциала более 70 % исследованных фразем в исследуемых языках имеют пейоративную окраску. Все эти тенденции объясняются тем, что в основе большинства фразеологических словосочетаний с данным компонентом лежат результаты наблюдений и невысокая (часто необоснованная) оценка человеком повадок этого животного. Кроме того, большое влияние осуществили и древние поверья, будто кот является пособником нечистой силы.

Перспективой наших дальнейших исследований мы считаем изучение устойчивых выражений с другими зоокомпонентами в сопоставительном аспекте.

Литература

1. Словник української мови: [в 11т.] / [за ред. І. К. Білодіда]. – К.: Наукова думка, 1973 – Т. 4. – С. 171.
2. Centre National de Ressources Textuelles et Lexicales : Portail lexical URL: <http://www.cnrtl.fr/definition/chat> (дата обращения – 10. 09. 2016).

შოთა მამულაძე
ციური ქათამაძე

არტაანის საფოტიფიკაციო ნაგებობანი და
არტანუჯთან დამაკავშირებელი ძველი გზები

(ქუმურლუხი, ური,ველი, ქინძოტამალი)

(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (NER/196/2-105/14) „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების“ ფარგლებში)

სამხრეთ საქართველო შუა საუკუნეებში წარმოადგენდა არამარტო სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მძლავრ კერას, არამედ ქვეყნის კარიბჭესაც მომხდურთა აგრესიის წინააღმდეგ. ამიტომ საუკუნეთა განმავლობაში რეგიონი მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით დაიფარა. „ჟამთა სიავემ“ თავისი კვალი დატოვა აღნიშნულ ციხე-სიმაგრეებზე: ზოგი საძირკვლებამდე დაინგრა; ზოგის დაზიანებული კედლები ჯერ კიდევ დგას ქართველთა თავგანწირული ბრძოლების მოწმედ; ზოგის სახელი მხოლოდ მატყანეებს შემოუნახავს და ა.შ.

ისტორიული არტაანი ამჟამად მოიცავს თანამედროვე თურქეთის არდაჰანის პროვინციის რამდენიმე რაიონს. იგი ძირითადად მდ. მტკვრის ზემო წელზეა გაშლილი. ყარსისაგან მას ყოფს ყარსის მაღალი მთები და აქ გზა არტაანიდან ბულა-თაფას ზეკარით გადადიოდა. არტაანის მთლიანი ოლქის ფართობი, როგორც ეს ე.თაყაიშვილს აქვს მითითებული 5.664 კვ.კმ-ს შეადგენდა. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს ოლქი ზეგანს წარმოადგენს. იგი ადრე იყოფოდა სამ უბნად: ჩრდილის (თურქულ გამოცემებში ჩილდირად იქცა), არტაანისა და ფოცხოვისა. ეს უკანასკნელი არ ეკუთვნის არტაანის ზეგანს. იგი უფრო ახალციხის ტერასისაკენაა და მოიცავს მტკვრის მარცხენა შენაკადის ნაწილს, ფოცხოვის წყალსა და მის შემდინარე წურწყაბის წყალს, ჯაყის წყლისა და ქობლიანის (ქვაბლიანის) წყლის ხეობებს. ამ და ნაწილობრივ სხვა ტერიტორიებს ძველად ზემო

ქართლს, სამცხეს ანუ მესხეთს უწოდებდნენ, ხოლო XIII სს-დან, როცა აქ სამცხის ათაბაგების (ჯაყელთა საგვარეულო) ძალაუფლება დამკვიდრდა, ამ მხარეს სამცხე-საათაბაგო ეწოდა. ისტორიულ ხანაში ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ შემდეგი თემები: ფოსო, ჩრდილი, არტაანი, ერუშეთი, კოლა.

ქართული და ოსმალური წყაროების მიხედვით საკუთრივ არტაანი ორ ნაწილად იყოფოდა: „ზემო“ და „ქვემო“ არტაანი, „მტკვარს იქითი“ და „მტკვარს აქეთი“ არტაანი, „დიდი არტაანის ლივა“ გურჯისტანის ვილაიეთში და „პატარა არტაანი“ – ყარსის ვილაიეთში (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი III, 1958:498-499; ჩელები, 2013:111,249).

არტაანის მხარე ძალზე მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. მათ გარკვეული ნაწილის შესახებ ყურადღება გამახვილებულია მოგზაურების თუ ცალკეული მკვლევარების (დ. ბაქრაძე, პ.უვაროვა, ე.თაყაიშვილი, ა. გუგუნავა, ი.გვარამია, კ.ოდიშარია; ჩვენი დროის მკვლევარების ვ.ბერიძე, ბ.კუდავა, მ.თარხნიშვილი, დ. კლდიაშვილი და სხვა; უცხოელი მკვლევარების-ჰ.გუნდოგლუ, ჩელები და ა.შ.) შრომებში.


ცალკეული ძეგლების შესახებ კატალოგი მოამზადა და გამოსცა თ. ხუციშვილმა თავის ჯგუფთან ერთად. აღნიშნული რეგიონის ცალკეულ ძეგლებზე მცირე, მაგრამ საკმაოდ საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებშიც (ქართლის ცხოვრება, გ.მერჩულე, ვახუშტი ბატონიშვილი...გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, იბრაიმ ფეჩევი და სხვა).

ამჯერად ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ ისტორიული არტაანის რამოდენიმე საფორტიფიკაციო ნაგებობაზე და წერილობითი წყაროების, საკუთრივ საფორტიფიკაციო ნაგებობათა ადგილზე შესწავლის საფუძველზე, წარმოვაჩინოთ ზემოაღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობების ადგილი და როლი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსა თუ მომხდურთა აგრესიის მოგერიებაში. ასევე შეძლებისდაგვარად მოვახდინოთ მათი აღწერა დახასიათება და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია.

1. ქუმურლუხის ციხე.

არტაანის ციხე-სიმაგრეების დიდი ნაწილი მდინარე მტკვრის ზემო დინების ბუნებრივად დაცულ კლდოვან ნაპირებზეა აგებული. ამ ციხეების დაკავებით იწყებოდა რეგიონის და ქვეყნის დამორჩილებაც. ოსმალური წყაროს ჩვენებით, როდესაც 1578 წელს მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქარმა „არტაანად წოდებულ ხეობას მიაღწიეს...აქ დაბანაკდნენ“, რადგან „ეს ადგილი კარია საქართველოსი“ (ფეჩევი,1964:38). ამ „კარის“ ერთ-ერთი გასაღები იყო ქუმურლუხის ციხე. ციხის შესახებ წერილობითი წყაროები ფრაგმენტულია. ქუმურლუხის ციხე მდებარეობს ისტორიულ კოლაში, მტკვრის სათავეებთან ახლოს, ყანლუს მთის ძირას. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული თვალსაზრისით, „პატარა არტაანი ძირითადად უნდა ყოფილიყო იგივე ძველი ქართული მხარე-კოლა, რომელიც ხშირად წყაროებში არტაანთან იხსენიება“ (ქ.ცხ. I, 1955:288; გურჯისტანის ვილაიეთის..., III,1958:499). ქუმურლუხის ციხე ამჟამად მოქცეულია არდაჰანის პროვინციის გიოლეს რაიონში, სოფელ კალეჯიკთან ახლოს. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს: „მტკვრის სათავეს ზემოთ, ყანლუს მთის ძირზე არს ციხე შენიქუმურლუსი, მაგარი და შეუვალი (ვგონებ ბეჭის ციხედ). ან ცალიერ არს, მას ზედა გარდავალს გზა ბანასა და ფანასკერტს“ (ვახუშტი, ქ.ცხ.IV,1973:674). ამ ცნობის თანახმად, XVIII ს. საქართველოში უკვე იცოდნენ, რომ ისტორიული ბეჭის ციხე, რომელსაც „მატიანე ქართლისაის“ ავტორი იხსენიებს ბაგრატ IV-სა (1027-1072 წ.წ.) და ლიპარიტის დაპირისპირებისას (ანისთან ლიპარიტ ერისთავმა დაატყვევა ბაგრატ მეფის მომხრე დიდებულები, მათ შორის, გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხის პატრონი-ქ.ცხ.I,1955:300), უკვე ქუმურლუხის სახელითაა ცნობილი. ციხის სახელის ცვლილება სამხრეთ საქართველოში ოსმალთა დამკვიდრებას უკავშირდება. ციხეს უნდა უკავშირდებოდეს სოფლის სახელიც: კალეჯიკი (კალე-თურქ. ციხე). XVII ს. ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები მიუთითებს, რომ „კალეჯიკი“ ნიშნავს – მცირე ციხეს (ჩე-

ლები, I, 1971:385). თუმცა მის მიერ აღწერილი კალეჯიკის ციხე სულაც არ არის მცირე და, რაც მთავარია, ევლია ამ ციხეს უთითებს ჩორუმის პროვინციაში შავი ზღვის სამხრეთით და მას არაფერი აქვს საერთო კოლაში არსებულ ქუმურლუხის ციხესა და სოფელ კალეჯიკთან. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც XX ს. დასაწყისში მოინახულა ეს რეგიონი, ქუმურლუხს კალაჯუხის (ს. კალეჯიკის მიხედვით) ციხის სახელით იხსენიებს და დასძენს: „კალაჯუხის ციხე მშვენივრად არის დაცული და ფრიად ლამაზია. ეს უსათუოდ ერთი საუკეთესო ძეგლია კოლას რაიონისა...სხვა უკეთესი ციხე კოლაში არ არის“ (თაყაიშვილი, 1938:15-16). ქუმურლუხის (ბეჭის ციხე) სტრატეგიული მნიშვნელობის შესაფასებლად ასევე შეიძლება გავითვალისწინოთ თამარ მეფის ისტორიკოსის-ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობა, რომ „ზედათ არტაანი („პატარა არტაანი“-კოლა), სადაც მესხნი მონაპირობდეს“ (ქ.ცხ. II, 1959:129), იმ დროს საქართველოს სანაპირო ზოლში შედიოდა და ბეჭის ციხეც ამ ზოლის ნაწილი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს ციხე ბანასა და ფანასკერტისაკენ მიმავალ მნიშვნელოვან გზებზე აკონტროლებდა.



ქუმურლუხის ციხის გეგმა. კ. გუნდოლდუს მიხედვით

XVI ს. საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროში- „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ კალეჯიკის სახელით ორი სოფელი იხსენიება: ერთი, მოსახლეობისაგან სრულიად დაცლილი, დიდი არტაანის ტყე-ნაპიეში (გურჯისტანის ვილაიეთის...,II.1941:503;

III.1958:557); მეორე კალეჯიკი-13 კომლიანი სოფელი-მზავარეს ნაპიეში (გურჯისტანის ვილაიეთის...,II.1941:424). მიუხედავად სახელის მსგავსებისა, ეს სოფლები დიდი არტაანის ფარგლებში შედის. ჩვენთვის საინტერესო კალეჯიკი კი, როგორც პატარა არტაანის-კოლას სხვა სოფლები, „დავთარში“ აღწერილი არ არის. მხოლოდ მათი ჩამონათვალია, სადაც დასახელებულია: ქუმურლუხი-კალეჯიკი (გურჯისტანის ვილაიეთის...,II. 1941).



ქუმურლუხის (კალეჯიკის) ციხე

ქუმურლუხის მნიშვნელობის გასათვალისწინებლად საინტერესოა შემდეგი გარემოებაც: ოსმალები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მნიშვნელოვანი საგზაო მაგისტრალების შეკეთებას. მაგრამ იმის გამო, რომ გზისპირა სოფლები კიდევ უფრო მეტად ზარალდებოდა და მოსახლეობა აქედან გარბოდა ხოლმე, ოსმა-

ლური ხელისუფლება იძულებული იყო ასეთი კატეგორიის სოფლის მცხოვრებნი რიგი გადასახადებისაგან გაეთავისუფლებინა. ასე, მაგალითად: ერთი მინანერის მიხედვით, მტკვრის ზემო დინების მიდამოებში არსებული სოფლები (კონკრეტულად-ყუთარ-მელიქი) რადგან „არზრუმის, არტაანის და ახალციხის გზებზე მდებარეობს და მათ გამვლელ-გამომვლელთაგან მოსვენება არა აქვს, მცხოვრებლებმა დაფანტვა დაიწყეს...ამიტომ აუცილებელია (ისინი) გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან და მათ სოფ. კომკის-წყაროდან ვიდრე ქვემო ჯინჭრობად წოდებულ სოფლამდე ხიდები შეაკეთონ“ (გურჯისტანის ვილაიეთის..., II.1941:443-444). ამ მინანერში ჩამოთვლილი სოფლები: ყუთარ-მელიქი, კომკი (თანამედროვე ს. ტეპელერი) და ქვემო ჯინჭრობი (თანამედროვე ს. სუგოზე) არტაანის სამხრეთ-დასავლეთით ჩრდილის ნაჰიეში შემავალი სოფლებია (გურჯისტანის ვილაიეთის... „III.1958: 520-521:523) მტკვრის სანაპიროებზე, სადაც ამჟამად შემორჩენილია ნაეკლესიარებიც და ციხის ნანგრევებიც (ტაოკლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევე ექსპედიციების ანგარიშები, 2015:100,106-107). უნდა აღინიშნოს, რომ ეს სოფლები იმ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მაგისტრალის გასწვრივ იყო გაშენებული, რომლის სათავეებთანაც ქუმურლუხის ციხე და სოფელი კალეჯიკი მდებარეობდა.

საკუთრივ ციხე სოფლიდან სამხრეთით 1 კმ-ში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზეა. ციხე აშენებულია სოფლის მარცხენა მხარეს, მდინარისაკენ დაქანებული ქედის ბოლო მონაკვეთში. ამ ადგილას ქედი თანდათანობით მაღლდება, ზემოთ იწევეს და მდინარე მტკვრის სიღრმეში ნახევარკუნძულისებრი ფორმით იჭრება. მისი ბოლო მონაკვეთები სამხრეთ-დასავლეთით ვერტიკალური კლდოვანი შვერილებით ბოლოვდება. ე.ი. ციხე სამხრეთ-სამხრეთით, დასავლეთით და ნაწილობრივ აღმოსავლეთით ბუნებრივად დაცულია.ამ ტერიტორიის ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილმდებარეობა შესანიშნავად გამოუყენებიათ ციხის მშენებლებს და ზედ უზარმაზარი ციხე დაუშენებიათ.


ციხის მიუვალ ნაწილს დამატებითი გამაგრება არ სჭირდებოდა. ერთადერთი ყველაზე დაუცველი მისადგომი ჩრდილოეთის მხარეს ქონდა. ციხის შიგნითაც შეღწევა აქედან შეიძლებოდა. ეს კარგად გაუაზრებიათ ციხის მშენებლებს და როგორც მთელ სიგრძეზე, ისე გვერდითი ფერდობების კლდოვან ქარაფებამდე, საკმაოდ მძლავრი გალავნის კედლები აუშენებიათ. ამით მდინარისაკენ წინ ნაზიდული ტერიტორიის ხარჯზე, დაახლოებით ერთ ჰექტრამდე ფართობი შემოუკავებიათ. ციხის მთელი დატვირთვა ჩრდილოეთის და ნაწილობრივ აღმოსავლეთის გალავნის კედლებზე მოდიოდა. ამიტომაც ისინი საგულდაგულოდ გაუმართავ-გაუმაგრებიათ. ჩრდილოეთი გალავნის კედლის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთში არსებულ კლდოვან ქარაფებზე წრიული ფორმის კოშკი აღუმართავთ, ხოლო მის უკიდურეს ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში კი- შედარებით მოზრდილი ოთხკუთხა ფორმის კოშკი. კუთხის კოშკებს გარდა, მთელ სიგრძეზე დატანილია ხუთი კოშკი. მათ შორის ორი ნახევარწრიული კოშკი ჩრდილოეთი გალავნის კედელშივე დატანილ კარიბჭეს იცავდა. ჩრდილოეთის გალავნის კედელი დღემდე საკმაოდ კარგადაა შემონახული, თუმცა მასაც აშკარად ემჩნევა სხვადასხვა დროს ნგრევისა და შეკეთების კვალი. ასევე შედარებით კარგადაა მოღწეული აღმოსავლეთის გალავნის კედელი, რომელიც რელიეფის შესაბამისად ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. იგი ბუნებრივად იმდენად კარგადაა დაცული, რომ დამატებითი გამაგრების საშუალებებს აღარ მოითხოვდა. ამიტომაცაა რომ მთელ სიგრძეზე ერთი კოშკიც კი არაა ჩართული. გალავნის ამ კედელსაც ემჩნევა მრავალჯერადი ნგრევისა და აღდგენის კვალი. ციხის დანარჩენი ორი მხარე (სამხრეთი და დასავლეთი) მიუვალია და ამიტომაც აქ კედლების რაიმე ნაშთები არ გვხვდება,

კედლებში რამოდენიმე სამშენებლო პერიოდი შეიძლება გამოიყოს. მათ შორის ყველაზე ადრეული ჩანს დიდი ზომის კარგად დამუშავებული ქვების ნყოფები. ისინი ძირითადად შემორჩენილია

გალავნის და კომპიუტერის ქვედა ნაწილში. ქვევს შორისი სივრცე შევსილია კირის, ქვიშისა და მცირე ზომის ქვევის ნარევიტ. მოგვიანო, აღდგენილი კედლების ქვევცა და კირის ფერიც სრულიად განსხვავებულია ადრეულისაგან. ციხის შიდა ტერიტორიაზე ძველ მეგალითურ ნაგებობათა ნაშთების გარდა, ციხის მშენებლობის თანადროული ნანგრევებიც დასტურდება. ვფიქრობთ ციხე IX-X სს უნდა იყოს აგებული, როცა იწყება ამ მხარის როგორც ეკონომიკური ისე კულტურული აღმავლობა. ციხე შესანიშნავად აკონტროლებდა არა მარტო იმ გზას, რომელიც ერთის მხრივ ბანასა და ფანასკერტისაკენ მიემართებოდა, არამედ იმ გზასაც, რომელიც კოლადან არტაანის ცენტრისკენ ან კიდევ კოლადან არტანუჯისაკენ მიდიოდა და ქინძოტამალის ციხისძირში უერთდებოდა არტაან-არტანუჯისაკენ მიმავალ გზას.

2. ურის ციხე.

სამხრეთ საქართველოს თავდაცვით სისტემაში მნიშვნელოვანი როლი იყო მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღმართული ურის ციხე. სოფელ ური და ციხე მრავალჯერაა მოხსენიებული გურჯისტანის ვრცელ დიდ დავთარში, ქართლის ცხოვრებაში, ვახუშტისთან და სხვადასხვა მკვლევარებთან (ი. სიხარულიძე, დ. ბერძენიშვილი, გუნდოგლუ, ე.თაყაიშვილი და სხვა).



ურის ციხის გეგმა.

3. გუნდოღლუს მიხედვით.

ციხე მდებარეობს არტაანის რაიონში (თანამედროვე სახელწოდება ალთაში), სოფ.ურში, მდ.მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ შემალღებულ ბორცვზე. სწორედ ამ მიდამოებში, ციხის ძირში ერთმანეთს ერთვის ორი მდინარე. აქაურები მათგან ერთ-ერთს გუმუშლუბუს, ხოლო მეორეს სულაქს უწოდებენ. ანუ ეს იგივე მდ. მტკვრისა და მისი ერთ-ერთი მარცხენა შენაკადია. მოსახლეობის მეორე ნაწილი ერთ-ერთს ჩიხისთან გოლს უწოდებს, ხოლო მეორეს ბალიქქოის ან ახანსუს, ხოლო გაერთიანებულს კი ურის წყალს (იგივე მტკვარს). როგორც ჩანს, როგორც მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აქაც მდინარეებს სოფლის სახელწოდებით მოიხსენიებენ. ციხე სწორედ ხერთვისის თავზე არსებულ სოფლისაკენ წინ წაზიდულ შემალღებულ ბორცვზეა დაშენებული. იგი შესანიშნავად აკონტროლებს უზარმაზარ სივრცეს ოთხივე მხრივ. უშუალოდ დასაცქერის მდინარეთა ხერთვისს, ციხისძირში არსებულ სოფ. ურს ანუ იგივე ალთაშს და მის გაგრძელებაზე არსებულ ტერიტორიებს. როგორც ჩანს, იგი შესანიშნავად აკონტროლებდა ფოცხოვ-ჩილდირისა თუ ახალციხისაკენ მიმავალ ძველ გზებს.

ციხის ტერიტორია საკმაოდ მიუვალია. ნაგებია ქვების მშრალი წყობით, ზოგან გამოყენებულია დულაბიც. სამხრეთ მკვეთრად დახრილი ფერდობები აკრავს. ერთადერთი, შედარებით იოლი მისადგომი აღმოსავლეთის მხარეს აქვს. ეს თავის დროზე გაუთვალისწინებიათ ციხის მშენებლებს და წრიული ფორმის გალავნის კედლებში, სწორედ ამ მხარეს განუთავსებიათ სამი ნახევარწრიული ფორმის კოშკი.

ცენტრალური წრიული ფორმის კოშკი ბორცვის შემალღებულ წვერზეა დაშენებული. აქედან გალავნის კედლების დასაწყისში, გრძივი ჩაღრმავებული ადგილია, შემდეგ ტერიტორია კვლავ მაღლდება და ქმნის საკმაოდ დიდ მოვაკებას. სწორედ ამ მოვაკების მთელი სივრცეა შემოზღუდული გალავნის კედლებით. ფაქტიურად ციხის გეგმას ამ შემთხვევაშიც რელიეფი განსაზღვრავს. ციხის დიდი ნაწილი საკმაოდ კარგადაა შემონახუ-

ლი. საკუთრივ ცენტრალური კოშკის ზედა ნაწილი მორღვეულია. შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 4 მ-ია, კედლის სისქე თითქმის 2 მ-ი. დაცული ნაშთების მიხედვით არ ჩანს კოშკში შესასვლელი. არაა გამორიცხული საამისოდ ციხის გალავნის კედლების შიდა სივრციდან ასანევი კიბე ყოფილიყო გამოყენებული. ციხის გალავნის კედლები კოშკის შუა ნაწილშია მიშენებული და შემდეგ ქვემოთ თანდათან წრიულად ეშვება. ფაქტიურად ციხე მთლიანობაში წრიული ფორმისაა. აქვს ერთადერთი შესასვლელი სამხრეთ დასავლეთით. დაზიანების გამო მისი ზომების განსაზღვრა არ ხერხდება. გალავნის კედლები შედარებით კარგადაა დაცული ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით. აქ მათი შემორჩენილი სიმაღლე 2,5-3 მ-ს აღწევს. სამხრეთით კი საკმაოდ მორღვეულია. მათი სისქე სხვადასხვაა. შედარებით ფართეა იმ მხარეს, საიდანაც იოლია ციხეში შეღწევა. მათი სისქე ზოგან 2 მ-საც აღწევს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, გალავნის კედლებს ჩრდილო-აღმოსავლეთით დატანილი აქვს ერთმანეთისაგან თანაბრად დაცილებული კედელში ჩასმული 3 ნახევარწრიული ფორმისკოშკი, სამივე საკმაოდ დაზიანებულია. ცენტრალური კოშკის მშენებლობაში გარე და შიგა პერანგებად გამოყენებულია კარგად დამუშავებული მოზრდილი ზომის ქვები. წყობაში რიგები რამდენადმე დაცულია. რაც შეეხება გალავნის კედლებს, იქაც გარე და შიგა საპირეებად მოზრდილი და საშუალო ზომის ქვებია გამოყენებული. ზოგან გარეგნულად ჩანს, რომ თითქოსდა კედლების მშენებლობაში მშრალი წყობაა გამოყენებული, მაგრამ დიდ ნაწილში ჩანს, რომ საპირე ქვებს შორის შიდა სივრცე დულაბითაა შეკრული.

ციხე თავისი მშენებლობის სტილითა და ფორმით საკმაოდ ადრეული ნაგებობა ჩანს.

ქართულ წერილობით წყაროებში „ური“ გვხვდება ძველი ფორმით – „ჭური“: „მიეგება (ფარნავაზ) ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჭური“ (ქცხ.I, გვ.23). ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული

მოსაზრებით, „ქართლის ცხოვრების“ „ჰური“ – ქაჯთა ქალაქი და არტაანის ნაქალაქარი, და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებული სოფელი ური, ორი სხვადასხვა პუნქტია ძველთაგანვე (გურჯისტანის ვილაიეთის..., III,1958:553-534). ყოველ შემთხვევაში, ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით საქართველოს ისტორიულ რუკაზეც „ჰური“ დატანილია სოფელ ურის ადგილას, ხოლო ქაჯთა ქალაქი და ნაქალაქევი ცოტა მოშორებით არიან განლაგებული (საქართველოს ისტორიული რუკა,1923). ვახუშტის მიხედვით, „ჰური“ და „ქაჯთა ქალაქი“-წუნდაა ჯავახეთში (ქ.ცხ.IV.1973:670), ეს მოსაზრება წუნდასა და ურის (ჰურის) იგივეობის შესახებ მართებულად უარყო ექვთიმე თაყაიშვილმა (MAK.,XII, 1909:59).



ურის ციხე

XVI ს. 70-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე მიმდინარე შიდა დაპირისპირებასა და ოსმალთა შემოსევების დროს დასახელებულ ციხეთა შორის (თეთრა ციხე, ველის ციხე, მგელ ციხე, ქაჯის ციხე) ურის ციხე მოხსენიებული არ არის.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ურის ციხე მაშტაბით აშკარად ჩამოუვარდება დასახელებულ ციხეებს. ამის მიუხედავად, ის მაინც მოიაზრება მტკვრის ზემო დინების იმ თავდაცვით სისტემაში, რომელსაც ეს ციხეები ქმნიდნენ. ოსმალური წყაროს თანახმად, ური საკმაოდ დიდი სოფელია 66 კომლით, რომელზეც შენერილია 15 000 ახჩა (გურჯისტანის ვილაიეთის..., II, 1941:466).


XIX ს. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, ურში მხოლოდ 20 კომლი ცხოვრობდა. როგორც ჩანს, მცხოვრებთა რიცხვი საკმაოდ შემცირებულა. ერთი ცნობით, ამ პატარა სოფლის მცხოვრებნი ახალციხის სოფლებიდან არიან გადმოსახლებულნი. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით „პატარა გორაკზე, ტყის პირად დგას და დაღვრემით გადმოჰყურებს პატარა ციხე. აქაურობა მოსილი ყოფილა ტყით, ახლაც ნახავთ კარგა მანძილზე ტყეს (ბავრელი., გაზ. დროება, 1878, 20.10.№212:1-2; 2008:71). აქვე ს. ბავრელი ასახელებს პატარა ეკლესიის ნანგრევებს, და მიუთითებს, რომ ამ სოფელს, ჩემოვნ ხიმშიაშვილები (ხიმშიაშვილის მესამე ცოლი ცხოვრობს შვილებით). როგორღაც იმის შვილებს იქაურები არ ემადლიერებიან: „ცოტა ბაშიბუზუყობენო..“ ექ. თაყაიშვილი, რომელიც XX ს. დასაწყისში იმყოფებოდა ურში, ადასტურებს, რომ სოფელი შერიფ-ბეგ აჭარელის (შემდეგ აზუსტებს-ხიმშიაშვილის) საგვარეულო საკუთრებაა (MAK., XII, 1909:59). საინტერესოა, რომ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა უკმაყოფილოა რუსული მართვა-გამგეობით და ოსმალთა აგენტების აგიტაციის გავლენით ამჯობინებს ოსმალეთის შიდა რაიონებს მიაშუროს. ამაზე ს. ბავრელიც მიუთითებს. უთუოდ ამის შედეგია, რომ 1889 წ. ურში მხოლოდ ორი კომლი დარჩენილა (სცია, ფ, 415, ს.12, გვ.82). ურის ციხის და სოფელ ურის შესახებ ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში მეტი არაფერია ნათქვამი. ძველი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ამჟამად სოფელში ქურთული მოსახლეობაა.

3.ველის ციხე,

არტაანის თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვანი რგოლი

იყო ველის ციხე, რომელიც მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ისტორიულ სოფელ ველში (სახელი ადგილმდებარეობიდან მომდინარეობს). ამჟამად ციხის ნანგრევები შემორჩენილია თანამედროვე სოფ. სევიმლისთან, არდაჭანის პროვინციის, ჰანაკის რაიონში (თურქეთი). ესაა დიდი ზომის ციხე, რომლის ნაგებობები განლაგებულია რამდენიმე ასეული მეტრი სიგრძის შვერილ კლდეზე. მტკვარი კლდეს სამი მხრიდან ჩამოუდის. ციხის ნაგებობებიდან შემორჩენილია რამდენიმე დიდი ზომის შენობა და ორი ეკლესიის ფრაგმენტები, ასევე გალავნის ნაშთები.. განლაგებითა და მასშტაბით ველის ციხე წააგავს თმოგვის ციხეს. მსგავსი ციხეები არტაანიდან ხერთვისამდე ქმნიდნენ მტკვრის ხეობის ზედა დინების ერთიან თავდაცვით სისტემას (ტაო-კლარჯეთის არქეოლოგიური ძეგლების..., 2015:27-28). ორივე ეკლესია ყოფილა მოხატული და წარწერებით შემკული, თუმცა ისინი ახლა განადგურებულია.

მდებარეობს ისტორიულ არტაანში, ჰანაკის რაიონის სოფ. ველთან, რომლის თანამედროვე სახელწოდებაა სევიმლი. ციხე სოფლიდან სამხრეთ დასავლეთითაა. სოფლის ამ მონაკვეთში კლდოვანი ქედი წინ მდ. მტკვრის სიღრმეში იჭრება და ქმნის ნახევარკუნძულისებრ ტერიტორიას. მას მდ. მტკვარი სამხრეთ გარს უვლის და ბორცვს კლდოვან რელიეფთან ერთად საიმედოდ იცავს. ქედი სოფლის მიდამოებიდან დაბლა მდინარისაკენ თანდათანობით ეშვება. შუა მონაკვეთში იგი ქმნის ვიწრო ყელს. შემდეგ თანდათანობით კვლავ მაღლდება და დასასრულს ქმნის პირამიდისებური ფორმის კლდოვან



ველის ციხის გეგმა.
ჰ. გუნდოლდუს მიხედვით.

ბორცვს, რომლის ზედა ნაწილი მოსწორებულია. მისი გვერდითი მონაკვეთები სამმხრივ მდ. მტკვრისპირამდე ეშვება. ციხე საკმაოდ კარგადაა დაცული-გამაგრებული. სოფლიდან ციხისაკენ მიმავალ გზას ვიწრო ყელზე განივად სახელდახელოდ აგებული გალავნის კედელი იცავდა. დღემდე შემორჩენილია მისი ნაშთები. საკუთრივ ციხის ნაგებობებიდან შემორჩენილია რამდენიმე დიდი ზომის შენობა და ორი ეკლესიის ნანგრევები. ასევე დაცულია ამ კომპლექსისი გალავნის ნაშთებიც. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს კლდოვანი ბორცვის დასავლეთ ტაფობზე დღემდე საკმაოდ კარგად შემორჩენილი საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთები. რაც შეეხება წყაროებში აღწერილ „ნითელ“ ეკლესიას, მისგან დარჩენილია მხოლოდ აფსიდის ნაწილი. შედარებით უკეთაა შემონახული მდინარის პირას არსებული ეკლესიის ნაშთები. იგი ტიპიური შვერილ-ლაფსიდიანი დარბაზული ეკლესიაა. კედლებზე აქა-იქ შემორჩენილია მოხატულობის მცირე ფრაგმენტები. ამ ციხის შესახებ სსაკმაოდ საინტერესო ცნობებია დაცული წყაროებში(ბერი ეგნატაშვილი, იბრაიმ ფეჩევი, გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარი) და



ველის ციხე

ასევე სხვადასხვა ავტორებთან (ბავრელი, ბქარაძე, ჭიჭინაძე, მარტიველი, ლომსაძე, ბაგრატიონი, სისხარულიძე, გუნდოგდუ და სხვა), რომელთა შესახებაც სხვა დროს გვექნება შედარებით ვრცლად საუბარი. ეს ციხე წარმოადგენდა არტაანიდან ხერთვისამდე მტკვრის ხეობის ზედა დინების ერთიანი თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ ძირითად ძეგლს.

ისტორიულ წყაროებში სოფელი ველი და ველისციხე იხსენიება XVI საუკუნეში. 70-იან წლებში სამცხე-საათაბაგოში მიმდინარე ფეოდალური დაპირისპირებისას: „ამავე ქორონიკონსა (1576 წ.)...გურგაქ შემოგუენყო და ველი მოგუცა“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961:46-47); ხოლო სამხრეთ საქართველოში 1578 წ. შემოსულმა მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქარმა „ამავე ქორონიკონსა (1578 წ.) პარასკევს დღესა, მარიამობის თვესა ქაჯის ციხე, ველი და თეთრ ციხე წაგვართვეს ურემთა“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961:46-47; 163,169). სამცხე -საათაბაგოში მიმდინარე პროცესებს ძირითადად „მესხური დავითნის მატთანზე“ დაყრდნობით გადმოგვცემენ ვახუშტიც, ბერი ეგნატაშვილიცა და „პარიზის ქრონიკაც“ (ცხოვრება საქართველოსა) (ქ.ცხ. IV. 1973:720; ქ.ცხ. II.1959:520-522).

XVII საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევიც მიუთითებს, რომ როცა ოსმალებმა „არტაანად წოდებულ ხეობას მიაღწიეს, ეს ადგილი კარია საქართველოსი. აქ დაბანაკდნენ“, ხოლო 1578 წ. 9 აგვისტოს ჩილდირის გადამწყვეტი ბრძოლის წინ „ისლამის“ ლაშქარი დაიძრა არტაანიდან და ველის ციხის მახლობლად დაბანაკდა-„შესაძლებელი გახდა ამ ციხის ადვილად დაპყრობა“ (ფეჩევი, 1964: 38-39).

ველის ციხის მასშტაბებიდან გამომდინარე ასე იოლი არ უნდა ყოფილიყო მისი დაპყრობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სამცხის წინააღმდეგობა საკმაოდ შესუსტებული იყო ორწლიანი შიდა ომით, თანაც ლალა-ფაშას მრავალრიცხოვანი არმია ახლდა, მაშინ, ალბათ, გასაგები უნდა იყოს, რომ ველის

ციხე სხვა ციხეებთან (მგელ ციხე და ქაჯის ციხე) შედარებით იოლად იქნა აღებული.

1578 წ. ველი ოსმალთა ხელში გადავიდა. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სოფელი დიდი არტაანის ლივას ტყე-ნაპიეში მოქცეულა. ველში 30 კომლი ირიცხება, რომელთაც შეწერილი აქვთ 21 ათასი ახჩა (გურჯისტანის ვილაეთის..., III, 1958:531-532). „დავთარში“ ასევე მოხსენიებულია ს. ველის არხი, რომელიც მომდინარეობს ს. საკასრიადან(?) და საზიარო ყოფილა „გუგუბა, ზემო ბორქ და ველ სოფელთათვის“ (გურჯისტანის ვილაეთის..., III, 1958:533). ამჟამად ეს სოფლები მდებარეობს არდაჰანის პროვინციის ჰანაკის რაიონში (თანამედროვე სახელწოდებები: ბინბაშაკი, ბიორქი და სევიმლი). ველი იმავე ადმინისტრაციულ სტრუქტურაში რჩება XVIII ს.-ის პირველ ათწლეულშიც, თუმცა გადასახადი 3000 ახჩამდეა შემცირებული (ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი, 1979:135), რაც მოსახლეობის კლებას ადასტურებს. ერთი ცნობით, ველში XVIII ს.-ში ახალციხის საფაშოს იმერხევის სანჯაყის ბეგი იჯდა (ლომსაძე, 1975:255). მიუხედავად ოსმალთა ბატონობისა ველის მცხოვრებლებმა ქრისტიანობა შეინარჩუნეს. მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეულებმა კათოლიკობა მიიღეს (ლომსაძე, 1975:363; ბავრელი-ასლანიშვილი, 2008: 17,18,72-76,186-197). 1829 წელს რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის დამთავრების შემდეგ ველის მცხოვრებნი ჯავახეთის სოფლებში კარტიკამში, ბავრაში, ხულგუმოსა და ტურცხში გადმოსახლებულან. XIX ს.-ის 70-იან წლებშიც ველი დიდი სოფელია, ადრე უფრო დიდი ყოფილა-300 კომლი მდგარაო (ბავრელი-ასლანიშვილი..., 2008:72), თუმცა „დავთარში..“ 30 კომლია მითითებული. იმავე ველში ახალციხის სოფლებიდან გადმოსახლებული გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ. იმავე ავტორის ცნობით, „ხეობის ჩასავალზე (სოფლიდან) მაგარ კლდეზე დგას ძველი ციხე“, რომელიც XIX ს. ბოლოსათვის კარგადაა შემონახული, ასევე შემონახული ყოფილა ციხის შიგნით მდგარი ეკლესია (წითელი ეკლე-

სია) მოხატული და წარწერებით შემკული, აბანოსა და ორსართულიანი სასახლის ნაგებობებით: „ამ ადგილას საცა კლდე მთავრდება მტკვრისაკენ, დგანან მაგარი კოშკები (ბავრელი-ასლანიშვილი, 2008:74). XX ს-ის დასაწყისში, კ. ოდიშარიას ცნობით, ველში 55 კომლი გამაჰმადიანებული ქართველი ცხოვრობს და ბევრი მათგანი ქართულს კარგად ლაპარაკობს. თითქმის დაუზიანებელია ველისციხის გუმბათიანი წითელი ეკლესია, მოხატულობაც ბრწყინვალედ გამოიყურება (სიხარულიძე...,1998:245). ეკლესიის ჩრდილოეთი კედელი ციხის კედელზეა მიბჯენილი. აღმოსავლეთის კედელზე ორი დაზიანებული ხუცური წარწერაა, რომელშიც მოხსენიებულია ეკლესიის ამშენებელი გვარამ „მე გვარამ ავმართე წმიდა იოვანე ქ.კსა როდ (954) თვესა მაისსა“ ეკლესია თარიღდება X საუკუნის შუა ხანებით (თაყაიშვილი, MAK.,XII,1909:70-72; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013:217). ექ. თაყაიშვილის დასკვნით, „ველთან ყოფილა პირველხარისხოვანი ციხე, რომელიც მგელციხესა და ქაჯის ციხესთან ერთად დიდ როლს თამაშობდა სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში“ (თაყაიშვილი, MAK.,XII, 1909:70-71). ველის ციხე ახლაც მასშტაბურად გამოიყურება და შთამბეჭდავ გავლენას ახდენს მნახველზე. ისტორიულ სოფელ ველში (თანამედროვე სევიმლი) კი ქურთული მოსახლეობაა. ძეგლი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

4. ქინძოტამალის ციხე, არტაანიდან არტანუჯისაკენ, ხოლო მეორე მხრივ არტაანიდან შავშეთისაკენ მიმავალი გზის ბოლო სოფელ ბაღდაშენიდან, დასავლეთით მდებარეობს. იგი ქ. არტაანიდან 34 კილომეტრითაა დაცილებული. ძეგლიდან ბილბილანის მთაზე არსებულ უღელტეხილამდე 10 კმ-ია. ბილბილანის (იგივე არსიანის) მთა ფაქტიურად წარმოადგენს გამყოფს ისტორიულ არტაანსა და მეორეს მხრივ კლარჯეთსა და შავშეთს შორის. ბილბილანის უღელტეხილიდან არტაანის მხარეს ეშვება რამოდენიმე პატარ-პატარა წყალგამყოფი ქედები (ტაბალის, ალაბალიქდერესი, ურუმდერესი, საჰარა). მათგან განსაკუთრებით ყურადღებას

იქცევს ურუმდერესის ხეობა. აქ გადიოდა და გადის სწორედ კოლა-არტაანსა და არტანუჯსა თუ შავშეთს შორის დამაკავშირებელი როგორც ძველი, ისე თანამედროვე გზები.


ურუმდერეს ქედის პარალელურად, სხვა ქედების დიდი ნაწილიც, ბილბილანის მთებიდან ქვემოთ თანდათან ეშვებიან და ერთმანეთს უახლოვდებიან და ქმნიან ვიწრო ყელს. ამ ყელიდან ზემოთ და ქვემოთ არსებული სივრცეები შედარებით გაშლილია და მათი გაკონტროლებაც ძნელია. ქედებს შორისი სივრციდან ყველაზე ხელსაყრელი სწორედ ურუმდერეს ხეობა იყო. აქ ქედებს შორის დაცილება 300-400 მ იქნება. სწორედ ქედებს შორისი გზების დასაწყისში, ყველაზე შევიწროებული მონაკვეთის გაკონტროლებისათვის აუშენებიათ აქაურ უძველეს მკვიდრთ ქინძოტამალის ციხე. იგი მდებარეობს ურუმდერეს ხეობის მარცხენა სანაპიროზე არსებულ შემალღებულ ბორცვზე და ზემოდან დასცქერის აქ გამავალ გზებს.



ქინძოტამალის ციხე

ციხე დაზიანებულია. მის გეგმას ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. შედარებით კარგადაა გადარჩენილი და ჩვენამ-

დე მოღწეული მისი ჩრდილოეთი გალავნის კედელი. ციხეს შედარებით იოლი მისადგომიც ამ მხრიდან აქვს. ეს გაუთვალისწინებიათ მის მშენებლებს და იგი საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ. გრძივი კედლის ბოლოებში ორივე მხარეს ნახევარწრიული კოშკები დაუტანებიათ. მათ შორისი გალავნის კედელი საკმაოდ სქელია (1,50 მ). ბურჯებით ჩანს გამაგრებული კოშკებიც. კოშკებიდან ფლანკირებული სროლებით სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა მთელს სიგრძეზე კედლისა და შუა ნაწილში განთავსებული ცენტრალური შესასვლელის დაცვა. აღმოსავლეთი კოშკის მაქსიმალური სიმაღლე 16-17 მ-ია, ჩრდილო-დასავლეთის-12-13 მ. მათ შორისი შემორჩენილი კედლის სიმაღლე კი 5,50 მ. ციხის მესამე ნახევარწრიული კოშკი ციხის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთშია. იგი, როგორც ჩანს აღმოსავლეთის შიგნით შენეული გალავნის კედლის სამხრეთ მონაკვეთს იცავს. იგი დაზიანებულია. მის მშენებლობაში გამოყენებული ქვის წყობების მიხედვით ჩანს, რომ აქ არსებულ შემორჩენილ ნაგებობათა შორის ყველაზე ადრეულია. შემორჩენილი სიმაღლე 3,5 მ-ს აღწევს. ციხის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში ზედაპირულად გალავნის კედლის ნაშთები არ ფიქსირდება. როგორც ჩანს, იგი მთლიანადაა განადგურებული. ეს მხარე შედარებით მიუვალიცაა.



ქინძოტამალის ციხის გეგმა.
ჰ. გუნდოლდუს მიხედვით

საინტერესოა ქინძოტამაღის ციხე იმ მხრივაც, რომ ცენტრალურ, ყველაზე იოლ მისადგომ მხარეს და დასავლეთითა და ნაწილობრივ აღმოსავლეთის გალავნის კედელს მთელს სიგრძეზე ქონდა დამატებითი დამცავი კედელი, რომელიც ძირითადი კედლისაგან 3-5 მ-თაა დაცილებული. ე.ი. ორმაგ ძირითად და დამცავ კედლებს შორის სიცარიელე ციხის დამცველებს აძლევდა საშუალებას უფრო ეფექტურად ემოქმედათ. გარე დამცავი, დამატებითი გალავნის კედლის ძირითადი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდეა განადგურებული. მისი ნაშთები შემონახულია მხოლოდ ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ და უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. საკუთრივ ციხის კედლებში აშკარად შეიმჩნევა სხვადასხვა პერიოდის ნიშნები. ჩანს, რომ ციხეს რამოდენიმეჯერ განუცდია ნგრევა და აღდგენა. ყველაზე ადრეულად გამოიყურება დიდი ზომის ქვებიანი კედლები, რომელთა გარე ზედაპირი მოსწორებულია. ამ ტიპის ნიშნებში რიგებიც მეტნაკლებად დაცულია. თუმცა გვხვდება მოგვიანო ოსმალური ეპოქის საამშენებლო ფენებიც.

საყურადღებოა, ისიც, რომ ციხის ძირში დღემდე კარგადაა შემონახული ძველი ნასოფლარის ნაშთები. იგი უშუალოდ ურუმდერეს ხეობის მარცხენა სანაპიროზე არსებულ მოვაკებულ ტერიტორიაზე თუ ფერდობებზე ყოფილა შეფენილი. ძველ ნაგებობათა საძირკვლის ნაშთების მიხედვით ზოგიერთ ნაგებობათა გეგმაც კი იკითხება. გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში ფიქსირდება სოფელი ურუმი. არაა გამორიცხული ეს აღნიშნული ნასოფლარი იყოს. ნასოფლარის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე დღემდე შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები. დარბაზული ეკლესიის დიდი ნაწილი დანგრეულია. ნაგებობას აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული აფსიდა, რომელიც კედელშია ჩასმული. მის ირივე მხარეს შემორჩენილია ოთხკუთხა ფორმის ნიშები. ცენტრალური შესასვლელი სამხრეთიდან ქონია. შემორჩენილი ნიშნების მიხედვით ჩანს, რომ კედლის ნიშნებში პერანგებად გამოყენებული იყო კარგად დამუშავებული დიდი ზომის ქვები. კვადრებს შორისი სივრცე შევსილია ქვა-

ღორღისა და კირის ნარევი მასით. კედლების სისქე-0,65-70 სმ-ია, შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე-3,20 მ-ს აღწევს.

ბუნებრივია ციხის ერთ-ერთი ფუნქციაც ამ სოფლის დაცვა-ც იყო. ნასოფლარი სწორედ ციხსძირში იყო გაშენებული. ციხის დარეცხილ ფენებსა და ნასოფლარის ტერიტორიაზე დაფიქსირებული კერამიკული მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს კომპლექსი სავარაუდოდ განვითარებული შუა საუკუნეებიდან უკვე უნდა არსებობდეს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქინძოტამალის ციხე არ იყო ერთადერთი ნაგებობა, რომელიც კეტავდა ამ სივრცეს. ურუმდერეს მარჯვენა წყალგამყოფ უსახელო ქედს, რომელიც ასევე ბილბილანის მთებიდან ეშვება ქვემოთ თანამედროვე სოფ. ბაღდაშენამდე, მთლიანად ტყითაა დაფარული. ქედის შუა მონაკვეთში, ქინძოტამალის ციხის გაღმა მდებარეობს მეორე ციხის ნანგრევები. მას ადგილობრივი მოსახლეობა ქულთექკალეს სახელით მოიხსენიებს. ციხე საშუალო ზომის ნაგებობა ჩანს, მისი ზედაპირი ტყითაა დაფარული. შემორჩენილია აქა-იქ საძირკვლის ნაშთები. მისი გეგმა არ იკითხება. ეს ნაგებობაც ქინძოტამალის ციხესთან ერთად გაღმა-გამოღმა შესანიშნავად აკონტროლებდნენ აქ გამავალ გზებს.

ურუმდერეს ხეობის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე, ქინძოტამალის ციხის ზემოთ, თანამედროვე საავტომობილო გზიდან 150 მეტრში დასტურდება ადრეული პერიოდის მეგალითური კულტურის ნაგებობის ნაშთები. მას ადგილობრივი მოსახლეობა „შეითან კალეს“ ეძახის. შემორჩენილი ნაშთებისა და ქვის ნაყარის მიხედვით ჩანს, რომ ნაგებობა საკმაოდ მოზრდილი ყოფილა. შედარებით კრგადაა შემონახული სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის საძირკვლის ნაშთები. დაცულია ორი, ზოგან სამი რიგი შედარებით კარგად დამუშავებული მოზრდილი ქვებისა. როგორც ჩანს, ეს ხეობა ადრეულ ეპოქებშიც (არაა გამორიცხული დაიანის (დიაუხას) არსებობის ხანაში, ძვ.წ. მეორე ათასწლეულის ბოლო, პიორველი ათასწლეულის დასაწყისი) წარმოადგენდა არსიანის ქე-

დის ორივე მხარის აქაურ უძველეს ტომთა თუ ტომობრივ გაერთიანებათა დამაკავშირებელ ერთ-ერთ ძირითად არტერიას.

და ბოლოს, ურუმდერეს ხეობა, რომ ძირითად არტერიას წარმოადგენდა არტაანის მხარესა და ისტორიულ კლარჯეთს შორის, ამას შესანიშნავად ადასტურებს ამ ხეობაში სოფ. ბალდაშენიდან ბილბილანის მთების უღელტეხილამდე ოთხი ძველი ქვის თალოვანი ხიდის არსებობა. ოთხივე მათგანი (ბილბილან ქოფრუ, ქილისენინ ქოფრუ, ქალვანინ ქოფრუ-მას მეორენაირად კალე-ქოფრუსაც ეძახიან და ბალდაშენქოფრუ) დანგრეულია. პირველი ორი მათგანის მხოლოდ ბურჯების ნაშთებიღა შემორჩენილი.

არტაანის სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებზე საუბარი სხვა დროისთვისაა გამიზნული. აქვე მოკლედ შევჩერდებით **იმ გზებზე**, რომელიც ამ რეგიონს აკავშირებდა ტაო-კლარჯეთის ერთ ერთ უძველეს და ძირითად ცენტრ არტანუჯთან. კოლა-არტაანიდან არტანუჯისაკენ მიმავალი გზა ბილბილანის (არსიანის), „ აქ ქვაყრილად წოდებულ“ (ვახუშტი, აღწერა, გვ.128, 132, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.2, გვ.56) მთებზე არსებული ზეკარით არტანუჯისაკენ მიემართებოდა. არტაანი როგორც ნ.ბერძენიშვილი შენიშნავდა, დიდი მაგისტრალების საკვანძო პუნქტი იყო (ნ.ბერძენიშვილი 1966, გვ.91-92). აქ თავს იყრიდა გზები თითქმის ყველა მიმართულებიდან. ერთ-ერთი გზა სამცხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით არტაანისაკენ მიდიოდა. ახალციხიდან ეს გზა ვალეზე გაივლიდა. ის ჯაყის წყლის (ფოცხოვის წყლის) ხეობით მიდიოდა. აქ და თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ამ მიმართულებით არსებულ ციხეთა ნანგრევების სიმრავლე მიუთითებს გზის მიმართულებასაც და მნიშვნელობასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციხეები საგულდაგულოდ აკონტროლებდნენ არტაანისაკენ თუ არტაანიდან სხვადასხვა მიმართულებით მიმავალ გზებს. არტაანიდან გზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტრასა არტანუჯისაკენ და შემდეგ აქედან სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა. IX-X საუკუნეებში „ბაგრატიონთა სახლი“ მეტად ხელსაყრელ პოლიტიკურ-გეოგ-

რაფიულ პირობებში მოექცა და ქ. არტანუჯივ ალმოჩნდა ბიზანტია, სომხეთ, ქართლსა და აფხაზეთს შორის გზაგასაყარად.

არტაანიდან ძველი გზა გაივლიდა თანამედროვე სახელწოდების მქონე სოფლებს ქირმანს, ქონქს, იანლიჩანს, შადევანს, ჰასქოის და მიდიოდა ბაღდაშენთან. შადევანი გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის მიხედვით საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა. ამ დოკუმენტით აქ ამ დროისათვის 59 კომლი ცხოვრობდა (გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, 3, თბ. 1958, გვ. 509-510). გზის შევიწროება ხეობისაკენ ჰასქოიდან იწყება. ბაღდაშენში შემოდის და უერთდებოდა ცენტრალურ ტრასას კოლადან-დორთქილისე-დედეშენ-სამზელექურეთ-კალეჯიკის, იენიქოის (აქაც ციხე-კოშკია) ციხის გავლით მომავალი გზა არტანუჯისაკენაც². აქაურ მკვიდრთა გადმოცემით ძველად ამ გზებით დადიოდნენ ვაჭრები არტაანიდან, კოლადან თუ სხვა მხარეებიდან. ამ გზას ისინი დიდ საქარავნო გზას უწოდებენ. არტანუჯისაკენ მიმავალი ყველა გზა ქინძოტამალის რაბათის ციხისძირში იყრის თავს. ეს სოფელიც იგივე დავთრის მიხედვით დიდი სოფელი ყოფილა. ამ დროისათვის აქ 45 კომლი ცხოვრობდა (გვ. 509). ამის შემდეგ გზა ურუმდერეს ხეობაში შედის. იყო ამ სახელწოდების სოფელიც. სოფ. ურუმი, აღნიშნავს ს. ჯიქია, ქინძოტამალთან ახლოს უნდა იყოს (გვ. 517). ჩვენი ექსპედიციის დროს დადასტურდა, რომ ქინძოტამალის ციხის ზემოთ ტერიტორიას

² აქაურები დღესაც კალეჯიკის, არტაანის ციხეებს და იენიქოის ციხე-კოშკს ძმებს უწოდებენ. გზას, რომელიც მოდიოდა კოლადან უერთდებოდა არტაანიდან არტანუჯისაკენ მიმავალ ტრასას ბილბილანის მთების ძირში ქინძოტამალის ციხესთან. კოლადან მომავალ გზას კარგად კეტავდა როგორც იენიქოის ციხე-კოშკი, ისე კალეჯიკის ცნობილი ციხე. მეორეს მხრივ არტაანიდან მიმავალ გზებს ნებისმიერი მიმართულებით და მათ შორის არტანუჯისაკენაც, დასაწყისშივე კეტავდა არტაანის ციხე. ფაქტიურად ეს სამი ციხე ქვემოთ და ქინძოტამალის ციხე ურუმდერეს ხეობის ძირში, საგულდაგულოდ აკონტროლებდა არტანუჯ-შავშეთისაკენ თუ ზღვისპირეთისაკენ მიმავალ თუ შემომავალ თითქმის ყველა გზას.

აქაურები ურუმს ეძახიან. შესაბამისად იმ ხეობას, რომელიც იწყება ბილბილანის (იგივე არსიანის) მთების ფერდობებიდან, ჩაედინება ქინძოტამალის ციხისა და მისი ძველი ნასოფლარის ძირში და ჩადის სოფ. ბაღდაშენამდე, ურუმდერეს ხეობას უწოდებენ. აქ გადიოდა და გადის სწორედ კოლა-არტაანსა და არტანუჯსა თუ შავშეთს შორის დამაკავშირებელი როგორც ძველი, ისე თანამედროვე გზები.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ურუმის ხეობაში სოფ.ბაღდაშენიდან ბილბილანის მთების უღელტეხილამდე ოთხი ძველი ქვის თაღოვანი ხიდია. ოთხივე ხიდი სწორედ უღელტეხილზე ამავალი გზისთვის იყო განკუთვნილი. ამ მთის შესახებ ვახუშტი წერდა: „არტანიდამ მოდრკების არსიანის მთა და წარვალს სამხრით ყარსის მთას. ამ არსიანის მთას უწოდებენ არტანს-ქვაცრილს, და კოლას-ყალნუმთას. ამ მთას აქუს აღმოსავლეთით კოლა-არტაანი, და დასავლით არტანუჯი და ფანასკერტი“(ვახუშტი, აღწერა... ტ.4, თბ.1973, გვ.668). მისივე თქმით არსიანის ანუ იგივე, ქვაცრილად წოდებულ მთაზე, „ გარდავალს გზა არტანუჯს“ (გვ. 132)

არტაანიდან ბაღდაშენამდე 30 კმ-ია. ხეობის ყელზე მდებარე ქინძოთის ციხემდე 3 კმ-ია,აქედან ბილბილანის იაილამდე კი 6-7 კმ-ი. სულ არტაანიდან ბილბილანის იაილამდე 41 კმ. იაილიდან უღელტეხილამდე 3 კმ-ია. ე.ი. არტაანიდან უღელტეხილამდე 44 კმ-ია. იგი ზღვის დონიდან 2581 მეტრზეა. საჰარის უღელტეხილიდან გზა ორად იყოფა. ერთი შავშეთისაკენ მიემართება, მეორე არტაანისაკენ.

უღელტეხილიდან გზა არტანუჯისაკენ დაბლა ეშვება. პირველი იაილა ზემოდან ხევას იაილაა. მთების ამ ნაწილს ადგილობრივები ინჯუხახანის მთებსაც უწოდებენ. აქ დღეს ძირითადად თურქები და ხემშილები ბინადრობენ. არიან ზღვისპირეთიდან (ხოფადან) ამოსული ლაზებიც კი. პირველი სოფელი, სადაც გზა ჩამოდიოდა გეჩითლიქოი იყო. ამიტომ აქაურები ხეობას რომელიც ლონგოთხევის სახელწოდებითაა ცნობილი, გოჩითქოიხე-

საც უწოდებენ. აქამდე არტანუჯიდან საკმაოდ კარგი თანამედროვე გზაცაა მოყვანილი. ულელტეხილიდან 10 კმ-ია. ამ სოფლიდან გულეშენის (ძვ.გოლეშენ), ბულანეჯის (ლონგოთხევი), რაბათის, ლაკომარყალის ციხისძირის, მოეზინლერის (მეჩევილ), ქარლის (დეეგარმუჩ) გავლით ჩადიხარ არტანუჯში. სწორედ არსიანის (იგივე ბილბილანის) მთებს გადმოღმა არტანუჯისაკენ მომავალ გზას აკონტროლებდა ლაკომარყალეს ციხე. ეს ციხე გადმოღმა მხარის შუა მონაკვეთშია. დასაწყისში, მთების ძირს კი ბულანუხთან ახლოს არსებული ომერკოჩის ციხე მეთვალყურეობდა. ულელტეხილიდან არტანუჯამდე 30 კმ-ია. მთლიანად არტაანიდან არტანუჯამდე მანძილი 74 კმ-ია. არტანუჯიდან არტანუჯისა და ჭოროხისწყლის ხერთვისამდე კი-13 კმ. აქედან ართვინამდე 30 კმ. ართვინიდან ბორჩხამდე კი-29 კმ. მთლიანად მანძილი არტაანიდან ბორჩხამდე თანამედროვე ტრასით სულ 139 კმ-ია.

ამრიგად, მიუხედავად არტაანის პროვინციის ზემოაღნიშნულ ციხეთა შესახებ წერილობითი წყაროების სიმცირისა, ამკარაა, რომ ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ხოლო XVI ს-ის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. აქ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არქეოლოგიურად შეუსწავლელია. თუმცა მიწისზედა ნაშთების (საფორტიფიკაციო, საეკლესიო, საგზაო და სხვა ტიპის ნაგებობები) შესწავლა, შედარებით სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის აქაური უძველესი მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების შესახებ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი-ბავრელი ს, წერილები „ოსმალს საქართველოზე“, თბ.,2008;
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბ.,1973;
3. ბერძენიშვილი ნ.,გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966;
4. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, ნ. II, თბ.,1941; ნ. III, თბ., 1958;
5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1973;
6. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და სოფ. ჩანგლში, 1907 წელს პარიზი, 1938
7. თაყაიშვილი ე., Карскаяобласть, МАК.,вып.XII, М., 1909;
8. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობებისაქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი თარგმნა, შესავლითა და კომენტარებით გამოსცა ს.ჯიქიამ, თბ., 1964;
9. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975;
10. მამულაძე შ., გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი.-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, ბათუმი, 2009;
11. მამულაძე შ., შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი, 2014 (თანაავტორი);
12. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV- XVI ს.ს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ.,1961;
13. საქართველოს ისტორიული რუკა, შედგენილი ევ. ბარამიძის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბ., 1923;

14. სიხარულიძე ფრ., მასალები სამხარეთმცოდნეო ექსპედიცი-
ათა ისტორიისათვის (კონსტანტინე ოდიშარია-მარტვილე-
ლი), ბსუ, შრომები, II, ბათუმი, 1998;
15. ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევო ექსპედი-
ციების ანგარიშები, თბ.,2015;
16. ქართლის ცხოვრება, ტ.I. თბ., 1955; ტ. II. თბ., 1959;
17. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, შე-
ადგინეს: გ. გამყრელიძემ, დ. მინდორაშვილმა, ზ. ბრაგვაძემ,
მ.კვაჭაძემ, თბ.,2013;
18. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი,
1995;
19. ჩელები ევლია, „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარ-
გმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ,
ნაკვ. 1, თბ., 1971; ნაკვ. II, თბ.,1973;
20. ჩელები ქათიბ, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესა-
ხებ, ტექსტის თარგმანი, შესავალი და შენიშვნები გ. ალასა-
ნიასი, თბ.,2013;
21. ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წ.წ.), ტექ-
სტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბუ-
ლაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.
22. ჭილაშვილი ლ.,ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II,
თბილისი, 1970;
23. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, თბილისი,
1970;
24. ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თურ-
ქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტა-
რი დაურთო ს. ჯიქიამ, თბილისი, 1958.

Shota Mamuladze
Tsiuri Katamadze

*Fortification buildings of Ardahan and old roads connecting to
Artanuji (Kurumlukhi, Uri, Veli, Kindzotamali)*

Summary

The article deals with some fortification building of Ardahan – Kurumlukhi, Uri, Veli, Kindzotamali place and value in the current historical process of medieval south Georgia.

კახაბერ ქამადაძე

„მარმარილოსებური“ კერამიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან

წინამდებარე სტატიაში თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ მოჭიქული კერამიკის ერთ-ერთ ჯგუფზე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „მარმარილოსებური“ კერამიკის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ტიპის კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა აღმოჩენილია გონიო-აფსაროსის ციხეზე, რამოდენიმე ნატეხი გვხვდება ბათუმის ციხის არქეოლოგიურ მონაპოვრებშიც.

ყველა მათგანი სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ჯამებია და წარმოდგენილია ძირისა და პირ-კალთის ფრაგმენტების სახით. ჯამები მოხატულია ურთიერთმონაცვლე, ან ერთმანეთში შერეული მუქი-მწვანე, ღია-მწვანე, ყვითელი, ყავისფერი და შავი საღებავებით. გადავლებული აქვთ გამჭვირვალე ჭიქური. ჭიქურის ხარისხი ორგვარია კრიალა ფერის და შედარებით უსიცოცხლო, ჩამუქებული. ჯამები პირ-კალთის ფრაგმენტების მიხედვით განსხვავებულია: ა) აქვთ პროფილირებული, მაღალი შიდა მხარეს ოდნავ გადახრილი, გარე მხრიდან კალთისაგან გამოყოფილი პირ-ბაკო და მომრგვალებული კალთა (**ტაბ.I/1**). ბ) აქვთ გარეთ გადაშლილი პირი და მომრგვალებული კალთა (**ტაბ.I/2-6**). ორი ჯამის პირ-კედლის ნატეხს ვარდისფერკეციან ზედაპირზე გადავლებული აქვს ყვითელი ანგობი და მოხატულია არა ერთმანეთში შერეული, არამედ ირიბად დახრილი და ერთმანეთის მონაცვლე ფართო ყავისფერი და მოყვითალო ელფერის მქონე ზოლებით (**ტაბ.I/6**). გ) აქვთ მომრგვალებული პირ-ბაკო, რომელიც შერწყმულია კალთასთან (**ტაბ.I/7-9**). „მარმარილოსებური“ დეკორით გაფორმებულია ჯამების პირ-კედლის ზოგიერთი ნიმუშის გარე კალთაც.

ჯამებს ახასიათებს დაბალი, კალთისაგან გამოყოფილი წრიული ფორმის ქუსლი და ბრტყელი ძირი. ზოგიერთი ჯამის ძირზე,

ამოკანრულია კონცენტრული წრე. „მარმარილოსებური“ ტექნიკით გაფორმებულია ან უბრალოდ ერთი ფერის ჭიქურითაა დაფარული, ზოგიერთი ჯამის გარე კალთა და ქუსლის ნაწილიც. გაფორმების ტექნიკით ძირები განსხვავებულია: ა) ძირები, რომელთა მოხატულობაში ნამყვანია მწვანე ფერი. ჯამების შიდაპირი მოხატულია დაკლაკნილი, ერთმანეთში შერეული შავი ან ყავისფერი და მწვანე საღებავებით. ნამყვან ფერს წარმოადგენს სხვადასხვა შეფერილობის მწვანე, მუქი-მწვანე ან ღია-მწვანე საღებავი (ტაბ.I/10-14). ერთ-ერთი ჯამის შიდაპირი მწვანე ფონზე, ყავისფერი ლაქებითაა მოხატული (ტაბ.I/14). ზოგიერთი ჯამის გარე კალთა დაფარულია ღია-მწვანე ან მწვანე მოყავისფრო ფერის საღებავით; ბ) ჯამის ძირები, რომელთა მოხატულობაში ნამყვან ფერს წარმოადგენს ყვითელი. ყვითელ ფონზე მოხატულია დაკლაკნილი ან ერთმანეთში შერეული ყავისფერი ზოლები. ღია-ყვითელი ჭიქურით დაფარულია ამ ტიპის ჯამების გარე კალთა და ქუსლის ნაწილიც (ტაბ.I/15-18). განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი ჯამის ძირი. ჯამის ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ერთმანეთში შერეული ყავისფერი, მწვანე, ყვითელი, შავი საღებავით. ანალოგიური დეკორით გაფორმებულია გარე კალთაც. შიდა ზედაპირზე დეკორის ქვეშ შემოუყვება რამდენიმე კონცენტრული წრე. გადავლებული აქვს კარგი ხარისხის, კრიალა ჭიქური (ტაბ/6); გ) ერთიანდება ჯამები რომელთა მოხატულობაში ნამყვანია ყავისფერი ფონი. ერთ-ერთი ჯამის შიდაპირი გაფორმებულია ყავისფერ ფონზე მოხატული თეთრი ლაქებით, ყავისფერი საღებავით, თეთრი და მწვანე ლაქებით დაფარულია გარე კალთა, ქუსლისა და ძირის ნაწილი (ტაბ.I/19). განსხვავებული დეკორითაა გაფორმებული კიდევ ერთი ჯამის ძირი. ყავისფერ ფონზე მოხატულია ერთმანეთში შერეული, ღია-ციისფერი და მონითალო-მოყავისფრო საღებავებით, ყავისფერი საღებავით დაფარულია გარე კალთაც (ტაბ.I/20).

გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია „მარმარილოსებური დეკორით“ შემკული პატარა ზომის დოქის ხუფიც. ხუფს

ცენტრალურ ნაწილში მიძერწილი აქვს სახელური. შიდაპირი მოჭიქულია ყავისფრად, ხოლო გარე მხრიდან მოხატულია ყავისფერი, მწვანე და ღია-მწვანე საღებავებით (ტაბ. I/21).

ახალი სტილის ე.წ. „მარმარილოსებური ტექნიკით“ შემკული მოჭიქული კერამიკა ჩვენს რეგიონში ვრცელდება ოსმალეთის იმპერიიდან. ამ ტიპის კერამიკის დამზადების საწარმოო ცენტრად მიჩნეულია ქ. სტამბოლში მდებარე თექფიურის სასახლე და ეიუფ სულთნის ხელოსანთა უბანი. როგორც ცნობილია, აქ კერამიკული წარმოება ჯერ კიდევ XV ს-ში იწყება და 1936 წლამდე უწყვეტად გრძელდებოდა. ყოველდღიური მოხმარების მოჭიქული ნაწარმის დამზადება კი, აქტიურად XVI-XVII სს-ში მიმდინარეობდა [Yenişehirlioğlu 1999:43-47]. მას შემდეგ რაც 1718 წლიდან იბრაჰიმ ფაშას ინიციატივითა და თაოსნობით იზნიკის საწარმოო ცენტრის დაცემის შემდეგ, ამ ქალაქში დარჩენილი ხელოსნები თექფიურის სასახლეში გადაიყვანეს, მოხდა ეიუფ სულთნის სახელოსნო უბნის გაფართოება.

როგორც ფიქრობენ, ოსმალეთის იმპერიაში ამ ტიპის კერამიკის წარმოება სწორედ ეიუფ სულთნის ხელოსანთა უბნის გაფართოების შემდეგ XVIII-XIX სს-შორის უნდა დაწყებულიყო და თექფიურის ხელოსნების სახელთანაა დაკავშირებული [Yenişehirlioğlu 2007: 351; Barişta 1999: 156-163; Baş 2012: 14; Findik 2001:16-17]. თექფიურის სასახლეში დამზადებულმა კერამიკამ ძალიან მალე მოიპოვა პოპულარობა.

თავდაპირველად სტამბოლში „მარმარილოსებური“ კერამიკა აღმოჩნდა ბიზანტიური პერიოდის კერამიკასთან ერთად და წარმოების ცენტრი გაურკვეველი იყო, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ოსმალურ მასალებთან ერთად გამოვლინდა საბერძნეთში (დიმეტოკა), სუდანში და ყირიმში, კაფასა და სუდაკის ციხეებზე, რომლებიც თექფიურის სასახლეში დამზადებული ნაწარმის მსგავსი იყო.

საერთოდ ე.წ. „მარმარილოსებური“ კერამიკა პირველად XVI-XVII სს-ში იტალიაში ჩნდება და მას ამზადებდნენ ჩრდილო-

ეთ იტალიის სხვადასხვა საწარმოო ცენტრები (პიზა, მონტელუპო, სავონა ლომბარდია და ა.შ). ამ ტიპის კერამიკა და მისი მინაბაძი ფორმები იტალიიდან ფართოდ ვრცელდება, ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ამერიკის კონტინენტზე და ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. ე.წ. „მარმარილოსებური“ კერამიკა და მისი მინაბაძები ნაპოვნია: ათენში, თებეში, ლარისაში, კორინთოში, არგოსში, ჩლემოუთსის ციხეზე, თესალონიკში, ვერიაში, დიმეთოკაში, ანდროსში, კოსში, სამხრეთ პელეპონესში, სამხრეთ საფრანგეთში (პროვანსი), ბალკანეთის ნ.კ-ზე, კვიპროსზე (ნიქოზია) და თურქეთში (სტამბოლში, ლიკეის კუნძულზე, მერსინში, განოში, მარმარილოს ზღვის სიახლოვეს) [Yenişehirlioğlu 2007: 351; Vroom 2005: 165].

ვფიქრობთ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე აღმოჩენილი ე.წ. „მარმარილოსებური“ დეკორით გაფორმებული ნაწარმი, სწორედ სტამბოლის თექვსიურის სასახლეში და ეიუფ სულთნის სახელოსნო უბანში უნდა იყოს დამზადებული. აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილ მსგავსი ტიპის ნაწარმს მ. მინიშვილი დაღესტნურად ნაკეთობად მიიჩნევს და მის გავრცელებას საქართველოში XVIII ს-ის შუა წლებიდან დარიალის სავაჭრო გზის გააქტიურებას უკავშირებს [მინიშვილი 1976: 48, ტაბ.XI. სურ.2].

ეიუფის ხელოსნების მიერ დამზადებული „მარმარილოსებური კერამიკა“ არქეოლოგიური გათხრების შედეგად დიდი რაოდენობით აღმოჩენილია ყირიმში, კაფასა და სუდაკის ციხეებზე და კავკასიაში. მათი გავრცელება ოსმალთა ჯარისკაცების სახელს კავშირდება [Yenişehirlioğlu 2007: 351; Yenişehirlioğlu 1999: 49]. როგორც ფიქრობენ, ეს ნაწარმი სტამბოლიდან შავიზღვისპირეთის ქვეყნებში საზღვაო გზით ვრცელდებოდა [Yenişehirlioğlu 2007: 351]. ანალოგიური გზით უნდა მოხვედრილიყო საქართველოს ტერიტორიაზეც.

ლიტერატურა

1. **მინიშვილი 1976:** მინიშვილი მ., ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან. თბილისი
2. **Barišta 1999:** Barišta Ö., Eyüp Sultandan Ebru Desenli Seramik ve Çiniler// III, Eyüp Sultan Sempozyumu, 28-30 mayis, 156-163. İstanbul
3. **Baş 2012:** Baş G., Bitlis Kalesi Kazisi Sirlı Seramikleri (2004-2012). Ankara
4. **Findik 2001:** Findik N.Ö., İznik Roma Tiyatrosu Kazi Buluntulari (1980-1995) Arasındaki Osmanlı Seramikleri, Ankara
5. **Vroom 2005:** Vroom J., Bizantine to modern pottery in the Aegean (7th to 20th Century). Bijleveld
6. **Yenişehirlioğlu 1999:** Yenişehirlioğlu F., Eyüp Çömlekçiler Mahalesi Araştırmaları// III, Eyüp Sultan Sempozyumu, 28-30 mayis, 42-51. İstanbul
7. **Yenişehirlioğlu 2007:** Yenişehirlioğlu F., Tekfur Saray Çinileri ve Eyüp Çömlekçiliği// Anadolu'da Türk Devri Çini ve Seramik sanatı. Editörler Öney G., Çobanlı Z., 348-361. İstanbul


Kakhaber Kamadadze

“Marble” Ceramics from the Monuments of South-west Georgia Summary

The new style of producing so-called marble glazed ceramic in the Ottoman Empire is related to the Tekfur Sarayı (palace). The “marble” ceramics made by the masters of Eiufi district were found in a considerable quantity during the archaeological excavations at the castles of Crime, Kafa, Sudaki and the North Caucasus. Their spread is connected to the Ottoman soldiers. They were brought from Istanbul to the Black Sea countries by the sea. Through that way, they must have been brought to the territory of Georgia too. That type of the ceramics has been discovered at Gonio Fortress. Some pieces have been found at Batumi Fortress and at Narikala Fortress in Tbilisi (Eastern Georgia).

In my opinion the production of the “marble” ceramics in the Ottoman Empire begins between XVIII-XIX centuries and after the widening Eiuf Sultan Master’s district it was connected to the Tekfur Palace.

᠒᠔᠔. I



ვაჟა ფარტენაძე

საკულტო კერამიკის ერთი სახეობის გავრცელებისათვის აჭარისწყლის ხეობაში (კვაშტა)

ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია კვაშტის ანტიკური ხანის საფორტიფიკაციო ნამოსახლარის შესახებ, სადაც მცირე არქეოლოგიური სამუშაოებიც კი ჩატარდა და ნათლად დავინახეთ, რომ ეს სოფელი ერთ-ერთი უძველესია ჩვენს ხეობაში. სევე გვაქვს ინფორმაცია აქ არსებულ მდინარეზე ბრინჯაოს უძველესი დამუშავების კერის არსებობის შესახებ, რომელზეც მალე იგეგმება დაზვერვითი ექსპედიცია. 2006 წლის შემოდგომაზე მუზეუმში მოვიდა სოფელ კვაშტის მკვიდრი ავთანდილ სირაბიძე და გვითხრა, რომ სოფელში ერთ-ერთი სახლის დაშლისას უპოვნია ძველი თოფი და შეუნახია. შემდეგ მოსვლაზე მოგვიტანა მონაპოვარი. გაირკვა, რომ იარაღის კონდახი და სასროლი ლულა მთლიანად განადგურებულიყო, მხოლოდ შუა სასხლეტი ნაწილია მთელი, რომელიც დღეს მუზეუმის კუთვნილებაა. ავთანდილ სირაბიძის ურთიერთობა ჩვენს მუზეუმთან ამით არ ამონურულა, არ გასულა დიდი დრო და ავთანდილმა ორი ცალი პატარა ზომის თიხის ჭურჭელი მოგვიტანა, ერთი მათგანი ელინისტური პერიოდის თიხის სასმისია, მეორე ჭურჭელი კი მეტად საინტერესო აღმოჩნდა ჩვენთვის, რომლის ანალოგებიც ერმიტაჟშია დაცული და სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოტანილ ლიტერატურაში კ.ი. ზაიცევას ნაშრომში ვიპოვეთ.

ავტორი მიუთითებს, რომ მსგავსი კერამიკის კვლევას დიდი ყურადღება ექცევა, ნაკლებადაა შესწავლილი პატარა ზომის ფეხიანი თასები. სადგამ-ფეხიანი თასები გვხვდება ბევრგან. ოლბია, ქერსონი და ბოსფორის ყელზე ყუბანის პირეთში. შეისწავლეს სულ 105 მსგავსი ჭურჭელი, ამათი წარმოება ხანგრძლივ დროს მოიცავს, იწყება ძვ. წ. V ს-ში და გრძელდება ახ. წ. III-IV საუკუნეებამდე. ძვ. წ. V-IV საუკუნის ნიმუშები ცოტაა. ძირითადი მასა ელინიზმის ეპოქას განეკუთვნება. მკვლევარი იწყებს ოლბიით და მათ აკუთვნებს საკულტო ნივთს. ოლბიისა ყველა ელინისტური ხანისაა. გამოქვეყნებულია ხუთი თასი (38) სიმაღლე

არაა დიდი, 6,2 – 8,7 – 10 სმ. ერთ-ერთის სიმაღლე 14 სმ-ია. პირის დიამეტრი 6,3 სმ–დან 10,6 სმ-მდე. ძირის დიამეტრი 5,6 სმ-დან 8.7 – 9 სმ-მდე. ფორმა კონსერვატულია ერთნაირია, მაგრამ დეტალები განსხვავდება. კონუსისებურ ფეხს აქვს უმეტესად რელიეფური რგოლი. ერთ ცალ ვაზის სადგამზე ორი რელიეფური რგოლი შემოუყვება. სქელკედლიანია და გვერდით გრძელ ღარიანი. არსებობს რელიეფურ ფეხზე და მასიურრგოლიანი სადგამით.

მნიშვნელოვანია ბევრი სიახლოვე ნაკეთობებს შორის. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიღიღითა და ღრმა ფიალით. მოლუნულ-მომრგვალებული ან პირდაპირი კედლით.

სხვადასხვაგვარადაა გასქელებული კედლები, ბევრ ფიალას პირი შიგნითკენ აქვს გადალუნული. აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე ფიალას ზემო ნაწილი მსუბუქად აქვს მოხრილი, ერთ ცალს ხუფის ადგილიც კი აქვს დატანებული, მაგრამ არც ერთი სახურავი ნაპოვნი არ არის. ფეხები და სადგამებიც სხვადასხვაგვარადაა ნაკეთები განსხვავდება მათი სიმაღლე და დიამეტრი.

ოლბიის ელინისტური ხანის ფიალები განსხვავებულია – ცილინდრული ფორმა მხოლოდ ექვს ნაკეთობას გააჩნია (№53-58), კონუსური შიგთავსით რელიეფური რკალით ფეხზე, ახლოს დგას ზემოთ განხილულ ნაკეთობებთან. სხვა ხუთისაგან განსხვავებით რელიეფური რგოლი დატეულია ქვედა ნაწილში და არა მაღალ ფეხზე.

ოლბიის ფიალებზე დაბლა სადგამსა და შიგნით ფეხზე აქვს კონუსური ჩაღრმავება, რომელიც გაკეთებულია ბასრი საგნით. განსაკუთრებული ნიშნითაც გამოირჩევა 15 ფიალა, რომელიც 0,1 – 1,0 სმ-ის ნახვრეტი აქვს გაკეთებული. ნახვრეტები სხვადასხვა ზომისაა, შესაძლებელია ეს ხვრელები შემდეგ გაკეთებულიყო ან კიდევ დამზადებისას.

თიხა ტიპური, ოლბიურია ღია ყვითელი და ყვითელი (25 ნომერი), ნარინჯისფერი (19 ნომერი), ღია ყავის ფერი (5 ნომერი). ოლბიის ფიალების



ზედაპირზე შემორჩენილია თიხის ფერი ან დაფარულია ღია-ყვითელი ანგობით – შემდეგ დაგრუნტული თეთრი საღებავით. არსებულ 17 ფიალაზე შეინიშნება შეღებვის კვალი. აქედან შეიძლება ითქვას, რომ ფიალების უმეტეს ნაწილზე არსებობდა საღებავით მონიშვნები. მონიშვნა შედგება ვიწრო ჰორიზონტალური ხაზებით. რელიეფური რგოლები ფეხზე შემკულია ვიწრო ზოლებით, ერთი ან ორი ფერის საღებავი, შავი და ყვითელი, ღია ყავის ფერი და ერთი ნითელიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მსგავსი ნივთი – საკულტო დანიშნულების ფიალა ჩვენს კუთხეში დღემდე უცნობი იყო. ახლა სწორედ ამ ნივთზე შევჩერდებით, რომელიც აჭარისწყლის ხეობის მორიგი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მისი მოკლე აღწერილობა ასეთია: კონუსისებურ ფეხზე შემდგარი, მკვეთრად გამო-

ყოფილი ყელი, ზომიერად გადაშლილი პირი, დამზადებულია დაუმუშავებელი თიხისაგან, შეინიშნება არასტანდარტულობა, როგორც ძირის, ასევე ყელის გამოყვანაში,



აკლია პირის ნაწილი. ფიალა საკულტო დანიშნულებისაა, იგი ახლოს დგას ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ საკულტო ჭურჭლებთან. მისი სიმაღლე 6,5 სმ-ია, ქუსლის დიამეტრი 7სმ, პირის – 6,5 სმ. დამზადებისას ძირი შიგნითაა შეწეული, ფიალის სიღრმე 2 სმ-ია.

კვაშტის ფიალა ოლბია, ქერსონურისა და ყუბანის პირეთში აღმოჩენილ ანალოგებისაგან დაუმუშავების ტექნოლოგიით განსხვავდება. იგი ხელითაა ნაძერნი,



საკმაგიოდ უხეშად, შეინიშნება ცეცხლთან სიახლოვის, წვის კვალი. ფიალაში შემორჩენილია ნამწვავი, შავი ლაქები.

ჭურჭლის აღმოჩენის ადგილი აჭარისწყლის ხეობა ჩვენი ქვეყნის საკმაოდ მნიშვნელოვანი ისტორიული კუთხეა. აქ აღმოჩენილია ადრებრინჯაოს ხანის მთლიანად დაცული თიხის ჭურჭლები, ასევე შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს პერიოდის სხვადასხვა სახის სამკაულები თუ სამეურნეო დანიშნულების ნივთები. ნათლად ჩანს, რომ ეს რეგიონი უძველესი დროიდან ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. მნიშვნელოვან აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება აკავრეთას ხეობაში, სიხალიძეებში აღმოჩენილი იშვიათი ტიპის ბრინჯაოს ყუაკვერიანი ცულები. ამ ყველაფერს ხელს უწყობდა აქვე ფერადი ლითონების საბადოების არსებობა.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საკულტო ჭურჭლის აღმოჩენის ადგილიც მეტად მნიშვნელოვანია, სოფელი კვაშტა რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი დიდ როლს ასრულებდა ანტიკური და შემდგომ პერიოდებისათვის ქვეყნის დაცვის სამსახურში. კვაშტის გამაგრებული საფორტიფიკაციო სამოსახლო ძვ. წ V საუკუნით თარიღდება. თანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ტერიტორია ფართოდ ყოფილა დასახლებული. ამდენად აქ მცხოვრებნი ასრულებდნენ იმ დროისთვის დამახასიათებელ რწმენა-წარმოდგენებს და ჩვენს ხელთ არსებული ჭურჭელიც ვფიქრობთ კვაშტის „ზეობის“ ხანას ძვ. წ V საუკუნის ნაკეთობას განეკუთვნება. კვაშტის საკულტო ნივთის მიხედვით ჩანს, რომ კლასიკური ხანისათვის საქართველოს ზღვისპირეთს მჭიდრო კონტაქტები ქონია პონტოსპირეთის სახელმწიფოებთან, კერძოდ ჩრდილო შავიზღვისპირეთთან. მ ურთიერთობის კვალმა, როგორც ვხედავთ აჭარისწყლის ხეობამდე შემოაღწია და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ურთიერთობის შუამავალი უნდა ყოფილიყო ზღვისპირა ქალაქის ტიპის დასახლებები როგორცაა ბათუმის ციხე, ციხისძირი, ფიჭვნარი და სხვა...

Vazha Phartenadze

*For the dissemination of the one species of cult ceramics
in Ajaristskali valley (village Kvashta)*

Summary

The gorge of Acharistskali is always interesting because of its physical geographic disposition and historical archeological monuments. Archeological works conducted here, in this region, confirm that Keda was settled from the ancient period. The newest discoveries show that the native of Keda was separating a metal from the ground with water 500 000 years ago, what was confirmed by the stony troughs found in the rivers. So, now it is clear that this region was tightly settled. The same we can say about Kvashta, where was the defensive settlement in the antique period, that was controlling extensive territory during many years. Exactly here, near this territory is found a small clay bowl, that belong to the V century BC. The analogos are found in the north of Black Sea Side Kerson Olbia Kobani...

გურამ ჩხატარაშვილი

საწურბლიას მღვიმის ფინალური ზედა პალეოლითის კლიმატურ-გეომორფოლოგიური გარემოს რეკონსტრუქცია პალეონტოლოგიური და პალინოლოგიური კვლევების ფონზე


საწურბლიას მღვიმე მდებარეობს ქვედა ცარცული ასაკის, მასიური ტექსტურის მქონე ნაცრისფერ პელიტომორფულ კირქვებში და გააჩნია ჩრდილო-აღმოსავლეთის ექსპოზიცია. მღვიმე 1975 წ. აღმოაჩინა ივ. ჯავახიშივილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქუთაისის მხარის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ პროფ. ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით. მღვიმე ითხრებოდა 1976, 1985-1988, 1990-1993 წწ. კ. კალანდაძის ხელმძღვანელობით. საწურბლიას მღვიმეში სამი კულტურული ფენაა გამოყოფილი: ენეოლითი, ნეოლითი და ზედა პალეოლითი (**მეშველიანი... 2011: 9**).

ახალი ეტაპი საწურბლიას მღვიმის შესწავლის საქმეში დაიწყო 2008 წლიდან. კერძოდ, 2008-2010 წწ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით („მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა დასავლეთ საქართველოში“) მუშაობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიცია თ. მეშველიანის ხელმძღვანელობით; 2012-2013 წწ. საწურბლიას მღვიმის შესწავლას შეუდგა საერთაშორისო საქართველო-ირლანდია-ისრაელის წყალტუბოს ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი). 2014 წლიდან სამუშაოები აღნიშნულ ძეგლზე კვლავ გაგრძელდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის („იმერეთის ქვის ხანის ზოგიერთი ძეგლის გვიან პლეისტოცენისა და ჰოლოცენის პერიოდის კულტურათა გენეზისისათვის“) ფარგლებში (**მეშველიანი... 2014: 23**).

საწურბლიას მღვიმეში მომუშავე მკვლევართა (არქეოლოგები, გეოლოგები, პალეონტოლოგები, პალინოლოგები) მიერ გაკეთდა უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები. ამჯერად, ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ პალეონტოლოგიურ და პალინოლოგიურ კვლევებზე, რომელიც მღვიმეში ჩატარებული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციების დროს შესაბამისი სპეციალისტების მიერ იქნა შესრულებული. ჩვენი მიზანია, ამ მონაცემებზე დაყრდნობით საწურბლიას მღვიმის ფინალური ზედა პალეოლითური ეპოქის კლიმატურ-გეოგრაფიული სურათის ჩვენება.

საწურბლიას მღვიმის ფაუნაში მკვლევართა მიერ დაფიქსირებულია მთლიანი და ფრაგმენტული ძვლის 327 ერთეული. შესაძლებელი იქნა მათი იდენტიფიცირებაც. ესაა: ტახი (*Sus scrofa*) და კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), რომელიც განსაზღვრული ფაუნისტური მასალის ნახევარზე მეტს წარმოადგენს. ჩლიქოსნებში ასევე წარმოდგენილია დიდი ზომის ბოვიდები (*Bos primigenius* and *Bison priscus*), ჯიხვი (*Capra caucasia*) და ირემი (*Capreolus*)

ფინალურ ზედაპალეოლითურ A ფენაში დაფიქსირებული დომინანტი ფაუნა



capreolus). გარდა ამისა, ფაუნაში წარმოდგენილია ხორცისმჭამელი ცხოველების ნაშთებიც. კერძოდ, მურა დათვის (*Ursus arctos*), მგელის (*Vulpes vulpes*) და მელას (*Vulpes vulpes*) (**Pinhasi... 2014: 12**). მკვლევართა მიერ ფაუნისტურ მასალაში დადასტურებულ იქნა ასევე თევზის მალეები და თახვის (*Castor fiber*) ნაშთები. ეს სახეობა გავრცელებული იყო კავკასიაში (**Baryshnikov 2002: 61-67; Vereshchagin 1967**), ვიდრე მე-XIX საუკუნეში ისინი სრულიად არ გადაშენდნენ.

აღსანიშნავია, რომ პალეონტოლოგების მიერ ტახის ძვლები განისაზღვრა, როგორც ახალგაზრდა და ახალშობილი ინდივიდები. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთან, კავკასიაში ტახის გამრავლების პერიოდი მარტი-აპრილია, მაშინ შესაძლებელია, რომ სანურბლიას ბინადარი აქტიურად გვიან გაზაფხულ-ადრე ზაფხულში ნადირობდა, რასაც პალინოლოგიური მონაცემებიც ამყარებს (**მეშველიანი.. 2014: 24-25**).

მღვიმის ფაუნისტური მასალის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა მიკროფაუნისტური ნაშთებიც. უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ მრავალფეროვნებითაც არის წარმოდგენილი. კერძოდ, პატარა მღრნელების, კურდღლის, ღამურასა და სხვ. ნაშთები. როგორც მკვლევართა მიერ იქნა დადასტურებული, მიკროფაუნაში დომინირებული ადგილი უკავია პატარა მღრნელებს (*Arvicolinae voles*) და დიდი ზომის ზაზუნას (*Mesocricetus raddei*), წყლის თაგვის (*Arvicola terrestris*) და თხუნელას (*Ellobius sp.*) ნაშთებს. მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მიკროფაუნაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია მღრნელების ჯგუფში შემავალ შემდეგ სახეობებს – ციყვს (*Sciuridae*) და თაგვისმაგვარ მღრნელს (*Gliridae*). ამასთან ერთად, მღვიმის გვიანი ზედა პალეოლითურ ფენაში აღმოჩნდა ღამურას (*Chiroptera*) და კურდღლის უკბილო ქვედა ყბის ნაშთები (**Pinhasi... 11**).

ფაუნისტური მასალების შესწავლის საფუძველზე მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ფაუნის ძირითადი ნაწილი

კარგად არის შენახული. ჩანს, რომ ძვლების უმეტესი ადგილი ადამიანის მიერაა მოხმარებული და წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით. აქვე, ისინი აფიქსირებენ ძვლებზე არსებულ ნაკანრებსა და ასევე დაზიანებებს, რომელიც მათი აზრით ძვლის ტვინის ამოღებასთანაა უნდა იყოს დაკავშირებული. შეიძლება იმის თქმაც, რომ ძვლებს ადამიანი იარაღის გასაკეთებლადაც ხმარობდა. თითქმის ყველა ძვალი ნანადირევ ცხოველს ეკუთვნის და მონადირეების მიერაა მოტანილი მღვიმეში. ამგვარად, საწურბლიას ბინადარნი კარგი და გამოცდილი მონადირეები იყვნენ, დიდი რაოდენობის ხორცის მოპოვება შეეძლოთ და, რომ მონადირეებს ათვისებული ჰქონდათ ამ რეგიონის განსხვავებული ეკოლოგიური ზონები **(მეშველიანი... 2013: 9)**.

საწურბლიას მღვიმეში მიმდინარე საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ფარგლებში პალეონტოლოგიური მასალების პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობდა პალინოლოგთა ჯგუფის (ე. ყვავაძე, ი. მარტყოფლიშვილი და სხვ.) მუშაობაც. მღვიმის პალინოლოგიური კვლევა 2007 წლიდან მიმდინარეობს. როგორც შესწავლამ აჩვენა, დანალექი ქანები მდიდარია არამარტო მცენარეთა მტვერით და სპორებით, არამედ სხვა ორგანული არაპალინოლოგიური მასალითაც, როგორიცაა ხის მერქანის უჯრედები, სხვადასხვა სახის სოკოს სპორები, მწერებისა და ფეხსასრიანთა მიკროსკოპული ნარჩენები, ასევე სელის ბოჭკოები და სხვ.

პალინოლოგებმა საწურბლიას მღვიმის სხვადასხვა ფენებიდან 40-ზე მეტი ნიმუში შეისწავლეს და გააკეთეს დასკვნა, რომ კლიმატური პირობები დიდ გავლენას ახდენდა ადამიანზე. ადამიანი საწურბლიას მღვიმეში ცხოვრობდა მშრალი და თბილი კლიმატური პირობების დროს, ხოლო ცივ და ნესტიან კლიმატურ პირობებში მღვიმეს ტოვებდა, რადგან ამ დროს მღვიმეში წყალი დგებოდა, რის დასტურიცაა წყალმცენარეების ნაშთების აღმოჩენა. მკვლევართა აზრით, მაშინ როცა


ადამიანი ტოვებდა მღვიმეს, იქ ცხოველები იდებდნენ ბინას **(ყვავაძე... 2011: 85-100)**.

აღსანიშნავია, რომ სანურბლიას მღვიმის არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს აღმოჩნდა საცხოვრებელი დონე – იატაკები, რომელიც თანხმლები არქეოლოგიური მასალით არქეოლოგებისთვის, გეოლოგებისთვის, პალინოლოგებისთვის და პალეონტოლოგებისთვის ინფორმაციის უტყუარი და მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზაა, რომელიც მკვლევარებს საშუალებას აძლევს აღადგინონ იმდროინდელი ადამიანის ცხოვრების სურათი. კერძოდ, ქვის და ძვლის დამუშავების ტექნოლოგია, უძველესი ადამიანის კვების რაციონი, ველური სელის გამოყენება, ნადირობა და სხვ.

მკვლევართა მიერ შესწავლილ იქნა ოთხი ასეთი საცხოვრებელი იატაკი. მათი შესწავლის შემდეგ მივიღეთ შემდეგი სურათი. იმის გათვალისწინებით, რომ ფართოფოთლოვანთა და მათ შორის კაკლის მტვერი, მხოლოდ პირველ და მეორე საცხოვრებელ იატაკზე ჩანს, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ამ დროს კლიმატი უფრო თბილი იყო, ვიდრე მესამე საცხოვრებელი დონის ათვისებისას. ქვედა ფენებში, სითბოს მოყვარული, ფართოფოთლოვანები არაა, მაგრამ აღმოჩენილია ფიჭვის დამწვარი პარენქიმული უჯრედები. მათი აზრით, შესაძლებელია, მესამე და მეოთხე საცხოვრებელის ათვისების დროს, ფიჭვი მღვიმის ახლოს იზრდებოდა, რაც ცივ კლიმატზე მიუთითებს. ფიჭვის მერქანის უჯრედების გარდა, აღმოჩენილია ფიჭვის წიწვის ბაგეები, რომელიც, ისევე როგორც მერქანი დიდ მანძილზე ვერ ვრცელდება. ხის მერქნის და ბაგეების არსებობა კარგი არგუმენტია იმისათვის, რომ სანურბლიას მღვიმის გარშემო ფიჭვის ტყის არსებობა დადასტურდეს. მკვლევართა ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ მასალაში ბევრია ფიჭვის მტვრის მარცვლებიც **(ყვავაძე... 2011: 85-100)**.

პალინოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ასევე უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა დაადასტურა სანურბლიას ზედა პალეოლითურ ფენაში სამკურნალო მცენარეთა ნაშთების დაფიქსირების მხრივ. აღსანიშნავია, რომ სამკურნალო მცენარეთა მტვრიანას ნაშთები მსოფლიოს მრავალ სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზეა აღმოჩენილი (Merlin 2003; Chaves, Reinhard 2003; Eshleman 2003; Magyari... 2013). სანურბლიას მღვიმეში პალინოლოგებმა (ი. მარტყოფლიშვილი, ე. ყვავაძე) 22 ნიმუში აიღეს, რომელთაგან 10 მათგანი იქნა შესწავლილი და გამოქვეყნებული (Martkoplshvili, Kvavadze 2015: 42-52). დაფიქსირდა რამდენიმე სამკურნალო მცენარის მტვრიანას ნაშთები. კერძოდ, ღიღილო – 25 % (C. Jacea), აბზინდა – 10 % (A. Annua), მწარე აბზინდა – 5 % (A. Absinthium), ფარსმანდუკი – 45 % (A. Millefolium) და ჭინჭარი 15 % (U. Dioica).

სანურბლიას ზედა პალეოლითურ ფენაში დადასტურებული სამკურნალო მცენარეების პროცენტული მაჩვენებელი



**მღვიმეში დადასტურებული სამკურნალო მცენარეების
სია და მათი თვისებები**

სახეობა	ფარმაკოლოგიური თვისებები	გამოყენება სახალხო მედიცინაში
Artemisia annua (ბალახოვანი აბზინდა)	ანტი-მალარიული მოქმედება	მალარია
Artemisia absinthium (მწარე აბზინდა)	ანტი-მალარიული, ანტი-ანთებიტი, სიცხის დამწვევი, ეპატროპროტექცია, ანტისეპტიკური, ანტიიკრობული, ტკივილგამაყუჩებელი, ანტირევმატიზმული, კიბო, გულსისხდარღვთა, ათეროსკლეროზი	რევმატიზმული, ათეროსკლეროზის, ტკივილგამაყუჩებელი, მალარიის ცხელების დროს, მუცლის ტკივილის, ჰეპატიტის, კიბოს
Achillea millefolim (ფარსმანდუკი)	ანტი-ანთებიტი, ანტიმიკრობული, ანტიოქსიდანტი, არტერიული წნევის დამწვევი, ბრონქული, ანტიბაქტერიული, კუჭ-ნაწლავის ტკივილის, სესხლდენის შემაჩერებელი, ანტიდეპრესანტი, შარმდენი, სააბორტე საშუალება	კუჭ-ნაწლავის დავადების სანინალმდეგო, ანემია, დიაბეტის, სისხლის შემაჩერებელი

Centaurea jacea (ღი- ლილო)	ანთების სანინაალ- მდეგო, შარმდენის სა- ნინაალმდეგო, ანტი- რევმატიზმის, ანტი- ბაკტერიული, ქოლე- რის სანინაალმდეგო, კუჭ-ნაწლავის, საჭ- მლის მომნელებული	ანტიანთებითი, შარმდენი, დიაბე- ტის
Urtica dioica (ჭინ- ჭარი)	ანტი-ანთებითი, ან- ტიოქსიდანტი, კიბოს სანინაალმდეგო, ან- ტიმიკრობული, გულ- სისხლძარღვთა, ეპატროპროტექცია	რევმატიზმი, ას- თმა, ანათემია, სისხლდენის სანი- ნაალმდეგო, ნიკრი- სის ქარი, სოკოვა- ნი დაავადება

ამდენად, პალეონტოლოგიური და პალინოლოგიური კვლევების ფონზე მტკიცდება, რომ ფინალური ზედა პალეო-ლითის ფაზაში სანურბლიას მღვიმეში ჩანს ხელსაყრელი კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო, რაც სითბოსმოყვარულ მცენარეთა და ცხოველთა არსებობით დასტურდება. სრულიად განსხვავებული სურათია ამავე პერიოდის სხვა ძეგლზე (ძუძუანას მღვიმე), რაზეც შემდგომში გვექნება საუბარი.

დამონებული ლიტერატურა:

1. **მეშველიანი თ., ვეკუა ა., რუსიშვილი ნ., ყვავაძე ე., ჩაგელიშვილი რ., ჯაყელი ნ.,** სახელმწიფო გრანტის „მონადირე-შემგრპოვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა საქართველოში“ ფარგლებში 2008-2009 წწ. ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, თბ., № 20, 2011a, 9-15

2. **მეშველიანი თ., ვეკუა ა., ჩაგელიშვილი რ., ჯაყელი ნ.,** ბელმნიტის საკიდი სანურბლიას მღვიმედან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია, № 5, 2013b, 20-23
3. **მეშველიანი თ., ჯაყელი ნ., პინჰასი რ., ბელფერ-კონი ა., მაცკევიჩი ზ., ბარ-ოზი გ., ჩაგელიშვილი რ., ყვავაძე ე.,** სანურბლიას მღვიმის კომპლექსური კვლევის შედეგები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია, № 6, 2014, 20-36
4. **ყვავაძე ე., მეშველიანი თ., ჯაყელი ნ., მარტყოფლიშვილი ი.,** სანურბლიას მღვიმეში 2011 წელს მოპოვებული მასალის პალინოლოგიური კვლევის შედეგები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია, № 3, 2011, 85-10
5. **Baryshnikov GF.,** Local biochronology of Middle and Late Pleistocene mammals from the Caucasus. Russ J Theriol 1: 61–67, 2002
6. **Chaves M; Reinhard K.J.,** Paleopharmacology and Pollen: Theory, Method, and Application. Mem Inst Oswaldo Cruz, Rio de Janeiro, Vol. 98(Suppl. I): 207-211, 2003.
7. **Eshleman C.,** Upper Paleolithic imagination & the Construction of the Underworld. Published by Wesleyan University Press, Middletown. pp. 161-167, 2003
8. **Martkoplshvili I., Kvavadze E.,** Some popular medicinal plants and diseases of the Upper Paleolithic in western Georgia, Journal of Ethnopharmacology, 42-52, 166 – 2015
9. **Merlin M.D.,** Archaeological evidence for the tradition of psychoactive plant use in the Old World. Economic botany 57(1):295-323, 2003
10. **Magyari, P., Gaydarska, B., Pettitt, P., Chapman, J.,** Palaeoenvironments of the Balkan Lateglacial and their potential- were humans absent from Garden of Edem? Bulg. J. Archaeol. 3, 1–30, 2013.

11. **Pinhasi R., Meshveliani T., Matskevich Z., Bar-Oz G., Weissbrod L., Miller Ch., Wilkinson K., Lordkipanidze D., Jakeli N., Kvavadze N., Higham Th., Belfer-Cohen A.**, Satsurbliia: new insights of human response and survival across the Last Glacial maximum in the Southern Caucasus, PLOS ONE, October 2014, vol. 9, issue 10, e 111271, 1-27
12. **Vereshchagin NK.**, The Mammals of the Caucasus: A History of the Evolution of the Fauna. Jerusalem: Israel Program for Scientific Translations, 1967

Guram Chkhatarashvili

Reconstruction of climatic-geographical environment of final Upper Paleolithic stage of Satsurbliia cave based on Paleontological and Palynological investigations

Summary

In this paper we present Paleontological and Palynological investigations of Satsurbliia cave and show reconstructions of climatic-geographical environment of final Upper Paleolithic stage. According to materials we can see information about human activities such as hunting, cooking, the use of fibers and some medical plants.

*ირინე ვარშალომიძე,
რეზო ტაკიძე*

კირმანული თეთრი სოფელ აჭყვისთავიდან

2014 წელს სოფელ აჭყვისთავში, ადგილობრივმა მცხოვრებმა ავთანდილ მემარნემ მიწის სამუშაოების დროს ვერცხლის მონეტები იპოვა. ერთ ერთი მონეტა წარმოადგენს XIII-XV სს მოჭრილ დასავლეთ ქართულ ვერცხლის ფულს – კირმანულ თეთრს. მეორე კი გვიანი შუასაუკუნეების ოსმალურ ვერცხლის ახჩას. მემარნის ინფორმაციით იმ ადგილას სადაც მონეტა იპოვა, ეკლესია იდგა, რომლის ნანგრევებიც გასული საუკუნის 70-იან წწ ციტრუსების პლანტაციის გაშენების დროს ტრაქტორით გადათხარეს. 2014 წელს ორთავე მონეტა ავთანდილ მემარნემ ქობულეთის მუზეუმს გადასცა. ამჯერად ჩვენი კვლევის ობიექტი მხოლოდ კირმანული თეთრია.



შუბლი: წმ.ევეგენიოსის გამოსახულება წელზევით პირდაპირ.თავზე შარავანდედი ადგას და წმინდანის სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია. მარცხენა დოინჯშემოყრილი. აქვს ბერძნული წარწერა: ΓΕΝΙ.

ზურგი: კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. თავის ზედა ნაწილი სიქის არასწორად დარტყმის გამო მონეტა-

ზე არაა აღბეჭდილი. შემოსილია გრძელი და განიერი სამოსით. ჰორიზონტალურად განვდილ მარცხენა ხელში ჯვრიანი სფერო უჭირავს. მოხრილ მარჯვენა ხელში-მოკლებუნიანი ლაბარუმი. მარჯვენა ზედა კუთხეში ღვთაების მაკურთხებელი ხელი. ქვე-მოდ სოლომონის ბეჭედი. ბერძნული წარწერა: ... OKO..

1204 წელს ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და ბიზანტიის სამფლობელოები გაინაწილეს. საქართველოს ჯარმა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო დაიკავა და ტრაპიზონის დამოუკიდებელი სამეფო შექმნა. მეფედ საქართველოს სამეფო კარზე გაზრდილი ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენი დასვა. მალე საქართველოს მონროლები შემოესია. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ მონლოლებმა სამეფო ტახტზე ორივე პრედენდენტი დავით ულუ და დავით ნარინი დაამტკიცეს. მონლოლებს დავით ნარინი აუჯანყდა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. სადაც დარჩა სიკვდილამდე. მონლოლების წინააღმდეგ მებრძოლ ნარინს არ დავინწყებია ის პოლიტიკური უპირატესობა, რომელიც ქართველებს XIII საუკუნის დამდეგისათვის ჰქონდათ ტრაპიზონში მოპოვებული. 1282 წ. დავით ნარინი ტრაპიზონს შეესია და ალყა შემოარტყა. ტახტზე საქართველოში გათხოვილი იოანეს II-ს და თეოდორა ავიდა. ტრაპიზონთან ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს ტრაპიზონის ასპრების გვერდით ჩვენში ამავე ტიპის ფულის გაჩენა. სწორედ ასეთ ვითარებაში უნდა წარმოშობილიყო კირმანეული თეთრი. როგორც ვარაუდობენ ეს მონეტები დავით ნარინს უნდა მოეჭრა (თ.აბრამიშვილი, 1984:8). ტრაპიზონის კეისრების მანუილ I-ის და იოანე II-ის ასპრების მიბაძვით. მათი გამოყოფა ორიგინალებისაგან რთულია. ემისია დაიწყო XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან და გაგრძელდა XV საუკუნის ჩათვლით (გ.დუნდუა, ი.ჯალალანია, 2009:92|93).

კირმანეული თეთრი დასავლეთ საქართველოშია ძირითადად აღმოჩენილი განძებისა თუ ერთეულების სახით: ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, ვანში, ზუგდიდის მიდამოებში და ა.შ. რამდენიმე შემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოშიცაა დაფიქსირებული (თ.აბრამიშვილი, 1984:108,113). რაც შეეხება ჩვენს რეგიონს, აქ

კირმანეული თეთრის გამოვლენის ერთი შემთხვევაა ცნობილი. 1954 წ. ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში აღმოჩენილია კირმანეული. იგი მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა (თ.აბრამიშვილი, 1984:112). 2 ტრაპიზონის ასპრი გვხვდება ციხისძირის XIII ს. სელჩუკური მონეტების განძში (გამოუქვეყნებელია). როგორც ვხედავთ ანალოგიური ფული ჩვენთან მეტად მცირე რაოდენობითაა მოპოვებული. ამიტომაც აჭყვისთავის აღმოჩენას ამ კუთხითაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აქამდე ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან მონეტები ცნობილი იყო მხოლოდ ზღვისპირა სექტორში: ციხისძირი, ქობულეთი, ბობოყვათი, ფიჭვნარი. ახალმა მონაპოვარმა კი გვიჩვენა რომ ფულადი მიმოქცევა და სავაჭრო ურთიერთობები განვითარებული ყოფილა რეგიონის სიღრმეშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ.აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, თბ.1984;
2. გ.დუნდუა, ი.ჯალალანია, ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ. 2009.

Irine Varshalomidze,

Rezo Takidze

“Kirmaneuli Tetri” from the villiage Achvistavi Summary

In 2014 in Achkvistavi village (kobuleti) Avtandil Memarne found a coin in his homestead. Obv. St.Eugenius bearded, with the cross. Greek inscription. Rev. King with labarium and globe. Solomon’s seal. Greek inscription. Kirmaneuli Tetri were minted and circulated in West Georgia until the 16 th c., over two centuries after the changing the monetary type in the Empire of Trabizon at the beginning of the 14 th c.

*ელგუჯა მაკარაძე
თემურ ავალიანი*

**არტაანელთა ისტორიული მეხსიერების საკითხები –
ნაშრომი შესრულებულია საგარანტო პროექტის
(FR/1962-105/14) „არტაანის ქართული კულტურული
მემკვიდრეობის ძეგლები“-ს ფარგლებში)**

წინამდებარე ნარკვევი ემყარება 2015-2016 წლებში თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ, არტაანის ოლქში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (NFR|196|2-105|14), „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების“, ფარგლებში ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციების დროს მოპოვებულ მასალებს.

საზოგადოდ, ცნებები: „ისტორიული მეხსიერება“, „კულტურული მეხსიერება“, „კოლექტიური მეხსიერება“, „სოციალური მეხსიერება“ თანამედროვე ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო დარგებში ფართოდ გამოიყენება. მათი საერთო ნიშანი ის არის, რომ ერის, კოლექტივის, სოციალური ჯგუფის მოღვაწეობის პროცესში ყალიბდება სპეციფიკური მნიემონიკური მექანიზმი, რომელიც ცოდნის, ინფორმაციის დაცვას და გადაცემას უზრუნველყოფს. თითოეული ეს ტერმინი შეიცავს კონკრეტული შინაარსს, თუმცა ხშირად ადგილი აქვს მათ ნიველირებას, ან ერთი ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენებას. საკუთრივ „ისტორიული მეხსიერების“ სტრუქტურას აყალიბებს: 1)მატერიალური კულტურის ძეგლები 2) სოციალური ურთიერთობების ფორმები 3)ენა, ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს სულიერი კულტურის მრავალ ასპექტს, მათ შორის ფოლკლორს (ნეკელიუდოვი, 2007: 77-86). ჩვენი დაკვირვების საგანს სწორედ უკანასკნელი, მესამე კომპონენტი წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავთ, რომ გვექონდა რა ინფორმაცია, აღნიშულ ტერიტორია ქართული მოსახლეობისაგან პრაქტიკულად დაცლილია, ხოლო მათ ნამო-

სახლარზე დასხლებულან ეთნიკური თურქები, ქურთები, სომხები და ა.შ.,—ცხადია, აქ ვერ შევავსოვებდით ქართულ ენაზე არსებულ კლასიკურ ფოლკლორულ არტიფაქტებს, ამიტომ გამოვეკვეთეთ მუშაობის სტრატეგია: უნდა დავკვირებოდით არტაანელთა ისტორიულ მეხსიერებას, კერძოდ, მათ ხსოვნაში შემორჩენილ, დაღეძილ ცნობებს ქართველებზე, მათ კულტურასა და ისტორიაზე. ვითვალისწინებდით იმასაც, რომ ისტორიულად აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა განსხვავებულ კულტურათა თავმოყრას, შესაბამისად, კულტურათა დიალოგს. ამის გათვალისწინებით შევადგინეთ კითხვარი, რომლის მიხედვითაც უნდა ჩავგვეწერა: ტოპონომური თქმულება-გადმოცემები, ზეპირი ისტორიები, მატერიალური კულტურის ძეგლებთან (ციხეები, ეკლესიები) დაკავშირებული ინფორმაცია და თქმულებები. ექსპედიციის მსვლელობამ აჩვენა, რომ ჩვენი სტრატეგია სწორი აღმოჩნდა—შესასწავლ რეგიონში აღარ ცხოვრობს ქართული მოსახლეობა ან, თუ ცხოვრობს, დაუკარგავს კულტურული იდენტობა და, შესაბამისად, არ არსებობს ქართული ფოლკლორი. სამაგიეროდ, აქაური მოსახლეობის მეხსიერებაში, მწირად, მაგრამ მაინც, ჯერ კიდევ შემორჩენილა ხსოვნა ქართველებზე, მათ განსახლებაზე, ციხეებსა და ეკლესიებზე, ტოპონიმებზე. თუმცა, ამ თვალსაზრისით, თანამედროვე არტაანის სხვადასხვა რაიონი განსხვავებულ სურათს აჩვენებს. კერძოდ, ჩვენ მიერ დასახული ამოცანის გათვალისწინებით, შედარებით საინტერესო აღმოჩნდა ფოცხოვი: აქაურთა მეხსიერებაში შედარებით უკეთ არის შემონახული ქართული ტოპონიმები, თქმულებები, ზეპირი ისტორიები ქართველებზე (ქართველობაზე), მათთან ურთიერთობაზე, საერთო ისტორიაზე. მეტიც, მათი მონათხრობიდან ჩანს, რომ გამოყოფენ თავს დანარჩენი არტაანელებისაგან, ისტორიულად ქართველებთან უფრო მეტ სიახლოვეზე მიუთითებენ. აი, რა მოგვიყვა 86 წლის ფოცხოველი, მუსტაფა ერდერი: „აქურები (ფოცხოველები-ე.მ.) ადრე დასახმარებლად არა არტაანელებს, არამედ ქართველებს, აჭარლებს ვუხმობდით. მახსოვს, 10-15

ცხენოსანი ჩამოსულა ჩვენს დასახმარებლად. არდაანში დღესაც გვეუბნებიან-განსხვავებულნი ხართ: მალღები, ლამაზები, ამაყე-ბიო. ოღუზების (ყივჩაღების-ე. მ.) შთამომავლები ვართ. ბაბუა ამბობდა, აქ ბევრი გურჯი ცხოვრობსო“.

ექსპედიციის მუშაობის პერიოდში გამოვკითხეთ 40- მდე ინფორმატორი, ჩავინერეთ 65 ერთეული ტექსტი. მათი ჟანრული მახასიათებელი ძირითადად ასეთია: ტოპონიმური გადმოცემები, ზეპირი ისტორიები, თქმულებები. მასალაზე დაკვირება საშუა-ლებას გვაძლევს, გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა:

1) არტაანის მოსახლეობაში ქართველებსა და საქართველო-ზე ასე თუ ისე ინფორმაცია აქვთ ფოცხოვის რაიონში, აგრეთ-ვე, სამხრეთ საქართველოდან, კერძოდ, მესხეთიდან გადმოსახ-ლებულ მაჰმადიანი მესხების შთამომავლებს. ისინი მესხეთიდან გადმოსახლების თარიღად ასახელებენ პირველი მსოფლიო ომის პერიოდს. კომპაქტურად დასახლებულან სოფლებში: ბაღდაშენი, ჭინჭრობი, ბაღქიჩილანი (ისტორიული სოფელი დუდუნა). აღ-ნიშნულ სოფლებში, მათი გადმოცემით, ადრე ქართველები სახ-ლობდნენ. მაგალითად, სოფელ ჭინჭრობში 91 წლის ქიაზიმ არჯი მოგვიყვა, რომ მისი წინაპრები ამ სოფელში ახალციხიდან გად-მოსულან. თავად მას ცოლად შეურთავს XIX საუკუნის დასან-ყისში აჭარიდან, ხულოს რაიონის სფელ ბაკოდან არტაანში საც-ხოვრებლად გადმოსული მიქელაძეების ქალი. ქიაზიმის თქმით, ჭინჭრობში ბოლო დრომდე 7 ქართული ოჯახი ცხოვრობდა. მათ შორის, ერთი, 73 წლის ქემალ დემირის ოჯახი (ხულოდან, სო-ფელ ნაბლანიდან 1919 წელს გადმოსახლებული მიქელაძეების შთამომავალი) დღესაც აღნიშნულ სოფელში ცხოვრობს. აჭარა-სა და მესხეთ-ჯავახეთთან უფრო ინტენსიური კულტურულ-ის-ტორიული კავშირი ჰქონიათ ფოცხოველებს. აქ, სხვადასხვა სო-ფელში, არაერთ აჭარიდან და მესხეთიდან გადმოსახლებულთა შთამომავალს შევხვდით. ფოცხოველები მოგვითხრობენ, რომ ინტენსიური მიმოსვლა ჰქონიათ მესხეთსა და აჭარაში, იქ ჰყავთ ნათესავებიც.

არტაანის მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ისტორიულად აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ არა ქართველები, არამედ თურქები, სომხები, ბერძნები ან სულაც რუსები. მათ არ ახსოვთ (არ იციან), ხოლო ხშირად, გარკვეული იდეოლოგიური კონიუქტურის გავლენით, უარყოფენ აღნიშნულ ტერიტორიაზე ოდესღაც ქართული სოფლებისა და მოსახლეობის არსებობას. საგულისხმოდ გვეჩვენა სოფელ ბიორკში ადგილობრივი მცხოვრების, ოქტაი აქფინარის (წარმოშობით ჩეჩენი, 64 წლის), ნაამბობი, რომ აქ ქართველები დღესაც ცხოვრობენ, თუმცა მალავენ თავის წარმოშობას. არტაანელთა ამ ნაწილის მონათხრობიდან არ ჩანს, რომ მათ ოდესმე „კულტურული დიალოგი“ ჰქონდათ ქართველებთან (ყოველ შემთხვევაში კულტურული ურთიერთობის ყოველგვარი კვალი ნაშლილა). საერთო შთაბეჭდილება კი ისეთი გვეჩვენებს, რომ როდესაც თანამედროვე არტაანელთა წინაპრები აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსულან და დასახლებულან, იქ ქართველები უკვე აღარ სახლობდნენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამ დროისთვის დაკარგული ჰქონდათ კულტურული იდენტობა. ამას მოწმობს ისტორიული ცნობებიც. კერძოდ: 1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში 12738 კომლიდან 12339 ქართველია (გურჯისტანის...1958:500-501). თუმცა უკვე რუსეთის იმპერიის 1897 წლის აღწერის მასალებში (რუსეთის...1904:34-35) კარგად ჩანს, რომ დემოგრაფიული სურათი მკვეთრად შეცვლილა: არტაანში ყოველ ათას კაცზე მოდის 807 მუსულმანი, 147-მართლმადიდებელი (ქართველები, ბერძნები, რუსები), ხოლო დანარჩენი-სხვა აღმსარებლობის. ამათგან ქართულ ენას ფლობს 93 კაცი და 33 ქალი

2)კითხვაზე-თუ სად წავიდა (გადასახლდა) ადგილობრივი, ძირძველი (ავტოქტონური) მოსახლეობა, არტაანელები ასახელებენ ფოცხოვს (ფოსოვს), შედარებით იშვიათად-ართვინს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ამ რეგიონში ქართველები სახლობენ. არტაანელები ქართველებისაგან ტერიტორიის დაცლის მიზეზად

ძირითადად ასახელებენ ავადმყოფობობის გავრცელებას, ეპიდემიას (ზოგჯერ აკონკრეტებენ-შავ ჭირს). მაგალითად, სოფელ კალეჯიკში მოგვიყვინენ, რომ დიდი ხნის წინ აქ შავი ჭირის ეპიდემია გავრცელებულა, მოსახლეობის დიდი ნაწილი გარდაცვლილა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანს მოუსწრია ფოცხოვში გადახვეწა. არც ისინი და არც მათი შთამომავლები უკან აღარ დაბრუნებულან, სოფელი გავერანებულა. დიდი ხნის შემდეგ აქ თურქები მოსულან და დასახლებულან (მთქმელი- სინაში ჩახმახ, 69 წლის). ჰანაკის რაიონის სოფელ ავჯილარში ქართველების გადახვეწის მიზეზად დაგვისახელეს მიწისძვრა, გვაჩვენეს ნასოფლარიც, რომელიც ერთ დროს ქართველებით ყოფილა დასახლებული (მთქმელი-სერაათან აიდემირ, 61 წლის).

3) არტაანელები ჰყვებიან, რომ ეკლესია-მონასტრები, რომელთა მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი, თითქოს ააშენეს არა მარტო ქართველებმა, არამედ სომხებმა, ბერძნებმა, რუსებმა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მარტო მეხსიერების პრობლემასთან, არამედ გარკვეული პროპაგანდის შედეგთან, რომელიც აღნიშნულ რეგიონში დიდი ხანია მიმდინარეობს. იგივე შეიძლება ითქვას ციხეებსა და საფორტიფიკაციო ნაგებობებზე. კერძოდ, მიუთითებენ, რომ მათი დიდი ნაწილი აშენებულია თურქების მიერ, ასახელებენ ბერძნებს, რუსებს, ქართველებს. კალეჯიკის, ადრინდელი კუმურლუხის ციხის, შესახებ აღნიშნავენ, რომ ურარტუს ეპოქის ძეგლია. სხვა ინფორმატორის თქმით, ციხე “გურჯმა” დევებმა (გოლიათებმა, ტიტანებმა-ე. მ.) ააშენეს, ხოლო ციხის ქვეშ გადის „ალთინ სუი“-ოქროს წყალი.

4) არტაანელთა მეხსიერებაში, თუ არ ჩავთვლით ფოცხოვს, ქართული ტოპონიმების კვალი პრაქტიკულად წაშლილა. თითზეა ჩამოსათვლელი ქართული წარმოშობის ტოპონიმები, რომლებიც აქ ახსოვთ, კერძოდ: ჭინჭრობი, დუბიხევი, თოროხევი. რაც შეეხება ფოცხოვს, როგორც ვთქვით, აქაურთა მეხსიერებას ქართული მიკრო და მაკროტოპონიმები შედარებით უკეთ შემოუნახავს.

კერძოდ: ხევიჭალა, ხევეთი, გორიძირი, ჭანჭახი, ღორღელე, ჭუანთელი, ნაბახტევი, შუარტყალი, სათლე(სათლელი), ლამიანი, შურლაული, გიორგინმინდა, გიორგისუბანი, აგარა, ორთამელე, ჭაბორია, ბანარხევი დ. ა. შ. მიუხედავად მოლოდინისა, თითო-ოროლა ნიმუშის გარდა, ვერ მოვიპოვეთ ტოპონიმური თქმულება-გადმოცემა. რაც ჩავინერეთ, ისიც ტოპონიმის ახსნის მცდელობაა. მაგალითად, მოგვიყვინენ, რომ არსიანის მთების სახელი მომდინარეობს იმ მეომრის საკუთარი სახელიდან, რომელსაც ეს მიწა დაუპყრია, ბრძოლით მოუპოვებია. შადევანი (სოფელია მდინარე მტკვრის სათავეში) მომდინარეობს „შადრევანიდან“-სოფელი მდიდარია წყლით. ბაგდაშენი, რომელიც მდიდარია ხილით, მომდინარეობს ბალიდან. კარგი ყველის დამზადებით ცნობილი სოფელ ქოლქოის სახელი უკავშირდება „ყველის ერთ კოლს“, აგარა უნდა მომდინარეობდეს „აგერადან“, („აგერ არის“) დ. ა. შ.

5) არტაანელებს აქვთ გადმოცემები, რომლებიც ციხეების მშენებლობას შეეხება. მაგალითად, სოფელ ბიორკაში მოგვიყვინენ, რომ კოშკი, რომელიც მალლობზე მდებარეობს, აუგიათ იმ გოგონასთვის, რომელსაც მამამ ბალახის ცელვის დროს ფეხი მოაცალა. გოგონას ძმებს, ისინი ორნი ყოფილან, დახეიბრებული დისათვის საცხოვრებლად კოშკი აუგიათ (მთქმელი ოქთაი ფერათოღლუ, 64 წლის). ფოცხოვში დიდი ხნის წინ მერეს ციხის მფლობელს ულაშხესი ქალი შეჰყვარებია და მისი ცოლად მოყვანა განუზრახავს, თუმცა, ქალს სხვა ჰყვარებია და უარზე მდგარა. ის მოიტაცეს და ციხის მფლობელს მიჰყვარეს, თუმცა თავს იმით უშველა, რომ ციხის ქონგურებიდან გადაეშვა და დაიღუპა. ის იქვე, ციხეში, დაუკრძალავთ (მთქმელი ერგუნ თანრიოგლუ, 81 წლის). ქინძოტამალას ციხის შესახებ გვიყვებიან, რომ ის რუსებს აუშენებიათ. ციხის ქვემოთ გვირაბი გაუთხრიათ, რომელიც მოპირდაპირე ხეობაში გადიოდა. ერთ-ერთი შემოსევის დროს, მოლალატეს გაუთქვამს ციხის საიდუმლო და გვირაბი მი-

წით ამოუვსიათ (მთქმელი ისმეთ ფერჰაჩი, 67 წლის). მსგავსი ნა-
რატივი არაერთ სხვა ციხესთან დაკავშირებითაც მოგვიყვანენ.

6) ფოლკლორი ღია სისტემაა, რომელშიც შეედინება საერ-
თაშორისო გავრცელების სიუჟეტები, თემები, მოტივები, სახეე-
ბი და ნაციონალური სამოსელით იმოსება. სამხრეთ საქართვე-
ლოს ფოლკლორში გვხვდება არაერთი სიუჟეტი, პერსონაჟი და
ჟანრი, რომელიც აქ აღმოსავლური, მათ შორის თურქული,
ფოლკლორიდან შემოსულა და დამკვიდრებულა. მაგალითად,
ასეთია განსაკუთრებული პოპულარობით გამორჩეული, XVI-
XVII საუკუნეებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილი, ქო-
როლლის ეპოსი, რომელიც განსხვავებულ ეთნოკულტურათა
შორის ეპიკური სიუჟეტის საერთაშორისო გავრცელების პრე-
ცედენცია. უშუალოდ აზერბაიჯანულიდან მომდინარეობს ეპო-
სის ამიერკავკასიურ-ქართული და თურქული ვერსიები (ჩლაიძე
1978:45-49). აღნიშნული ძეგლის არაერთი ვარიანტია დაფიქსი-
რებული აჭარულ ზეპირსიტყვიერებაშიც (კაშია 2016). ფოცხოვში
თურქულ ენაზე ჩავინერეთ ქოროლლის რამდენიმე ვარიანტი,
რომელიც ახლოს დგას სწორედ აჭარულთან. ეს არც უნდა იყოს
გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე გვაქვს ისტორიუ-
ლად ერთგვაროვან კულტურულ-გეოგრაფიულ არეალთან.

აღმოსავლური ფოლკლორის პოპულარული პერსონაჟია
ბრძენი ლუყმანი, რომლის შესახებ არაერთი თქმულება-გადმო-
ცემა მოიპოვება ქართულ, კერძოდ, აჭარულ და ლაზურ ზეპირ-
სიტყვიერებაშიც. „ლუყმან-ეჟიმი“-ასე ეძახიან აჭარაში უკვდა-
ვების მაძიებელ გმირს, რომლის სახეც მრავალმა აჭარულმა
გადმოცემამ შემოგვინახა. იგი მსოფლიოს ისლამის აღმსარებე-
ლი ხალხების მითოლოგიური პერსონაჟის-ლუყმანის ადგილობ-
რივი კოლორიტული სახეა“ (თავდგირიძე 2001:72). ლუყმან-ეჟი-
მი პოპულარული პერსონაჟია არტაანელთა ფოლკლორშიც,
თუმცა აქ, აჭარულისგან განსხვავებით, მის სახეს დაჰკრავს
ირონიული, კომიკური ელფერი. მაგალითად, ფოცხოვში ჩვენ მი-
ერ ჩანერილ ტექსტებში გვხვდება ასეთი პასაჟი: „ლუყმან ეჟიმს

უთხრეს, რომ ავადმყოფობაა გავრცელებულიო. ამის გაგონებაზე, შეშინებულმა უკანმოუხედავად მოკურცხლა, გაიქცა“, ან კიდევ: „ლუყმანს თანასოფლელებმა შესჩივლეს: შენი ვაჟი ცხენზე ამხედრებული მოდიოდა, ჩვენს დანახვაზე ცხენიდან გადმოხტა და მოფსაო. ლუყმანს ასეთი პასუხი გაუცია: ჩემი ვაჟი რომ ყოფილიყო, პირდაპირ ცხენიდან გადმოაფსამდაო“ (მთქმელი მუსტაფა ერდერ, 86 წლის).

საყურადღებოდ გვეჩვენება შაკიკის სამკურნალო შელოცვის ტექსტი, რომელიც სოფელ სათლელში ჩავინერეთ (მთქმელი ემინ ჩავუში, 65 წლის):

„შაკიკი შამიჯი,
დარიკოსა სათაბურჩასა ბოლოსა,
რევასხანიათა თიასა,
ასისკანსა ქიასა,
სიმინდი, გორია,
გაბალა ბილესა“

როგორც ვხედავთ, ტექსტი, მისი სიტყვები დამახინჯებულია, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთქმელმა საერთოდ არ იცის ქართული ენა, შესაბამისად, მან ვერ მოგვცა ცალკეული სიტყვების განმარტება. თუმცა, ის გვარწმუნებდა, რომ მთლიანად ტექსტს, თითოეულ სიტყვას მაგიური ძალა აქვს და შაკიკის დაავადებას ჰკურნავს.

ამრიგად, საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ თანამედროვე არტანელთა ისტორიული მეხსიერების მხოლოდ ზოგადი კონტურები. იმედი გვაქვს, უფრო კონკრეტული დასკვნების გაკეთებაში დაგვეხმარება მომდევნო ექსპედიციებში მოპოვებული მასალა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურჯისტანის...1958: გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, III, ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, თბილისი;
2. თავდგირიძე 2001: თავდგირიძე ს., მითოლოგიური გადმოცემები აჭარაში, ბათუმი;
3. კაშია 2016: „ქოროლლის ეპოსის“ ქართული ვერსიის აჭარული ვარიანტები, დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, იხ., ინტერნეტრესურსი: bsu.edu. Ge;
4. ჩლაიძე 1978: ჩლაიძე ლ., ქოროლლის ეპოსის ქართული ვერსია, თბილისი;
5. ნეკლიუდოვი 2007: Неклюдов С. Ю. Заметки об исторической памяти в фольклоре, Studia Ethnologica, IV, С.-Петербург.,;
6. რუსეთის...1904: Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г. Тетрад 2.

Elguja Makaradze

Temur Avaliani

Historical memory of Ardahan people

Summary

The article deals with historical memory of Ardahan people. The conclusions are based on the materials obtained during fieldwork, namely: in toponyms and toponymic stories-legends, oral history, folklore artifacts.

**მასალები ქართველ მუჰაჯირთა
შთამომავლების დასახლებებითვის თურქეთის
შავიზღვისპირეთში**

თურქეთი, საქართველოს სამხრეთი მეზობელი ორ კონტინენტზე გადაჭიმული უზარმაზარი ქვეყანაა. გეოგრაფიულად ქვეყანა დაყოფილია 7 რეგიონად, რაც შეეხება ოფიციალურ ადმინისტრაციულ სტრუქტურას, რეგიონები იყოფა პროვინციებად (ილებად). სულ თურქეთში 81 პროვინციაა. პროვინციები თავის მხრივ რაიონებად (ილჩეებად) იყოფა და მათი რაოდენობა 923-ს შეადგენს.

თურქეთში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს. ისინი თვითდასახელებისას, ეთნიკური ვინაობის განსაზღვრისათვის იყენებენ ცნებებს „ქართველი“, „გურჯი“, „ჩვენებური“, „ლაზი“. ეს თემა ვრცელ განსჯას იმსახურებს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ თვითდასახელებაში ფიგურირებს „გურჯი“ და „ლაზი“. მუჰაჯირთა შთამომავლის თუ შავშ-კლარჯის „გურჯი“ არასდროს გულისხმობს „ლაზს“ და ისიც ცნობილი ფაქტია, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზები, მათ შორის, ცხადია, მუჰაჯირთა შთამომავლები, იშვიათი შემთხვევების გარდა, თავს ქართველი ერის ნაწილად არ მიიჩნევენ. საზოგადოდ კი, თურქეთში მცხოვრები ქართველები (საკუთრივ ლაზების ჩათვლით), უმეტესად, ლაზებს ქართველების ახლო ნათესავ, მაგრამ დამოუკიდებელი ნაციონალობის ხალხად მიიჩნევენ. ერთი გურჯის ფორმულირებას თუ გამოვიყენებთ, „ჩვენ ერთი ძირი (// ფესვი) გვაქვს“ (ჩოხარაძე, 2016 (1) : 32).

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებზე საუბრისას ქვემოთ მხოლოდ გურჯების დასახლებებით შემოვიფარგლებით თუმცა აღვნიშნავთ, რომ ისტორიული ლაზეთის მიღმაც, თურქეთის შიდა პროვინციებში მრავალი ლაზური დასახლებაა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველები თურქეთის არაერთ პროვინციაში ცხოვრობენ, მეტადრე, ქალაქებში, მაგრამ კომპაქტური დასახლებები თავმოყრილია მარმარილოს და შავი ზღვის რეგიონში (შავი ზღვის რეგიონის ფარგლებშია ართვინის პროვინციაც, რომელშიც, ძირითადად, ისტორიული სამხრეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობს).

სულ თურქეთში მუჰაჯირთა შთამომავლების ოთხასზე მეტი სოფელია. ქართველთა დასახლებების სისტემატიზაციისთვის კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო, და შესაბამისად, სტატიაში წარმოდგენილი მონაცემების გარკვეული ნაწილი ჯერაც დასაზუსტებელი და შესავსებია, მიუხედავად ამისა, მონაცემთა სისტემატიზაციის აქ წარმოდგენილი საფუძვრი შეიძლება მივიჩნიოთ მომავალი კვლევების ერთგვარ საფუძველად და მასალად პირველადი სურათისთვის.

სხვა მონაცემებთან ერთად, ქვემოთ წარმოდგენილია 280 სოფლის სია. სამხრეთ საქართველოდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების რაოდენობა თურქეთის შავიზღვისპირეთში უფრო მეტია, მაგრამ ჩამონათვალში შევიტანეთ მხოლოდ ის სოფლები, რომლებშიც დღემდე ლაპარაკობენ ქართულად ან ნასახი მაინცაა შემორჩენილი ქართული ენისა. ამჯერად არ ვმიჯნავთ წმინდა ქართულ და შერეულ სოფლებს. მონაცემები მომავალში კიდევ დაზუსტება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დასახლებული რიცხვი, ამ ეტაპზეც, რეალობასთან მიახლოებულია.

სოფლებთან ერთად ვცდილობთ, მივუთითოთ რეგიონი, საიდანაც ამ სოფლის მოსახლეობაა წასული (აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო), აგრეთვე რაიონი ან ხეობა. მაგალითად, ჩვენ მიერ მითითებული საგეოგრაფიო სახელი აჭარა შეესაბამება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიას. იქვე ვცდილობთ მონაცემის დაზუსტებას, დაკონკრეტებას რაიონის ან ხეობის დონეზე აქ, ერთი მხრივ, მუჰაჯირთა შთამომავლების თვითდასახელების, მეორე მხრივ, თანამედროვე ადმინისტრაციული

სტრუქტურის საფუძველზე გამოვყოფთ შემდეგ რაიონებს ან ხეობებს: 1. ხულო; 2. შუახევი; 3. ქედა (ზოგჯერ, როცა მასალა უფრო მეტი დაკონკრეტების შესაძლებლობას არ გვაძლევს, დასახელებულ რაიონებს ვაერთიანებთ ერთი საგეოგრაფიო სახელის („აჭარისწყლის ხეობა“) ფარგლებში); 4. მაჭახელი; 5. ბათუმი – ვგულისხმობთ დაახლოებით თანამედროვე ხელვაჩაურის რაიონს (ნიგალის ხეობის საქართველოში დარჩენილი ტერიტორიის ჩათვლით); 6. ჩაქვი; 7. ქობულეთი (ვგულისხმობთ თანამედროვე ქობულეთის რაიონს ჩაქვის გარდა).

ფუძესოფლების აღნიშვნას ამჯერად ნაკლებად ვცდილობთ, ამასთან შევნიშნავთ, რომ მონაცემების დიდი ნაწილი უშუალოდ სოფლებშია აღებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის 2013-2016 წლების სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში. ამის მიუხედავად, უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, მუჰაჯირთა შთამომავლები, ძირითადად, ინახავენ ხსოვნას ფუძე-სოფლების შესახებ, არის არაერთი შემთხვევა, როცა მესხიერებაში ჩარჩენილი მეტად ბუნდოვანი ინფორმაცია ართულებს რეალობის აღდგენას და თვით სოფელში აღებული მასალაც კი დაზღვეული არაა უზუსტობისგან. ხშირ შემთხვევაში, რესპონდენტი ვერ იხსენებს წინაპართა საცხოვრებელ სოფელს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რეგიონზე... აღნიშნული მოვლენა არ არის საყოვეთაო, თუმცა, ბევრგანაა მკაფიოდ გამოკვეთილი სამწუხაროდ, მშობლიურ ენასთან ერთად, მუჰაჯირთა შთამომავლების მნიშვნელოვანი ნაწილში დაიშრიტა ინფორმაცია წინაპართა სამშობლოსა და მინა-მამულის შესახებ. „ბათომიდან მოსული“ შეიძლება ნიშნავდეს ზემო აჭარიდან, მაგალითად, ლორჯომიდან გადასახლებულსაც, მურღულის რომელიმე სოფლიდან წასულსაც, ქობულეთელ მუჰაჯირსაც და ა.შ. (ჩოხარაძე, 2016 (2):136); ამდენად, კვლევის ამ ეტაპზე ზოგიერთი მონაცემი დასაზუსტებელია, ამიტომ ჩამონათვალში გამორიცხული არ არის მცირედი ცთომილებებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის შიდა პროვინციებში, უპირატესად, მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანის დასაწყისში გადასახლებული მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებია. შიგადაშიგ წაანყდები პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, ასევე საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ (მე-20 საუკუნის 2030-იანი წლები) გადასახლებულებსაც.

N	პროვინცია	ქართ. სოფ. რაოდენობა
1	ორდუ	129
2	სინოპი	40
3	სამსუნი	37
4	დუზჯე	23
5	გირესუნი	20
6	თოქათი	18
7	ამასია	11
8	ქასთამონუ	1
9	რიზე	1
	სულ	280

როგორც აღვნიშნეთ, ქართველ მუჰაჯირთა კომპაქტური დასახლებები თურქეთის მარმარილოს და შავი ზღვის რეგიონებშია. დაახლოებით 140 სოფელი მარმარილოს ზღვის რეგიონშია, 280 – შავი ზღვის რეგიონში, რომელშიც სულ 18 პროვინციაა. მათგან ქართველთა კომპაქტური დასახლებები ცხრა პროვინციაშია. ცხრილში სწორედ ამ პროვინციების მონაცემებია წარმოდგენილი.

საზოგადოდ კი, შავი ზღვის რეგიონში სჭარბობს აჭარიდან – აჭარისწყლის ხეობიდან, მაჭახლიდან, ბათუმის მახლობელი სოფლებიდან, ჩაქვიდან და ქობულეთიდან გადასახლებულთა სოფლები.

ორდუს პროვინცია: ზემოთ წარმოდგენილი სურათი ცხადყოფს, რომ, თურქეთში „ყველაზე ქართული“ პროვინცია არის ორდუ. ორდუს პროვინციაში 18 რაიონია. უნიეს რაიონში აღ-

გლობრივები დაახლოებით 40 ქართულ სოფელს ასახელებენ, რაც ჭეშმარიტებასთან ახლოსაა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არაქართულად მიჩნეულ სოფელშიც ხშირად წაანყდება ხოლმე კაცი ორიოდე ქართულ ოჯახს. 25 ქართული სოფელია ფაცაში. სულ ქართული დასახლებები, მეტ-ნაკლები ოდენობით, წარმოდგენილია 13 პროვინციაში. ცხრილში სწორედ ეს მონაცემებია ასახული.

N	პროვინცია	ქართ. სოფ. რაოდენობა
1	უნიე	40
2	ფაცა	25
3	ქუმრუ	10
4	ფერშემბე	9
5	გოლქოი	6
6	ორდუს ცენტრალ.	6
7	ქორგანი	5
8	ჩაიბაში	4
9	გურგენტეფე	3
10	ულუბეი	3
11	აქქუში	2
12	იქიზჯე	2
13	ქაბადუზი	2
14	სხვა	12

ორდუს ქართველთა უმრავლესობა აჭარისწყლის ხეობიდან (ქედის რაიონი), მაჭახლიდან, ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონებიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია. გოლქოიში არის იმერხველთა სოფელი იუვაფინარი. იმერხველები ცხოვრობენ აგრეთვე ფაშაფინარში, რომელიც ასევე პირველი თაობის მუჰაჯირთა სოფელია, მაგრამ ბოლო წლებში ქალაქ გოლქოის მიუერთდა.

ქვემოთ მოცემულია ორდუს პროვინციაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 129 სოფლის სია:

1. უნიეს რაიონი: აღიდერე (Ağidere) – აჭარა; ათაქოი (Ataköy) – აჭარა; აიდინთეფე (Aydintepe) – აჭარა; ბაშქოი (Başköy) – აჭარა (ქედა); ჯევიზდერე (Cevizdere) – აჭარა; ჩათალფინარი (Çatalpınar) – აჭარა (ქობულეთი); ჩათალთეფე (Çataltepe) – აჭარა (ქედა); ჩინარჯიქი (Çınarcık) – აჭარა; (დენიზბუქუ) Denizbükü – აჭარა; ექინჯიქი (Ekincik) – აჭარა (მაჭახელი); ელმალქი (Elmalık) – აჭარა; ერენიურთი (Erenyurt) – აჭარა; ესენქალე (Esenkale) – აჭარა; გობუ (Göbü) – აჭარა; გუნფინარი (Günpınarı) – აჭარა; გუზელიალი (Güzelyalı) – აჭარა (ქედა); ჰიზარბაშიგუნლუქი (Hızarbaşügünlük) – აჭარა (ქედა); ჰიზარბაშიქუმარლი (Hızarbaşıkumarlı) – აჭარა (ქედა); ინქური (İnkur) – აჭარა (ქედა, ქობულეთი); ქადილარი (Kadılar) – აჭარა; ქილიქი (Killik) – აჭარა (მაჭახელი); ქუშდოღანი (Kuşdoğan) – აჭარა (ქედა); ნადირლი (Nadirli) – აჭარა; ნურეთთინი (Nurettin) – აჭარა (მაჭახელი); ორთაქოი (Ortaköy) – აჭარა; სარაიჯიქი (Saraycık) – აჭარა; სეილანი (Seylan) – აჭარა (ქობულეთი); სოფუთეფესი (Sofutepesi) – აჭარა; თაფლანჯიქი (Taflancık) – აჭარა; თეფექოი (Tepeköy) – აჭარა (ქობულეთი); თექქირაზი (Tekkiraz) – აჭარა (მაჭახელი); უღურლუ (Uğurlu) – აჭარა; იავი (Yavı) – აჭარა; იაიჯი (Yaycı) – აჭარა; იაილალი (Yaylı) – აჭარა (ქედა); იაზქონალი (Yazkonağı) – აჭარა; იენიქიზილჯაქესე (Yenikızılcakese) – აჭარა (მაჭახელი); იენიქენთი (Yenikent) – აჭარა (მაჭახელი); იენიქოი (Yeniköy) – აჭარა; იუჯელერი (Yüceler) – აჭარა (ქედა, ქობულეთი);

2. ფაცას რაიონი: აიაზი (Ayazlı) – აჭარა; ბაღლარჯა (Bağlarca) – აჭარა (ქობულეთი); ბაჯანაქი (Bacanak) – აჭარა (ქედა, ქობულეთი); ბოზდდაღი (Bozdağı) – აჭარა (ქობულეთი); ბუჯაქლი (Bucaklı) – აჭარა (ქობულეთი); დუაიერი (Duayeri) – აჭარა (ქობულეთი); დუღუნლუქი (Düğünlük) – აჭარა (ქობულეთი); ჰოილუ (Hoylu) – აჭარა (ქობულეთი); ჰამლაქი (Hamlık) – აჭარა (ქედა); ისლამდაღი (İslamdağ) – აჭარა (ქედა); ქაბაქდაღი (Kabakdağı) – აჭარა (ქობულეთი); ქარათაში (Karataş) – აჭარა

(ქობულეთი); ქარაქუჯაკი (Karakucak) – აჭარა (ქობულეთი, ქედა); ქონაქბაში (Konakbaşı) – აჭარა (ქობულეთი); მეჰმეთაქიფი (Mehmetakif) – აჭარა (ქობულეთი); ოლუქლუ (Oluklu) – აჭარა (ქობულეთი); გეიქჩელი (Geykçeli) – აჭარა (ქობულეთი); სალიჰლი (Salihli) – აჭარა (ქობულეთი); საზჯილარი (Sazcılar) – აჭარა (ქობულეთი); სუდერე (Sudere) – აჭარა (ქობულეთი, ქედა); თაჰ-თაბაში (Tahtabaşı) – აჭარა (ქობულეთი); აშალითეფე (Aşağı tepe) აჭარა (ქობულეთი, ქედა); იენიქარგიჯაკი (Yenikargıcak) აჭარა (ქობულეთი, ქედა); იუსუფლუ (Yusuflu) – აჭარა (ქობულეთი); ჯეჯილო (Cecilo) – აჭარა (ქობულეთი);

3. ქუმრუს რაიონი: ბალი (Balı) – აჭარა; ესენჯე (Esence) – აჭარა; გუნეიჯიქი (Güneycik) – აჭარა; ქადინჯიქი (Kadıncık) – აჭარა; ქურუქაქჩაქესე (Küçükakçakese) – აჭარა; იენიაქჩაალანი (YeniAkçaalan) – აჭარა (ქედა); იენიჩოქდეღირმენი (Yeniçokdeğirmen) – აჭარა; იენიდივანე (Yeni Divane) – აჭარა (ქედა); იენიერგანი (Yeniergen) – აჭარა (ქობულეთი, ბათუმი); იემიშქენი (Yemişken) – აჭარა (ქედა);

4. ფერშემბეს რაიონი: ბოლათლი (Bolatlı) – აჭარა; ჩაქა (Çaka) – აჭარა (ქობულეთი); დერეიჩი (Dereçi) – აჭარა; ეფერლი (Efirli) – აჭარა; გაჯალი (Gacalı) – აჭარა; თონგელდუზუ (Tongeldüzü) – აჭარა; სელიმიე (Selimiye) – აჭარა (ქობულეთი); შენიურთი (Şenyuet) – აჭარა; იენიქოი (Yeniköy) – აჭარა (ქობულეთი);

5. გოლქოის რაიონი: ჯიჰადიე (Cihadiye) – აჭარა (მაჭახელი); ჩათაქი (Çatak) – აჭარა; იჩიაქა (İçyaka) – აჭარა (მაჭახელი); ქონაქი (Konak) – აჭარა (მაჭახელი); ფაშაფინარი (Paşapınar) – შავშეთი; იუვაფინარი (Yuvapınar) – შავშეთი;

6. ორდუს ცენტრალური რაიონი: აქქესე (Akkese) – აჭარა; ალემბეი (Alembey) – აჭარა; ბაჰარიე (Bahariye) – აჭარა (ჩაქვი); ბოზთეფე (Boztepe) – აჭარა; ბურჰანეთინი (Burhanettin) – აჭარა (ქობულეთი); გუნიორენი (Günören) – აჭარა;

7. ქორგანის რაიონი: დუზდაღი (Düzdağ) – აჭარა (ქობულეთი); **სარიალიჩი (Sarılic)** – აჭარა (ქობულეთი); **სოღუქვინარი (Soğukpınar)** – აჭარა (ქობულეთი); **იაზლიქი (Yazlık)** – აჭარა (ქობულეთი); **იეშილალანი (Yeşilalan)** – აჭარა (ქობულეთი);

8. ჩაიბაშის რაიონი: აქბაბა (Akbaba) – აჭარა (მაჭახელი, ქედა); ჩინარი (Çınar) – აჭარა (მაჭახელი, ქობულეთი); ქოქლუქი (Köklük) – აჭარა (მაჭახელი); ქურუდერე (Kurudere) – აჭარა;

9. გურგენტეფეს რაიონი: ჰასანჯიქი (Hasancık) – აჭარა (ხულო); ოჩუბელი (Okçubel) – აჭარა (ქობულეთი); შირინქიო (Sirinköy) – აჭარა (მაჭახელი, ქობულეთი);

10. ულუბეის რაიონი: აქოლუქი (Akoluk) აჭარა; რეფაიე (Refahiye) – აჭარა (მაჭახელი, ქედა); იენისაიაჯა (Yenisayaca) – აჭარა (მაჭახელი, ქედა...);

11. აქქუშის რაიონი: ესენტეფე (Esentepe) – აჭარა (მაჭახელი); დუმანთეფე (Dumantepe) – აჭარა (მაჭახელი);

12. იქიზჯეს რაიონი: ქაინარფინარი (Kaynarpınar) – აჭარა (მაჭახელი); იაღდაში (Yağdaş) – აჭარა (მაჭახელი);

13. ქაბადუზის რაიონი: ქირაზდერე (Kirazdere) – აჭარა (ქობულეთი); იოქუშდიბი (Yokuşdibi) – აჭარა (ქობულეთი);

სინოპის პროვინცია: სინოპური დასახლებების თავისებურება ისაა, რომ სოფლების უმრავლესობა შერეულია. განსაკუთრებით სინოპის ცენტრალურ რაიონში (ილჩიში) იშვიათია წმინდა ქართული დასახლება. ქართველები უმეტესად ცხოვრობენ ან ცალკე უბნად, ან მიმოფანტული არიან მოსახლეობაში. ზოგან შეიძლება ხუთი-ექვსი კომლი ცხოვრობდეს, ზოგან – ოცი და მეტი.

ქართველების უმრავლესობა ნიგალიდან წასულთა შთამომავლებია. შეხვდები ქობულეთ-ჩაქვიდან და მაჭახლიდან, ასევე, ზემო აჭარიდან გადასახლებულებსაც.

როგორც ჩანს, სინოპელ ქართველთა შორისაც შეიძლება ვივარაუდოთ ფენა იმ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისა რომლებიც მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში აჭარიდან ლივა-

ნაში გადავიდნენ და გადასახლებულთა ნაფუძარზე დამკვიდრდნენ, ხოლო შემდეგ, ათიან თუ ოციან წლებში მეოცე საუკუნისა, თურქეთში გადასახლდნენ.

ქვემოთ მოცემულია სინოპის პროვინციაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 40 სოფლის სია:

1. სინოპის ცენტრალური რაიონი: ავდანი (Avdan) – კლარჯეთი (ნიგალი); ალოღლუ (Aloğlu) – კლარჯეთი (?); აჰმეთიერი (Ahmetyeri) – აჭარა (მაჭახელი); გოლლერი (Göller) – კლარჯეთი (?); ერიკლი (Erikli) – კლარჯეთი (?); თანგალი (Tangal) – კლარჯეთი (ნიგალი); ლალა (Lala) – კლარჯეთი (ნიგალი); მელექშაჰი (Melekşah) – კლარჯეთი (?); ოსმანიე (Osmaniye) – აჭარა (ქობულეთი); ორდუქოი (Orduköy) – კლარჯეთი (?); სინეჯანი (Sinecan) – კლარჯეთი (ნიგალი); ქაბალი (Kabalı) – კლარჯეთი (?); ქარაფინარი (Karapınar) – კლარჯეთი (ნიგალი); ქილიჩლი (Kılıçlı) – აჭარა (ჩაქვი); ჩობანლარი (Çobanlar) – კლარჯეთი (ნიგალი);

2. ერფელიქის რაიონი: აბდურაჰმანფაშა (Abdurrahmanpaşa) – კლარჯეთი (ნიგალი); ბაშარანი (Başaran) – კლარჯეთი (ნიგალი); დეირმანჯილი (Değirmencili) – კლარჯეთი, აჭარა (ნიგალი, მაჭახელი); ერფელიქი (Erfelek) – კლარჯეთი (ნიგალი); ვეისელი (Veysel) – კლარჯეთი, აჭარა (ნიგალი, მაჭახელი); თექექ Tekke – კლარჯეთი (?); იენიჩამი (Yeniçam) – კლარჯეთი (ნიგალი); ინჯემეიდანი (İncemeydan) – კლარჯეთი (ნიგალი); ჰამიდიე (Hamidiye) – კლარჯეთი (ნიგალი); ჰასანდერე (Hasandere) – კლარჯეთი (?); თუფანი (Tufan) – კლარჯეთი (?);

3. გერზეს რაიონი: აქქირაჩი (Akkıraç) – კლარჯეთი (ნიგალი); იაიქილი (Yaykıl) – კლარჯეთი (?); იაქადიბი (Yakadibi) – კლარჯეთი (?); იუვალი (Yuvalı) – აჭარა (მაჭახელი); იზარჩაი (Hızarcayı) – კლარჯეთი (?);

4. აიანჯიქის რაიონი: მესტანი (Mestan) – კლარჯეთი (?); ფაზარჯიქი (Fazarcık) – კლარჯეთი (?); გოლდაღი (Göldağ) – კლარჯეთი (?); თევფიქიე (Tevfikkiye) – აჭარა (მაჭახელი); მადენი (Maden) – კლარჯეთი (?); ქირან ჰარმანი (Kıran harman) – კლარჯეთი (?);

5. თურქელის რაიონი: საზქიშლა (Sazkışla) – აჭარა (აჭარის-წყლის ხეობა); ქუზქოი (Kuzköy) – აჭარა (აჭარისწყლის ხეობა); ჰაჯიქოი (Hacıköy) – აჭარა (აჭარისწყლის ხეობა); იაფრახლი (Yapraklı) – აჭარა (აჭარისწყლის ხეობა);

სამსუნის პროვინცია: სამსუნის პროვინციაში ერთი კლარჯული დასახლებაა, სოფელი იურთდალი (ფუძესოფლები: ებრიკა, შუახევი, ვალაში, ბაგინი, დევსქელი), რომელიც ვეზირქოფრუს რაიონშია. შესაძლოა კლარჯებისა იყოს ბაფრას რაიონის ორი ქართული სოფელიც. სხვაგან ქობულეთიდან, ბათუმის მიმდებარე სოფლებიდან, მაჭახლიდან და ქედიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. ბევრგან ჭირს ფუძესოფლების დადგენა, თუმცა, შეიძლება დავასახელოთ დაგვა, ხუცუბანი, სოფ. ქობულეთი... ორთაბათუმი, ხელვაჩაური, მახო... მაჭახლისპირი, ჩხუტუნეთი, ზედვაკე... კვაშტა, ვაიო, მახუნცეთი, ბზუბზუ და სხვა.

ისევე, როგორც სხვა პროვინციების შემთხვევაში, სიაში წარმოდგენილი დასახლებებიდან ზოგი შერეულია და ზოგიც მხოლოდ ქართველებით დასახლებული, ზოგი პირველი თაობის მუჰაჯირებს დაუარსებიათ და ზოგშიც ქართველები გვიან ჩასახლებულან – შიდა მიგრაციის შედეგად... თუმცა ეს ყველაფერი სხვა განსჯის თემაა და ამჯერად დეტალიზებას მოვერიდებით.

ქვემოთ მოცემულია სამსუნის პროვინციაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 37 სოფლის სია:

1. სალიფაზარის რაიონი: აიაზმა (Ayazma) – აჭარა; ბიჩმე (Biçme) – აჭარა (მაჭახელი); ფიდანჯიქი (Fidancık) – აჭარა (ბათუმი); ქარადერე (Karadere) – აჭარა (მაჭახელი); ქარაჯაორენი (Karacaören) – აჭარა (მაჭახელი); ქარამანი (Karaman) – აჭარა (მაჭახელი); ქირგილი (Kırgıl) – აჭარა (მაჭახელი); ქიზილოთი (Kızılot) – აჭარა (ქობულეთი); ქუშჯილაზი (Kuşçığaz) – აჭარა (ქობულეთი); მუსლუბეი (Muslubey) – აჭარა (მაჭახელი); იენიდოღანი (Yenidoğan) – აჭარა (ქობულეთი); იეშილქოი (Yeşil Köyü) –

აჭარა; იუქარიქესთანეფინარი (Yukarıkestanepınarı) – აჭარა (მაჭახელი);

2. ჩარშამბას რაიონი: აჰუბაბა (Ahubaba) – აჭარა (მაჭახელი); ჩათაქი (Çatak) – აჭარა (მაჭახელი); გულიაზი (Gülyazı) – აჭარა (მაჭახელი); ქარაბაჰჩე (Karabahçe) – აჭარა (მაჭახელი); ქარამუსთაფალი (Karamustafalı) – აჭარა (მაჭახელი, ბათუმი); ქესთანეფინარი (kestanepınarı) – აჭარა (მაჭახელი); ოვაჯიქ (Ovacık) – აჭარა (მაჭახელი, ბათუმი); იუქარიდიქენჯიქი (Yukarıdikencik) – აჭარა (მაჭახელი);

3. თერმეს რაიონი: აქჩაი (Akçay) – აჭარა (მაჭახელი); დუმანთეფე (Dumantepe) – აჭარა (ქედა); ქესიქქაია (Kesikkaya) – აჭარა (ქედა); ქოჯამანბაში (Kocamanbaşı) – აჭარა (ქედა, მაჭახელი); ქოიბუჯაქი (Köybucağı) – აჭარა (ქედა); ქუშჩა (Kuşca) – აჭარა (ქედა); ოზიურთი (Özyurt) – აჭარა (ქედა);

4. ლადიქის რაიონი: არსლანთაში (Arslantaş) – აჭარა; აივალი-სოქალი (Ayvalısokağı) – აჭარა (მაჭახელი); ჰავჯიალიფინარი (Haçialipınar) – აჭარა (მაჭახელი); ჰამამაიალი (Hamamayağı) – აჭარა;

5. ბაფრას რაიონი: დუზქოი (Düzköy) – კლარჯეთი (?); გოქჩეალაჩი (Gökçeagaç) – კლარჯეთი (?);

6. ვეზირქოფრუს რაიონი: იურთდაღი (Yurtdağı) – კლარჯეთი (ნიგალი);

7. ათაქუმის რაიონი: ქარაქოვუქი (Karakovuk).

დუზჯეს პროვინციაში ძირითადად აჭარისწყლის ხეობიდან (ხულოს, შუახევის და ქედის რაიონები) და ბათუმის რაიონიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებია, მხოლოდ ორიოდ დასახლებაა მაჭახლელებისა და ნიგალებებისა. ფუძესოფლებია: ღორჯომი, ჭალა, ზემოხევი, ბრილი, ახალდაბა, წონიარისი, გონიო, მირვეთი და სხ.

ქვემოთ მოცემულია დუზჯეს პროვინციაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 23 სოფლის სია:

1. დუზჯეს ცენტრალური რაიონი: აიდიფინარი (Aydınpinar) – აჭარა; ასარი (Asar) – აჭარა; გოლორმანი (Gölormanı) – აჭარა; დოღანლი (Doğanlı) – აჭარა; იეშლიჩამი (Yeşilçam) – აჭარა; მუნჯურლუ (Muncurlu) – აჭარა (შუახევი, ხულო); მუსაბაბა (Musababa) – აჭარა (შუახევი); ფინდიკლიაქსუ (Findıklıaksu) – აჭარა (შუახევი, ხულო); ჩაქირჰაჯიიბრაჰიმი (Çakırhacıibrahim) – აჭარა; ჩიფთლიქქოი (Çiftlikköy) – აჭარა (შუახევი, ხულო); შიმშირი (Şımşır) – აჭარა;

2. აქჩაკოჯას რაიონი: დოღანჯილარი (Doğancılar) – აჭარა; ესმეჰანიმ (Esmahanım) – აჭარა; მელენაღზი (Melenagızı) – აჭარა (ბათუმი); უღურლუ (Uğurlu) – აჭარა; ჩიჩეკფინარი (Çiçekpınar) – კლარჯეთი (ნიგალი);

3. ჩილიმლის რაიონი: იეშილმაჰალესი (Yeşilmahalesi) – აჭარა (მაჭახელი, აჭარისწყლის ხეობა); იეშილთეფე (Yeşiltefe) – აჭარა; მაჰირაღა (Mahırağa) – აჭარა; ჰიზარდერე (Hızardere) – აჭარა;

4. გოლიაქას რაიონი: ჰამამუსტი (Hamamustı) – აჭარა (ქედა); ჰაჯიიაკუფი (Hacıyakup) – აჭარა (ქედა);

5. ილიღჯას რაიონი: ქირიქ (Kırık) – აჭარა;

გირესუნის პროვინციაში 16 რაიონია. მათგან ქართული სოფლები არის ხუთში. კერძოდ, ბულანჯაქის, პირაზიზის, ქეშაპის, დერელის გირესუნის (ცენტრალურ) რაიონებში. სოფლები ერთადაა დაჯგუფებული. ოდნავ მოშორებითაა ქურბაფინარი, ამბარალანი, იჩმესუ და აქქაია. დასახლებული სოფლებიდან მხოლოდ რამდენიმეა შერეული მოსახლეობით. უმრავლესობაში ყველა ოჯახი ქართულია.

გირესუნის ქართული მოსახლეობა აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია, ძირითადად თანამედროვე ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონის სოფლებიდან.

ქვემოთ მოცემულია გირესუნის პროვინციაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 20 სოფლის სია:

1. ბულანჯაქის რაიონი: დამუდერე (Damudere) – აჭარა (ქედა); ეზელთერე (Ezeltere) – აჭარა (ქედა); გუნეიქოი (Güneyköy) – აჭარა (ქედა); ჰაჯეთი (Hacet) – აჭარა (ბათუმი, ხულო); ქარააღაჩი (Karaağaç) – აჭარა (შუახვევი, ხულო); ქაიაბაში (Kayabaşı) – აჭარა (შუახვევი, ხულო); ქიშლა (Kışla) – აჭარა (ბათუმი, ხულო); ქუჩუქდერე (Küçükdere) – აჭარა (შუახვევი); ოდადუზუ (Odadüzü) – აჭარა (შუახვევი, ხულო); თეფეორენი (Tepeören) აჭარა (შუახვევი, ხულო); თოქმადინი (Tokmadin) აჭარა (შუახვევი, ხულო); იენიქოი (Yeniköy) აჭარა (შუახვევი, ხულო); იეშილთეფე (Yeşiltepe) აჭარა;

2. გირესუნის ცენტრალური რაიონი: ამბარალანი (Ambaralan) – აჭარა (ქედა); იჩმესუ (İçmesu) – აჭარა (ქედა); იაიქინლიქი (Yayıklık) – აჭარა (ბათუმი);

3. ფირაზიზის რაიონი: თეფექოი (Tepeköy) – აჭარა (ქედა); იუნუსემრე (Yunusemre) – აჭარა (ქედა);

4. ქეშაფის რაიონი: ქურბაფინარი (Kurbapınarı) – აჭარა (ქედა);

5. დერელის რაიონი: აქქაია (Akkaya) – აჭარა (შუახვევი);

თოქათის პროვინციის ქართული სოფლების უმრავლესობა ნიქსარის რაიონშია. რამდენიმე სოფელია ერზაასა და თურჰალში, ასევე თოქათის ცენტრალურ რაიონში. საინტერესოა, რომ ნაწილი დასახლებებისა შავშეთიდან, კერძოდ, იმერხევიდან (სოფლები: დაბა, უბე, ზიოსი, ხევნრული, ბაზგირეთი, ოთხკილდე და სხვა) წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებს ეკუთვნით. გვხვდება აგრეთვე აჭარიდან (უფრო ქედის რაიონიდან: სალორეთი, აგარა და სხვა) გახიზნულ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებიც.

ქვემოთ მოცემულია თოქათის პროვინციაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 18 სოფლის სია:

1. ნიქსარის რაიონი: ასარი (Asar) – შავშეთი; აქინჯი (Akıncı) – შავშეთი; დალქაია (Dalkaya) – აჭარა (ქედა); ქოქლუჯე (Köklüce) – აჭარა (მაჭახელი); მერჯიმეკდუზი (Mercimekdüzü) –

შავშეთი; მუსაფინარი (Musapınarı) – შავშეთი; მუხტარდუზუ (Muhtardüzü) – კლარჯეთი³; ოლუქლუ (Oluklu) – აჭარა (ქედა); ორენლერ (Örenler) – შავშეთი; ოსმანიე (Osmaniye) – შავშეთი; სორჰუნ (Sorhun) – შავშეთი; თეფეიათაქი (Tepeyatak) – შავშეთი; უმურლუ (Umurlu) – შავშეთი; უსთაჰასანი (Ustahasan) – შავშეთი;

2. თურჰალის რაიონი⁴: ბოიაჯილარ (Boyacılar); მუფთი მა-ჰალლესი (Mufti mahalesi);

3. ერბაას რაიონი: ზოღალლიჩუქურ (Zoğallıçukur) – აჭარა (მაჭახელი)

4. თოქათის ცენტრალური რაიონი: ეკინჯიქი (Ekincik) – შავშეთი;

ამასიის პროვინცია: ქართული სოფლები თაშოვას და ამასიის ცენტრალურ რაიონებშია. გარდა ამისა, სულუოვას რაიონში არის ერთი სოფელი, ქილიჩარსლანი, რომელშიც ტაოდან, სოფელ ბალხიდან გადასახლებული ქართველების ათიოდე ოჯახი ცხოვრობს. ბალხელთა გადასახლება თურქეთის შიდა მიგრაციული პროცესების შედეგია. ისინი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ჩასახლებულან სულუოვაში.

რაც შეეხება ამასიის დანარჩენ ქართველებს, ისინი ძირითადად აჭარისწყლის და მაჭახლის ხეობებიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან. მათი ფუძესოფლებია ერთი მხრივ ბზუბზუ, ბელლეთი, ბოძავრი, ღურტა, რიყეთი, დანისპა-

³ მუხტარდუზუში კლარჯების (სოფ. ანაჩლი) გარდა შავშებიც ცხოვრობდნენ და, შესაძლოა, ტაოელებიც. სოფელი თითქმის მთლიანად მიგრირებულია და რეალურად ხუთიოდე ოჯახია დარჩენილი. ქართულის მცოდნე სოფელში ვერ ვნახეთ (2015 წ.), მაგრამ სიაში მაინც შევიყვანეთ ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა შესახებ სოფელშივე მოძიებული და ჯერაც დაუზუსტებელი ცნობების გამო.

⁴ თურჰალის რაიონის მითითებული დასახლებები ამჟამად რაიონული ცენტრის ნაწილებს შეადგენენ, მაგრამ ჩვენ დამოუკიდებელ სოფლებად მივუთითეთ.

რაული, დიოკნისი, ტაბახმელა; მეორე მხრივ – ეფრატი, ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ცხემლარა...

ქვემოთ მოცემულია ამასიის პროვინციაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 11 სოფლის სია:

1. ამასიის ცენტრალური რაიონი: აქიაზი (Akyazi) – აჭარა (ხულო); ბელდაღი (Beldağı) – აჭარა (მაჭახელი); ჩათალჩამი (Çatalçam) – აჭარა (მაჭახელი); ჩათმა (Çatma) – აჭარა (მაჭახელი); ჩივი (Çivi) – აჭარა (ხულო); ელიქთექქე (Eliktekke) – აჭარა (ხულო); იუვაქიო (Yuvaköy) – აჭარა (მაჭახელი);

2. თაშოვას რაიონი: ალთინლი (Altınlı) – აჭარა (ქედა); ილიფინარი (İlipınar) – აჭარა (მაჭახელი); თათლიფინარი (Tatlıpınar) – აჭარა (მაჭახელი);

3. სულუოვას რაიონი: ქილჩასლანი (Kılıçaslan) – ტაო (იუსუფელი);

დასახლებულთა გარდა თითო სოფელია რიზეს და ქასთამონუს პროვინციაში:

რიზეს პროვინცია, ფაზარის რაიონი: ჰამიდე (Hamıdye) – აჭარა (ქობულეთი, ჩაქვი);

ქასთამონუს პროვინცია, ჩათალზეითინის რაიონი: ჰამიდე (Hamıdye) – შავშეთი;

თურქეთის შავიზღვისპირეთის მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში, ისევე, როგორც საზოგადოდ, მთელი თურქეთის ქართველთა სოფლებში მოსახლეობის უფროსი თაობა დღემდე მეტყველებს წინაპართა ენაზე, უმცროსი თაობა – ველარ. ქართული ენის შესახებ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საგრძნობლად გაღარიბებულია ლექსიკა და ლექსიკაში გაზრდილია თურქიზმების წილი, თუმცა, ერთგვაროვანი ვითარება არც ამ თვალსაზრისითაა. ზოგან უხუცესებსაც უჭირთ ქართულის გაგება და ლაპარაკი, ზოგან კი იმდენად გამართულად საუბრობენ, შეიძლება სულაც ამსოფლელთა წინაპრების ფუძესოფელში წარმოიდგინო თავი.

ლიტერატურა:

1. ფალავა, 2016: ფალავა მ., მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ბათუმი.

2. ჩოხარაძე, 2016 (1) : ჩოხარაძე მ. ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში, ნიგნი პირველი, მარმარილოს ზღვის რეგიონი, ბათუმი.

3. ჩოხარაძე, 2016 (2): ჩოხარაძე მ., კლარჯ და აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების კოლექტიური მემსიერების ზოგიერთი საკითხი თანამედროვე თურქეთში, IV საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი, მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

**ეთნიკური თვითაღქმის საკითხის გააზრებისთვის
ჰაირიქსა და ინებოლის ქართველებში**

მე-19 მე-20 საუკუნის ეროვნული მოძრაობის უმთავრესს ფუნდამენტს შეადგენდა- მამული, ენა, სარწმუნოება. მამული – ტერიტორია, სადაც თვისობრივად, ფიზიკურად თუ სულიერად საუკუნეთა განმავლობაში ფუძნდებოდა ერი. ენა-რომლის მეშვეობითაც აზროვნებდა და სარწმუნოება-რითაც კავშირს ამყარებდა უმაღლეს გონთან. ილია ჭავჭავაძე, განიხილავს რა ეროვნულ საკითხს, აღნიშნავს, რომ არც ერთობა ენისა და არც ერთობა სარწმუნოებისა ისე არ შეამსჭვალეbs ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. მარქსისტების თეორიის მიხედვით, ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა იყო, წარმოშობილი ოთხი ძირითადი ერთობის ბაზაზე- ენა, ტერიტორია, ეკონომიკური ცხოვრება და ფსიქიკური წყობა. შემდგომში მათ დაემატა მეხუთე კომპონენტიც-განკერძოებული ეროვნული სახელმწიფოს არსებობა. ი. სტალინი თავის ნაშრომებში “ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი”, “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი”, განიხილავს რა ერის წარმოშობის საკითხებს, აღნიშნავს, ”ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოსატყულებაა კულტურის ერთობა”. (სტალინი 1951, 23)

ზოგიერთი კი მიიჩნევდა, რომ “ერი არის ერთი სოციალური სუბერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ ორგანიზმი (ტარდის სიტყვით), შემდგარი ერთგვარი ანუ მრავალგვარი ეთნიური და სოციალური მასალისაგან, რომელსაც შეუძლიან ჟამთა ვითარებაში შექმნას, ერთი გარეგნულად მონესრიგებული საერთო ცხოვრება თავისი შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა, ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა,

ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა”. (ნერეთელი 1990, 106)

ამრიგად, ერი კომპლექსურად უნდა განიხილებოდეს. მისი, როგორც კონკრეტული, სოციალური და ისტორიული ინდივიდის არსებობის უმთავრესს ელემენტებს წარმოადგენს-ტერიტორია, ენა, ეკონომიკური წყობა, გენეტიკურ-ანთროპოლოგიური ტიპი, სულიერი და ისტორიული კოჰეზია, რომელიც თავის მატერიალურ და ამავედროულად აბსტრაქტულ (სულიერ) გამოხატულებას კულტურასა და ტრადიციებში ჰპოვებს. ერს არა მარტო ფიზიკური და სულიერი, არამედ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, გააჩნია უფლება თავისუფალი არსებობისა. “თუ საბუთია საჭირო “კაცობრიობის” წინაშე თავისუფალი არსებობის უფლების მოსახვეჭად, აი ეს საბუთიც: განსაზღვრული კოჰეზიის მქონე სოციალური ორგანიზმი, ისტორია, კულტურა...განსაზღვრული უფლება, ნამდვილი და მართალი მომქმედი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით”. (ნერეთელი 1990, 237)

ერის ცენტრში დგას ადამიანი, რომელიც თავისი არსებობის ყოველ მომენტში ახდენს იდენტობის გააზრებას. დე ვოსის განსაზღვრების მიხედვით, ეთნიკური იდენტობა, ხალხის მიერ საკუთარი კულტურის სუბიექტურ-სიმბოლური გამოხატულებაა, რითაც განარჩევს საკუთარ თავს სხვებისაგან. ბერძნულად “ეთნოსი” აღნიშნავს ხალხს, ზნით და ჩვეულებით გამოყოფილს, გამორჩეულ ერთობას. “ბერძენი ზნით და ჩვეულებით განსხვავებულს ეძახდა ეთნოსს და გამომდინარე აქედან თავს უწოდებდა ელინს. ზნითა და ჩვეულებით განსხვავებულ სხვა ეთნოსს კი ეძახდა ბარბაროსს”. (ბუხრაშვილი 2005, 17)

მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ არის ეს საკითხი დაყენებული ქართულ რელობაში. “ქართველურ (თამამად შეიძლება ითქვას ზოგადკავკასიურ) შემეცნებაში კი სხვა ხალხის, სხვა ჯიშის, სხვა მოდგმის აღსანიშნავად, წარმომავლობით-ნათესაური ნიშნით განსხვავებულობაა აღიარებული. ჩვენ კაცობრიობის

დანარჩენი ნაწილისაგან თავს გამოვიცალკევებთ მოდგმის, ჯიშის, სისხლითნათესაობითი ერთობლიობის საფუძველზე, რაც თავის მხრივ, ზნის და ჩვეულების სხვაობასაც გულისხმობს; თუმცა ჩვენივე მსგავსი ზნე და ჩვეულება სხვასაც შესაძლებელია გააჩნდეს. ამდენად ზნე და ჩვევა ჩვენთვის თავის გამოსაცალკევებლად ძირეული არ არის...”ნათესავით ქართველის” ცნება, რომელიც ღერძულ ხაზად გასდევს ზოგადქართველური ერთობის მთელი თანაცხოვრების რამდენიმე ათასწლოვან ისტორიას”. (ბუხრაშვილი 2005, 17-18) ე.ი. ქართველი თვითიდენტიფიკაციას ძირითადად გენეტიკური თვალსაზრისით ახდენს. ეს ძალიან კარგად ვლინდება თურქეთში მცხოვრებ ქართველებში, რომლებიც საუბარში ამბობენ “მე ვარ გურჯი”. ამით ისინი ხაზს უსვამენ თავიანთ გენეტიკურ-ეთნიკურ კუთვნილებას, რითაც გამოაცალკევებენ საკუთარ თავს სხვებისაგან.

საუკუნეთა განმავლობაში “ნათესავით ქართველნი” ხშირად იხლიჩებოდნენ, ჟამთა ავბედითობის წყალობით, სხვა ტერიტორიაზე სახლდებოდნენ და არსებობის ყველა ეტაპზე უხდებოდათ ეთნიკური თვითობის შემეცნება. 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ “ნათესავით ქართველნი” ორად გაიყვნენ. ერთი ნაწილი მეფის რუსეთის შემადგენლობაში დარჩა, მეორე ნაწილი კი თურქეთის ტერიტორიაზე დასახლდა. ორივე შემთხვევაში მათ არ გააჩნდათ საკუთარი სახელმწიფო და სხვა ქვეყნების მმართველობით სივრცეში მოექცნენ. ბუნებრივია ამ პირობებში საკმაოდ რთული იქნებოდა საკუთარი მეობისა და ეთნიკური თვითობის შენარჩუნება. “ქართველები ყველგან ვართ და არსად კი არ ვჩანვართ” აღნიშნა იასე რაჭველიშვილთან (მეხუზლა) საუბარში ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწემ ჰასან ფაშამ (ქართველმა მაჰმადიანმა), “ჩვენს მეტმა ვერც ერთმა ეროვნებამ ვერ შეინარჩუნა თავისი ელფერი ოსმალეთში. ვინც კი გამუსლიმანდა ყველა სრულიად გადაგვარდა, გაქრნენ, გაითქვიფნენ ოსმალეებში, ჩვენ-კი ასე თუ ისე, სახელი “გურჯი” მაინც შეგვრჩა და ეს კი იმის მასწავლებელია, რომ ქართველების

კულტურა უფრო ძლიერია ეროვნულ ფსიქიკაში...”. (ბოსტაშვილი 1991, 105)

ქართველ მუსლიმანებზე საუბრობდა მ. ნერეთელი, მისი აზრით ოსმალთა და ქართველს შუა ”გამომწყვდეული, აღარცერთ ერს ეკუთვნის და აღარც მეორეს, ამიტომაც გაველურებულა. ერთ დროს ბრწყინვალე კულტურის მქონე, ნაწილი იყო ქართველი ერის, მონაწილეობას იღებდა მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ლიტერატურის შექმნაში და მისი სარწმუნოების მოსავი იყო. ოსმალებმა ისინი მოსწყვიტეს საქართველოს სოციალურ ორგანიზმს თვითონაც ვერ მოინელეს და დარჩა ქართველი ხალხის ეს ნაწილი ნახევრად დაღეჭილი ოსმალეთის სახელმწიფოს გაცვეთილი კბილებისაგან, ძალით მოგლეჯილი საქართველოს სოციალური სხეულიდან. თუმცა არსებობს ეს ნახევარი მილიონი ქართველი ხალხი, გამაჰმადიანებული ქართველობა, მაგრამ ისინი ქართველი ხალხის ნაწილს აღარ შეადგენენ, ვინაიდან აღარავითარ მონაწილეობას აღარ იღებენ საქართველოს ეროვნულ-სოციალურ ფუნქციათა აღსრულებაში. თანაც ვერ შეეთვისნენ ოსმალეთის სოციალურ ორგანიზმს. უმეტესმა ნაწილმა ოსმალური ენა არ იცის, ამიტომ ისინი სოციალური მასალანი არიან ჩვენთვის ან ოსმალეთისათვის საასიმილაციონი და არა ბუნებრივი ნაწილი ცოცხალი სოციალურ-ეროვნული ორგანიზმისა. ზოგს გაღვიძებაც ეტყობა, თხოულობენ ქართულ სკოლებს, შეუნახავთ ენა, რომლის განვითარებასაც თხოულობენ, შერჩენიათ კიდევ ტიპი ქართული და მრავალი ზნე-ჩვეულება. ქართველი ერიც ცდილობს დაიბრუნოს თავისი დაკარგული ნაწილი და როდესაც ერთ ნაწილს მაინც დაიბრუნებს, გავხდით ისევ ჩვენი ერის ნაწილად. მაშინ იმ ნაწილის დაბრუნებაც ადვილი იქნება, სადაც ენაც კი დავინწყებიათ. ამ შემთხვევაში იქნებიან ისინი ნაწილი ქართველი ერისა, ეხლა კი მხოლოდ ხალხის ნაწილი არიან, უბრალო სოციალური მასალა. ამით მასალის გადაუმუშავება და ეროვნული ელემენტად შექმნა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული”. (ნერეთელი 1990, 102)

1877-78 წლების ომის დასრულების შემდეგ მაჰმადიანი ქართველების, “სოციალური მასალის”, ქართველ ერთან სრული ინტეგრაციის პროცესი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ოსმალეთის, რუსეთის პოლიტიკური ინტერესების, აგენტურის, ფანატიკოსების, ქრისტიანი თუ მუსულმანი მოსახლეობის მხრიდან გამომჟღავნებული პოლიტიკური სიბეცის წყალობით, მოხდა რეინტეგრაციის საპირისპირო პროცესი-მუჰაჯირობა. ქართველები კულტურულად და ტრადიციულად განსხვავებული სახელმწიფოების (რუსეთი, ოსმალეთი) შემადგენლობაში განაგრძობდნენ არსებობას. ბუნებრივია, მათ ფსიქიკაზე, მენტალობასა და საოჯახო-სამეურნეო კულტურაზე ეს ცვლილება გავლენას მოახდენდა. 1801 წლიდან, რაც საქართველო საკუთარი ნების გარეშე რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ქართველი ერის საოჯახო-სამეურნეო ტრადიციებში მოხდა სერიოზული რყევები, რაც უფრო მეტად გამძაფრდა საბჭოთა პერიოდის დამყარების შემდეგ. ბუნებრივია, მსგავსი მოვლენა შეინიშნებოდა თურქეთში წასულ ქართველებშიც. სახელმწიფოებრიობის გარეშე დარჩენილი, ორად გახლეჩილი (ჯერ რელიგიურად და შემდეგ ტერიტორიულად) ქართული საზოგადოების ცნობიერებაში თითქოს მოხდა გაორება. ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული და სხვა კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციები. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუჰაჯირი ქართველების გამაჰმადიანების პროცესი მე-16 საუკუნიდან იწყება. შემოერთების პროცესში ისინი რელიგიური კუთხით უკვე ასიმილირებული იყვნენ ოსმალურ სამყაროსთან. რჩებოდა ეთნიკური ასიმილაცია, რაც უკვე ნელ-ნელა ოსმალეთში წარიმართა)

როგორც ცნობილია პიროვნება ყალიბდება და ვითარდება გარემო პირობებთან ადაპტაციის შედეგად. გარემო პირობები კი მუჰაჯირ ქართველებს ახლა უკვე ოსმალეთის სივრცეში ექმნებოდათ. ეთნოსის გაორება კი ხდება მაშინ, როცა საუკუნეთა განმავლობაში გენეტიკურ-ეთნიკურად ჩამოყალიბებული მენტალობა ეჯახება მისთვის უცნობ გარე პირობებიდან მომდინა-

რე ტრადიციებს. რაც ხშირ შემთხვევაში ეთნიკური მენტალობისათვის შესაძლოა იყოს არა მხოლოდ უცხო, არამედ პრინციპულად განსხვავებული და უფრო მეტიც-მიუღებელი. ქართველ კაცს ზოგადად ახასიათებს “უცხოთ მოყვარეობა”, “სხვის ფანდურზე ცეკვა თამაში”, საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ მომხდარა, რომ ქართველი “ირწეოდა ვითარცა ლერწამი, ქართაგან ძლიერთა”, თუმცა მიუხედავად ამისა, იგი ძნელად ეგუებოდა თვისობრივი ხასიათის ძირეულ ცვლილებებს. ქართველი “შეურყეველია და მტკიცედ იცავდა ჯიშს და მოდგმას. იგი სხვას მოირიგებს, მაგრამ იშვიათად შეირევს ამავე სხვას. ამდენად ქართველმა შეიძლება დაიხუროს კიდეც სხვისი ქუდი (ისიც დროებით), მაგრამ ეს გადაჯიშებად არ ითვლება მის შეგნებაში. გადაჯიშება იწყება სისხლის შერევის შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას თვისობრივად ახალი ზნე-ჩვეულების შემორევაც ახლავს თან”. (ბუხრაშვილი 2005, 18-19)

ჰაირიეს და ინეგოლის ქართველმა მუჰაჯირებმა საქართველოდან აყრის მომენტში თან წაიღეს, როგორც მატერიალური კულტურის, ისე სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. გენეტიკურ-ეთნიკური კუთვნილება, საოჯახო-სამეურნეო და კულტურულ-ადათობრივი ტრადიციები, წარსული მესხიერება, რითაც შემოსაზღვრეს საკუთარი ეთნიკური მიკროსამყარო.

ქართველები ოსმალეთში 15 წლის გადასულები იყვნენ, როცა ისმეთაზე დოქტორ მეჰმედ არიფმა ისინი მოინახულა. მან გამოსცა ნაშრომი “ქართული სოფლები”, რომელიც გაზეთში “ტარიკი” დაიბეჭდა და 1893 წელს სტამბოლში გამოიცა. მასში ასახულია აჭარიდან წასულ, სამსუნის სოფლებში დასახლებულ ქართველთა ყოფა-ცხოვრება. მან აღწერა მუჰაჯირთა სოფელი მუსლუბეი. მოიხიბლა ქართველთა ნიჭით, შრომისმოყვარეობით, სტუმრის პატივისცემით, ერთმანეთისათვის დახმარების აღმოჩენის სურვილით, ენით, ღირსების შეგრძნების უნარით, სურვილით დაეუფლონ განათლებას, პატიოსნებით, ქალების სათნოე-

ბით, რომელთა მორჩილება ქმრების მიმართ ლეგენდად არის ქცეული და ცეკვებით. მოგზაური ადარებს რა ქართველ და თურქ მოსახლეობას, დასძენს, რომ თურქები, ქართველი მუჰაჯირებივით გაბედულნი და საქმის მცოდნენი არ არიან. ამიტომაც ცხოვრობენ ცუდად.

რეალურად უცნობია რა იყო მ. არიფის კვლევის მიზანი, თუმცა ბუნებრივია, რომ მისი კვლევის ობიექტი ქართველები იყვნენ. ოსმალეთის იმპერიის წარგზავნილს აინტერესებდა რამდენად იქნებოდნენ ქართველი მუსულმანები ასიმილირებული და რამდენად ექნებოდათ შენარჩუნებული წარსული ტრადიციები.

აღნიშნულ ნაშრომში, ყურადღებას იქცევს ქართველების აღწერა, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნყაროა, რადგანაც წარმოადგენს მუჰაჯირების წასვლიდან თითქმის 15 წლის შემდეგ მათ შესახებ არსებულ ინფორმაციას. ამ აღწერაში მოცემულია ქართული ზნისა და თვისებების მნიშვნელოვანი მომენტები, რაც არა მხოლოდ სამსუნის სოფლებში მცხოვრებ აჭარლებს, არამედ ინეგოლის ქართველ მოსახლეობასაც ახასიათებდა და ახასიათებს დღესაც. მოგზაურის გადმოცემით, შესანიშნავია მათი ყოფა-ქცევა და სტუმრების პატივისცემა. “ქართველები როგორც ახლობელი, ისე შორეული ნათესავეებისა და მეგობრების მიმართ დიდ სიყვარულს იჩენენ. ძველი ადათის მიხედვით რომელიმე მათგანის სოფელში მისვლისას სიხარულის გამოსახატავად და პატივისცემის ნიშნად თოფს ბევჯერ ისვრიან”. (Arif 2002, 38)

აღნიშნული წესი ნიშანდობლივი იყო ზოგადად ქართველთათვისაც, როგორც საქორწილო ტრადიციებში, ისე სტუმრის მიღებისა და ბიჭის დაბადების დროს. მოგზაური საკმაოდ დადებითად ახასიათებს ქართველებს, მისი აზრით, ქართველებმა ტყით სავსე მინა კეთილმოაწყვეს და ზოგიერთი გამოუსადეგარი ადგილი, ნაყოფიერი გახადეს. ერთმანეთს ეხმარებიან და 15 დღის სამუშაოს ერთ დღეში ასრულებენ. მიმართვენ “იმეჯე”-ს (იგულისხმება ნადი, თურქულად ”იმეჯე”) კოლექტიური შრომას,

რითაც საქმეს იმარტივებენ. როგორც ვხედავთ, ქართველებს შრომის სიყვარული და გამჭრიახობა გამოარჩევდათ სხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან. ცნობილი მკვლევარი ევგენი დალევჯიოც, მ. არიფის მსგავსად ქართველთა შრომისმოყვარეობასა და გამჭრიახობაზე საუბრობს, რასაც მათ გენეტიკურ წარმომავლობასა და ადათობრივი სივრცის დაცვას უკავშირებს. მისი აზრით, დღე-ღამესავით განირჩევა ქართველთა კარ-მიდამო, სოფლები, ყანები, მინდვრები და ბალები დანარჩენი მუსულმანების სოფლებისაგან. თავიანთ თავს გურჯებს ეძახიან და ამით ამაყობენ, დაცინვით უყურებენ თურქებს და ქართულად გაიძახიან-“თათარი კაცი არ გახდება”. ქართველი მაჰმადიანების ეკონომიკურ დანიანურებას იმან შეუწყო ხელი, რომ ისინი ინახავდნენ თავიანთ ზნე-ჩვეულებას, ადათ-წესებს. ქართველები მთელ ოსმალეთში კარგად არიან მოწყობილნი, რადგანაც “რასიული გამჭრიახობა და კულტურა მეტი აქვთ”. (ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში 1990, 13)

მ. არიფის მიხედვით, მუჰაჯირი ქართველები ენაწყლიანობით გამოირჩევიან, წარსულის ამბებს ტკბილად ჰყვებიან. ისინი ძლიერ განაფულნი არიან ცხენოსნობაში და ბუნებით მეომრები არიან. ქართველებს ერთობლივი ლოცვის ადგილი ძლიერ უყვართ. “არიან ძლიერ ხმაურიანნი. როცა ორი კაცი ერთმანეთს შეხვდება, მათი საუბარი სხვას შეიძლება ჩხუბი ეგონოს”. (Arif 2002, 48) “ღირსება და კეთილშობილება ქართველების უპირატესობათაგანია”. (Arif 2002, 51) ქალები ძალიან კდემამოსილნი და პატიოსნები არიან. მამაკაცები კი საკმაოდ მოხდენილები. იცვამენ ქართულ ტანსაცმელს. ზამთრის ღამეებში უყვართ ცეცხლის გარშემო შემოსხდომა და საუბარი. ქორწილებში მეტად ნატიფ ცეკვას ხორუმს ასრულებენ. ამ ცეკვიდან ჩანს, რომ ქართველებს სისწრაფეში ბადალი არ ჰყავთ. მათი ენა მეტად ტკბილი და მდიდარია.

ამრიგად, ე. დალევჯიო და მ. არიფი ქართველების შემდეგ თვისებებზე ამახვილებენ ყურადღებას: 1. არიან ხმაურიანნი. 2.

ქართველთათვის მნიშვნელოვანია ღირსება და კეთილშობილება. 3. არიან პატიოსანნი. 4. გამოირჩევიან ერთობლი ლოცვის ადგილის სიყვარულით. 5. არიან მოხდენილები. 6. ნიჭიერნი. 7. შრომისმოყვარენი. 8. სტუმრის პატივისმცემელნი. 9. ურთიერთდამხმარენი. 10. საქმის მცოდნენი. 11. გაბედულნი. 12. ტრადიციის დამცველნი. 13. ახასიათებთ "რასიული გამჭრიახობა". 14. სწავლის სიყვარული. 15. არიან ენაწელიანნი. 16. ტკბილმოუბარნი. 17. ამაყნი. საინტერესოა, რომ აღნიშნული თვისებები, ემთხვევა ვ. ბაგრატიონის "აღწერა სამეფოსა საქართველოსი". "...ზნენი აქუნდათ **პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა**, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა. მედგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყანისა, ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანდიან თვის-თვისთა თანასწორთა..ხოლო კაცნი ამის ქუეყნისა არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი. ხოლო ანაგებითა **არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი**, ჰაეროვანნი, შავ თვალთ-ნარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვიათ შავგვრემან და მოყვითან, იშვიათ თვალჭრელ და გრემან, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდატევებული და დაწნული. ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკუეცილნი; წერწეტი, უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი, **მხნენი მუშაკნი**, ჭირთა მომთმენნი, ციხესა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფნი. სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, **ამაყნი**, ლალნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა, **სტუმართა და უცხოთ მოყუარენი**; მხიარულნი, **უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარა შეიჭირვიან**; უხუნი, არც თვისსა და არცა სხვისსა კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, **გონიერნი**, მსწრაფლ-მიმხდომნი, **სწავლის მოყუარენი**...ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მიმდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყვარენი, თვალმგებნი და მოთაკილენი". (ქართლის

ცხოვრება 1973, 44-45) როგორც ვხედავთ, ქართველების გენეტიკურად დამახასიათებელი თვისებები, უცხო ქვეყანაშიც სხვა ეთნოსის წარმომადგენლებისთვისაც შესამჩნევი ყოფილა. სწორედ ამ თვისებების წყალობით განირჩეოდნენ და განირჩევიან დღესაც თურქეთში მცხოვრები ქართველები.

საინტერესოა, თუ როგორ განიხილავენ საკუთარ თავს ინეგოლის ეთნიკური ქართველები და რა თვისებებით განარჩევენ -“ჩვენ” და “სხვები”. ჰაირიელ და ზოგადად ინეგოლის ქართველებით დასახლებულ სოფლებში, ჩვენი კვლევის შედეგად, ქართველობის შემეცნებისა და გამოხატვის 3 უმთავრესი ნიშანი იკვეთება. 1. ტერმინოლოგიური. 2. მათთვის გენეტიკურად დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. 3. სიმბოლოებით გამოხატული ეთნიკური თვითაღქმა.

I ტერმინოლოგიური: დეფინიცია “გურჯი”, “ჩვენებური”. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის კონსტიტუციის 66-მეექვსე მუხლის თანახმად, თურქეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე თურქია. ე.ი. მოქალაქეობა განსაზღვრავს ეთნიკურობასაც. თურქეთში მცხოვრებ ქართველებს უწოდებენ “ქართული წარმოშობის თურქ მოქალაქეს” (Gürcü kökenli Türk vatandaşı) და “თურქეთელი ქართველი”. (Türkiye’li Gürcü) მაგრამ თავად საკუთარ თავს უწოდებენ “გურჯებს”, ერთმანეთში საუბრისას კი “ჩვენებურს”. სამშობლოს აღსანიშნავად იყენებენ თურქულ სიტყვას “მემლექეთი”⁵. მაგალითად, “მემლექეთიდან გადმოვსულვართ”, “ბაბას მემლექეთიდან გადმოუტანია”, “თიბვაში მემლექეთურ სიმღერას ვიტყვოდი”.

ტერმინი “გურჯი” და “გურჯისტანი” XV საუკუნიდან მოყოლებული ყველა ტიპის ოსმალურ წერილობით წყაროებში ფიქსირდება. “ტერმინი “გურჯისტანი” ოსმალურ წერილობით ძეგ-

⁵ სიტყვა “memleket”-ს გააჩნია ძლიერი ემოციური დატვირთვა და სამშობლოსადმი მიკუთვნებას გამოხატავს იხ. Doğan A, 1995, Osmanlıca Türkçe sözlük, Ankara, Akcag Yayınları.

ლებში პოლისემიური მნიშვნელობითაა ფიქსირებული”. (საქართველოსა და ქართველობის აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია 1993, 256)

ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ (1461 წ.) ოსმალეთი მიადგა რა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს, ოსმალეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობებში დაისვა “გურჯისტანის საკითხი”, ხოლო 1555 29 მაისს, ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით, საქართველო ორი დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოებს შორის გაიყო. საქართველოს დასავლეთი და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი ერგო ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთი) და აღმოსავლეთ მესხეთი, ახალციხის ჩათვლით, ირანს. შესაბამისად ოსმალეთის მეისტორიეთა-სელიანიქის, მუსტაფა ალის, იბრაჰიმ ფეჩევის, ყარა ჩელები-ზადეს, ქათიბ ჩელების, ნაიმას, აბუბექრის, იბრაჰიმ ჩაფუშის, სოლაქ ზადეს, მუნეჯიმ ბაშის, ქუჩუქ ჩელები ზადესა და გურჯი ზადეს ნაშრომებში ცნება “გურჯისტანი” ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს, ხოლო იმ ისტორიკოსთა შრომებში, რომლებიც 1639-1722 მოვლენებს აღწერენ, მეჰმედ რაშიდი, ნამი ალა, ფუნდუქლულუ მეჰმედ ალა, ვასიფი ჩეშმე ზადე, ტერმინი “გურჯისტანი” დასავლეთ საქართველოს გულისხმობს. როგორც ცნობილია “ამ ”მშვიდობიან” პერიოდში (1639-1722) ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის აქტიურ პუნქტად ამიერკავკასიის ქვეყნებიდან დასავლეთ საქართველო იქცა”. (საქართველოსა და ქართველობის აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია 1993, 257)

XVI საუკუნიდან “გურჯისტანი” საქართველოში შექმნილი რეალური ისტორიული ვითარების შესაბამისად, ოსმალურში “ძირითადად დიფერენცირებული შინაარსით იხმარება და გულისხმობს საქართველოს ერთ კონკრეტულ მხარეს, ერთ “საქართველოს”, “საქართველოებიდან” ერთ-ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიას”. (საქართველოსა და ქართველობის აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია 1993, 259)

საინტერესოა, რომ ინეგოლის ეთნიკური ქართველები “გურჯს” და “ქართველს” არა მხოლოდ ტერმინოლოგიურად, არამედ აზრობრივადაც განასხვავებენ. ტერმინში “გურჯი” მოიაზრებენ მაჰამდიან ქართველს, ხოლო ტერმინში “ქართველი” გულისხმობენ ქრისტიან ქართველს. ზოგადად, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში როდესაც ქართველი გაქრისტიანდებოდა ეტყოდნენ “გაქართველდაო”. ე. ი. “გაქრისტიანება” და “გაქართველება” საერთო ცნებად იქცა. თურქეთში მცხოვრებთა უმრავლესობისათვის “ქართველსა” და “გურჯს” შორის განსხვავება, რელიგიური და არა ეთნიკური კუთხით ხდება. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ბევრი ცდილობს, და ეს ტენდენცია დიდი ხნის წინ დაიწყო, “გურჯი” ჩამოაცილოს “ქართველს” და ამით თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს, დაუმტკიცონ, რომ იქ მცხოვრები “გურჯები” არიან არა ქართველები, არამედ “აჭარელი თურქები”. 1996 წლის 2 იანვრის გაზეთში “თურქიე”, დაიბეჭდა ნეჯათ ოზფათურის სტატია “ანატოლიის ეთნიკური მოდელი”, სადაც იგი აჭარასა და აფხაზეთს თურქეთის პრობლემად მიიჩნევს. სტამბოლის პროფესორმა მემედ სარაიმ 1996 წლის 17 აპრილს წაიკითხა ბათუმში ლექცია, სადაც განაცხადა რომ აჭარლები უიღურთა ტომს ეკუთვნიან და ამდენად ისინი თურქები არიან. ცნობილ ამერიკელ მეცნიერს პოლ მაგნარელას, მოჰყავს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, კერძოდ, ქალაქ სუსურლუკთან ახლოს, დაწყებით სკოლაში იგი შეხვედრია წარმოშობით ქართველ მასწავლებელს, რომელსაც აღუნიშნავს, რომ “ქართველები არიან კასპიელი თურქები, რომლებიც საუბრობენ თურქული ენის დიალექტზე და რომელიც ახლა უნდა ჩაანაცვლონ სტანდარტული თურქული ენით. იგი თავის სათვისტომოში განათლებულ პიროვნებად არის მიჩნეული და მის შეხედულებას საკმაო წონა გააჩნია”. (Magnarella 1979, 117) ბუნებრივია, ასეთ პიროვნებას სოფელში საკმაო გავლენა ექნებოდა და მისი აზრები ზეგავლენას მოახდენდა სხვა დანარჩენ ქართველებზეც. როდესაც 1877-78 წლებში აჭარა შემოუერთეს რუსეთის საქართველოს”, გადასახლების თაობაზე დაიწყო პროპაგანდა, უმ-

თავრესს პროპაგანდისტებად თურქეთში განათლება მიღებული (გგულისხმობთ სასულიერო განათლებას) მოღები ითვლებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ “განათლება” მიღებული მასწავლებლების, მოღებისა თუ სხვათა მეშვეობით, 1877-78 წლებიდან დაწყებული ოსმალეთის იმპერია ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა ეთნიკურ მუსულმან ქართველებზე, როგორც აჭარაში ისე თურქეთის ტერიტორიაზე. აქვე უნდა დავამატოთ, რომ 1992 წელს, ინეგოლში, დაარსდა “საქართველოს აჭარის ავტონომიური რაიონის, მუსულმან თურქთა დაცვისა და სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფის საზოგადოება”. რომლის მიზანი იყო აჭარის მოსახლეობას დახმარებოდა.⁶

ტერმინები “კასპიელი თურქი”, “აჭარელი თურქი”, “აჭარის მუსულმანი თურქები”, თურქეთში და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური მუსულმანი ქართველების, საერთო ქართული სივრციდან ჩამოცილებას ემსახურება. მსგავსი ტენდენციები უკვე დიდი ხანია შეიმჩნევა, რაც ბუნებრივია გავლენას ახდენს თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებზე. შეიძლება ითქვას, რომ ტერმინების “გურჯისა” და ”ქართველის” ერთმანეთისაგან რელიგიური თვალსაზრისით განცალკევებით, ცდილობენ მოახდინონ ეთნიკური გათიშვა. მსგავსი ტენდენცია ძველად ლაზებთან მიმართებაშიც შეიმჩნეოდა, კერძოდ, ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა, რომ ოსმალებმა ლაზები გადააკეთეს და დაამხეს მათში ვინაობის შეგრძნება. შეაძულეს ქართველთა ნათესაობა და ააფარეს არაბული დამწერლობა. მოსპეს მათში ეროვნულობა და ჩაუნერგეს თურქოფილობა. მკვლევარს ბათუმში ლაზები უნახავს, რომლებიც კარგად ფლობდნენ ლა-

⁶ იხ. ნ. ოქროსცვარიძე, “ბათუმელი” ოსმან აქისქალიოღლუ-გოჩინტიძე (თურქეთის ქართველების კიდევ ერთი ისტორია დაწყებული სამშობლოში, გაგრძელებული და ტრაგიკულად დასრულებული სამშობლოდან შორს), ჟ. “ამირანი”, № 23. 2011, <http://www.caucasology.com/amirani23/okrostsvavidze.djvu> (10.4.2012)

ზურ ენას. მას აუხსნია ლაზებისათვის ქართული ვინაობის შესახებ, ხოლო მათ უპასუხიათ “ნიგნები ქართულ ენაზედ რომ დაბეჭდოთ, მის შემდეგ მოახერხეთ და ოსმალურ ენაზედაც დაბეჭდეთ, რომ ჩვენმა ხალხმაც გაიგოს, რომ ჩვენ ქართველ-მეგრელების ნათესავეები ვართ და არა თურქებისა და ქურთებისა. ამ საქმში ფულით ჩვენ დაგეხმარებით, თორემ ოსმალებმა ჩვენ ისე გარდაქვმნეს, რომ ჩვენ ჩაგვინერგეს ის ყალბი ცნობები, რომ თქვენ თურქები ხართ, თქვენი ანბანიც არაბულია და არა ქართული”. (ჭიჭინაძე 1927, 6)

როგორც ვხედავთ თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების საერთო ქართული სივრციდან “ნათესავით ქართველი”-დან მოწყვეტის მცდელობები საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო და დღესაც აქტიურად გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ასაკოვან მოსახლეობაში ტერმინების “გურჯისა” და “ქართველის” აღრევა ინვეეს საკმაოდ ძლიერ გაღიზიანებას. “ქართველის” წოდებაზე მათში უარყოფითი განწყობა შეიმჩნევა. “ქართველები კი არა გურჯები ვართ”. არის მთელი რიგი სოფლები, სადაც “ქართველის” წოდება შეიძლება ითქვას შეურაცმყოფის ტოლფასია.

ნინო ოქროსცვარიძე- *“ქართული საჭმელებიდან რა იცით?”*

უსთაისმეთოღლუ- *“ქართული საჭმელებიდან, მე ორი გელიონი მყავს, ერთმა გურჯული, ქართული არ ვთქვათ, გურჯული საჭმელები ქალაჯო, ბოშორვა, ფხალლობიაი, კერჩხილობიაი, მალახტო, სინორი, მაკარნა, ნონოლაი”.*

როგორც, ადგილობრივები აღნიშნავენ, წარსულში მათ ოჯახებში ტერმინს “ქართველი” სალანძღავი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პროცესის შესახებ ჯერ კიდევ ზ. ჭიჭინაძე საუბრობდა ნაშრომში- “მუსულმან ქართველთა საქართველო”, სადაც აღნიშნავდა, რომ ოსმალებმა იმდენად შეაძულეს ქართველ მაჰმადიანებს ყველაფერი ქართული, რომ მათ სიტყვა “ქართველი” სძულდათ. ვინმეს რომ ეთქვა მათთვის შენ “ქართველოო, სატევარზე დაიდებდა ხელს”. “მეჯლისებში” ხანდახან სხვადასხვა

პირთა საჩივრებიც კი შედიოდა-ამა და ამ პირმა “ქართველი” მი-
წოდაო. მათში სიტყვა ქართველი გამოხიბთ იხსენიებოდა.

ინეგოლის ქართველებში, შემდეგი ტერმინიც ფიქსირდებოდა, როდესაც უფროსები პატარებს გაუბრაზდებოდნენ “ქართველიშვილად”, “ქართველების შექმნილად” მოიხსენიებდნენ. რაც ლანძღვასა და გინებას უდრიდა.

აზიზი ეფე “აქ რომ მოვიდენ “ქართველიშვილო” ჩვენი დედები, ნენები გვეტყოდენ-რაფერ ვხელდებოდით იცი? რატომ ქართველიშვილი ვართ? ქართველი რა თქმა არის. ეგენი იმას ამბობდენ ქართველიშვილო-გურჯუნუნ ოღლუ, გავბრაზდებოდით ქართველი რატომ გვხდიან”.

სუათ ფელევანოღლუ-კირკიტაძე- “გერმანიაში მაღაზიაში ერთი პურს მაძლევს შენ ქართველიხარო, რაის ქართველი მეთქი. აქ ნენე გვეტყოდა “ქართველიშვილოო” როცა გაბრაზდებოდა.”

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრისათვის “ქართველი” და “გურჯი” ერთიდაიგივეა. ამ ადამიანთა კატეგორიას ის ეთნიკური ქართველები მიეკუთვნებიან, რომლებსაც საქართველოსთან, ქართულ სათვისტომოებთან აქვთ ხშირი კონტაქტი ანდა ახალგაზრდები, რომლებშიც ძველი თაობისაგან განსხვავებით, ისტორიული მესხიერებიდან შემორჩენილი ამ ტერმინის მნიშვნელობა, მკაცრად არ არის განსაზღვრული.

აზიზი ეფე- “აქ რომ მოვედით ქართველობა მემრე შევიტყვეთ აგერ აქა ქართველის თქმას დერნეჩით(სათვისტომო)გამოვიდა ქართველი. შენ ქართველი, რა თქმა არის. ჩვენ გურჯი ვართ ამა საქართველოში სახელი ქართველია, ეს ვერ მივახდინეთ, აა ახლა მიხვდენ. რავახარ ქართველო კაცო-დიორ დეინყეს ახლა”.

ნინო ოქროსცვარიძე- “ზოგი საკუთარ თავს “გურჯს” უწოდებს და არა ქართველს”.

მიქეძემერ ოზბეჯი-გოგიტიძე-“სულ ქართულად ვლაპარაკობთ. ქართულ რატომ არ ამბობენ იცი? იქაური ხალხის სახელი ქართულია, ფადიშაჰსა ქართველებისთვინ გურჯი დუურქმეგია

თუ არა ჩვენ იქა გვარი ქართული გვაქ. ეიდა... სამი რძალი მყავს. ორი რძალი გურჯია ქართველია.”

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინებს შორის რადიკალური განსხვავება უფრო იმ სოფლებში შეიმჩნევა, სადაც ეთნიკური ქართველები ჩაკეთილ ცხოვრებას ეწევიან, არიან მართლმორწმუნე მაჰმადიანები, უარყოფენ სიახლეებს და იცავენ ტრადიციულ-რელიგიურ სივრცეს. მათში უფრო მეტად არის შემორჩენილი ისტორიული მეხსიერება და ბუნებრივია, მკაცრად საზღვრავენ ტერმინის “გურჯი” მნიშვნელობას. ამიტომ, “ქართველისა” და “გურჯის” აღრევა მათში გაღიზიანებას იწვევს.

II ინეგოლის “ნათესავით ქართველები” არა მხოლოდ ტერმინოლოგიურად განასხვავებენ საკუთარ თავს სხვებისაგან, არამედ გამოყოფენ იმ უმთავრესს თვისებებს, რაც მხოლოდ მათთვის არის ნიშანდობლივი. ეს თვისებებია: 1. “დამკავებლობა”-ერთად ყოფნა ჭირსა და ლხინში. 2. ურთიერთდახმარება. 3. სიმაღლე, სიჯანსაღე, გარეგნული სილამაზე. 4. სიცოცხლის ხანგრძლივობა. 5. სამზარეულო. 6. სისუფთავე.

აზიზ ეფე- ”ამა ქართველები კაი ვართ, დამკავებელი ვართ, რაცხა გამოუვიდეს კინწლა თლად მენგრევა, ამიტომ ის გვაქ დაკავება, მემრე სხვა დაკავება არ გვაქ. დახმარებაში კაი ვართ, ქორწილში ერთად ნეველენ, რომ ვინცხა გერდეიცვლება იმის ჯენაზე (დაკრძალვა) ბევრი ნეველენ. აქა თურქეთში ენ ბევრი ჩვენები იქნება”.

ჭუსეინი ორდუ-ამირან თავდგირიძე-”ქორწილში ქართველები ბევრია. ჯენაზე ქართველები ბევრია. ახლა თურქი დაჯდება მესელა გეიყურება მიხვდები ეს არნაუთია, ეს ბოშნაკია, ეს მუაჯირია, ეს ქართველია.”

ნინო ოქროსცავარიძე-”რითი ხვდებიან, რომ ქართველია?”

ჭუსეინ ორდუ-ამირან თავდგირიძე-”ერთად არიან. კაი დღეში ერთად არიან, გონჯ დღეში ერთად არიან. თურქებში ამოდენა ჩვენი დონა არ არის. ჩვენ კაი დღეში ერთად ვართ, გონჯ

დღეში ერთად ვართ. სულ შეკრული ვართ. აქ ეშინიათ სუყველას ჩვენი. თუ ვინცხა რაცხა თურქს დეემართა, იტყვის რომ მე ქართველი ამხანაგი მყავს. ეს ჩვენ გვიხარია.”

მელექ ერგუნი-ხინკილაძე-“თურქეთზე უფრო კარგ საჭმელს ვჭამთ, დუნიაში ენ ლამაზი, ენ მაღალი, ენ კარგი, ენ საღლიქლი (ჯანმრთელი) ინსნები ვართ. კარგი საჭმელები გვაქვს, კარგი ინსნები ვართ. სისხლი რომ ქართული გვაქვს არ შეგვეშლება. ზოგი იმდონი ინსნები გვევიგონე რომენე გურჯობა ცხვენია, თელი ვუთხარი-იცით თუ გურჯები რაფერ ინსნები არიან? რაფერი რას ჭამენ, რას სვენ, ამ დუნიაში ენ ლამაზი, ბევრ ცოცხლობენ, აქაურებმა ერთამანეთის დახმარება იციან, ვინმეს რომ გაუჭირდეს, მოკვდეს მთელი სოფელი ეხმარება, სხვებმა ეს არ იციან.”

იავუზ ეთინი-“კუდიანები პისი არიან, ახლა მადენში გედედი ცხვირ მეიფარებ. გაღმა სოფელი ესეა გაღმა სოფელიც კუდიანი, თლად უკან არიან. მიდი სახლებში მესელა აჰორები აკვნებზე ზიან, თემიში არალი, ნაჭამ იერზე გადაყრიან, თემიში ინსნები არალიან, ჩვენი სოფელი ას და ოცი წელი სოფელია, ახლა იქ გედე ბინ სენელი, ათასი ჯერ უკან არიან ჩვენ აქა ას და ოცი წელიწადი გახადა, ჩვენ სოფელე შეხედე და იქეთ იმ სოფლებში გეიარე.”

III სიმბოლოებითა და სულიერი კულტურით გამოხატული ეთნიკური თვითაქმა: მათში ვგულისხმობთ საქართველოსთან და ქართველობასთან ასოცირებული სიმბოლოებით, გამოხატულ ეთნიკურ თვითშემეცნებას, რაც თავისმხრივ უკავშირდება ისტორიულ მეხსიერებას. ხშირშემთხვევაში პიროვნება ქართველობის აღქმას სიმბოლოებით ახდენს. ეს შეიძლება იყოს საქართველოდან მათი წინაპრების მიერ წამოღებული-მინა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტი აქვს მოყვანილი ფრიდონ ხალვაშს ნაშრომში “ომრი”, ეჯვევითის მთავრობის დროს შინაგან საქმეთა მინისტრი ხასან გიუნეში (ბოლქვაძე) საქართველოში

ჩამოსულა. მას პაპის საფლავი მოუნახულებია მინა აულია და პარკში ჩაუყრია “ჩემთვისნა შევნახონაო”. ქალამნები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებსაც დღესდღეობით პრაქტიკული დანიშნულება აღარ გააჩნიათ. ქართული ხილის ჯიშები (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ქალაქ გუმერსბახში, ჰაირიელ ქართველებს, თან წაუღიათ ადესა). მეხსიერებაში შემორჩენილი ქართული სიმღერები, ლექსები, ცეკვები, ქართული გვარები-ხინკილაძეები, მალაყმაძეები, გურგენიძეები, გორაძეები, კახიძეები, კირკიტაძეები, ქოქოლაძეები, ლეკურიძეები, იაკობაშვილები, ყედენბეგიშვილები, ჯინჭარაძეები, ბასილაძეები და სხვა. წინაპრების გადმოსახლების ადგილების შესაბამისი გვარები, მაგალითად სოფელი მეკეიძედან გადმოსულებს გვარად მეკეიძე აულიათ, ფოცხოვიდან გადმოსულებს ფოცხოველები *“ჩვენ იმიდან გადმოსულვართ, ჩემი დედე იმიდან გადმოსულა-ფოცხოვიდან. შენ გეცოდინება, ფოცხოვიდან გადმოსულა ჩემი დედე 93-მუჰაჯირისა ვართ ჩვენ, ჩემი ბაბოი იქიდან გადმოუყვანიან ცხენ შუაზე დუუკვრიან და გადმოუყვანიან ჩემი ბაბოი. ჩემი ბაბო ყოფილიყო ახლა 110 იაშინდა უნდა ყოფილიყო. ჩემი ბაბო და მომკვდარა აქა. ჩვენ დავრჩით იშთე მას მერე აქ ვცოცხლობთ. გვარი ფოცხოველებს გვეტყოდენ. ის ვიცი სხვა არაფერი არ ვიცი. ჩემ დედეს ემე ქვია-დურსუნაი, ჩემ ბაბოსაც იდრისაი”*.

დაცული საოჯახო, საქორწინო, სტუმარ-მასპინძლობისა და უფროსს-უმცროსობის ადათები. ზოგიერთი თურქეთელი ქართველის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა, გვანჯდის მიცვალებულის ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას-დაბადების ადგილი, წარმოშობა და ქართული გვარი.

ჯემალეთინ ოზდემირი-ინეგოლის ჩინილი მეჩეთის იმამი (თუფეკჩიქონაქიდან) – *“სულყველაფერი არის ძველი ადეთებ. იქ რაცხა ადეთები იყო ისე აინი არი. ჩვენი ადეთები ლამაზია, ჩვენ ადეთებიდან მემწუნვიართ იანი, მესელა სახლში ადეთია, მეზობლობაში ადეთია, სოფელში ადეთია, ძალიან ინსნობის ადეთებია იანი, მესელა მუსაფირი ძალიან იმედს მივცემთ იანი, საიგი*

გოსთერიორუზ(პატივის ვცემთ) სულყველაფერი რაცხა არის დე-
ვამ ედიორუზ (ვაგრძელებთ) იანი, გელინობაა, ემიობაა. ადეთები
გვაქ, ბალნებს ქართული ვასწავლით, ქართულად ვლაპარაკობთ.
ქართულად წვეიკივლებთ, ვიყვირებთ ბავშვებს, კაცს. ჩვენ წინ
წინდული ადეთები არ დაგვრჩა, წინ წინ ბევრი ყოფილა, ჩვენ ენ
დიდი ადეთი ქართული ვართ და წინ წინდელი საიგი (პატივისცემა)
ალარ დარჩა, ჩვენ ცოტა დიდი ინსნები პანაი კიდე ვეკიდებით, წინ
წინ ასე ადგებოდენ უფროსი სტუმარი, ახლა ფეხი ფეხზე გადადე-
ბული ეს ამბაობა თქვენთვისაც გეჩერლია”.

ეთნიკური თვითობის ერთ-ერთ უმთავრესს სიმბოლურ გა-
მოხატულებას, ქართული სიმღერების, ლექსებისა და ცეკვების
ცოდნა წარმოადგენს. ინეგოლის ცენტრში განთავსებულია “კავ-
კასიის ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება”, რომელიც
1977 წელს დაარსდა. საზოგადოებაში უკვე მრავალი წელია რაც
ფუნქციონირებს ქართული ცეკვის ანსამბლი. ეთნიკური ქარ-
თველების ოჯახები ცდილობენ თავიანთ შვილებს ქართული
ცეკვები შეასწავლონ. ქართველებით დასახლებულ სოფლებში
თითქმის ყველამ იცის ხორუმი, განდაგანა, ქართული სიმღერე-
ბი. ცეკვის ილეთებს ახალგაზრდები ქორწილებში უფროსი თაო-
ბისაგან სწავლობენ. აღნიშნულ საზოგადოებაში ახლახანს გაიხ-
სნა ქართული ენის შემსწავლელი კურსებიც.

**მივლინებების დროს, ჩვენ დავაფიქსირეთ რამოდენიმე
ქართული ლექსი:**



“წყალი მასვი კოკითა
გამაძღე კოცნითა..”



“ბაჰჩაში დავთესე ლობიაი
იმას უნდა ჰაშარი
დედამთილი გავახელე
არ მაჭამა ვახშამი”.



“თათრის ნათალი
არ მავინყდება შემონათვალი
შენ რომ მომიტანე ჩემი ნათქვამი
ადექ წამოდი ჩემო ლამაზო,
ჩემო ლამაზო ვერ დაგინახე
გულვეში ზიდვები ვერ მოგინახე
ძალიან გეხვენები ვინმე შემინახე
ადექ წამოდი ჩემო ლამაზო
ცევსიეს ბრუნებით გევიარეთ ხიდზე
ნიშნის სინარო ძელზე გვიხარდა
ძალიან მიხდება ქემერი წელზე
ადექ წამოდი ჩემო ლამაზო
ადექ მოვიაროთ ლელე ბოსტანი
ძალიან მიხდება წვანე ხისტანი
აგიც არ იყო ჩევნი დესტანი
ადექ წამოდი ჩემო ლამაზო
ოსმალი მარტინი ავსნიე ხელში
სევდა ჩიმივიდა ბირ ქერე გულში
ადექ წამოდი ჩემო ლამაზო.”



“ლალის ციხეში ვარ დამწყვედი
კაცის ფერი არა მაქო ლალის
დედაჩემი ჩამოსულა ციხის კარებზე
ლალის ნაჩალნიკსაც უპასუხა შვილი
მაჩვენეო ლალის
ტიფლისიდა სოლჩაკ დახვრიტეს და მორჩა”.



“ბალჩაში მაქ ლობია
იმას უნდა ხაშარი
დადამთილი გავაბღეზე
არ ვაჭამე ვახშამი
ნარდანიანი ნინაიდა
ნარდანიანი ნინაიდა
ნარდანიანი ნინაიდა

ნარდანიანი ნინაიდა
 ეგერ გაღმა სარაია
 ერთი გეგდო რავაია
 ზედ გოგვები ფუნდრუკობენ
 საკოცნელად რავაია
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა
 ღელე-ღელე ვიარე
 ვერ ავაგსე გუგუმი (წყლის ასადულებელი)
 ჩემ ნიშანლის აცვია თეთრი
 ნარმის ზუბუნე (პერანგი)
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა
 ეგერ გაღმა თიკნები
 ვატილებ და ვიქნები
 გოგოვ არ წამომყვები
 ვიტირებ და ვიქნები
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა.
 ეგერ გაღმა მდინარე
 გოგო ნახვე ძინარე
 მაკოცე ჰემ ვუკბინე
 გავაგ ზავნე ტირალე
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა
 ნარდანიანი ნინაიდა”



“ფელელემ მელელემ
 ჯიმ ჯიმ თელელემ
 ჰაჯი ყარა ბუჯი ყარა

ჩაქველი ბაში ყარა
ინილოს მინილოს
დათვმა მნახოს
საცხა მიხვალ
იქ ჩაგბარხლოს.”



“იგერ გაღმა ტრედებო
გოგოვ რას მერიდებო
მაგრეთ რომ ლამაზი ხარ
ჩვენთვინაც რომ იზრდებო”.



“ბახჩაში მაქვს ტყემალიო
კონწილ კონწილ კიდიო
მე ის ბიჭი არ მინდა
ბუკზე(სახე) დაპრანჭულიო”.



“ყია ყია ყინდორია
ყინდორ ზედა მინდორია
მინდორ ზედა შავი ტყეა
შავ ტყეში ნადირია
ვინცხა ვერ მიხვდება
ხვალ იმის სადილია.



“ნაზრია მიადგა კარსა
აღურღურღურებს თავსა
ღმერთო მოგვეც ნვიმა წყალი
შიგვინახე სიზამთარი”.



“ღელე-ღელე ჩავიარა
ღელე ტალახიანი
ერთი პანია შემეყარა
ისიც ტალახიანი.”



“პანაი ყანაი დიდ ყანა

პანა პანაიმ წემიყვანა
დადგა ტაფა შექმნა ფაფა
დავჯექი და ვქენი სეფა”. (მხიარულება)



”აი ოხერო სიბერევე მალე შამატანე ხელი, პირში გემო გამო-
მართვი, გამაძულე ყველაფერი, მგონი ადგომას ვფიქრობდი,
ამიკანკალდა მუხელები, სამოცი წლის რომ გახდები ჩემ ამბავს
მაშინ მიხვდები. გონჯად თავი გამითეთრე, გლახად დამიგრძელე
წვერი, კაცი არ შემაცვოდვება არ მოვლენ ჩემი ძმანები... მომამ-
ტვრიე ცალი გვერდი..გათენებამდე სულ ვკრუსუნობ, სულ ვიძა-
ხი ნენევე წელი”.

უმთავრესი სიმბოლო მაინც ენის ცოდნაა, რომელიც დღეს-
დღეობით შემორჩენილია ზეპირი და არა წერიტი მეტყველების
სახით. ეთნიკური ქართველები გალიზიანებით უყურებენ იმ ქარ-
თველებს, რომლებმაც ქართული ენა არ იციან. ჩვენი რესპოდენ-
ტი **მელექ ერგუნი (მაღაყმაძე)** აღნიშნავს, “ჩუენა ვინცხამ რო-
მე გურჯიჯა არ იცის, იმა ქართულ კაცათ არ ვთვლით. ზოგი
იმდონი ინსნები გევიგონე რომენე გურჯობა ცხვენია, გგურჯი
ვართო ცხვენოდენ არ ამბობენ, მენყინა. შვილებს უნდა დაასწავ-
ლოთ, მანქანაში ჯდომასი ერთი კაცი გევიცანი, გურჯი ხარვო?
ხო მეთქი შენ მეთქი? თურქულაი მეუბნება, იშთე ამ სოფლიდან
ვარო, გურჯუჯე ენა იცი მეთქი? მევო არ დამასწავლესო მეო. ეს
დიდი სირცხვილია. ვინცხვა გურჯულს არ სწავლობს იმათ ვარ-
ცხვენთ.”

კატრიე ილდიზ, ერგუნი - ”გერმანიაშიც არიან არ ვიცითო
ჩვენ ქართულიო, რაისთვის არ უნდა იცოდე მეთქი ქართულიო?
რაისთვის არ უნდა იცოდე მეთქი დიდი კაცი გამხდარ ხარ მეთ-
ქი? ჩემმა შვილიშვილებმა იციან ქართული, ჩემი გოგო გერმანია-
ში მექტებში(სკოლა) კითხულობს, იმის მეზობელმა მითხრა რო-
მენე ერთი შენ რაცხა უნდა გკითხოვო, შენი გოგოს აღმანჯა და-
ჰა ლამაზიაო, ლამაზად ლაპარაკობსო, რაისთვინო თქვენ სახ-
ლში ისე ლაპარაკობთ თლადო გერმანულაივო? არა მეთქი, ამან

მეთქი ჰემენ მივხვდი, ჩემ გოგომ ქართველი იცის გეორგიშე, გიორგიშე შპრახე იცის მეთქი, ვოო, ახლა მივხვდი ახლაო. ჩემ ბადიშებმაც იციან, ჩვენ თელმა ვლაპარაკობთ ქართულად”. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულად მხოლოდ შიდა საოჯახო და სანათესაო სივრცეში მეტყველებენ. სოფლის გარეთ კი იყენებენ თურქულს. შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური ქართველებში ქართულ ენას მხოლოდ ეთნიკურობის სიმბოლური დატვირთვა გააჩნია.

ინეგოლის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე ერთამენტის მიყოლებით განთავსებულია ეთნიკური ქართველების ავეჯის ფირმები, რომლებიც ლათინური შრიფტით, ქართულ სახელწოდებებს ატარებს. მაგალითად “tetrihome”, “didikoltuk”, “vardi”, “saloni” “sinatle”, “modi”, “avec”. ამით სიმბოლურად საკუთარი თვითიდენტობის გამოხატულებას ახდენენ. ამაყობენ თავიანთი წარმოშობითა და ინეგოლში დომინანტური პოზიციის დაკავებით.

ზოგადად “თურქიეში “გურჯობა დიდი რამეა”. ქართველთა დომინანტურ პოზიციასზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე, ეთნიკურ ქართველებს ინეგოლის მერის თანამდებობა უკავიათ-ჯემალ არიქა (ჯემალ ცეცხლაძე), ჰიქმეთ შაჰინი, (შემდგომში ბურსის მერი), ალინურ აქთაში (ალეკო ქოქოლაძე), ქალაქის მმართველობის წამყვანი თანამდებობებიც მათ ხელშია.

ჰუსეინ ორდუ-თავდგირიძე- “*აქ მერი ქართველია, მოადგილე ქართველია, განათლების სამართველოს უფროსი ქართველია, ყველას თავში ქართველია. ჩვენ რაცხას ვიტყვით ისე იქნება.*”

საინტერესოა, რომ ინეგოლის ქართული წარმოშობის მოსახლეობა, მერობის კანდიდატს, ხშირშემთხვევაში ეთნიკური ქართველობის გამო ირჩევს, მიუხედავად იმისა, იზიარებს თუ არა მის პოლიტიკურ პლატფორმას.

ინეგოლში ქართველთა უპირატესობის ტენდენცია ჯერ კიდევ მუჰაჯირების გადმოსახლების პერიოდიდან ვლინდება. მა-

გალითად, სოფელ ჰაირიეში თავიდან ჩერქეზები მოსულანს, მაგრამ შემდგომში ეს ტერიტორია ქართველებს დაუკავებიათ. მათ მხარდაჭერა ოსმალეთის ოფიციალური წრეების მხრიდანაც ჰქონიათ, რადგანაც სწორედ ინეგოლის მმართველმა მიანიჭა ეთნიკურ ქართველებს უპირატესობა და აღნიშნული ტერიტორიის დაკავების ნება დართო. მსგავსი ფაქტი ინეგოლის სოფელ თუფექჩიქონაქშიც მომხდარა. ქართველ მუჰაჯირებს ამ სოფელში აფხაზები დახვედრიათ, მაგრამ მათ შორის გაუგებრობა მომხდარა, რის შემდეგაც აფხაზებს ეს სოფელი მიუტოვებიათ. სოფლის ძველი სახელწოდება წანარქოი ყოფილა, რომელიც აფხაზებს მიუციათ. მოსახლეობის გადმოცემით, სოფელში ღამის გათევის მიზნით, ათა-თურქი თავისი სამხედროებით გაჩერებულა, ქართველებს საკვები შეუთავაზებიათ და კარგი მასპინძლობაც გაუწევიათ. ათა-თურქს არ მოსწონებია აფხაზების მიერ დარქმეული სახელი და სოფელს “თუფექჩიქონაქი” ანუ “მეიარაღის ღამის სადგომი”. უწოდა

ეთნიკურ ქართველთა დომინანტური პოზიციის თვალსაზრისით, საყურადღებოა სოფელი გუნეიქესთანეც. ამ სოფლის უმრავლესობა აფხაზია, უმცირესობაში კი ქართველები არიან. მარშანიების დახმარებით სოფელში დავითაძეების -ადიამანების ოჯახი გადმოსულა. 35 წლის განმავლობაში აფხაზებით დასახლებულ სოფელს, ხელმძღვანელობდნენ უმცირესობაში მყოფი ქართველები, კერძოდ, დავითაძეების-ადიამანების გვარის წარმომადგენლები. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგანაც უმცირესობაში მყოფი ქართველის ოჯახი, 30-35 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა სოფლის “მუჰთარის” ანუ გამგებლის თანამდებობას.

როგორც ეთნიკური ქართველები აღნიშნავენ, თურქებს მათი ”შურთ” და ცდილობენ ”გაქართველებას”. თავიანთი შვილები ქართული ცეკვების შემსწავლელ კურსებზე დაჰყავთ და ქართველებთან დამოყვრებასაც ესწრაფვიან. (საინტერესოა, რომ ცნობილი ოსმალთა პოეტი ნაბი ალტაცეხული წერდა ქართველი

ქალის შესახებ. თავის ლექსებში იმ უბედურებაზე საუბრობდა, რაც არაქართველი ქალის მოყვანას მოსდევდა. ქართველი ქალის შერთვა, დიდ პატივად მიიჩნეოდა)

ჰუსეინ ორდუ-თავდგირიძე-“ერთმა თურქმა თქვა მე ქართველი გახდომა მინდაო და რა ვქნაო, გოგო უნდა ვითხოვო ქართველიო ან გოგო უნდა მივცეო ქართველებსო და ქართველი გავხდეო”.

ნინო ოქროსცვარიძე-“ხშირია თურქების მხრიდან გაქართველების სურვილი?”

ჰუსეინ ორდუ-თავდგირიძე-“კი, რატომ მე გამაჩინა ღმერთმაო თურქადო.”

ეთნიკური გაორება ბუნებრივი პროცესია მაშინ, როდესაც ეთნოსი სხვა ეთნოსის ტერიტორიაზე სახლდება და წლების განმავლობაში თაობებად ყალიბდება. ამ შემთხვევაში ემიგრირებული ეთნოსი იძენს სხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს და ხდება მათ სივრცეში უცხო გარემოს შემოჭრა. ინეგოლის ქართველების ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთის მხრივ აღინიშნება ზოგადი ქართული ტრადიციების დაცვა, მეორეს მხრივ კი ხდება თურქული ნეს-ჩვეულებებისადმი მიმდევრობა. ხშირშემთხვევაში ერთმანეთშია აღრეული ქართული და თურქული საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციები. ბიეთნიკური ქორწილის დროს კი, ცერემონია იღებს ტრადიციათა შერეულ სახეს. მსგავსი ქორწილების დროს, ოჯახებს შორის გაურკვეველობასა და გაღიზიანებასაც ჰქონია ადგილი.

ჰაირიესა და ინეგოლის ქართულ სოფლებში მივლინებებისა და კვლევების შედეგად გამოიკვეთა ქართველობის შენარჩუნების 3 უმთავრესი მიზეზი, რომელთა თანდათანობითმა მოშლამ, მათ ეთნიკურ გაორებას შეუწყო ხელი.

1. ჰაირიელი და ზოგადად ინეგოლის ქართველები საკუთარი სოფლის სივრცეში უცხოს არ უშვებდნენ, მიწას არაქართველზე არ ყიდდნენ. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მიწის სხვაზე მიყიდვით, საკუთარ ეთნიკურ სივრცეში, სხვა ეთნიკური

ერთეულის შემოდინებას შეუწყობდნენ ხელს, რითაც მოხდებოდა შიდა სივრცის თანდათანობითი მოშლა და უცხო ტრადიციების დამკვიდრება. ამ წესს დღესაც იცავენ, თუმცა ზოგიერთ სოფელში მიწის სხვა ეთნოსზე მიყიდვის ფაქტები მაინც ფიქსირდება.

ნინო ოქროსცვარიძე - "თქვენ სოფელში მიწას უცხოს მიყიდიან?"

აზიზ ეფე- "იქ რო მე მიწა გემეყიდა ეგერ აქა ინეგოლში 15 დაირე (სახლი) მექნებოდა. სხვები ყიდიან, ვინცბა ფარას ბევრ აძლევენ ყიდიან. მე არ გავყიდი. მე სხვას იქ არ შევუშვებ. მე ვუთხარ ამდენი ფული მომცეს, არ ვაძლევ აქ არვის არ ვუშვებ, გაყიდეს ხალხმა, ამა შემრე მეიშლება ქართველობა, ადგება ის მოვა, ის მოვა, გეიზრდება".

ჭუსეინ აიბარი-ხაზინადარი- "უცხოს მაინც არ უშვებენ ადგილობრივს უთმობენ".

აზიზ ეფე- "რაცბა ფულს დაადებს კაცი ყიდის იმას. ის სოფელი დეიკარგვის. ქართველები აღარ არიან."

ჭუსეინ აიბარი-ხაზინადარი- "თურქებიც არიან და უნდათ ყიდვა."

აზიზ ეფე- "სოფელში ვეუბნები ეს უნდა გავყიდო. ამას რა უნდა 20 მილიონი ფული მინდაო არ გაძლევს კაცი, მოდის 30 მილიონ ფულ გაძლევს, შენც იმას მიყიდავ. სოფელი დეიკარგვის."

ჭუსეინ აიბარი-ხაზინადარი- "ჩვენს სოფელში (საუბარია ჰილმიეზე) რაც არ უნდა მეტი მისცეს, მაინც უცხოს არ მიყიდიან. მხოლოდ ერთმა გაბედა სახლის გაყიდვა და დაატოვინეს. სოფლის სიძე იყო ევა."

შიში იმისა, რომ მოხდება ეთნიკურ ქართველთა გადაჯიშება, დიდია. ეს განსაკუთრებით უფროს თაობაში შეინიშნება. ახალგაზრდებს, მშობლების სიკვდილის შემდეგ, სხვა ეთნოსის წარმომადგენლებისათვის მიუყიდიან მიწები. ამ ფაქტს უარყოფითად შეხვდა სოფლის მოსახლეობა და "უცხო" აიძულეს მიწები ადგილობრივებისათვის მიეყიდა.

2. უარყოფითად ეკიდებოდნენ შერეული ოჯახების შექმნას. ქართველების ამ თვისებაზე ჯერ კიდევ ევგენი დაალევიო საუბრობდა. იგი აღნიშნავდა, რომ იშვიათია მათში მრავალცოლიანობა და "თათრებში" აღრევა. ეთნიკური ქართველები არა მხოლოდ სოფლის, არამედ თავიანთ ოჯახშიც სხვა ეთნოსის შემოშვებას გაუბოდნენ- "თურქებს სურთ ჩვენიდან ქალი წაიყვანონ ან ბიჭი, მაგრამ ჩვენ არ ვაძლევთ".

უსთაისმეთოღლუ-ვახტანგიძე-გენელდე (უმთავრესად) გურჯია. იაბანჯი (უცხო) მიცემა ართმევა არ გვიყვარს. ჩუენ ენამ არ გამეიცვალოს, იაბანჯის (უცხოს) ქართუელის გარდა არ ვუშვებთ ჩუენ სოფლებში. სისხლმა არ გამეიცუალოს, ენამ არ გამეიცუალოს".

აზიზ ეფე- "იმათ იერიან. უნინ არ იყო. გურჯი სხვას არ მისცემდნენ. გურჯი სხვას არ ითხოვდა. ახლა აძლევენ, რაფერ აძლევენ. სოფლებში გოგოები ახლა ინეგოლში მჯდარან, ინეგოლში ვინცხა მოთხოვს, ოოო ინეგოლია აძლევენ. უნინ ქართველი ქართველი. ანაი ქართველი, ბაბაი ქართველი. ბაღეები იმფრად იზრდებოდნენ, ახლა რომ იერია ახლა იმას ვიჯვებით."

3. ეთნიკური ქართველები უცხო ტერიტორიაზე დამკვიდრების დღიდან, ცდილობდნენ შემოენახათ წინაპართა ტრადიციები, ადათები, მომავალი თაობებისათვის გადაეცათ ინფორმაცია წარმომავლობის შესახებ.

ამრიგად, ზემოაღნიშნულმა მიზეზებმა ერთის მხრივ შემოუნახეს მათ ქართველობა, თუმცა მეორეს მხრივ თანდათანობრივმა მოშლამ გამოიწვია და დააჩქარა ასიმილაციის პროცესი, რასაც ისედაც ხელს უწყობდა გარემო პირობები-ქალაქური ცხოვრების შემოჭრა, სავალდებულო სამხედრო სამსახური, თურქეთის მოქალაქეობა (თურქეთის კონსტიტუციის სამოცდამეექვსე მუხლის მიხედვით თურქეთის ყველა მოქალაქე თურქია), ისლამი და "თურქი ხალხის ტოლერანტობა", რომელიც "მუსლიმ ემიგრანტს საკუთარ მიწაზე იღებდა". როგორც პ. მაგნარელა აღნიშნავდა, "თურქეთში სამხედრო სავალდებულო სამ-

სახური, ქართველების და სხვა ეთნიკური უმცირესობების, თურქულ საზოგადოებასა და კულტურასთან გაერთიანებას უწყობს ხელს. ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში პრაქტიკულად ყველა ჰაირიელი მამაკაცი სოფელს ტოვებს და ორი წლით თურქეთის ჯარში მიდის”. (Magnarella 1979, 117) მეცნიერს მოჰყავს პოლ სტირლინგის გამოკვლევა, (ამ უკანასკნელმა 1950-იან წლებში გამოიკვლია თურქეთის სოფლები და მათ შორის შეეხო ჰაირიესაც) ”უეჭველია, რომ სამხედრო სამსახური, სოფლის ეროვნულ სახელმწიფოსთან იდენტიფიცირების თვალსაზრისით, უმთავრესს მიზეზს წარმოადგენდა.... ყველას შეეძლო უფრო მეტი ენახა თურქეთის შესახებ”. (Magnarella 1979, 117)

ბუნებრივია, ასეთ გარემოში ძალიან რთული იქნებოდა იდენტურობის დაცვა. თვისობრივად უცხო გარემო გავლენას ახდენდა და ახდენს მათ ყოფა-ცხოვრებაზე. მაგრამ იძულებითი და ბუნებრივი ასიმილაციის მიუხედავად, ეთნიკურ ქართველებში მაინც შემორჩენილია თვითიდენტობის ტერმინოლოგიური, გენეტიკურად დამახასიათებელი ნიშან-თვისებებითა და სიმბოლოებით გამოხატული ეთნიკური თვითაღქმა, რითაც ახდენენ საკუთარი თავის მიკუთვნებას ”ქართულ”, ”გურჯულ”- სამყაროსთან.

ლიტერატურა

1. ბაგრატიონი ვ. -აღწერაი სამეფოისა საქართველოისა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1973.
2. ბოსტაშვილი ნ. -იასე რაჭველიშვილი-მეხუზლა, “მეცნიერება”, თბილისი, 1991
3. ბუხრაშვილი პ. -საცხოვრისი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად. “უნივერსალი”, თბილისი, 2005.
4. დალეჯიო დ’ალესიო ე. -ქართველები კონსტანტინეპოლში, “ქართული სავანე”, სტამბოლი, 1921.
5. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. “მეცნიერება” თბილისი, 1993.

6. სტალინი ი. -ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი. “სახელგამი პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი”, თბილისი, 1951.
7. სტალინი ი. -მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. “სახელგამი პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი”, თბილისი, 1951.
8. ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში, “მერანი”, თბილისი, 1990.
9. წერეთელი მ. -ერი და კაცობრიობა. “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”. თბილისი, 1990
10. ჭიჭინაძე ზ. -ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისტანი ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით, ტფილისი, 1927
11. Arif İ. M. -Gürcü Köyleri “Sinatle” İstanbul, 2002
12. Doğan A, 1995, Osmanlıca Türkçe sözlük, Ankara, Akcag Yayınları.
13. Magnarella P. – The Peasant Venture-Tradition, Migration, and Change among Georgian Peasants in Turkey, Schenkman Publishing Company, Cambridge, Massachusetts, 1979.

Nino Okrostsvavidze

***Understanding of ethnic self-perception issue
in Georgian population of Khairie and Inegol
Summary***

In Inegoli Georgians daily live, on one hand is marked general Georgian traditions and on the other hand, it becomes the sequence of the Turkish rules. Based on our study, in villages populated of Hairie and Inegol Georgians, 3 major rating is intersecting of knowledge and expression of Georgians. 1. Terminological; 2. For those genetically characteristic features. 3. Symbol of ethnic self-perception. Also intersect Georgians maintaining 3 basic reasons. In article is described these issues.

**ხიდირჯელის დღესასწაული თურქეთის
ქართველთა ყოფაში**

თურქეთის ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრებ ქართველთა ყოფაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ზოგადქართულ კულტურულ-ისტორიულ გარემოში არსებული ტრადიციები, სულიერი კულტურისარქაული ელემენტები. მეტიც, აქ წეს-ჩვეულებათა ბევრი ისეთი მხარეა შემონახული, რომელიც საქართველოში უკვე მივიწყებულია ან ძალზე ტრანსფორმირებული სახითაა შემორჩენილი. ეს “განვითარების გზაგავლილი და ცვლილებებიანი ზნე-ჩვეულებები” (ივ.ჯავახიშვილი) ისტორიულ სიღრმეში ჩახედვისა და ტრადიციათა რეტროსპექციის შესანიშნავ საშუალებას იძლევა, რადგან კარგად ასახავს ზოგადად ქართველთა რელიგიური აზროვნების არქეტიპებს და ნათლად წარმოაჩენს თურქეთის ქართული მოსახლეობის წეს-ჩვეულებათა ორგანულ კავშირს ზოგადქართული სულიერი კულტურის უძველეს პლასტებთან. უცხო გარემოში განცდილი ტრანსფორმაციისა თუ სინკრეტიზაციის ზეგავლენით, წეს-ჩვეულებათა დიდი ნაწილი ცალკეული კომპონენტების, ფრაგმენტების, ნამსხვრევების სახითაა გაბნეული სხვადასხვა წეს-ჩვეულებასა და რიტუალში. ან პირიქით, რიტუალების ნაწილი იმდენად ფრაგმენტულად და ცალკეული ელემენტის სახითაა შემორჩენილი, რომ ზოგჯერ თავდაპირველად სრულიად დამოუკიდებელი წეს-ჩვეულებები, ერთნაირი შინაარსისა და აზრობრივი დატვირთვის გამო, ერთ საერთო დღესასწაულშია გაერთიანებული. ასეთ დღესასწაულებს განეკუთვნება მთელ ისლამურ სამყაროში და, მათ შორის, თურქეთის ქართველებში, ფართოდ გავრცელებულ ხიდირელეზის დღესასწაული, რომელშიც, გარდა ისლამის მიმდევართა ყოფისათვის დამახასიათებელი რიტუალური ელემენტებისა, თავმოყრილია სხვადასხვა ქართული წეს-ჩვეულების (ბერიკაობა-ყეენობა, წმ.ელია წინასწარმეტყველთან დაკავშირებული ამინდის მართვის რიტუალები, ძველი ქართული დღესასწაული “ვარდობისაი” და სხვ.) ფრაგმენტები.

ხიდირელეზი თურქეთში ეწოდება პერიოდს 22 აპრილიდან 6

ინისამდე (ხიზრა აპრილის სახელწოდებაა). სწორედ ამ პერიოდში, 6 მაისს იმართება ხიდირელეზის დღესასწაული (Курьлѣв, 1976:153). თურქებმა, რომელთა თავდაპირველი სამეურნეო კალენდარი მესაქონლეობის წლიურ ციკლზე იყო დაფუძნებული, მცირე აზიის ქრისტიანებისაგან ისესხეს სამინათმოქმედო კალენდრის ორი ძირითადი თარიღი – ხიდირელეზი და კასიმი, რომლებიც წელს ყოფს ორ მთავარ პერიოდად – გაზაფხულად და ზამთრად. მათგანვე შეითვისეს გაზაფხულის შეხვედრის უძველესი დღესასწაული ხიდირელეზი, იგივე ხიზირ ელიასი (Еремеев, 1971:93).

ისლამის მიმდევრები ხიზრა-ილიასის ან ხიდირელეზის დღესასწაულს აღნიშნავენ 6 მაისს. გადმოცემის თანახმად, ხიზრი (წმინდანი) ზეციდან ისვრის ღამით თავის სახნისს და მეორე დილით, დღესასწაულის დღეს, ირგვლივ ყველაფერი აყვავებული და ამწვანებულია. მას ზოგი გადმოცემით აიგივებენ ილიას წინასწარმეტყველთან, ზოგი გადმოცემით ხიზრი და ელიასი ძმები არიან, ერთი (ხიზრი) მფარველობს დედამიწას, მეორე – ილიასი – ზღვას. ისინი სწორედ ამ დღეს ხვდებიან ერთმანეთს. დღესასწაულს განსაკუთრებული რიტუალური მხარე არ გააჩნია. უბრალოდ, ამ დღეს აკრძალულია რაიმე სახის სამეურნეო სამუშაო, ხის მოჭრა, ცხოველის მოკვლა. დაბმულ პირუტყვს ამ დღეს სადგომიდან გამოუშვებენ, თხებს და ცხვრებს ყურს შეაჭრიან. რადგან, გადმოცემის თანახმად, ძმები ერთმანეთს ხვდებიან სასაფლაოზე ან მეზირის საფლავზე, ხშირად ეწყობა ზიარეთობა. აცხობენ რიტუალურ პურს და მის ნაწილებს აწყობენ საფლავებზე (Курьлѣв, 1967:166).

ხიზრა თურქული მითოლოგიის პერსონაჟია, რომლის შესახებ წარმოდგენებსაც ჯერ კიდევ ისლამამდე შეერწყა წმ. ილია წინასწარმეტყველის შესახებ არსებული ბიბლიური გადმოცემები. მოგვიანებით, მცირე აზიის ქრისტიანების ზეგავლენით, ხიზრა-ელიასის კულტი შეერწყა წმ.გიორგის ქრისტიანულ კულტს და დღესასწაულიც 6 მაისს – წმ. გიორგის ხსენების დღეს აღინიშნება. ეს კულტი განსაკუთრებით პოპულარული იყო ანატოლიის თურქებში. მაგალითად, დანიშმენდიდების სამთავროს გერბზე გამოსახული იყო წმ.გიორგი. ალანიაში არის მე-19 საუკუნეში აგებული ხიდირელეზის ეკლესია, სადაც დღესაც საშო-

ბაო ლიტურგია ტარდება და ესწრებიან ალანიაში მცხოვრები მართლმადიდებლები.

ამგვარად, ხიზირელესის დღესასწაულში მრავალი კულტის და წეს-ჩვეულების გადმონაშთი იყრის თავს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი შინაარსითაა დატვირთული თურქეთის ქართველთა ყოფაში დაფიქსირებული ხიდირელეზის დღესასწაული.

გადმოცემები წმინდა ილია წინასწარმეტყველის შესახებ უძველესი დროიდან იყო გავრცელებული ქართველთა შორის. ეს კულტი წინაქრისტიანული წარმომავლობისაა. ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში ცა-ღრუბლის წარმართული ღვთაების, დარ-ავდრის მბრძანებლის – ელიას კულტი შეერწყა წვიმა-სეტყვისა და ჭექა ქუხილის გამგებლის, ცად ამალღებული ბიბლიური წინასწარმეტყველის – წმინდა ილია თეზბიტელის სახეს. ელიაობის დღესასწაული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად იმართებოდა, მაგრამ ყველას ახასიათებდა რამდენიმე საერთო მომენტიც. ელიასადმი მიძღვნილი დღეობები, უმეტესად, ტარდებოდა 7-9 მაისს (შდრ. ხიდირელეზი – 6 მაისს), რიტუალის დროს უმთავრესად ქარისა და ავდრის არიდებას შესთხოვდნენ ღვთაებას, სწირავდნენ მსხვერპლს, ცა-ღრუბლის ღვთაების სახელზე ამზადებდნენ ტაბლას, მართავდნენ ერთობლივ პურობას. სწამდათ, რომ ასე მოიგებდნენ ელიას გულს და უზრუნველყოფდნენ კარგ ამინდსა და, შესაბამისად, უხვ მოსავალს. ასეთი კერძებით მდიდარი სუფრების მომზადება და საერთო ტაბლის გამართვა ხიდირელეზის დღესასწაულისათვისაცაა დამახასიათებელი: “ხიდირელეზზე ყუელამფერი ვიცით. ფილავებს გავაკეთებთ... ფილავებ მოკრეფენ, ერთად ჭამენ, ჯუმბუშობენ (მხიარულობენ)” ან “ამ დღეს დედაბრები იტყვიან “ჭამონა კაიები, იარონა, იქეიფონა, რომ ასე დაგებედოსო” (შ.ფუტკარაძე, 1993:43). თურქეთში მცხოვრები ჩვენებურები ამ დღეს ოცდაათამდე დასახელების კერძს ამზადებენ და თურქ მეზობლებს ეპატიჟებიან, რადგან თავად თურქების ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი ხიდირელეზის დღესასწაული მხოლოდ ერთ-ერთი “ნაკრძალი დღეა”, როცა უქმობენ და სამინათმოქმედო და სხვა სახის სამეურნეო სამუშაოებია აკრძალული და მისთვის არაა ნიშანდობლივი რიტუალური პურობა.

ბუნებრივია, თურქეთის ქართველთა მეხსიერებას არ შე-

მორჩა ელიას კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, მაგრამ ელიას, როგორც მოსავლის მცველისა და მფარველის ფუნქცია კარგად ჩანს მის ეპითეტშიც – ჰიზირ//ხიზირ – მხსნელი და მის უნარშიც, უზრუნველყოს მოსავლიანობის გაზრდა: “იმასა (ელიას) ყამჩი (მათარხი) აქ, შემოკრავს ყოლიფერს, თავს იქს პური” (შ.ფუტკარაძე, 1993:34). ეს დღესასწაულიც, იქაურთა რწმენით, “პურების წინ წამონევითვინ მობრძანდება” – ე.ი. მოსავლიანობისთვისაა განკუთვნილი. სიუხვისა და ბარაქის მიმადლების უნარი წინასწარმეტყველ ილია თეზბიტელისათვისაცაა დამახასიათებელი. ბიბლიური მითის თანახმად, იმ ქვრივი ქალის ოჯახს, რომელსაც ელია წინასწარმეტყველმა გვალვის დროს შეაფარა თავი, მხოლოდ ერთი მუჭა ფქვილი და ცოტაოდენი ზეთი ჰქონდა, მაგრამ, ღვთის ნებით, ყოველდღე აცხოვდნენ პურს, ფქვილი და ზეთი კი არ ილეოდა.

ხიდირელეზი რომ ნაყოფიერებისა და სიუხვისათვის განკუთვნილი დღესასწაული იყო, კარგად ჩანს რიტუალის ისეთ ელემენტში, როგორიცაა სალინჯას//საკორწიალას (საქანელა) ჩამობმა და ქალების ქანაობა: “მაისის ექვსზე ხიდირელეზი დღეა... ამ დღეს ხიებზე ჩამუაბამენ სილინჯალებსა, საკორწიალას კორწიალობენ, სამობენ” (შ.ფუტკარაძე, 1993:115). ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი ხიდირელეზის დღესასწაულში არ გვხვდება მსგავსი რიტუალური ელემენტი. ამას მხოლოდ ქართველები ასრულებენ.

საქანელაზე ქანაობის რიტუალი ბუნების ძალებზე ზემოქმედების ერთ-ერთ მაგიურ საშუალებადაა მიჩნეული. იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული ნაყოფიერების მაგიასთან და დიდ როლს თამაშობდა მინათმოქმედების კულტში (Штернберг Л., 1936:466).

საქანელაზე ქანაობა, რაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ყველიერის კვირაში სრულდებოდა, ბერიკაობა-ყენობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში საქანელაზე ქანაობა ნაყოფიერების დასაბეველ და ბუნების ძალებზე ზემოქმედების ერთ-ერთ უპირველეს საშუალებადაა მიჩნეული. ამავე დროს, არსებობს მოსაზრება, რომ საქანელაზე ქანაობა ერთიანდება იმ რიტუალურ ქმედებათა რიგში, რომელთა მიზანია უწყვეტი წრიული მოქმედების გადმოცემა.

თავის მხრივ წრიული მოქმედება შეიცავს ბუნების მარადიული კვდომა-ალორძინების იდეას, ნაყოფიერების ღვთაებათა წასვლა-დაბრუნებას, რაც კვდომისა და ალორძინების იდეის მითოსურ ახსნას წარმოადგენს (ვ.ბარდაველიძე, 1939:159; ჯ.რუხაძე, 1999:178-180; ი.სურგულაძე, 1987:149).

საქანელაზე ქანაობასთან დაკავშირებით, ხიზირელიასის/ხიდირელეზის დღესასწაულში ყურადღებას იქცევს ორი ელემენტი: საქანელას ჩამოკიდება ნალიაზე (“ხიდირელეზი დღეს... ნალიაზე ჩამუაბამდენ ზენჯირებ (ჯაჭვებს), გადებდენ ორ ზენჯირზე ფიცარ, კორწიალობდენ”), რასაც მოსავლიანობის გაზრდასთან დაკავშირებულ რიტუალში სავსებით ნათელი სიმბოლური დანიშნულება აქვს და რიტუალში, ძირითადად, ქალების მონაწილეობა (“ექვს მაისს ყუელა წელიწად ასეა... სალინჯას//სიკორწიალას ჩამუაბამთ, ქალები... ვკორწიალობთ” ან “ხიდირელეზი დღეს... კორწიალობდენ, დაჟდებოდა 5-6 ქალი. ლამაზ-ლამაზად ჩეიცუმდენ”). ქალების მონაწილეობა საქანელაზე ქანაობის რიტუალში მთელ საქართველოში აუცილებელ პირობად ითვლებოდა. ყველა ქანაობდა, მაგრამ განსაკუთრებით აუცილებელი იყო ახალგაზრდა ქალებისათვის ნაყოფის უნარის შენარჩუნებისა და მისი მინიჭებისათვის (ჯ.რუხაძე, 1999:178). თურქეთის ქართველებმა რიტუალის ეს მხარეც კარგად შეინარჩუნეს.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, როგორც აღვნიშნეთ, ქანაობას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა; იგი იყო ნაყოფიერების გამომწვევი იმიტაციური-სქესობრივი აქტი და, ამდენად, როგორც ფალიკური კულტის გამოძახილი, ბოროტ ძალებთან ბრძოლის ხერხი და ავი თვალის სანინაალმდეგო საშუალება (ჯ.რუხაძე, 1999:180). საქანელაზე ქანაობის ეს ფუნქცია კარგად იკვეთება ხიზირელიასის დღესასწაულში. “ხიდირელეზი დღეს... კორწიალობდენ. ცოდვებინა გავაჩქროთო, ამბობდენ”; “ხიდირელეზი ვიცით. ექვს მაისს... სალინჯას//სიკორწიალას ჩამუაბამთ, ქალები... ვკორწიალობთ... ცოდვები გაჩქრდებო, იტყვიან...” (შ.ფუტყარაძე, 1993:115).

როგორც აღვნიშნული მასალიდან ჩანს, ხიზირელეზის დღესასწაულს გამწმენდი, ცოდვებისაგან განთავისუფლების ფუნქციაც ქონდა მინიჭებული, რაც, არა მხოლოდ საქანელაზე ქანაობით, არამედ ცეცხლის მეშვეობითაც ხდებოდა. ქართველთა

რწმენით, ცეცხლს გამწმენდი და დამცავი ძალა აქვს. ამიტომაცაა დამახასიათებელი ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფისათვის ამ რწმენაზე დაფუძნებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ე.წ. "ცეცხლის დღესასწაულები" – კუდიანების ღამე – ფშავში, კუდიანთნუთხა – ხევსურეთში, ჭიაკოკონა – ქართლ-კახეთში, ლამპრობა//ლამპარი//ლიქურეში და მარიამწმინდობა – სვანეთში და სხვ. (ვ.ბარდაველიძე, 1941:82). ყველა ამ რიტუალისათვის დამახასიათებელი იყო კოცონების დანთება ავი სულების დაფრთხობის მიზნით და მის გარშემო სხვადასხვა რიტუალის ჩატარება. მსგავსი რიტუალი აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში არ ფიქსირდება. სამაგიეროდ, ეს ჩვეულება კარგად შეუნახავთ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ხიდირელეზის დღესასწაულში: "ხიდირილეზზე ღამეში ცეცხ დაანთობენ, იმაზე უხტიან, იჯუმბუშებენ (იმხიარულებენ)" ან "ღამეში ცეცხლ დაანთობენ; იმაზე უხტიან, შეითნები დავნვათო, ცოდვები დავნვათო..." (შ.ფუტკარაძე, 1993:34,345). ამით თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა ხიდირელეზის დღესასწაულს კიდევ ერთი – დამცავი ფუნქცია შემატეს.

ხიზირელიასის//ხიდირელეზის დღესასწაულმა, ვფიქრობთ, კიდევ ერთი ქართული არქაული რიტუალის კვალი შემოგვინახა. ჩვენებურთა გადმოცემით "ჰიზირი და ილიასი ყოფილა ორი ძმა. ერთმანეთი დუუკარქიან. ერთი ერთ თერეფ (მხარეს) დარჩენილა, მიერე – მიერე თერეფ. ექვს მაისზე ერთ ჯამეში იყრებიან. მემრე კიდევ დეეკარქვიან ერთმანეფსა. იმათი ზეიმია (ბაირამი)." ინფორმატორები ხაზს უსვამენ, რომ "ჰიზირი და ელიასი ვარდის ძირში იკრიფებიან; ხალხი ფარეფს (ფულს) დაკიდვენ ვარდის ტანებზე, ბარაქა იქნებაო". დღესასწაულის ვარდთან კავშირი რიტუალის სხვა მხარეშიც ჩანს: "ხიდირელეზ დილაზე წევლენ ყუელაი. იეშილეფში (სიმწვანეები, მწვანით შემოსილი ადგილი) იარებიან. ვინც არ გიყუარს, იმას ჯინჭარ დუუბამენ. ვინც უყუარან, იმად ვარდ დუუბმენ" (შ.ფუტკარაძე, 1993:44) რიტუალის ეს მხარე შეიცავს ძველი ქართული დღესასწაულის "ვარდობისაის" ელემენტებს. დღესასწაული "ვარდობისაი" იგივე "ვარდობა" წარმართული ხანიდან მომდინარეობს. თავდაპირველად იგი ვეგეტაციურ დღესასწაულს წარმოადგენდა და მაისის თვის რკალში – განახლების შვიდეულში შედიოდა. ამიტომ მას "განახლების" დღესას-

ნაუღსაც ეძახდნენ. გარდა იმისა, რომ “ვარდობისაი” ბუნების აღორძინების ვეგეტაციურ დღესასწაულს წარმოადგენს, ამავე დროს, იგი უძველესი ქართული კალენდრის დასაწყისიც იყო (პ.ინგოროყვა, 1931:373-446) და, ბუნებრივია, მას უნდა უკავშირდებოდეს საახალწლო ციკლის ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც, ხალხის რწმენით, განსაზღვრავდნენ მომავალი წლის იღბლიანობას. სწორედ პირველი დღის მაგიის რწმენა უნდა დადებოდა საფუძვლად ხიდირელეზის დღესასწაულის ისეთ მომენტებს, როგორიცაა წარმატებების “დასაბევებლად” სურვილების ჩათქმა, წყლისათვის იღბლის შეხვეწება და სხვა, რასაც მიმართავდნენ ხიზირელიასის დროს: “თხოვნას დანერენ, ბათმანში ჩადებენ. გადააგდებენ წყალში. ვინცხაი ნახავს, ეს ჩემი ყისმეთიაო, იტყვის” ან “ვინცხას სახლი არ აქ, ღელი ქენარში (ნაპირზე) წავა, სახლ გააკეთებს, ზოგი არაბას (მანქანა) გააკეთებს... იმ წელიწადში ესენი შუუსრულდება” (შ.ფუტყარაძე, 1993:344-345) დღესასწაულის ეს ელემენტები წმ. ელიასადმი მიძღვნილ დღესასწაულთან “ვარდობისაის” შერწყმის შედეგად უნდა იყოს გაჩენილი.

ამგვარად, ხიდირელეზის დღესასწაულმა თურქეთის ქართველთა ყოფაში შემორჩენილი არაერთი არქაული რიტუალის (საქანელაზე ქანაობა, ვარდობისა, ჭიაკოკონობა, ელიას კულტთან დაკავშირებული ამინდის მართვის რიტუალები) ფრაგმენტი შემოინახა. ეს ელემენტები თავად თურქებისთვის უცხოა. აქაურმა ქართველებმა კარგად იციან, რომ „ეს ადეთი გურჯულია, თურქებმა მემრე გეიგონეს“. ესაა რელიგიური სინკრეტიზმის სახით ისლამურ დღესასწაულში შეჭრილი ქართველთა უძველესი მსოფმხედველობა და წეს-ჩვეულებები, რაც უცხო გარემოშიც კარგად შემოუნახავს თურქეთის ქართველების მეხსიერებასა და ყოფას და რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რწმენა-წარმოდგენათა არქაული პლასტების მდგრადობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე ვ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ტფ., 1939
2. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941

3. ინგოროყვა პ., ძველი ქართული წარმართული კალენდარი V-VIII სს. ძეგლებში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, ტფ., 1931
4. რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999
5. სურგულაძე ი., სივრცობრივი ასპექტები ქართველთა რელიგიურ და მითოსურ წარმოდგენებში, მსე, XXIII, თბ., 1987
6. ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993
7. Еремеев Д.Е., Этногенез турок, М., 1971
8. Курылёв В.П., Хозяйство и материальная культура турецкого крестьянства, М., 1976
9. Курылев В.П., Хыдырэллез пережиток древнего земледельческого культа в Малой Азии, Филология и история тюркских народов (Тезисы докладов), Л., 1967
10. Штернберг Л., Первобытная религия в свете этнографии, Л., 1936

Tamila Lomtadze

Khidrezeli holiday in the life of Georgians of Turkey Summary

In Georgians living in Turkey territory is still preserved Georgian cultural-historical traditions, spiritual culture archaic elements. In Islamic World are celebrating Khidrezeli holiday, which is widespread in Georgians of Turkey. The article is presented a highly interesting materials about this holiday.

მარინე შალიკავა

ეროვნული იდენტობის გადარჩენის საკითხი აჭარის ავხაზ მოსახლეობაში

ავხაზთა პირველი დასახლება აჭარაში XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. ამ პერიოდში ჩამოსახლებულთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა, მათი გადმოსახლება სხვადასხვა ყოფითი პრობლემებით იყო განპირობებული. ავხაზთა მასიური ჩამოსახლება აჭარაში მუჰაჯირობის პერიოდს უკავშირდება და XIX საუკუნის 60-70 იან წლებს მოიცავს. ფაქტი ერთია, აჭარაში სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული ავხაზები ისე შეერწყა და შეესილხორცა აქაურ მიწას და ხალხს, რომ მის განუყოფელ, ერთ მთლიან ორგანიზმად იქცა.

აჭარაში ავხაზთა განსახლების არეალი ქალაქი ბათუმი და მისი შემოგარენია, კერძოდ, ავხაზებით კომპაქტურად დასახლებული ბათუმის რამდენიმე უბანია, მაგ: ე.წ. პივზაოდი, გარადოკი, ჭავჭავაძის ქუჩის ერთი მონაკვეთი, რომელიც ავხაზთა დასახლების სახელითაა ცნობილი და სხვ. სოფლებიდან და მათ ცალკეულ უბანთაგან აღსანიშნავია: ურეხი, ადღია, ფერია, სამება, ანგისა, სალიბაური, ჭარნალი, ორთაბათუმი, ჩელტა, წინსვლა, ჩაის უბანი და ა.შ.

საველე ეთნოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ აჭარაში მუჰაჯირობის დროს ჩამოსახლებულ ავხაზთა დიდი ნაწილის დასახლება ბათუმის განაპირა სოფლებში ხდებოდა. მათი სამოსახლო სოფლის ცენტრალურ ნაწილს რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული. ავხაზები ტყესთან ახლო, მიუვალ ადგილებში სახლდებოდნენ, რადგან თავისუფალი მიწები ბარად ადგილბრივი მოსახლეობის მიერ იყო დაკავებული. ნაწილი ავხაზებისა თავდაპირველად დღევანდელი ბათუმის ტერიტორიაზე დაასახლეს, საიდანაც შემდეგ მოხდა მათი განსახლება ისევ აჭარის ტერიტორიაზე, ქალაქში ან ქალაქთან ახლო. თითქმის ყველა ავხაზურ ოჯახში იციან და სწორად მიუთითებენ აჭარაში ჩა-

მოსახლეებულ წინაპართა პირველსაცხოვრისს, მიზეზს პირველსაცხოვრისიდან განსახლებისა, მინის რაოდენობას და ა.შ. ზოგიერთ აფხაზურ ოჯახს ოქროზე რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწაც კი უყიდა. ამის დასტურად არაერთ ოჯახში წავაწყდით მინის მღებარეობისა და რაოდენობის აღმნიშვნელ რუქასა და საკუთრების დამადასტურებელ ძველ საარქივო დოკუმენტებს.

აჭარაში დასახლების შემდეგ აფხაზ მუჰაჯირთა გვარობრივი შემადგენლობა შემდეგი პრინციპით გადახაზილდა. აფხაზეთიდან ხშირად ერთი სანათესაო შტო ერთად მოდიოდა და ერთმანეთთან ახლო სახლდებოდა. ეს პრინციპი სოფლური ტიპის დასახლებაში დღემდე შემორჩენილი. ქალაქური დასახლების სპეციფიკა კი ნათესავთა დასახლების ამგვარ სისტემას თავისთავად გამორიცხავს, თუმცა აქა-იქ მსგავსი თანაცხოვრების ფაქტებიც დაფიქსირდა, მაგ. ქალაქ ბათუმში ერთ სადარბაზოში ბიძაშვილების ან ძმების ოჯახები მრავალი წელია ერთად ცხოვრობენ. აღსანიშნავია, რომ უცხო გეოგრაფიულ, სოციალურ და ეთნიკურ გარემოში მოხვედრისას თითქმის არ ჰქონია ადგილი გვარის გადაკეთებას ან გამოცვლას. სატომო პატრონიმიული სახელწოდების შენარჩუნებით აფხაზი მოსახლეობა ცდილობდა დავიწყებისთვის არ მიეცა საკუთარი წარმომავლობა.

აჭარაში რამდენიმე ისეთი აფხაზური გვარია გადარჩენილი, რომელიც აფხაზეთში უკვე გამქრალი და დაკარგულია. თითოეული გვარის წარმომადგენელმა კარგად იცის თავისი გვარის წარმომავლობა, იციან უშუალოდ აფხაზეთის რომელი კუთხიდან, სოფლიდან თუ ქალაქიდან აიყარა და გადმოსახლდა მისი გვარი, არიან თუ არა აფხაზეთში ან თურქეთში მათი მოგვარე ნათესავები. იციან აგრეთვე ეკუთვნოდნენ თუ არა დაწინაურებულ გვარეულობებს და ამის გამო წარსულში რა პრივილეგიებს ფლობდნენ. მაგალითად, რა გავლენა ჰქონდათ დაწინაურებული გვარეულობის წარმომადგენლებს მუჰაჯირ აფხაზებში და ა. შ. ზოგიერთი დაწინაურებულ აფხაზურ საგვარეულო ოჯახში დღემდე შემონახული საგვარეულო გერბები.

მუჰაჯირობის, როგორც ფაქტის და მრავალმხრივი წიმაღ-
მდეგობებით სავსე მოვლენის მუჰაჯირთა შთამომავლების
ცნობიერებაში ასახვა და გაანალიზება ინდივიდთა ისტორიულ
მეხსიერებაზეა დამოკიდებული. თანამედროვეობისა და წარსუ-
ლის ურთიერთქმედება სოციალურ-კულტურულ კონტექსტში
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში კულტურული მეხ-
სიერების ცნებით მოიაზრება. მეხსიერების ხარისხი მრავალ
ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად დიდი მნიშვნელობა
აქვს როგორ ოჯახში აღიზარდა მომავალი თაობა, წმინდა აფხა-
ზურში, თუ შერეულში. ასევე დიდხანს მოუწია თუ არა უფროს
თაობასთან, ბებია-ბაბუებთან ერთად ცხოვრება. ამ ფაქტორე-
ბის გათვალისწინებით შეიძლება დახარისხდეს თანამედროვე
აფხაზური ოჯახები. იქ, სადაც წმინდა აფხაზური ოჯახი იყო და
უფროსი თაობის აღზრდა ჰქონდათ მიღებული, რამდენადმე შე-
მოინახა როგორც ისტორიული წარსული, ისე ეთნიკური იდენ-
ტობა, ენა და ტრადიციები. მათ ცნობიერებაში დალექილია წინა-
პართა გადმოცემები, ამიტომ მათი ნაამბობს მიხედვით წარსუ-
ლის რეალური სურათის აღდგენა ხერხდება. კულტურული მეხ-
სიერების ნაწილია ისიც, რომ აჭარაში მცხოვრები მუჰაჯირთა
შთამომავლები დღემდე ერიდებიან თევზის ჭამას – ოსმალთა მი-
ერ გემიდან ზღვაში ჩაყრილი აფხაზი ტყვეების (ძირითადად ბავ-
შეებისა და მოხუცების) ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მშობლიური ენის ფლობის ხარისხი აჭარის აფხაზ მოსახლე-
ობაში არაერთგვაროვანია. არა მხოლოდ სალაპარაკო ენა, არა-
მედ ზოგადად აფხაზური კულტურა და ტრადიციულ-ყოფითი
თავისებურებანი წმინდა აფხაზურ ოჯახებში უფროა შემორჩე-
ნილი, ვიდრე შერეულ ოჯახებში. თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა
აღინიშნოს, რომ აფხაზურ ოჯახში შესული აჭარელი რძლები
ისეთივე ძლიერი დამცველი იყვნენ აფხაზური ტრადიციების,
როგორც აფხაზი რძლები. ისინი გაუპროტესტებლად, შესაშური
თავმდაბლობით ლებულობდნენ აფხაზურ ოჯახს თავისი კონ-
ტრასტული თავისებურებებით. ე.წ. „დამუნჯების“ ანუ უმძრა-
ხად ყოფნის ტრადიცია არც აჭარული ყოფისთვის იყო უცხო (მ.

შალიკავა, 2009: 164), მაგრამ აფხაზური საოჯახო ურთიერთობე-
ბი გაცილებით მკაცრი იყო. ისე ჩაივლიდა მთელი ცხოვრება,
რომ რძალი მამამთილ-დედამთილს ხმას ვერ გასცემდა. ყველა
აფხაზური ტრადიციული ოჯახი ამ ჩვეულებას ერთმნიშვნელოვ-
ნად იცავდა და მის მართებულობასა და სისწორეში დარწმუნე-
ბული იყო. აფხაზური ხალხური თქმულების მიხედვით აფხაზურ
ოჯახში მამამთილმა ტრადიციის დარღვევისთვის შესანიერი ხარი
დაკლა, მეზობელ-მოკეთეები დაპატიჟა და მორიდებით ითხოვა:
ალარ მინდა ოჯახში უმძრახად ყოფნა და რძალმა დამელაპარა-
კოსო. შეისმინა სასოფლო საბჭომ მისი თხოვნა და დართეს ნე-
ბა...რძალმა იმხელა ენა გადმოაფინა თურმე, იმისი გამჩერებელი
კაცი ალარ მოიძებნა. სამი დღის შემდეგ ისევ მოიწვია კაცმა
ხალხი, ამჯერად ორი ხარი დაკლა და ბოდიშით ითხოვა, რძალმა
თავისი ადგილი იცოდეს და ხმა აღარასოდეს გამცესო. ამრიგად,
ყველა აფხაზურ ტრადიციას თავისი გამამყარებელი არგუმენტი
აქვს, რომლის ღრმად წვდომა ადამიანური ურთიერთობების სა-
უკუნოვან გამოცდილებას ეფუძნება და ოჯახის დაგეგმარებასა
და სწორად მართვაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ თუ აფხაზური
ოჯახი იყო ძლიერი და ტრადიციული, თუ მასში სწორად იყო და-
ცული ასკობრივი სეგრეგაცია, თუ მას ედო თავის წიაღში ეროვ-
ნული იდენტობის გადარჩენის სურვილი, იქ თუნდაც არა აფხაზი
რძალი შესულიყო, იგი უსიტყვოდ იცავდა ყველა აფხაზურ წეს-
ჩვეულებას. ისინი აფხაზურ ენასაც სწავლობდნენ, რათა არ და-
ერღვიათ ოჯახის მორალურ-ზნეობრივი გარემო. უაღრესად სა-
ინტერესოა 86 წლის აფხაზი რესპოდენტის, ისმეთ კაიტამბას
მონათხრობი. მას რუსი ეროვნების მეუღლე ჰყავდა, რომელიც
ამჟამად გარდაცვლილია. ბატონი ისმეთის მეუღლე – ჟანა ქრის-
ტიანი იყო, ბატონი ისმეთი და მისი ოჯახი კი, ისლამის მიმდევა-
რები იყვნენ. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მათთვის, რომ
ტრადიციული და შეხმატკბილებული ოჯახი ჰქონოდათ. როცა
სიკვდილის სარეცელზე მყოფ მეუღლეს ჰკითხა ისმეთმა, რომე-

ლი რელიგიის წესებით დაეკრძალათ იგი, ქალბატონმა უანამ უპასუხა: „შენთან 53 წელი ვიცხოვრე, სამი ვაჟი გაგიჩინე, სამივე იმ რელიგიაზე მოვნათლე, რომელიც ოჯახისთვის მისაღები იყო, მეც ისეთი წესით დამკრძალე როგორც შენს ოჯახს, შენს ტრადიციებს არ ეწინააღმდეგებო...“ ამაზე დიდი ჰუმანურობა, ამაზე დიდი თავმდაბლობა წარმოუდგენელია. ასეთ დროს აღარ შეილება რელიგიების ავ-კარგზე ან ჭეშმარიტებაზე ვისაუბროთ. უბრალოდ ქედი უნდა მოვუდრიკოთ და პატივი უნდა ვცეთ იმას, რაც ასე შეუდარებლად დიდი და ხელშეუხებელია. სწორედ ამ გაგებამ, პატივისცემამ და სიყვარულმა მოიყვანა დღემდე აჭარაში მცხოვრები აფხაზური ოჯახები.

ცნობილია, რომ ეთნიკური თვითშეგნება ეროვნულობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. მშობლიურ მინა-წყალს მოწყვეტილი, ახალ გარემოსა და ხალხთან ადაპტირებული აფხაზები კანონზომიერ სახეცვლილებას განიცდიდნენ, დროთა განმავლობაში ისინი ნელ-ნელა კარგავდნენ ენას, ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს. ამიტომ აფხაზებში თანდათან ამოქმედდა თვითგადარჩენის მექანიზმი. რითაც და როგორც შეეძლოთ იბრძოდნენ თვითმყოფადობის გადასარჩენად. ასე მაგალითად: რამდენიმე ათეული წლის წინ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მნათობში მცხოვრები ცოლ-ქმარი იზოლდა კონცელიძე-ხობზა და მისი მეუღლე ბიჭიკო ხობზა (გარდაცვლილია) ტელევიზორის მეშვეობით სწავლობდნენ აფხაზურ ცეკვასა და სიმღერას, რომლებსაც შემდეგ დიდი სიამაყით ასრულებდნენ აფხაზურ ქორწილებში. ბატონ ბიჭიკოს აფხაზური ენა კარგად არ სცოდნია, ამიტომ ქართულ სიმღერებს აფხაზური ინტონაციით/ტონალობით მღეროდა თურმე. იგი ამაცობდა თავისი აფხაზობით და ჩაცმულობაში ყოველთვის ამატებდა აფხაზური ხალხური ჩაცმულობის დეტალებს, მაგალითად ბოხოსს და ა.შ.

ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში დიდი წილი ძირძველ აფხაზურ ტრადიციებსაც მიუძღვის. ავილოთ თუნდაც, აფხაზის სტუმრისადმი დამოკიდებულება. აჭარაში მცოვრებ აფხაზებს

სტუმარმასპინძლობა უმაღლეს ხარისხში ჰყავდათ აყვანილი. სტუმარი მათთვის დღელამის ნებისმიერ დროს იყო მისაღები, მიუხედავად რაოდენობისა, ეთნიკური წარმომავლობისა თუ სოციალური მდგომარეობისა. სტუმარმასპინძლობის ძირძველ ტრადიციებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წინათ ბათუმთან ახლო მდებარე რამდენიმე სოფელში აფხაზები სტუმარიისთვის ცალკე სახლსაც კი აშენებდნენ, სადაც სტუმარს შეეძლო მოესვენა და ღამე გაეთია. ანალოგიური სასტუმრო ოდა აჭარაშიც იყო მიღებული, (ჟ. მურიე, 1962: 34; დ. ბაქრაძე, 1987:44; თ. სახოკია, 1985:266,267; მ.შალიკავა, 2009:170), მაგრამ, აფხაზებს ეს ტრადიცია მათგან არ მიუღიათ. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზეთში სასტუმრო ოდას ყველა სტუმარტმოყვარე აფხაზი აშენებდა (ს.ბახია-ოქრუაშვილი, 2011: 151). ამრიგად, უნდა მივიჩნიოთ, რომ აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს სასტუმრო სახლის აშენების ტრადიცია აფხაზეთიდან მოჰყვათ. მოგვიანებით, ისევე როგორც აჭარულ სინამდვილეში, სასტუმრო სახლის ფუნქცია საცხოვრებელ სახლში მოწყობილმა სასტუმრო ოთახმა შეითავსა. აფხაზურ ოჯახში მისული სტუმარი სოფლისა და საგვარეულოს საერთო სტუმრად ითვლებოდა. მისთვის საუკეთესო სუფრას გააწყობდნენ. სტუმარი აფხაზებთან ხელშეუხებელი იყო. მასპინძელი მის უსაფრთხოებაზე პასუხს აგებდა. აფხაზურ ოჯახში რიგიანი სტუმარმასპინძლობის განევა სავალდებულო იყო და იგი წმიდათანმინდა მოვალეობად მიიჩნეოდა. „სტუმარი ჩვენთვის ყველაფერია, როცა სახლში შემოდის ფეხზე ვდგებით, ათჯერ რომ გარეთ გავიდე და შემოვიდე, ათჯერვე უნდა ავდგეთ მის პატივსაცემად“ აცხადებს არაერთი აფხაზი რესპოდენტი. აფხაზური ხალხური თქმულების მიხედვით – ერთ კაცს მეგობარი ესტუმრა თურმე, სახლში მხოლოდ ცოლი დაუხვდა, სტუმარმა მეგობრის ცოლს სთხოვა წყალი დამალევინეო. ქალმა დოქში ჩარჩენილი გამთბარი წყალი მიანოდა, შორიდან მომავალი სტუმარი არც შინ შეუპატიჟა თურმე. სტუმარს წასვლისას უთქვამს: ჩემს მეგობარს სახლი და ეზო კარ-მი-

დამო რა კარგად მოუწყვია, შესასვლელი კარები კი არ უვარგაო. როცა ქმარი დაბრუნდა ცოლმა გადასცა მეგობრის ნათქვამი. ქმარი ყველაფერს მიმხვდარა და აფხაზური ტრადიციის დამრთვევი, უსტუმართმოყვარო ცოლი სახლიდან გაუგდია. გავიდა დრო, მეგობარი კვლავ ესტუმრა ამ კაცის ოჯახს, იგი ამჯერადაც შინ არ დახვედრია. დალილს წყალი მოუთხოვია, ამჯერად სხვა ქალი დახვდა, რომელმაც დიდი სიხარულით მიიღო სტუმარი, სუფრა გაუშალა და წყლის მაგივრად ცივი ღვინო დააღვინა...წასვლისას კაცს ქალისთვის უთქვამს: ეს რა კარგად მოუწყვია ოჯახი და კარ-მიდამო ჩემს მეგობარს, მაგრამ შესასვლელი კარები ყველაზე უკეთესიაო.“ როგორც ხალხური თქმულებიდან ჩანს, აფხაზი კაცისთვის სტუმრის განაწყენება შემარცხვენელია. უტრადიციო, წინაპართა ადათ-წესების დამრღვევი ქალი კი ვერასოდეს გახდება აფხაზური ტრადიციული ოჯახის ნაწილი.

კიდევ ერთი მხარე, რამაც თავისებურად შემოინახა აფხაზთა თვითმყოფადობა, ერთ-ერთი ხალხური სამზარეულოა. მათი კვების კულტურის სისტემა აფხაზური ყოფითი კულტურის თავისებურებებს ამჟღავნებს და ეთნიკური კულტურის ელემენტების მატარებელია. აფხაზთა სამზარეულოში, ისევე როგორც ზოგადქართულში, გარკვეული ადგილი უჭირავს სარიტუალო და სანესჩვეულებო კერძებს. ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტიც კი, როგორც სხვა დანარჩენი, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხალხურ კულინარიას, ისევე როგორც მატერიალური კულტურის ყველა ელემენტს, ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის კვალი გასდევს.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს ნათესაური კავშირი დღემდე არ დაუკარგვთ აფხაზეთში მცხოვრებ ახლობლებთან. ეროვნული იდენტობის გადარჩენის იდეას ემსახურებოდა ის ფაქტიც, რომ ცალკეული საგვარეულოები წელიწადში ერთხელ მიდიოდნენ აფხაზეთში თავის მოგვარე ნათესავებთან, მომდევნო წელს კი ისინი ჩამოდიოდნენ საქართველოში. გვართა შეკრება საქართველოსა თუ აფხაზეთში იმასთან იმართებოდა, ვისაც ყველაზე

დიდი ეზო ჰქონდა. ამ შხვედრებისას პურობა განსაკუთრებული გრანდიოზულობით გამოირჩეოდა. მთლიანი ხარები დიდ შამფურებზე ინვეზობდა, ცეცხლზე შემოდგმულ უზარმაზარ ქვაბებში იხარშედა ლომი – „აბსთა“ და სხვა აფხაზური სამზარეულოს თავმოსანონი კერძები... გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო აფხაზეთიდან გვართა შეკრებაზე აღარ ჩამოდიან, თუმცა აჭარიდან ყოველ წელს მიდიან ცალკეული საგვარეულოები. დღესაც აფხაზეთში გვართა შეკრება კარგად ორგანიზებული დღესასწაულია, სადაც კიდევ უფრო მაღლდება ეროვნული თვითშეგნების დონე. ხდება ურთიერთშორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ასევე, ასეთ შეკრებაზე წარუდგენენ ხოლმე სანათესაოს პირველად საგვარეულოს ახალგაზრდა წევრს. მსგავსი საგვარეულო შეკრებები უზრუნველყოფს თავიდან აცილებულ იქნას მონათესავე გვარეულობებში ქორწინება, რაც აფხაზებში კატეგორიულად იკრძალება.

აჭარაში მცხოვრები აფხაზების უფროსი თაობა ძრითადად კარგად ფლობს აფხაზურ ენას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც არ ესმით, ან ნაწილობრივ იციან აფხაზური. ახალგაზრდა თაობამ კი აფხაზური საერთოდ არ იცის. ქალაქ ბათუმში მონინავე აფხაზი საზოგადოების მიერ წლების განმავლობაში იყო მცდელობა აფხაზური სკოლის გახსნისა, მაგრამ ამაოდ. მოგვიანებით საგრანტო პროექტის ბაზაზე, რომელსაც დევი ფუტკარაძე ხელმძღვანელობდა 2009 წელს სვეტლანა კუდბას სახლში ფუნქციონირება დაიწყო აფხაზურმა საკვირაო სკოლამ, სადაც აჭარაში ჩასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებს აფხაზურ ენას ასწავლიდა აფხაზი ქალბატონი ადა ქუთელია. აფხაზურ სკოლაში ენის სასწავლად დადიოდნენ როგორც ახალგაზრდები, ისე ასაკოვანი ხალხი. მოსწავლეთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, ამას კი საოჯახო სკოლა ველარ უმკლავდებოდა. ამიტომაც, შენობის არარსებობის გამო, ამ სკოლამ დროებით მუშაობა შეწყვიტა.

აფხაზური ენის სწავლებასთან დაკავშირებით მუშაობა არ შეუწყვეტია ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ერთ ნაწილს. მათი დიდი მცდელობითა და მონდომებით უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მალე დაიწყება აფხაზური ენის შესწავლის პრაქტიკული კურსი. ასევე უნივერსიტეტის ბაზაზე იგეგმება გაიხსანას „აფხაზური კულტურის ცენტრი.“

აჭარაში მცხოვრები აფხაზები კითხვაზე, თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნებენ თავს გულის სიღრმეში? – ერთმნიშვნელოვნად პასუხობენ, რომ არიან აფხაზები, მაგრამ მათი სამშობლო საქართველოა. აფხაზები გამორჩეული ზნეობის მატარებელი ხალხია, ისინი არასოდეს მიატოვებენ თავიანთ მინაწყალს, ადგილს, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, სადაც ეგულებათ მამა-პაპათა საფლავები. და თუ ოდესმე მათი აფხაზეთში წასვლის საკითხი დადგება, ისინი რა თქმა უნდა აქ დარჩენას ამჯობინებენ, რადგანაც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კიდევ ერთ მუჰაჯირობას ვეღარ გადაიტანენ...“

ამრიგად, ეროვნული იდენტობის გადარჩენის საკითხი აჭარის აფხაზ მოსახლეობაში ყოველთვის იყო აქტუალური. აფხაზები თავის წიაღში მუდამ ინახავდნენ ეროვნულ თვითმყოფადობას, რასაც უწინარესად მათი ხასიათი, ცხოვრების წესი, სულიერი და მატერიალური კულტურის ერთობლიობა ქმნიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურბა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
2. ჟ. მურიე, ბათომი და ქოროხის აუზი, ბათუმი, 1962
3. თ. სახოკია, მოგზაურობანი. ბათუმი, 1985
4. ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნოლოგია, თბილისი, 2011
5. მ.შალიკავა, ჭვანის ხეობა, ბათუმი, 2009

Marina Shalikava

*The Issue of saving national identity in Abkhazian
population of Adjara
Summary*

Ethnic self-understanding is main factor of expressing nationality. Abkhazians, being away from their own land, adapted with new environment and people, were undergoing natural changes from time to time. They were losing their language, customs and traditions slowly. So the survival instinct began to awake in Abkhazians. They have been fighting for their individuality as hard as they could, for example: Trying to learn Abkhazian language, searching and introducing examples of folk tales, learning Abkhazian songs and dances, reanimating the details of spiritual and material culture, maintaining old Abkhazian traditions and etc.

**ქორწილი და საქორწინო ტრადიციები ისტორიულ
და თანამედროვე საქართველოში
(შავშეთისა და ადიგენის მასალების მიხედვით)**

ქორწინება ისტორიულად და თანამედროვე თვალთახედვითაც ესაა ოჯახის შექმნის საფუძველი, რომლებიც ადამიანებს ახასიათებთ, როგორც სამყაროში ბიოსოციალურ არსებებს. ამით ადამიანები უზრუნველყოფენ კვლავნარმოების ფუნქციას: შთამომავლობის გამრავლებას, რაც კაცობრიობის საყრდენი, საზოგადოებრივი ცხოვრების გარანტია, რადგან სწორედ ადამიანი წარმოადგენს შემეცნებითი ყოფიერების საზრისს.

ქართული საქორწინო ცერემონიალი რამდენიმე საფეხურს ითვალისწინებს: **დაპირება, ნიშნობა, ქორწილი.**

დაპირება: ჩვეულებრივ ახალგაზრდა კაცს საცოლეს ურჩევდა დედა ან და, ან რძალი, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ ქალიშვილების აკვარგიანობას დაჰკვირვებოდნენ. ქალის შესარჩევად კარგი ადგილი იყო “ნადი” და თვით “ქორწილები”.

ქალიშვილის სარძლოდ მოწონებას “გამორჩევა და თვალის დაკავება” ეწოდებოდა. რის შემდეგ დაინტერესებული პირები იწყებდნენ ამ ქალის შესახებ ყოველგვარი ცნობების შეგროვებას. გაიკითხავდნენ მისი ოჯახის ღირსებას, ძმების აკვარგიანობას, მთელ სანათესაოს. განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა ქალის დედას: “როგორი დედაა, გოგოც იმფერი იქნება”.

გაკითხვის შემდეგ მონახავდნენ შუაკაცს, ელჩს. ელჩად კარგი და დამაჯერებელი მსჯელობით გამორჩეულს, გავლენიან და პატივსაცემ, ხშირად ორივე მხარისათვის მონათესავე პირს არჩევდნენ, რომ “ქალის” პატრონს მისთვის უარის თქმა გაჭირვებოდა. იმ უკიდურეს შემთხვევაში როცა ელჩი ვერ დაითანხმებდა ქალის მშობლებს, სოფლის თავაკაცები ერეოდნენ საკითხის გადაწყვეტაში.

ჩვეულებრივ პირობებში ელჩი ქალის ოჯახში სტუმრად მივიდოდა, რომელიმე დღის, ძირითად შემთხვევაში ეს ხდებოდა ხუთშაბათ დღეს, საღამო ხანს. ცოტა ხნის საუბრისა და ვახშმის შემდეგ იგი ოჯახის უფროს განუცხადებდა მისი მოსვლის მიზეზს.

საუბარს შესაძლოა თავის გარდა ოჯახის სხვა უფროსი წევრებიც დასწრებოდნენ. როგორც არ უნდა ყოფილიყო ქალის მშობლების აზრი ამ ქორწინებაზე, ელჩს უპასუხოდ უშვებდნენ- მოფიქრებისა და ძმა-ბიძების აზრის გასაგებად დროს ითხოვდნენ.

ელჩის მეორედ მოსვლამდე ოჯახი ცდილობდა “გაეკითხა” მთხოვნელების ოჯახი. ელჩი სულ ცოტა სამ-ხუთჯერ მაინც უნდა მისუღიყო სათხოვნელად. შეთანხმების გაძნელების შემთხვევაში ელჩობა 2-3 წელიწადსაც გასტანდა. ელჩობის მთელი ეს პერიოდი “დაპირებად” იწოდებოდა. ელჩის სტუმრობა და საუბრები თავისებურად ჩამოყალიბებული წესის სახეს ატარებდა, თუნდაც თანხმობა თავიდანვე ნათელი ყოფილიყო.

საქმის კეთილად დასრულების შემდეგ ელჩი დასაჩუქრდებოდა. ეს იყო ქალამანი ან წალი. რამდენიმე წინდას მას ქალის ოჯახიც აჩუქებდა. მეტ გასამრჯელოს ის არ აიღებდა, როგორც არ უნდა გასჭირვებოდა მას ამ საქმის გაკეთება და რამდენი დრო და ენერჯია არ უნდა დაეხარჯა.

ნიშნობა. ელჩი თანხმობის მიღებისთანავე რაიმე ნიშანს ტოვებდა სარძლოსათვის- ოქროს ბეჭედს ან მძივს. ნიშნობისათვის სპეციალურად არჩევდნენ შაბათს, მთვარეც სავსე უნდა ყოფილიყო. სანიშნო ნივთებს ყიდულობდა ვაჟის მამა ან უფროსი ძმა.

რძალს ხშირად ოჯახის მემკვიდრეობის გასაგრძელებლად დედამთილი ჩუქნიდა ოქროს სამკაულებს, რომლებიც მან თავისი დედამთილისგან მიიღო. ასე გადაეცემოდა ოჯახის ტრადიციიდან გამომდინარე რძლიდან რძალს.

ადიგენში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის და საუბრების დროს ძირითადად გამოიკვეთა გარიგებით შეუღლება, რომელშიც დიდ როლს მშობლები თამაშობენ. ერთერთი რესპოდენტის გადმოცემით როცა სრულწლოვან ასაკს მიაღწია, მშობლებმა შეურჩიეს ადგილობრივი გოგო, რომელსაც ოჯახი კარგად იცნობდა. მამამ გაგზავნა ელჩი, რომელიც წესისამებრ ხუთშაბათ დღეს საღამოს ეახლა ოჯახს. საუბრის დროს მისვლის მიზეზი მოახსენა და თანხმობის შემდეგ მოხდა ელჩის მეორედ გაგზავნა სათანადო საჩუქრებით. მთხრობელის თქმით ადართით დადგენილია საქორწინო ასაკი-ბიჭის 18 წლის ზემოთ, ხოლო გოგო – 14 წლიდან. გოგო რომელიც 26 წლამდე ვერ გათხოვდებოდა მას „დარჩენილს უწოდებდნენ.

დანიშვნის ასაკი. ქალ-ვაჟის დანიშვნა შეიძლებოდა ყოველ ასაკში. გადმოცემით წინათ ხშირი ყოფილა მცირეწლოვანთა დანიშვნა. ერთმანეთის დამოყვრებით დაინტერესებული ოჯახები ხუთი-ექვსი წლიდან ნიშნავდნენ ბავშვებს.

არსებობდა ბავშვების დაბადებამდე და აკვანში დანიშვნაც. დაბადებამდე ან აკვანში დანიშვნა მხოლოდ სიტყვიერ შეთანხმებას წარმოადგენდა. ნიშნის მიტანა კი დანიშნულის საქორწინო ასაკში შესვლის დროს ხდებოდა.

თანამედროვე პერიოდში ქალ-ვაჟის ქორწინების ასაკი 18 წელია. ადრე საქორწინო ასაკის ათვლა 13-14 წლიდან იწყებოდა. ვაჟი აუცილებლად უფროსი უნდა ყოფილიყო ქალზე, თუმცა ყოფილა შემთხვევებიც, როცა ქალი ასაკით უფროსი იყო, ერთ-ერთი რესპოდენტის გადმოცემით სიყვარულით მოხდა მისი შეუღლება, რის გამოც ასაკობრივ ზღვარს ყურადრება არ მიექცია.

დანიშნული ქალი უკვე გათხოვიდალ ითვლებოდა, ვაჟი კი ცოლიანად. ნიშნობის დარღვევა დანაშაულად ითვლენოდა და სახელს უტეხდა უარისმთქმელ მთელ მახლობლებს.

მზითევი – ქალის პირადი საკუთრება, რომელსაც ატანდნენ გათხოვებისას. ძირითადად შეადგენდა სამზარეულოდ სახმარ, საწოლ, შესამკობელ საგნებს. ოჯახ ცდილობდა ქალიშვილისათვის კარგი მზითევი გაეყოს, რომელიც შემდგომ ახალ ოჯახში ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა. მისი ნებართვის გარეშე მზითევი ვერ გასხვისდებოდა. გაყოფის შემთხვევაში ის ოჯახის საერთო ქონებაშიც არ იგულისხმებოდა. ქალი ცდილობდა რომ მისი მზითევისათვის კარგად მოეგლო და შეენახა შემდეგ თავისი ქალიშვილის სამზითვოდ. ქალის წაყვანის შემდეგ ხშირად მზითევის წიგნსაც კი ადგენდნენ.

ქორწილი. ჩვეულებრივად დაქორწინება-დასახლება, ისევე როგორც გათხოვება ხდებოდა უფროსობის პრინციპით. დაოჯახებული უფროსი ვაჟი წლების განმავლობაში ცხოვრობდა მშობლებთან. როცა მისი უმცროსი ძმა დასახლდებოდა ან შვილები შეეძინებოდა უფროსს გამოყოფდნენ, გაარიგებდნენ. ძმებს ერთმანეთთან ახლოს არიგებდნენ, რათა არ დაშორებოდნენ ერთმანეთს და სამეურნეო საქმიანობაში ერთმანეთს დახმარებოდნენ.

ბოლოს მამისეულ ოჯახში უმცროსი ვაჟი რჩებოდა. ოჯახის გაყოფის შემდეგ ძმა თავისი პატარა ოჯახის უშუალო უფროსი

ხდებოდა. მიუხედავად ამისა ოჯახის მნიშვნელოვან საკითხებს იგი მაინც მამა-პაპასთან და უფროს ძმებთან შეთანხმებით წყვეტდა.

ოჯახის ახალგაზრდა მამაკაცები, ისევე როგორც ქალიშვილები თავიანთ ქორწინების საკითხში თოთქმის სრულაიდ უფლები იყვნენ. ამ საკითხში ოჯახის ინტერესების სანინალმდეგო მოქმედების შემთხვევაში ვაჟი კარგავდა უფლებას თავისი კუთვნილი ქონების მნიშვნელოვან ნაწილზე. ადგილობრივ პირობებში კი დამოუკიდებლად ოჯახის მოწყობა თითქმის შეუძლებელი იყო.

მშობლები ხშირად შვილებისაგან დამოუკიდებლად წყვეტდნენ მათ მომავალს. თვითონ არჩევდნენ სასიძოს ან სარძლოს. ამას ხშირად მხოლოდ შუაკაცის გაგზავნის შემდეგ შეიტყობდა. შვილები თვითონ ვერ გაამჟღავნებდნენ თავის სურვილს და ვერც არჩევანით უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

ამრიგად ქორწინება მიიჩნეოდა არა ერთპიროვნულ, არამედ მთელი ოჯახის კოლექტივის თუ მოძმეების საქმედ. ადათი გვარსშინა (ნეგროში) ქორწინებას 4-5 და 7 თაობამდე კრძალავდა.

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მტკიცედ იკრძალებოდა აგრეთვე ნათლიობით დამოყვრებულ ოჯახის შვილთა და ქორწინება. ასევე დაუშვებელი იყო “ძუძუნანოვთა” ანუ იგივე ძუძუმტეთა და მათ შემდგომ დაბადებულთა შეუღლება.

ქორწილები ხშირად გვიან შემოდგომაზე იმართებოდა. წელიწადის ამ დროს მოსახლეობას თითქმის დასრულებული ქონდა სამეურნეო საქმიანობები. არასასურველ თვედ მარტი ითვლებოდა. ქორწილში ხალხს პატიჟებდა სასიძოს ძმა ან ბიძაშვილი, ან თვით სასიძოც. ქორწილი წინა დღეს ეწყობოდა სახელდახელო ნაგებობა საქორწინო სუფრის სამზადისისათვის.

როგორც წესი ძველად ისე ქორწინდებოდნენ, რომ გოგო და ბიჭი ერთმანეთს არ იცნობდნენ და პირველად ქორწილში ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა 2016 წ. ივლისში დავსწრებოდით ქორწილს შავშეთში და საკუთარი თვალით დაგვეფიქსირებინა ჩვენთვის საინტერესო თავისებურებანი. ცერემონია ტარდებოდა სპეციალურად განკუთვნილ საქორწინო დარბაზში, რომლის შუაგულ ცენტრში დგას სიძე-პატარძალი ხელისმომკი-

დეებთან და ოჯახის წევრებთან ერთად. მარცხენა მხარეს დგანან ბიჭისა და გოგოს მშობლები, რომლებიც მოლოცვებს ღებულობენ. ვაჟის მხარე ასაჩუქრებს ვაჟს, ქალის ნათესავები კი პატარძალს.

შავშეთში პატარძლის დასაჩუქრება ხდება განსხვავებული წესითაც. საჩუქრები (ფული, სამკაულები) ქინძისთავებით ემაგრება კისერზე შემოხვეულ 10-15 სმ სიფართისა და 2- 2,5 მეტრის სიგრძის თეთრ ან წითელ ნაჭერზე, რომელსაც **კორდელას** ეძახიან. დასკვნით ეტაპზე სიძე უკეთებს დედოფალს ოქროს ყელსაბამს, რომლის შემდეგ დედოფალთან პირველი ცეკვობს მამა. ცეკვის დასრულების შემდგომ მუსიკის ფონზე იწყება თურქული ტრადიციული ცეკვა, სადაც ყველანი ცერა თითებით გადაჯაჭვული წრეს ქმნიან.

თურქეთში ყველგან და ყველაფერში შეინიშნება შეინიშნება ქვეყნის სიყვარული, ეროვნული სიმბოლიკისადმი პატივისცემა. არც ქორწილია გამონაკლისი. ამის ნათელი მაგალითია ნეფე-პატარძლის მაგიდის უკან თურქეთის დროშა და მუსტაფა ათათურქის სურათი.

საქორწინო სუფრა არ იშლება. საქორწინო დარბაზში დგას სპეციალური მაგიდა, სადაც ნებისმიერ მსურველს აქვს უფლება ჩანანერის სახით მიულოცოს ახალდაქორწინებულებს შეუღლება.

საქორწილო რიტუალი. ქორწილი ღამით იცოდნენ. თუ შორი იყო, დედოფალი მორთულ- მოკაზმული ცხენით მოჰყავდათ, თუ ახლოს იყო ფეხით.

სასიძო ქალის მოსაყვანად არ მიდიოდა. მიდიოდნენ მაყრები-მამები და ძმები. ბიძები ნათესავები. თუ სასიძოს მამა არ ყავდა, მაშინ “სამამთილოდ“ ბიძას ან რომელიმე საპატიო ნათესავს არჩევდნენ. პატარძალი ძმისა და დადეების (ხელისმომკიდებები) თანმხლებით გამოჰყავთ ეზოში. პატარძლის გამოყვანისას კარების ორივე მხარეს „მისობენ დანებს“, იგივე რიტუალი სრულდება ვაჟის სახლშიც. სავალი გზის ორივე მხარეს „დაყრიან ყურშუმებს (ტყვია) და ნაცარს“, რათა მეფე-დედოფალი დაიცვან „დაკოჭვისაგან“.

ქორწილი მთელი სოფლის საერთო სამხიარულო თავშესაყრელ მოვლენას წარმოადგენდა. ყოველი დაპატიჟებული ვალდებული იყო მატერიალურად დახმარებოდა მექორწინე ოჯახს.

მაყრებს ქალის ოჯახი ეზოსთან ეგებებოდა მამაკაცები, როგორც წესი ცალკე პურობდნენ და მათ მამაკაცები ემსახურებოდნენ. ჯერ უმასპინძლებდნენ მაყრებს, შემდეგ კი “ადგილის” ხალხს, თანასოფლელებს.

მაყარი მთელ დღეს ატარებს სასიძოს ოჯახში. შორიდან მოსულ მაყარს მეზობლები ან ქალის ნათესავები გაათევენებენ ღამეს. მეორე დღეს მაყარი ემზადება საპატარძლოს წასაყვანად. პატარძალი მიყავთ საღამოს. მანამდე კი იმართება საქორწინო ზეიმი, ცეკვა-სიმღერა, რომელშიც მონაწილეობს თითქმის ყველა მექორწილე. შავშეთის ქართველთა ქორწილი რამოდენიმე დღეს გრძელდება. თუ სამეურნეო საქმიანობა „მოთავებულია“, მაშინ ქორწილი შეიძლება ერთ კვირასაც გაგრძელდეს.

დედოფლის საქორწინოდ მომზადება-მორთვას ანდობდნენ მხოლოდ ჯამრთელ და ქმარშვილიან ნათესავ ქალს. ქალის ოჯახში ქორწილი მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდებოდა. დედა, როგორც წესი ქორწილში არ მიდიოდა, ის მხოლოდ მეორე დღეს სადილით ხელდამშვენებული მიდიოდა სიძის ოჯახში. ეზოდან გასვლის შემდეგ სოფლის ახალგაზრდობა ხშირად თოკით ან ჯოხით გზას უღობავდა მექორწილეებს და გზის გახსნის-თანავე საჩუქარს ღებულობდნენ ვაჟის მაყრისაგან.

აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული სამახარობლო ბალიშის (პირბალიშა, მუჟდა ბალიში) გაგზავნა, რომელსაც მახარობელს გაატანებდნენ სიძის ოჯახთან მაყრის მიახლოების დროს. ეს ბალიში დედოფლის მიერ იყო მოქარგული. შუაში ჩატანებული ჰქონდა სარკე. იქვე ჩამალული სიძე გამოდიოდა გზაზე მახარობლის მოთხოვნით. მახარობელი „ანვალებდა“, ბოლოს ბალიშს გაუქნევდა. თუ ვაჟი ბალიშს ვერ დაიჭერდა დაცივნას დაიმსახურებდა. ეს ბალიში დაძველებამდე იყო ჩამოკიდული დედოფლის სანოლთან. სარკე რომელიც გარეგნობის ამრეკლავი საშუალება, ლიტერატურული მონაცემების მიხედვით დაკავშირებულია სულთან.გარდა რიტუალურ-საკრალური ფუნქციისა, პირბალიშას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. პირველი სქესობრივი აქტი სწორედ პირბალისაზე უნდა ჩატარებინათ.

პატარძალმა სახლში შესვლამდე კიბეებთან, მარჯვენა ფეხით (ერთი დარტყმით) უნდა დაამტკვრიოს ყავის ჭიქა ან თევზი. დედამთილი პირში შაქარს ჩაუდებს, შეიყვანს ოთახში, ბუხარში

ჩამოკიდებულს „მურიან“ ჯაჭვზე ხელს მოაკიდებინებენ ან ფქვილში თუ ცომში ჩააყოფინებენ და კედელზე, კ ერის თავზე ჩამოასმევენებენ, პატარძალს ზოგჯერ ლურსმანსაც მიაჭედინებენ. ბარაქიანობის სურვილის გამოსახატავად ბედელში უყრიან პურის მარცვალს და ლოცავენ: „ღმერთმა ღარჭი მოგცესო“.

აჭარულ ქორწილში დიდ ყურადღებას იწვევს სადილის ტრადიცია. საგანგებოდ მორთული კალათები, რომელთა რაოდენობა 5-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, შემოჰქონდათ შუა ქორწილში ბიჭებს მხარზე შემოდგმული. კალათებით ისინი საქორწინო მაგიდებს მოივლიან და შემდეგ ნეფე-დედოფლის მაგიდასთან დადებენ. სადილი შედგება ბაქლავის და შაქარლამისგან. რომელიც გათხოვილი გოგოსთვის ოჯახის ნევრებს მიაქვთ. ხალხურ თქმულებას თუ დაუფუჯერებთ, სადილის მიტანის ტრადიცია აჭარაში გამუსლიმანების შემდეგ დამკვიდრდა.

საქორწინო რიტუალში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სიძე-დედოფლის კალათას. ეს კალათი სხვა კალათებისაგან განსხვავებულია. სიძე-პატარძლის კალათში დევს ორი მსხლის ან ვაშლის ფორმის შაქარლამა. ამ შაქარლამებიდან ერთში ბეჭედი ან ფული დევს.

ამრიგად ქორწილი და საქორწინო ტრადიციები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. მართალია ტრადიციებმა გარკვეულწილად სახე იცვალეს, თუმცა ძირითადი არსი მაინც უცვლელი დარჩა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტორის საველე ექსპედიციის მასალები (შავშეთი, ადიგენი, 2016 წ. ივლისი).

Ia Tsetskhladze

Wedding and wedding traditions in historical and modern Georgia Summary

In article, based on author data, is discussed some issues about wedding and wedding relations.

ჩვენი ავტორები:

1. **თენგიზ სიმაშვილი** – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, თელავი);
2. **თამაზ ფუტყარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნეებო დანესებულება – საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
3. **ნატო ქიქავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნეებო დანესებულება – საარქივო სამმართველო; მთავარი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
4. **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, თბილისი);
5. **ინგა ელიავა** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილება, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ქუთაისი);
6. **ოთარ თურმანიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
7. **ეთერ ქავთარაძე** – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის უფროსი;
8. **ქრისტინე მეძველია** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილება, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ქუთაისი);
9. **ესმა მანია** – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერ სიძველეთა დაცვის დეპარტამენტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, თბილისი);

10. **ოთარ გოგოლიშვილი** – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, დირექტორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
11. **ალექსანდრე ჩხაიძე** – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, მეცნიერ თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
12. **მერაბ მეგრელიშვილი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
13. **მაია რურუა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნეებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი (საქართველო, ბათუმი);
14. **ჯემალ კარალიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
15. **მალხაზ ჩოხარაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
16. **მარინა აროშიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
17. **ნათია კალანდაძე** – ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დირექტორი (საქართველო, ჩოხატაური);
18. **ქეთევან ფუტყარაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
19. **ნანული ნოლაიძელი** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
20. **ნარგიზ ბასილაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნეებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო, დირექტორის მოადგილე (საქართველო, ბათუმი);
21. **თინა შიოშვილი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
22. **ალლა სერდიუკი** – ბერდიანსკის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა, ბერდიანსკი);
23. **შოთა მამულაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);

24. **ციური ქათამაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
25. **კახაბერ ქამადაძე** – გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი, (საქართველო, ბათუმი);
26. **ვაჟა ფარტენაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
27. **გურამ ჩხატარაშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი, არქეოლოგიური მუზეუმი (საქართველო, ბათუმი);
28. **ირინე ვარშალომიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აკადემიური დოქტორი (საქართველო, ბათუმი);
29. **რეზო ტაკიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
30. **ელგუჯა მაკარაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
31. **თემურ ავალიანი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
32. **ნინო ოქროსცვარიძე** – ილიას უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი (საქართველო, თბილისი);
33. **თამილა ლომთათიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
34. **მარინე შალიკავა** – აკადემიური დოქტორი (საქართველო, თბილისი);
35. **ია ცეცხლაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი (საქართველო, ბათუმი).

OUR AUTHORS:

1. **Tengiz Simashvili** – Telavi Iakob Gogebashvili State university, PhD in history, professor (Georgia, Telavi);
2. **Tamaz Phutkaradze** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, head of department; Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
3. **Nato Kikava** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, main specialist (Georgia, Batumi);
4. **Tinatin Jabadari** – National Archives of Georgia, contemporary History Archives, main specialist (Georgia, Tbilisi);
5. **Inga Eliava** – National Archives preservation, registration and scientific – informational department of Central Archives of Kutaisi, senior specialist (Georgia, Kutaisi);
6. **Otar Turmanidze** – Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
7. **Eter Kavtaradze** – Korneli Kekelidze National Center of Manuscripts, head of archival studies department (Georgia, Tbilisi);
8. **Kristine Medzvelia** – National Archives preservation, registration and scientific – informational department of Central Archives of Kutaisi, senior specialist (Georgia, Kutaisi);
9. **Esma Mania** – Korneli Kekelidze National Center of Manuscripts, department of manuscripts antiquities protection of National Center, research fellow (Georgia, Tbilisi);
10. **Otar Gogolishvili** – Khariton Akhvlediani Museum, director; Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
11. **Aleksander Chkhaidze** – Khariton Akhvlediani Museum, research fellow (Georgia, Batumi);
12. **Merab Megrelishvili** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);

13. **Maia Rurua** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, head of department (Georgia, Batumi);
14. **Jemal Karalidze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
15. **Malkhaz Chokharadze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
16. **Marina Aroshidze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
17. **Natia Kalandadze** – Niko Berdzenishvili local Museum of Chokhatauri Municipality, director (Georgia, Chokhatauri);
18. **Ketevan Phutkaradze** – Shota Rustaveli State University, PhD student (Georgia, Batumi);
19. **Nanuli Noghaideli** – Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
20. **Nargiz Basiladze** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, deputy head (Georgia, Batumi);
21. **Tina Shioshvili** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
22. **Alla Serdiuk** – State pedagogical University of Berdyansk (Ukraine, Berdyansk);
23. **Shota Mamuladze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
24. **Tsiuri Katamadze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
25. **Kakhaber Kamadadze** – Gonio-Apsarus Archaeological Museum (Georgia, Batumi);
26. **Vazha Phartenadze** – Shota Rustaveli State University, PhD student (Georgia, Batumi);
27. **Guram Chkhatarashvili** – Shota Rustaveli State University, PhD student; Archaeological Museum (Georgia, Batumi);
28. **Irine Varshalomidze** – Niko Berdzenishvili scientific-research Institute, academic doctor (Georgia, Batumi);

29. **Rezo Takidze** – Shota Rustaveli State University, PhD student (Georgia, Batumi);
30. **Elguja Makaradze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
31. **Temur Avaliani** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
32. **Nino Okrostsvaridze** – Ilia University, PhD in history (Georgia, Tbilisi);
33. **Tamila Lomtadze** – Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
34. **Marine Shalikava** – Academic doctor (Georgia, Tbilisi);
35. **Ia Tsetskhladze** – Shota Rustaveli State University, student (Georgia, Batumi).

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. **თენგიზ სიმაშვილი** – „ქართული ლეგიონის“ წევრები და ჯემალ-ფაშას მკვლელობა 3
2. **ნატო ქიქავა/თამაზ ფუტყარაძე** – საქართველო-უნგრეთის ისტორიულ და სამეცნიერო – კულტურული ურთიერთობები აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით. 18
3. **თინათინ ჯაბადარი** – სტამბულის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (1921-1925 წწ.) 43
4. **ინგა ელიავა** – მასალები ახლადშემოერთებული ბათუმისა და ართვინის ოლქების საზღვრებთან დაკავშირებით..... 62
5. **ოთარ თურმანიძე** – საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა და სასულიერო წოდების რეპრესიები აჭარაში (1937-1940 წწ.) 70
6. **ეთერ ქავთარაძე** – დიმიტრი ბაქრაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. .. 85
7. **ქრისტინე მეძველია** – აჭარის საგანამანათლებლო ცენტრები და პედაგოგები მე-19 და მე-20 სს. (ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული მასალების მიხედვით) 90
8. **ესმა მანია** – ვახტანგ ჯობაძე და ოშკის ტაძრის კვლევის ისტორია 107
9. **ოთარ გოგოლიშვილი** – ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტების შესახებ ბათუმის ოლქში..... 121
10. **ალექსანდრე ჩხაიძე** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის შუა ხანები) 132
11. **მერაბ მეგრელიშვილი** – რუსული მმართველობა აჭარაში XIX საუკუნის დასასრულს და XXI საუკუნის პირველ ოცნლედში 140
12. **მაია რურუა** – ერთი შენობის ორი ისტორია 157

13. **ჯემალ კარალიძე** – რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში 169
14. **მარინა აროშიძე** – კულტურის ენა და ენის კულტურა . 180
15. **ნათია კალანდაძე/ქეთი ფუტკარაძე** – ქართული სარენი თოჯინის გენეზისი, ტრადიციები და რიტუალი ზემო გურიაში 187
16. **ნანული ნოლაიდელი** – კაცი იყო მამულისა (ჯემალ ნოლაიდელის დაბადების 110 წლის გამო) 194
17. **ნარგიზ ბასილაძე** – მამია ვარშანიძის ცხოვრება და ღვაწლი (აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით) 198
18. **თინა შიოშვილი** – პატარძლის დასამოძღვრი ლექს-სიმღერები კლარჯულ საქორნილო პოეზიაში..... 203
19. **ალლა სერდიუკი** – პარემიების შედარებითი ანალიზი ზოოკომპონენტთან 209
20. **შოთა მამულაძე/ციური ქათამაძე** – არტანის საფორტიფიკაციო ნაგებობანი და არტანუჯთან დამაკავშირებელი ძველი გზები (ქურუმლუხი, ური, ველი, ქინძოტამალი) 218
21. **კახაბერ ქამადაძე** – მარმარილოსებური კერამიკა სამრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან..... 245
22. **ვაჟა ფარტენაძე** – საკულტო კერამიკის ერთი სახეობის გავრცელებისათვის აჭარისწყლის ხეობაში (კვაშტა) 251
23. **გურამ ჩხატარაშვილი** – სანურბლის მღვიმის ფინალური ზედა პალეოლითის კლიმატურ გეოგრაფიული გარემოს რეკონსტრუქცია პალეონოლოგიური და პალინოლოგიური კვლევების ფონზე 256
24. **ირინე ვარშალომიძე/რეზო ტაკიძე** – კირმანეული თეთრი სოფელ აჭყვისთავიდან..... 266
25. **ელგუჯა მაკარაძე/თემურ ავალიანი** – არტაანელთა ისტორიული მესხიერების საკითხები ნაშრომი შემსრულებელთა საგრანტო პროექტის „არტაანის ქართულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფარგლებში) 269

26. მალხაზ ჩოხარაძე – მასალები ქართველი მუჰაჯირი შთამომავლების დასახლებებისათვის თურქეთის შავიზღვისპირეთში	278
27. ნინო ოქროსცვარიძე – ეთნიკური თვითაღქმის საკითხის გააზრებისათვის ჰაირიესა და ინეგოლის ქართველებში	294
28. თამილა ლომთათიძე – ხიდირეზელის დღესასწაული თურქეთის ქართველთა ყოფაში	324
29. მარინე შალიკავა – ეროვნული იდენტობის გადა-რჩენის საკითხი აჭარის აფხაზ მოსახლეობაში.	332
30. ია ცეცხლაძე – ქორწინება და საქორწილო ტრადი-ციები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში (შავშეთისა და ადიგენის მასალების მიხედვით)	342



გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com